



საქართველოს ეროვნული ბიблиოთეკი

K 204384
3




ქართველი სამოციანი

041360400
888200000000



აკადემიური წარი



გამოცემობა „საგარეო სამარტინ“
თბილისი, 1988.



წიგნი ეძღვნება V საუკუნის საქეუნოდ განთქმული ქართველი მეცნიერის პეტრე იბერის ცხოვრებას. ნაწარმოები მრავალ შერჩევაში მასალაშეა აგებული. ავტორი ცდილობს ისტორიული კერძმარიტება შეიძარჩინოს იქაც, სადაც თავის საკუთარ ფანტაზიას ეყრდნობა, ან დასკარებულებას.

მიორი გამოცემა

4702170201—104
H _____ ბრძ. № 1/50-88
M 601 (08) 88

ISBN 5 — 529 — 00401 — 6

შალვა ნუცუბიძის ნათელ სტატიას
მიუძღვის აკტორი ამ მკრთალ ანა-
რეკლას შორეული წარსულისა.

ერთობები
გიგანტის მიერ

7 0 6 1 8 0 5 3 1

„ისტორია ფაქტებია და არა ჭეშმარიტება.
ჭეშმარიტება განსხვავდება ფაქტებისაგან, რო-
გორც დრო სიყრცისაგან, როგორც ბედისწე-
რა მიზეზობრიობისაგან“.

შ. ნუცუბიძე

პეტრე იბერის მიმართ ინტერესი განაახლა აყალ. შალვა ნუცუ-
ბიძის აღმოჩენამ — იმ თვალსაზრისმა, რომ არეოპავიტული წიგნე-
ბის ავტორი პეტრე იბერია.

ამ აღმოჩენამ ავტორს გააბეღვინა ფრიად საძნელო საქმე: დაე-
წერა წიგნი პეტრე იბერის ცხოვრებაზე. ავტორს გამბედაობა იმა-
ნაც შემატა, რომ ბელგიელი მეცნიერის, ერნესტ ჰონიგმანის გა-
მოკვლევებმაც შალვა ნუცუბიძის მოსაზრება დაადასტურა; მართა-
ლია ეს მოხდა შალვა ნუცუბიძის გამოკვლევების გამოქვეყნები-
დან ათი წლის შემდეგ, მაგრამ მაინც თავისი, დამოუკიდებელი
გზით.

V საუკუნის ბიზანტიის არ ჰყოლია არც პროკოფი კესარიელი
და არც მიქაელ პსელოსი, რომ დაეტოვებინათ იმდროინდელი სა-
სახლის ცოცხალი სურათები, მაგრამ პეტრე იბერის თანამედრო-
ვეებმა, მისმა მოწაფეებმა ზაქარია ქართველმა, იოანე რუფუსმა და
სხვებმა შემოგვინახეს ბიოგრაფიული ცნობები იმ ეპოქის დიდი
მოღვაწის შესახებ. იმ ეპოქის მრავალ გამოჩენილ პიროვნებაზე
ისტორიის არ შეეძლო არ ეთქვა თავისი სიტყვა. ასეთნი იყვნენ:
ნესტორიოსი, პრისკე პანიონელი, რომელთაც თვითონაც ბევრი სა-
ინტერესო ცნობა დაგვიტოვეს; თეოფანე ბიზანტიიელის ცნობები,
მართალია, ფრაგმენტულად შემორჩენილი, მაგრამ მაინც დიდად


საქართველოს
პარლამენტის
ვრცელადი
პიგლიოთიერა

მნიშვნელოვანია იმ ეპოქის შესასწავლად. ფოტიოს და გრამატიკოსი ცეცხლი საგანგებოდ შეისწავლიან ჩვენთვის საინტერესო ფეროვალ ევდოკიას ცხოვრებას. ახალი დროის ისტორიკოსი — ამბროზი, ტირი, შარლ დილი და სხვანი შუქს ფენენ პეტრე იბერის პოვერის ისტორიის ურთულეს საკითხებს. მაგრამ თვით დედოფლის უკრონიკის პოემა „აგლაიდა და იუსტინა“, რომელიც მიაჩნდათ შილტონის „დაკარგული სამოთხის“ შთავონების წყაროდ; ჩვენი ნაწარმოების ერთ-ერთ საყრდენად იქცა. ჩვენთვის უალრესად ყურადსალები აღმოჩნდა შარლ დილის აზრი, რომ ეს პოემა დედოფლის აღსარებაა; შარლ დილი დასკენს: „შესაძლოა კიდევ რაიმე ახალი აღმოჩნდეს იმ შორეული ეპოქის დავიწყებული დედოფლის ცხოვრებიდან“—ო. შეძლებისადაგვარად შევეცადეთ დანაკლისი შეგვევსო იმ ეპოქის მაჯისცემისა და სულისკვეთების შესაბამისად.

დრომ დაშორა ჩვენგან ეპოქა, რომელშიც გამოიზარდა პეტრე იბერი, კაცი, რომელსაც „ცხოვრება მოქმედებისა და შემოქმედების გაერთიანებულ სარბიელად მიაჩნდა“; დრომ უხვად მისცა მას მასალა ფილოსოფიური განხოვადებებისათვის და ღრომვე დანისლა ის შორეული ფიქრები, მის თანამედროვეებს რომ აღელვებდნენ; ბევრიც თვით პეტრე იბერმა დაფარა საიდუმლოებით, დევნითა და სასჯელით იძულებულმა, მაგრამ მათი ნახმევი საუკუნეებს გაღმოსწვდა და თავისი მაცოცხლებელი ძალა შეინარჩუნა; „ვინც ახალ შესაძლებლობათა ერასა შლიდა კაცობრიობის წინაშე, იგი კაცობრიობის მეხსიერებას კიდევაც შერჩა“.

მოვლენათა გაშუქებისას ყოველთვის ვერ ვენდეთ ბიოგრაფთა განმარტებებს. ასე, მაგალითად, ის თვალსაზრისი, რომ პეტრემ კონსტანტინოპოლი დატოვა ასკეტური ცხოვრების მოწოდებით, საეჭვოდ მივიჩნიეთ, რადგან ისტორია საგანგებოდ აღნიშნავს სასახლის მონასტრულ გარემოს, სადაც თვით ბაზილევსიც კი ბერად გამოიყურება; პალესტინაში კი პეტრე საერო-საზოგადო მოღვაწეობით გამოირჩევა; ახალგაზრდა, საონოებით აღსავს სარდლის გაქცევის მიზეზის მოხსნისას უფრო ბუნებრივად მივიჩნიეთ ის მოსაზრება, რომ კარის ინტრიგებისაგან თავის დასაღწევად ის იძულებული გახდა პალესტინას შეპფარებოდა.

ვენდეთ რა ისტორიას, ვიდრე ფანტაზიას, შევეცადეთ მოვლენების გაშუქებისას კეშმარიტება არ ყოფილიყო განსხვავებული ფაქტებისაგან, „როგორც დრო სივრცისაგან, როგორც ბედისწერა მიზეზობრიობისაგან“.





თავი პირველი

უფლისობრივი

ბოსფორსა და ოქროს რქეს შორის კონსტანტინეს ქალაქიც კარგად გამოჩინდა. მაგრამ თოთხმეტი წლის მურვანისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა მანიაკივით მოფენილი თეთრი ეკვდერები და უზარმაზარი გუმბათებიანი ტაძრები. იგი ისევ და ისევ იგონებდა როგორ იძირებოდნენ ზღვაში პატარ-პატარა ქედები, მათ მიკუვებოდნენ კავკასიონის კალთებიც, მწვერვალებიც და მურვანი მათთან ერთად ინთებოდა შეუცნობელში. ცა გაულწიველ ბურუსში გახვეულიყო, თვალთახედვა საყრდენ წერტილს ვეღარ პოულობდა და მისი ფიქრები გარბოდნენ მზის სხივის ბილიკზე, რომლის საწყისი მამულში იყო, დასასრული კი — ბიზანტიაში.

— კარგს არას უნდა მოასწავებდეს მძევლობა, ესოდენ რომ დააღონა დედ-მამა, სასახლე, მთელი ქვეყანა, — ფიქრობდა იგი, — შესაძლოა, დაპკარგოს ტახტი, რომლის თანამდებიც იყო, ვეღარც სამშობლოში დაბრუნდეს, ვეღარავინ იხილოს...

და მურვანმა ისევ წაართვა თავი მოგონებებს. ზურგი შეაქცია ზღვას და თავის დიდებულ ამალას მოუბრუნდა. ყმაწვილის ფართოდ

დაღებული თვალები თითქოს სიზმრიდან იცქირებოდნენ. ცხოვრება ისეთი ძალით შემობრუნებულიყო, აწყო წარსულს ემიგრებოთ. ირგვლივ ყველაფერი უცხო იყო, მეზღვაურების ხმაც უცნობი, უფროს კი ჯერაც ნაცნობი ტყის სურნელება ასდიდოდა, მშობლების ცაჟმლები არ შეშრობოდა, გამზრდელ ზუზოს ხმაც ისევ ესმოდნ, სერმო ამალაც კი დიდის დიდებით და სიმრავლით რომ ახლუა, უცნობ და მდუმარებით გამოიყურებოდა, მაგრამ მათი თანამგრმნის, შორიშის სახეები მზესავით გულს უნაოებდა, ნუგეშის სცემდა და ყმაწვილი შევებით სუნთქვდა.

მის გვერდით, ცალფეხაკანცურებული, მობუზულ-მოწყენილი ბურგაკისი იდგა. ის ჯერ კიდევ გუშინ დედის, ოთას, კალთას ვერ შორდებოდა, არ ეთმობოდა დედა, ასლა კი ნაღვლიან თვალებს მურვანს რომ შეავლებდა, უნდოდა გაეცინა, მაგრამ მტირალს უფრო ჰგავდა. წამწამებში ჩამოკიდებული ცრემლი გარემოს ამღვრევდა და მცხუნვარე მზის ალერსში სადღაც შორს, ზღვას აცქერდებოდა, ზღვის თევზს თვალს აღევნებდა, თევზი ხან მაღლა ამოსხლტებოდა, ხან უცებ სადღაც იძირებოდა და ბურგაკასიც ფიქრებში გაერთობოდა, უკვირდა, ზღვა როგორ ამშეიდებდა, როცა თვალთ მომდგარი ცრემლი დახრჩობას დაუპირებდა. მურვანი და ბურგაკასი ერთად შეზრდილი მეგობრები იყვნენ, მათ საერთო საცინელი და საერთო სატირალი ჰქონდათ.

მითრედატემ ორივეს თავზე ხელი გადაუსვა მზრუნველად.

განთქმული და წარჩინებული სწავლული მითრიდატე აღმზრდელი იყო მურვანისა. კეთილი რჩევებით, თუ უხვი წახალისებებით ამხნევებდა, საუკეთესო თვისებებს ულვიძებდა თავის ფაქიზსა და სიბრძნის მოყვარე მოწაფეს, უმაგრებდა აზროვნების საძირკველს, სულიერი ძლიერებისათვის მოუწოდებდა: „სული უმაღლესია სხეულზე, — დღე-მუდამ იმეორებდა, — როდესაც ადამიანი თავისი თავის მბრძანებელია, ეს უმაღლესია, რისი მიღწევაც მის შეუძლია“. მითრიდატეს ბედნიერება პირადულით არ განისაზღვრებოდა, უფლისწულის წარმატებებით ხარობდა. წარმოსაღევი ბრგვ კაცი, თავისი ახოვანი შეხედულებითაც შთამავონებელ გავლენას ახდენდა. სამშობლო ქვეყნის მწარე ხვედრით იტანგებოდა, მით უფრო ასლა, როცა ბიზანტიის უღელი მთელი თავისი სიმძიმით დასწოლოდა ქედზე მის ქვეყანას. გრძნობდა, რომ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. სპარსელებთან მოხერხდა სიტყვიერი შეთანხმება, მართლმადიდებელი ბიზანტია კი მართლმადიდებელ იძერიას ფიცითაც აღარ ენდობოდა, მძევალს

ითხოვდა. „ჩანს, — ფიქრობდა მითრიდატე, — ქრისტიანობა არა კმა-
რა იმისათვის, რომ სამეფო სამეფოს დაენდოს“. ყრმათ კი დამილით
ეუბნებოდა:

✓ — ვითარცა ზღვას არ დააკინებს წარდინებანი წყალიანი და
არცა მოაკლდებიან შედინებანი მდინარეთაგანი, იმერეაქტუატ-ფლატი-
ნებს მოსაზღვრეთა შემოტევა-გატაცებანი.

მაშინ მოლივლივე ლურჯი ზღვა მარადისობისა და უსასოულო-
ბის წიაღად გადაეშლებოდათ ყმაწვილებს, თვალთახედვას გაიტაცებ-
და სხივების ფერთა თამაში და მურვანს სახე უნათდებოდა, ამ შეუ-
ცნობელ გარემოში საწუთრო მარადიულზე აფიქრებდა, უკიდევანო-
სივრცე ცას ერწყმოდა და მევობრებს თავი ზღაპრულ გმირებად მოჰ-
ქონდათ.

მაგრამ აი, ისევ დესპანის გაყვითლებული სახე აღიმართებოდა
მათ წინაშე, ცივი ლიმილი რომ ჩამოჰყინვოდა, თითქოს მბრძანებელს
სიტყვასთან ერთად ეს ლიმილიც გამოყოლებინა, თვალები შივშაგი
ჰქონდა და მის ენამზეობას არ ემოწმებოდა: შშვიდობის მოსურნე
დამცყრობელის ძლიერებაც ის იყო, რომ ვერავინ იტყოდა მტრად
მოვიდა იგი, თუ მოყვრად? მაგრამ ახლა მურვანს თავისი გულისძვე-
რა უფრო ესმოდა, ვიდრე დესპანის არაფრის მოქმედი სიტყვები.

— ალბათ, — ეუბნებოდა მურვანი მითრიდატეს, — კეისარი თეო-
დოსიც მასავით ხისა ან ქვისა იქნება, ჭუჭა უსათუოდ, მუდამ დაბ-
ლა მაცქერალი განგებასაც დაავიწყდებოდა.

მითრიდატეს ელიმებოდა და მურვანისათვის საფიქრალი რომ შე-
ეცვალა, დაანახა ვინმე ახალგაზრდა ვარჯი ყმაწვილი, გემბანზე ხალ-
ხში გამოსაძვრენს რომ ეძებდა და ვერ მოენახა. ჩაუქი მურვანს თვალს
არ აცილებდა, მალ-მალ წინ გამოიჭრებოდა, რომ მურვანის თვალის
სარბიელს მოხვედროდა. ერთი უწვერ-ულვაშო ყმაწვილი იყო, სხაპა-
სხუპით ხმამალლა იზრახებოდა, ისე კი შშვიდობიანად და კეთილად გა-
მოიყურებოდა; ნათესავით პართენოკელი აღმოჩნდა.

განზე მეზღვაურები მღეროდნენ.

— იცით ვის უმღერიან მეზღვაურები? — მურვანს უცქერდა და
ბურვაკასს მიმართავდა პართენოკელი.

ბურვაკასმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ისინი უმღერიან წმინდა ფოკას, მეზღვაურთა მფარველს. არ
გაგივონიათ სინოპელი ფოკა? არც ასტარი ამასიელის „შესხმანი ფო-
კასი“ არ წაგიკითხავთ? — ჩაციებით ეკითხებოდა პართენოკელი და

რა დარწმუნდა მათ ეს ამბავი არ იციანო, შეღერებულმა თავმომწოდედ დაიწყო:

— დიოკლეტიანე შეფის დროს იყო ერთი ლარიბი შემისტნებული თუკა, რომელმაც სახელი გაითქვა ქველმოქმედებითა და ქრისტიანობის გავრცელებით. დიოკლეტიანემ მის შესაბყრობად ფიქტურული წერტომოგზავნა. ლიქტორები შემთხვევით ლამის სათევად ფლოჭისტონ შემცდნენ. ფოკა მათ კარგად გაუმასპინძლდა და რა გარიფერდნენ. ლიქტორები შეუჭდათ, ლიქტორებმა თავისი მიზანი გაუმხილეს. ფოკამ არაფერი თქვა, გავიდა თავის საკანში, გათხარა საფლავი და რომ შემობრუნდა, განუცხადა თავის ვინაობა, სთხოვა მისსავე სახლში მოეკლათ. ლიქტორები სახტად დარჩნენ, ასეთი ვარგი მასპინძლობის შემდეგ როგორ უნდა მოეკლათ, მაგრამ ფოკა იმდენად იყო შესყრობილი მოწამეობრივი სიკვდილის სურვილით, ევედრა შესრულებას მისი თხოვნისა, რადგან მისი სიკვდილისათვის პასუხს განვება მათ არ მოსთხოვდა, მისი ცოდნ მასს მბრძანებელზე იქნებოდა. ორწმუნა მუდარით და ჯალათებმაც აღარ დააყოვნეს, მოპკვეთეს თავი და მიაბარეს საფლავს. დიოკლეტიანემ, მოღლილმა ქრისტეანობის შეუპოვრობით, უარი თქვა ტახტზე და თავის სამშობლოში მობრუნებულმა მებალედ გაათავა სიცოცხლე. ფოკა კი ასი წლის შემდეგ გადმოასვენეს კონსტანტინებოლს ისეთი დიდებით, რომ ყველაზე დიდმა პატრიარქმა, იოანემ ორჯერ წარმოსთქვა სიტყვა მისთვის, — ისევ თავმომწონედ გადახედა ყველას პართენოკელმა, უშურველი შური რომ ამოიკითხა მათ თვალებში.

— ისეა, ჩვენისთანა განათლებული უცხოსაგან გავიგებთ ჩვენებური, სინოპელი კაცის ამბავს, — უბნო მითრიდატემ.

ფოკამ ერთხანს თავისი განცდები დავიწყათ, მის გმირობასთან მათი უბედობა აღარად გამოჩნდა. მურვანს თითქოს სევდის ისარი ამოუღეს, კნინ ოდენ შვებაც იგრძნო, ფიქრებმა მცხეთისაკენ უფრო მშვიდად გასწიეს და როგორც მკრთალდებოლნენ სამშობლოს მთები და ცელები, ფიქრებიც ჰყარგავდნენ სიმძაფრეს, და თუ მთები ბურუსში ეხვეოდნენ და იმალებოდნენ, ქვეყანას ემატებოდა მიმზიდველობა, ზეობა და სიახლოვისას უმნიშვნელო ადამიანებიც კი ახლა დიდებულად გამოიყურებოდნენ.

— მე მიყვარს ჩემი სამშობლო შორიდან კიდევ უფრო მეტად, სიხარულით მოვევდებოდი მისთვის, თუმც სიცოცხლე ძალიან მიყვარს, მისთვის სასჯელსაც მივიღებდი, თუმცა თავისუფლების მოტრფიალე ვარ, — ამბობდა პართენოკელი, — მე ვგრძნობ, ვიღაც მარადის მით-

ვალთვალებს და ამიტომ ფიქრადაც კი განველტვი ბოროტს... იცი. შენ,
რა არის ბოროტება? — უცებ შეეკითხა ბურგავასს პართენოსთან.

ბურგავასმა მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და მურვანს უახტა მაშველება.

— ბოროტებაა ყოველივე ის, რაც გვაშორებს მუჭაჭრულუფლესწერს, სამშობლოსაგან, — თქვა მურვანმა და ისევ ზღვას ჭყაფმარტყერე წევეს
ნათქვამს ჩაუკვირდა: ახლა რომ ეკითხათ — რა არის ის, რაც გვაშო-
რებს მარადიულისაგან, თუნდა ეკითხათ — რა გვაახლოვებს მას-
თან? იტყოდა: მხოლოდ სამშობლოში შეიძლება ამაზე სიტყვის თქმა, ტყვეობაში კი შაშვიც არ გალობს.

მაგრამ პართენოკელმა აღარაფერი იკითხა და განაგრძო:

— მე მოგზაურობა ავირჩიე ცხოვრების გზად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს სამშობლოში დავბრუნდე გამდიდრებული, რაც რამ საუკე-
თხსოა, ჩემს ქვეყანის მივუტანო. ოქრო არა, ოქრო აღარიბებს ადა-
მიანს... მე ვეტყვი ჩემს თანამემამულებს: ვიხილე ქართლის უფლის-
წული, სამშობლოსთან გაყრით დაღონებული, ფიქრად ქცეული, სევ-
დით პყრობილი, მაშინ, როდესაც მას ელოდა ბევრი რამ ახალი.

მურვანს თითქოს მზემ შიგ გულში ჩაწვდინა შუქი, გაალლო გუ-
ლის მიყინული სარქველი, თითქოს ცხოვრებას მაჯისცემა მოუსინჯა, შენიშნა როგორ მძლავრად მიაპობდა ხომალდი ტალღებს, ჩარხის-
შეუწყნარებელი ხმაურიც პირველად გაიგონა, თითქოს შერცხვა კი-
დეც, რომ უცნობის გასამხნევებელი გამხდარიყო.

პართენოკელმა შეამჩნია მურვანს გამოცოცხლება და სიხარული-
საგან აცმულდა.

— ეს ტერაპიაა, — არ დაახანა, — იმ დაქცეულ ბურჯს კი „ბურ-
ჯი მედებასი“ ჰქვია. აქ დასტოვა თქვენმა მედებ სკივრი, სავსე სამკურ-
ნალო ბალახებით, მიაძინა მძვინვარე ასპიტი და დაიხსნა თავისი მიჯ-
ნური...

მურვანმა კამარა შეიკრა, არ ეამა მედეას ხსენება.

— ...ეს — ყურეა არგონავტთა, ის — აკიმიტების მონასტრებია. იცით, ვინ არიან აკიმიტები? — არ ცხრებოდა პართენოკელი.

მურვანს აღარ უნდოდა მისთვის ესმინა, განზრაბ მალლა იყურე-
ბოდა, ფრინველთა ფრენას თვალს ვადევნებო, ბურგავასს კი მისი ენა-
ძნელად ესმოდა და პართენოკელი ხელებს იშველიებდა, სახეს მან-
ქავდა, სხეულს ათასნაირად მოძრავებდა, ყველანაირად ცდილობდა
მიეპყრო მურვანის ყურადღება.

მურვანს გაელიმა და ბურგავასს უთარგმნა:

— აკიმიტები, ანუ დაუძინებლები, გაურბიან ყოველგვარ მოღვაწეობას, შრომას, განუწყვეტლივ ლოცულობებს და საფილის საგალობლებს ეძლევიან.

განუწყვეტელი ლოცვა-გალობის ხსენებაზე ბურგავას ღრუბელი ჩამოაწეო. მას ყოველდღე „მამაო ჩვენოს“ წარმოტკმებული ტექტებისგანდა; არც მურვანს ჩაუთვლია ეს დიდ ბედნიერტბეჭდი და მის მსჯელობრივი ზღვის კიდეს გახედა, ცის იმ კუთხეს მიაჩერდა, საითაც მცხეთა ეგულებოდა.

— ხმა გაეცი, მურვან, — უბნო მითრიდატემ, — თორემ პართენოკელია და სიმღერას დაიწყებს.

მურვანს სევდიანმა ლიმილმა გადაურბინა. ფიქრებით მეტად დამძიმებულს, მოსმენაც კი უჭირდა.

პართენოკელი კი ენად ქცეულიყო და ახლა მითრიდატეს მიადგა:

— დიდი ამბებია ქვეყანაზე, დიდი...

— აბა, წარმოიდგინე, შენ, — გაუსწორა მხარი მითრიდატემ, — გრიგალი ინდოეთში, მიწისძვრა საბერძნეთში, ნიალვარი თქვენს პართენოკელი.

— ზვავი ჩამოწვა თქვენს ტავრში... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთო პართენოკელმა, — მე კი სულ სხვას ვამბობ: აი, სპარსეთში რა ამბებია? იეზლიგერდმა ქრისტიანობის დევნა განაახლა, დევნილი შაპის მოხელეებისა და მოგვებისაგან თავის დასაცავად ბიზანტიის ეხიზნებიან. იეზლიგერდი უთვლის კეისარ თეოდოსის: „ჩვენი ქვეშერდომნი ქრისტეანენი თავიანთ ქვეყანაში გამორჩეო“, მაგრამ თეოდოსი დიდი ლვთისმოსავია და ქრისტეანებს არ გასცემს, ამიტომ სპარსელები ომით იმუქრებიან.

მითრიდატეს თეოდოსის ლვთისმოსაობაზე გაელიმა და პართენოკელს არ აჲყვა საუბარში. როგორც კი ადგომა დააპირა, პართენოკელმა ისევ შეკითხვა შეაგება:

— თქვენ მორწმუნე ხართ?

— შენ გინდა გაიგო, ჩვენ ცხოველები ვართ თუ ადამიანები, არა? — ლიმილით ვახედა მითრიდატემ.

— ნამდვილ კაბადოკიელებს კი ჰგავხართ! კაბადოკიელს ასპიტმა უკბინა და ასპიტი მოკვდაო, — თვითონვე გადაიხარხარა პართენოკელმა, რავი მურვანსაც გაეცინა.

— რატომ ჰქვია მოსხებისა და ტიბარენების ქვეყანას კაბადოკიალამაზი ცხენების ქვეყანა?

— ათი საუკუნის წინ, როდესაც სპარსელებმა იგი დაიძყრეს, პირველი, რამაც დამზურობლები გააოცა, იყო საუკეთესო ჯიშის უცნები, რომელთაც სპარსელები ყველაზე მეტად საჭიროებდნენ და ქვეყნის ცენტრის შეარქევს ლამაზი ცხენების ქვეყანა, — განუმარტა მითრიდატე.

— სპარსელები ცხენებმა მოხიბლეს, ბიზანტიი კუჭუმაფრუფულებრივა, — თქვა მურვანმა და პართენოკელს თანაგრძნობებულ და მუშავურ რება, აოცებდა მისი დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობა. ჩანდა ბევრი რამ სცოდნოდა, ბევრიც აინტერესებდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო, რომ აზროვნების უნარს იჩენდა.

— მაინც, სარწმუნოებით ვინა ხართ? — თავისის არ იშლიდა.

— შენ როგორ ფიქრობ? — უბნო მურვანმა.

— პართენოკელმა მხრები იჩეჩია.

— სჯობია უპირველეს აღიარო შენი მრწამსი, — თქვა მითრიდატე.

— ინებეთ, — ხალისიანად დათანხმდა პართენოკელი და ჩამოგდა იქვე, — მწამს, ღმერთი ერთია, მწამს ისიც, რომ ავის მქნელს სამაგიერო მიეზღვება, სიკეთე არ დაიკარგება; ქრისტეანობასაც მივიღებდი, მაგრამ ბევრი რამ დაუშერებელია. აი თუნდაც „მოვიდა იქსო სვლით ზღვასა მას ზედა“. შეიძლება მართლაც მოვიდა ზღვაზე სიარულით, მაგრამ რომ იქ ზღვა ღრმა იყო, ამის დაფერება შეუძლებელია. წარმოვიდგენ იმასაც, რომ ხუთი პური და ორი თევზი გაუყო ითას მამათ, თვინიერ ყრმათა და დედათა, მაგრამ ისინი რომ გაძლნენ, ეს, მე მვონი, არც თქვენა გჯერათ... დიახ, კიდევ. წმინდა მოციქულების გამოსახულების თაყვანისცემა იგივე კერპოთთაყვანისცემად მიმაჩნია და აი, კიდევ რა, — უფრო ახლოს მიიწია, — მღვდლისათვის საიდუმლოდ ვანდობილი აღსარება არ მიმაჩნია სწორ გზად ხსნისათვის; აქ ქრისტეს სიტყვა უფრო მართებულად მიმაჩნია: „ერთმანეთის წინაშე აღიარეთ შეცოდებანი თქვენნი“. კიდევ ერთი რამ — თუკი მამაზეციერი ერთი ვაშლის გამო განრისხდა, რატომ არ შემიძლია მე თავხედობისათვის ვინმე მივბეგვო?

პართენოკელმა კამათის ხასიათზე დააყენა ყველა, რადგან სადღაც ყველა უთანაგრძნობდა; მითრიდატეს კი წმინდა წიგნებზე ასეთი მსჯელობა ღვთისმებელობად მიაჩნდა და სიტყვა მოუჭრა:

— გეტყობა, უჭმელი ხარ, მაძლარი უკეთ იმსჯელებ, — და ანიშნა მსახურთ, საზრდელი მოერთმიათ.

— შენ ალბათ ცოდვათაგან ისე განბერტყილხარ, ყმაწვილო, საიჭიოსიც აღარ გეშინია, — იზრახა მითრიდატემ.

— საიქიოს უშიშარი ან ბრიყვია, ან წმინდანი და რაფე მე არც
ერთი ვარ და არც მეორე, რა თქმა უნდა, მეშინია, — თქვენ უართე-
ნოკელმა.

საზრდელს მურვანი უხალისოდ შევეცეოდა, პართენკუგლი კი მა-
დიანად ილუკმებოდა.

— დამიანს თავისი ბედი არ ასცდება... — თქვენ მუჯუჭენში დას ჭირდ
იყო საუბარი გაეგრძელებინა, რომ საერთო ხმაურმა ყველაფერი და-
ფარა: კონსტანტინეს ქალაქს უახლოვდებოდნენ.

დიდ და მშვენიერ მთათა შორის მიკლავნილ-მოკლავნილი ბოლაზი
ბალებად ქცეულ სერებს შორის წარმტაცად გამოიყურებოდა. ვერ
ასწრებდნენ აღექვათ ერთი სანახაობა, რომ იშლებოდა უკეთესი, მე-
ორე. ათასნაირ მცენარეებში ცაცხვები გამოიჩინდნენ. ეს ცაცხვები
კი ამ საიდუმლოებით მოცულ სივრცეში ნაცნობ ადგილებისავენ მო-
უხმობდნენ. მტერთათვის შეუვალი ბოლაზი მთებზე ვადმომდგარი ცი-
ხე-სიმაგრეებით მრისხანებით გამოიყურებოდა და მის შემხედვარეს
მხოლოდ მასზე აფიქრებდა. ზღვის მძლავრი სუნთქვა და ჩარხის დაუწ-
ყნარებელი ხმაური სინამდვილესთან მოსარიგებლად მოუწოდებდა —
რავი გარდაუვალი იყო იგი.

მყუდრო ბალების ხასხასა, ფაფუქ მწვანეში ჩაფლული ფერად-
ფერადი სახლები მატულობდნენ.

— ეს აგარავებია, — ისმოდა ისევ პართენკელის ხმა.

— ეს ქალკედონია, — თქვა მითრიდატემ, — აქ მოუხდა ფარსმანი
ბერძნებს დიდი ჯარით და მოლად შემუსრა. ფარსმანი ტახტზე ასვ-
ლამდე სპასალარად იყო კეისარ არგადისთან, თეოდოსის მამასთან.
დიდი მორქმუნე და დიდი ნდობით აღჭურვილი ფარსმანი, დედო-
ფალთან სიახლოვის გამო რომ რომ ამხილეს, კარის რისხვისაგან თავის და-
საღწევად სამშობლოში გამოიქცა. ბედმა ისე გაუღიმა, მყის გამეფ-
და იბერიაში და ცოდვების მონანების ნაცვლად მტრობა დაუწყო
რომაელებს. გადმოიყვანა თეთრი ჰუნები და რომაელების ქვეშევრ-
დომებს მიუსია. ახსოვს ეს თეოდოსის, დიდი ხანი არ არის მას აქეთ
და ახლა ალბათ იმასაც ამბობს, სიფრთხილეს თავი არ ასტყივაო,
მძევალი სამშვიდობოდ მინდა.

მურვანს ფარსმანის თავგადასავალი არ ეჭაშნიკა, სასიყვარულო
ამბებისათვის გაქცევით თავის შველა და შემდეგ თავის დასაცავად
ქვეწის გაწირვა, ფარსმანს დიდ ღირსებად არ ჩაუთვალი და იდუმალ
შესთხოვდა კლდეებსა და ზღვის შთაენერგათ მისთვის თავისი მრის-
ხანება, რომ დაუძლეველ კლდედ და გარდაუვალ ზღვად წარმდგარი-

ყო თეოდოსის წინაშე, უღელქვეშ მგმინავი სამშობლო უძლევადა
და ენახვებინა. ერთხელ კიდევ მოუხედა სამშობლოს, ფრთხევ კიდევ
და მშვიდობა და კონსტანტინეს ქალაქის აკენ შემობრუნდა. ზოთონ-
კელის თვალებს შეაჩერდა, უნდოდა ეთქვა, რომ მას აქვს უღილესი
სიმდიდრე, თავისუფლება, მაგრამ პართენკელი უეპრაზე ციტუტზე
გილიდან ვიღაცის ძახილზე და გაუჩინარდა.

— პატარა დაბა ბიზანტიი კონსტანტინე დიდმა სატახტო ქალაქიდ
აქცია, მას ოქროს ხილსაც ეძახიან. აქ ყველა ჭურის ხალხი იყრის
თავს, — ამბობდა მითრიდატე და ხომალდიც ჩერდებოდა, მშვენი-
ერი ნავთსაყუდელი აფრაგაშლილ ხომალდს ეგებებოდა, უფლისწულს
სამეფო ღირსებით ხვდებოდა.

დიდ ხომალდებს შორის ასობით ნავები დასრიალებდნენ. ამ წარ-
მოუდგენელ სივიწროეეში პატარა ნავები ერთმანეთს ევახებოდნენ,
ათასნარი ალმებით შემკობილნი, აჭრელებულნი სხვადასხვა ჭურის,
სხვადასხვა ფერის ხალხით; ისმოდა მენავეთა ხმამალი ლაპარაკი,
ყვირილი. ნაპირთან იალქნიანი ხომალდები ირწეოდნენ, სასახლესთან
კი უძრავად იდგნენ საომარი ხომალდები და მათი ბათქიც რომ წარ-
მოიდგინა, ეგონა შეგრძნების უნარს დაპკარგავდა.

სამეფო სასახლე გაშლილიყო ზღვისკენ დაქანებულ უსწორმას-
წორო ფერდობზე ლიმონის ჭალასა და ვეება ბალებს შორის. ვრცე-
ლი გალავანი სასახლისა ქანდაკებებით შემკულ მარმარის საოცარ ნა-
ვებობებს მოიცავდა, რომლებიც კიბეებიან და სვეტებიან ტალანე-
ბით ბოსფორთან ეშვებოდნენ. მოჩანდა ეკლესიები, იპოდრომი. ბუ-
ნებრივ მშვენებას ამ საკირველი ქალაქისა ადამიანის ხელოვნე-
ბაც არ დაჰკლებოდა. ბოსფორის მშვიდი წყალი კი ისე ნაზად სჩექ-
და სასახლის კიბეებთან, თითქოს ეალერსებოდა; ირგვლივ ყველაფი-
რი სილამაზით, სიწყნარით და დიდებულებით სუნთქვავდა.

ჩამავალ მზის სხივებზე ზღვა ფირუზის ფერად ელავდა, ლრუბელს
მოფარებული მზის გული, თითქოს ცეცხლმოყიდებული რამ, ზღვაში
იძირებოდა.

კეისრის რწმუნებულნი თანმხლებებითურთ ბრწყინავდნენ იღეაზ-
მულობით და უფლისწულს მისი დიდებული ამალით მეფურის პატი-
ვით სასახლეში მიაცილებდნენ. ბურგაკასს ესახელებოდა უფლისწუ-
ლის ბედის გაზიარება და ყველას ზვიადად გადახედავდა.

ქალაქში შესასვლელად გრძელ უბეზე უნდა გაევლოთ ხიდით. ხიდ-
ზე ისეთი დიდი სიმრავლე იყო ხალხისა, იფიქრეს უბედურება რამ
მომხდარიყო. გამოიყითხეს და გაიგეს: რომ იმპერატორ გონირეს გარ-

დაცვალების გამო მგლოვიარე კონსტანტინეს ქალაქი, შვიდი დღით ჩა-
ეტილი, დღეს პირველად აღებდა კარს, ამიტომ ჩვეულებრივ მე-
ტად მოსწყდომოდა მომსვლელ-წამსვლელი ნავსადგურზეაც და ქალაქ-
საც. მშვიდად წარიმართნენ, გარემოს ცნობისმოყვარე კმაყოფილე-
ბით დაუწეუს თვალიყრება.

ერმიტაჟი

როგორც ყოველ ადამიანს, ამ ქალაქსაც ჰქონდა ჭარბი ცისქის გა-
ბური, განუმეორებელი. ყველა ფერისა და ელფერის სახე, ტანსაცმე-
ლი, ათასი ჯურის ადამიანების ნაკადები, მრავალხმიანობით და ფერ-
თა ფესანგოვანებით უდიდეს საფარდულებს მეტოქეობას რომ გაუ-
წევდა. ძეგლებით შემკული მოედნები თვალს იტაცებდნენ.

ბურგაკასი მდუმარედ მისდევდა მათ: პატარა ტანისა იყო, ხან
ერთსა და ხან მეორე ფეხზე შედგებოდა, თითის წვერებზე დგებოდა,
მთელი ტანით იჭიმებოდა, მაინც ბევრს ვერას ხედავდა.

დიდ მოედანს ავგუსტეონისას შემორტყმოდა ზევსისის კოშკები,
იპოდრომი, მაგნავრის სასახლე და კონსისტორიუმი. ტალანებიდან გა-
სასვლელად ბრინჯაოს მძიმე კირები მურვანს გულის სარქველად ექცა,
დილეგში მყოფის გრძნობა გაუჩინა და ნაბიჯს უჩქარა.

მაგრამ რაოდენ განცვიფრდა მურვანი, კეისარ თეოდოსის წინაშე
რომ წარსდგა: კეისარი იყო ლამაზი, სულ ახალგაზრდა, ოცდაოთხი
წლისა, ტანადი, ქერა, გულლია გარეგნობისა და მურვანს უნებურად
გაეღიმა:

„სანდომიანი სახე აქვს, უნდო კი არის! განგებასაც ჰყვარებია ბას-
რობა“, — გაიფიქრა.

თეოდოსიმ კი ამ ღიმილში გამომწვევი, გმირული თავდაღება ამო-
იკითხა.

მურვანმა ცალი მუხლის მოყრით სალაში მისცა და მყის შეიმართა.

— მე მას შვილად მივიღებ, — ეუბნებოდა თეოდოსი გვერდში
მყოფ დედოფალს, რომელსაც თვალი ვერ მოეცილებინა მშვენებით
აღსავს უფლისწულისათვის, რომლის ხელმწიფური გამომეტყველება
ცნობითა ზემხედველითა ბრწყინავდა. დიდრონი თაფლისფერი თვა-
ლები, ღიმილის დროსაც რომ სევდიანად გამოიყურებოდნენ, მნახ-
ველს ერთი შეხედვით მრავალსა პირდებოდნენ.

დედოფალიც კეისარის სიტყვებს იმეორებდა და ქებას შეასხამდა,
განათლების ყოველ პირობას აღუთქვამდა, თვით უხელმძღვანელებდა.

მურვანი მონუსხულივით იდგა ფერთა სიუხვით მოკაშვაშე მეფე-
დედოფლის წინაშე. შვილად ალიარება გულში ისარივით ხედებოდა,
ცერიად გახედავდა ხოლმე, როტვად ესმოდა, რაც მის საქებრად ით-

ქმოდა. გულის სიმები წყდებოდა, მათს შვილობას ერჩია სამშობლო—სათვის სახრინბელაზე ისულიყო, მრისხანება ერჩია ამ აღერსს; შეადიყო აეტანა ყოველგვარი ტკივილი, მაგრამ რაღა იქნებოდა იმავე უფრო მტკიცნეული, რასაც განიცდიდა — მშობლისა და სამშობლოს გაცლა! თავის ამალის გულისწყრომით, გულისტკივალით გჭრებულება: მათ თავი ისე უნდა სკეროდათ, როგორც რომაელებმა უშემძლის ტესტის დათ და არა ისე, რომ სამშობლოს ლირსება დაეცვათ. მაგრამ ხომ უფრო დამშვენდებოდათ მათ ხმლები რომ ეშიშვლათ; ბედნიერია ის, ვინც ბრძოლაში კვდება. მორჩილი კრძალულება ამდენი მკერდშელერილი ვაკაციისა გულს ულადრავდა.

ამ ფიქრებით შეძრწუნებულმა მურვანმა იგრძნო გამსჭვალავი მზერა, რომელმაც თვალთახედვა გადაანაცვლებინა. ხშირ წამწამებ ქვემოდან მას დასცეროდა ავგუსტა პულქერია, კეისარ თეოდოსის და, რომლის ჭარბად ალერსიანმა სიტყვამ, გულუხვმა ღიმილმა და სახის მოუსვენარმა მოძრაობამ აფიქრებინა, რომ იგი შეიძლება საშინელიც ყოფილიყო, და რამდენადაც ალერსიანი იყვნენ, იმდენად კაეშანი უძლიერდებოდა, სახე ეძუဖრებოდა, ქარქაშს ხელს წაავლებდა და შემართებული, გამომწვევად გამოიხედავდა. „როდის შესწყვეტი რიტორიკული სიტყვების ელარუნს“—ო, — თითქოს უნდოდა ეთქვა; თუ ბიზანტიის კეისარი ქართლის მეფეს არ ენდობოდა, არც უფლისწული გაიზიარებდა მათ მშობლიურ მოქცევას. მაგრამ მას ბაგენიც არ შერხევია, მხოლოდ თავი დახარა დასამშვიდებლად.

თავდახრილმა მურვანმა დედოფლის დამტარიკას მოჰკრა თვალი: მას ისეთივე თორავია უქანავებდა, როგორც დედამისს, დედოფალ ბაჟურდუხტს და ეგონა ხედავდა დედას. აცქერდებოდა გარშემო ზოლებს მარგალიტებისა, შუა არეზე გაფანტულ პატიოსან ქვებს, გაგრამ რა თავი ისევ ასწია და დედოფლის უცხო სახეს შეაჩერდა, მისი შვერება მისთვის ისევ შეუმჩნეველი დარჩა. აღიდებულ არაგვით აღშფოთებული გრძნობა გულის კედლებს ასედებოდა: ამ უზარმაზარ ჭალებს პატრუქის შექი ერჩია, ამ ვერცხლისა და სპილოს ძვლის ნაკდევ კარებებს — ხის ფულუროში შემალვა, ამ უცხო ალერსს — ზღვის ხმაური, სადაც სამშობლოს ნახმევი ესმოდა.

აკროპოლისის სასახლეში განეწყვნენ იბერიელნი. ყველას გულში ერთნაირი ცეცხლი ტრიალებდა და ყველა ერთნაირად სდუმდა, გავარვარებული მზეც ასე უხმოდ ეშვებოდა ზღვაში, მის გულში კი ღრუბელი იწვოდა.

მყუდრო ბინამ გულმკრთალს სიმყუდროვე ვერ მოუტანა, გამო-

უნელებელი სევდა აქიდებოდა და ფიქრად ქცეულს ძილი არ ეკარებოდა. დახუჭავდა თვალებს და ხედავდა მთების გალავან შემოტყობილ მცხეთას; მთების დიდებული სიმყუდროვე, საყარზე ტურისტის სილალე, მუდამ ბრწყინვალე სასახლე, მშვენებით რომ შერწყმოდა ბუნებას, ახლა პირქუშად გამოიყურებოდა. აჩრდილუშაკ ჭიშკაწად ქცეულიყო ძალით მოსილი მცხეთა. სასახლის კრწულა და მუწერა შემდგარ არწივსა ჰგავდა. ჩაფიქრებული იყო მიღამო, არმური და უფლებოდა, სიცარიელე იყო თითქოს ირგვლივ, იდონიც სმენად ქცეულიყო, მთვარეც ლრუბელს ამოქფარებოდა, საუკუნოვანი ცაცხვები გარინდებულიყვნენ და აზრიც შეჩერებულიყო. გუშინ კი იქ ყველაფერს სიცოცხლის ნაპერწყალი სცვიოდა. უბედნიერების დღე იყო ქართლის მეფე ბუზმარისა. სპარსელების მძველობისაგან თვის დასაღწევად მთაში განიზნული მურვანი დაბრუნებინა და მასთან ერთად პირველად სანადიროდ გასულიყო. გალალებული სამეფო კარიც ამ დღეს ნადიმით აღნიშნავდა. გოდოლებიდან გადმოცევანაზე იყვნენ მეციხოვნენი, მინდატურნი, მეულუფენი. ნადირობიდან მობრუნებული მურვანი სასახლის გალავანს უახლოვდებოდა, მას უკან მოსდევდა პატარა ბურგაფასი, დაჭრილ ქურცის ძლივს რომ ეზიდებოდა.

— სიკეთეს მიგიძლვნით ნანადირევით, — მისკენ მომავალ მითრიდატეს სიტყვა შეაგება და თავმომწონედ ბურგაფასზე ანიშნა.

— უკეთ — ნასიკეთარს, — ღიმილით აზრახა მითრიდატემ, — ქურციესათვის ეს სიკეთე არ იქნებოდა.

— მაშ, არც ჩვენთვის იქნება სიკეთე, რადგან ერთისათვის ბორტება არ შეიძლება იყოს მეორისათვის სიკეთე, — უნდოდა ეთქვა მურვანს, მაგრამ მითრიდატე აღარ უსმენდა. უჯერთ იყო მსჯელობა, ფიქრიც კი შეუძლებელი, მას კი აზრი ვერ გამოენასკვა. უახლოვდებოდათ მეფის ამაღლა და სასახლიდანაც გაისმა საზეიმო სიმღერა-შეძახილები:

— ვაშა მეფესა და უფლისწულსა, დიდება მაღალთაშინა. ეგებებოდნენ დიდებულნი.

— შვენის უფლისწულს ქარქაშოსანი, — ღინჯად შემოხვდათ არჩილი და გადაეხვია მამა-შვილს ერთად.

ბუზმარმა ბედნიერი მამისა და ამაყი მეფის თვალით გახედა სისწლით შეფრქვეულ მექვიდრეს:

— ჰაი, ჰაი და მეფეა ქართლისა! რას ვაქნევ მე ტახტისათვის ხანდაზმულობას! რომ შეგახედა, რა მტყორცნელია ისრისა!

— სიტყვაში მჯობნი, მიზნის მწედომია, — მითრიდატემაც ფაუ-
მოწმა.

— შთამომავალია დიდი ბაკურისა, — თავი მოიწონა არჩელმა

— პო და, ჩემო ოჩილ, მალე, სულ მალე, დავუზმობ ტახტას, და
როგორდა მომთხოვენ მაშინ მძევალს! ვერ მოიხდენს საჭირო გვირ-
გვის? — გახედა დიდებულთ ბუშმარმა.

— ღორსია დიადემისა! — თითქოს ერთხმად შესძახა ყველამ.

მურვანი კი სიკეთესა და ბოროტებას დაეფიქრებინა.

დედოფალი ბაკურდუხტი სიხარულის ცრემლებით შეილს თვა-
ლებს უკოცნიდა და ჩინდა აოცებდა მისი დაღონება, თითქოს უნდო-
და ეთქვა: რა უძლურნი ვართ ბედნიერების დასაუფლებლად და უბე-
დურებას კი ვურიგდებით რა რიგ ადვილადო. დედის მიხვრა-მოხვ-
რაში მორჩილი ხასიათი გამოსჭვიოდა, თვალები მეტყველებდნენ
უმაღლესისაკენ მისწრაფებას და სიტყვა ბრწყინვდა თავმდაბლობით.
მარტანს უნდოდა მაშინ ეთქვა, „ძალიან მიყვარხარ, დედა“, უნდოდა,
ძაგრამ ვერა თქვა. ხალხი ირგვლივ ირეოდა, ოქროსა და ვერცხლის
უანგარების ელვარება, სიმღერა და შეძახილები, სალალობიდ გა-
ნაწყობდა ყველას და ნადირობის ყიფინა სასმისში ქიშპობით გრძელ-
ებოდა. მეწდეთა, მერიქიფეთა და მესასმისეთა მკვირცხლ ხელებში
ტრიალებდნენ ოქრო-ვერცხლის სურები და ცალყურა ხელადები თა-
სებთან ერთად.

ის იყო მურვანმაც ასწია ჭიხვის რქა და მაცნეც შემოვიდა. ბიზან-
ტიის დესპანი კარს მოსდგომოდა. მჭერვალებამ დარბაზს შურდულის
ქვასავით გადაუზრიალა, მამის სადლეგრძელოდ აწეული სასმისი მურ-
ვანს შეუსმელი დარჩა და სათქმელიც უთქმელი. სიჩუმე ჩამოვარდა.
ბუზმარმა ერთი თქვა მხოლოდ:

— ბიზანტიისათვის ფიცი გვაქვს მიცემული, რომ არ შევუერთდე-
ბით ქართველნი სპარსი ბიზანტიის საწინააღმდეგოდ და რაღას უნდა
გვემართლებოდნენ, — და მძიმედ წამოდგა. მურვანიც უკან გაჰყვა
უსიტყვოდ.

— მზად ვართ შევრაცხოთ ყოველი თქვენი მტერი მტრად ჩეენ-
და, — ეუბნებოდა ბუზმარი დესპანს.

დესპანი თითქოს მშვიდად იტყოდა, მაგრამ მის კილოში ბრძანება
ისმოდა:

— კეისირი თხოულობს მძევალს.

მაშინ ბიზანტიის დესპანი კონსტანტინე დიდის წერილი წაუკით-
ხეს, მირიან მეფეს რომ გამოუგზავნა:

2. ქ. ნეცებიძე

სამართველოს
პარლამენტის
მოწვევალი
პიგლიორთვა

„მე, ქონისტანტინე მეფე, გწერ ჩემისთანავე ახალ ნერგუ იყავნ შენთან მშვიდობა და სიხარული, აღარ მსაჭიროებს შენგან მშეგალი, საკმარისია ჩვენს შორის შუამდგომად ქრისტე, ეს ღმრთისა კიყვნეთ ჩვენ სიყვარულითა ძმებრივ და შვილი შენი შენადვე მომინდებირეს. იხილე და გაიხარე, განდევნენ ღმრთმან დამბადებულზენ ეჭიარი შაც-დური საზღვართაგან შენთა“.

— თეოდოსიც დააბრუნებს მძევალს, როდესაც აღარ იქნება სა-შიშროება სასაზღვრო ქვეყნებში, — ცივი ღიმილით თქვა დესპანმა.

„ფიციც ხომ ამ დღისათვის იდებოდა, — უნდოდა ეთქვა მურვანს, ხედავდა გულწრფელი იყო ბუზმარი, სამტროს არას ექებდა, თავის ბედნიერებითა და ქვეყნის სიშვიდით უნდოდა ეცხოვრა, უნდოდა დაენახებინა ქვეყნისათვის, რომ ქართლს უფრო დიდი მიზნები ჰქონდა, ვიდრე მეზობლებთან ქიშპობა.“

— კაბადოკია იბერიაზე დიდი იყო და ძლიერი, ბიზანტიამ რომ თავის კლანჭებში მოიქცია, — ამბობდა მითრიდატე, — არ გავცით მძევალი, ომი უნდა მივიღოთ, ომით კი ვინ იცის რა დღეში ჩავცვი-დეთ ერიც და ქვეყანაც!

მურვანს მაშინაც გული გადაუქანდა: თუ ერის გადარჩენა მასზეა, იგი მშად იყო ზვარაკად შესაწირავად.

ბუზმარმა ბოლოთის ცემას მოუხშირა, მითრიდატე მოიხმო და ეს-მოდა მურვანს, როგორ უბარებდა:

„გაპყვები მურვანს, დარჩები მასთან, არ დაავიწყებ ქართულ ენას, ვინ იცის ამ კეთილმოსურნე მეზობელთაგან კიდევ რა არ მეწიოს და მამობასაც შენ გავალებ“. „

მურვანმა კი მაშინვე ხელი ჩაჰქიდა გამზრდელი ზუზოს ზვილი-შვილს, პატარა ბურგაკასს, შენც ჩვენთან წამოხვალო.

გამზრდელ ზუზოს, თავდავიწყებისა და სათნოების განსახიერებას, იმ ღამეს არ სძინებია, წარამარა წამოიჭრებოდა, „უფალო შეგვიწყა-ლეს“ წარმოსთქვამდა და ცრემლმორეული დუდუნებდა თავისათვის:

„მამამან შვილი შვას ესრეთი, მზრდელმან აღნარდოს მსგავსი ამისა, სიმდაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი ეს და ჩვენებით ნა-ხული, სიბრძნით დასახული...“ და ბოლოს რომ ვეღარ გაუძლო მარ-ტომ სევდას, მურვანს ჩამოუჯდა და მოჰყვა:

„ჯერ კიდევ უშვილო ბუზმარს სიზმრად ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: შეისმინა ღმრთმან ლოცვანი თქვენნი და დედოფალმა გიშვას ეს, რომელი იყოს დიდ და სრულ წინაშე ღმრთისა და ქაცთა და იქმს იგი დიდთა და განსაკრთომულთა... ამის შემდეგ კი სულ მალე დაიბა-

დე შენ... არ ულალატებს ღმერთი თავის სიტყვას. ვინ იცის, მაგრა მაგრა სჯობდეს კიდეც გასვლა ბიზანტიას, დიდ სახელს დიდი საობიჟლო უნდა... ესაა, ზუზო ვეღარაფერს მოესწრება.

და ეს სიტყვები მურვანს ნაღვერდალივით გულშეუდვერულობა, ფიქრების ხლართი ყელს ეჭიდებოდა და ოვალთაგრუ ცრუწებულებულებოდა.

არც მეფე-დედოფალს ეძინებოდათ, მათ სამყოფელიდანაც ეს-მოდა მურვანს, როგორ ეუბნებოდა ბუზმარი დედოფალს.

„ესეც შენი ქრისტიანი კეისარი! შეევედრე ამა ერთი შენს ღმერთს, თუ დაგვიტოვებს ერთადერთ იმედს, ბურჯს ქვეყნისა, ბრძენ მემკვიდრეს... ვირწმუნებ, ვირწმუნებ, კეშმარიტად ვირწმუნებ ჯვარ-ცმულ ღმერთს, რომელსაც არ ღებულობს გონება, თუ მიჩვენებს სასწაულს და მურვანს დამიტოვებს.

„სასწაული არ შეელის რწმენას, სასწაულს ბოროტი და მემრუშე ეძიებს, — ამბობდა დედოფალი, — იმაზე დიდი სასწაული რაღა იქნებოდა, როცა უშვილოთ წინასწარ გამოცხადებით შეევეძინა მურვანი? მაგრამ უქამოა სასწაულით რწმენა, ადამიანს რწმენა სჭირია მედამუშამს, როგორც სუნთქვა.

იცოდა მურვანმაც, ბუზმარი მართლაც ურწმუნო იყო, ხშირად თავის იჭვებს გაუზიარებდა, დედის სარწმუნეობრივ გულმოდგინებას გაბასრავდა, მაგრამ კაცი, ყოვლად ლირსეული თავისი სულიერი თვისებებით, ვერ იკადრებდა ერთი წინაშე სჯულის სიძულვილის განცხადებას, რადგან მოქცეული იყო ქართლი და აზნაურნიც და უაზნონიც ქრისტეს სჯულს აღიარებდნენ.

თითქოს ზეცაში გლოვის ზარი ჩამოჰკრეს, როდესაც მითრიდატემ წარმოთქვა:

„გვიხსენ ვნებითა კვეთებისაგან და მოგვაქციენ კვალადცა“.

ცხენები საზღვრისაკენ გამოიშალნენ.

— ხმალი შენი ლოცვა იყოს, ფარად გქონდეს მოთმინება, — გან-შორების კაეშანით შეჭირებული ეუბნებოდა ზუზო და პაცუახე-ბული ხელებით გულზე ჯვარს ჰკიდებდა, — ატარე მუდამ და მო-მიგონებდე კეთილად. — ზუზოს ჩათენთილ სახეში, თითქოს ჩაცვენილ თვალებში უკანასკნელი გზა მშვიდობისა კიაფობდა.

დიდ გზაზე გამოფენილიყვნენ მკვიდრნი ქართლის სოფლებისა, დიდსა და პატარას, მოხუცსა და ყრმას, ყველას უნდოდა თავისი მეფე დაენახა, უფლისწულისათვის შეეხედა, რომელიც ქვეყნის მშვიდო-ბას ეწირებოდა. მურვანი ხალხის სულისთქმას ჰგრძნობდა, ყოველივე

ეს ოლელვებდა და თითქოს მმხნევებდა კიდეც. ხანში შესულნდ გულზე ხელს იცემდნენ, ქუდებს მიწაზე ანარცხებლნენ. ახალგაზრდები კი გულმკერდ შეღერილნი, პირმოკუმულნი, გაფითრებულნი გასტეროდნენ; მანდილოსანნი ფიცს სდებდნენ: სათუთად შეინახავდნენ ტახტის მემკვიდრის ერთგულებას, კეისრის წყვევლას უსამართველობის, რომ იგიც, ასე უწყალოდ, დაეღონებინოს ბედს.

სახლვარზე ბუზმარს მუზარადის ლითამი ჩამოეფარებინა, შვილს ცრემლებით მხრებს ულტობდა და გულში იქრავდა. ფერმისდილი, ამაყი და მხნე დედოფალი ქანდაკს დამსგავსებოდა, ნაძალადევი ლიმილი უნუგეშო მწუხარებას ამხელდა. მურვანს სიტყვა ვერ მოენახა დედისათვის სათქმელად, თვალებში ჩახედეს ერთმანეთს, ცრემლიან ლიმილში მარადიულზე გაიფიქრეს და ეს განშორება წუთიერს მიაწერეს.

„ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს, ვიხილავ მე მათ, ვერ შემოვირებენ ჩემს მთათ და ველებს, ვერ შევისუნოთ ტყის სურნელებას, ვეღარ ვიფიქრებ, ვერც ვიოცნებებ მშვიდად, ესოდენ მახლობელნი დღეს მიუწვდომელნი გამხდარან“.

უიმედობა გულს საფლავის ლოდივით შემოაწვა, განუჭვრეტილ წყვდიადში საზარელი უაზრობა ელავდა, გონება ბედს ეჭიდებოდა, გზაგაულებელი საწუთროების ფიქრები შებმოდნენ უკვდავებისას.

„ახლავე, ახლავე, გავპრუნდეთ უკან, მთაში, მიუვალ ადგილს, ზუზოსთან ერთად“... — და მთრთოლვარე ხელებით, ზეწამოკრილი ბრძანდ მიიწვევდა მითრიდატესაკენ, მითრიდატე კი უკვე მის სარეცელთან იდგა.

— ასე მგონია შავი კლდე ალიმართება ჩვენსა და სამშობლოს შორის, დაბნელდა ზეცა ირგვლივ, ვეღარას ვხედავ, — სასომისდილი იტყოდა.

— როგორც მზის განჭვრეტა თვალთ დაგვიბნელებს, უმაღლეს ნათელში შესვლა გონებას აბნელებს, — სცადა მითრიდატემ აზრის სამყაროში გადაეტანა გრძნობა.

— ვით შევეშვობით უცხო ქვეყანას? — იყითხავდა ისევ.

— შევეგუებით მათ ცხოვრების ნირს, მნეობით დავძლევთ ვარამს. სევდა გულისა მოგვიტანს შვებს, სევდით მხოლოდ და არა ლხენით ვეზიარებით ზენაარსი, იგი წყაროა სიკეთისა, — ირწმუნებოდა მითრიდატე და მით-თავსაც ინუგეშებდა.

— თუ ღმერთი წყაროა სიკეთისა, საიდანლაა ბოროტება და განაჩენი ხევდრი ბოროტისაგან არა?

— შეც დროდადრო მცხუნვარეა და მწველი. სიკეთისაგან კი

ისევე არ შეიძლება წარმოიქმნას ბოროტება, როგორც ცეცხლისაგან ყინვა, — ამბობდა მითრიდატე და თან კელაპტრებს ანთებდა.

— ყინვა კი წარმოიქმნება სითბოს ნაკლებობით, — ღამობული მერგანი ჩასწვდომოდა ჭურლმულს სიბრძნისას. თვალებში რაოდც ნათელმა აზრმა გაიბრწყინა, — პართენკელის სახე არასოდეს გამარტიფუზობა, არც მისი ხმა. იქნებ იმ თავისი სიფიცხით რისიმე ჩიხირნიბის აწალიდ, იქნებ მასაც აღონებდა რამ, მაგრამ იგი მაინც ბეღნიერია, რაღან თავისუფალია. მას უბრალოდაც სწამს, არ ეძიებს როგორ გახდა ღმერთი ადმიანიად, როგორ აიკიდა ქვეყნის ცოდვა, აღსდგა მკვდრეთით და ჩვენც თავისი თანაზიარი გავვხადა; მას არ აწუხებს სამების ერთარსება, მე კი სულ იმის საგონებელში ვარ, როგორ არის ერთი იშვედროს სამიც?

მითრიდატემ დაიწყო იმ გრძელ და საინტერესო ამბების თხრობა ნისელისა, ნაზიანზელისა თუ ბასილი დიდის ცხოვრებიდან, რომელსაც მურვანი მუსიკასავით უსმენდა, თან შუქმოციაგე ვარსკვლავებს გაჰყურებდა და ფიქრობდა:

„ესეც ხომ იგივე ცაა, რომელიც ჩვენს ქვეყანასაც დაჰყურებს, განუკვეთელია იგი; იგივე ზღვაა, ჩვენი ქვეყნის ნაპირებს რომ ელამუნება, ხმაც მითრიდატესია, ისევ ნისელის ცხოვრების გზებზე დავდივართ. შეშის ნაპობივით მიაქვს ნისელი ცხოვრების ტალღებს, მაგრამ მას აქვს მიზანი და გულს არ აღრღნევინებს სევდას... ნაზიანზელი, განმარტოვებული არიანზას მყუდრო მამულში, თავს ინუგეშებს ბუნების იდუმალ ხმებში მარადიულის გამოძახილით და ადამიანის აზროვნების საუკეთესო ნიმუშებსა პქმნის, რომელთაც უკვდავება მოაქვთ. შორით ელვასავით ანათებდა ორიგენ აღამანტი, ეს ბერძენი მისრიკოსი, ქრისტეანებს რომ თავის წინასწარმეტყველად მიაჩნდათ და ფილოსოფოსებს თავის მასწავლებლად ელიარებინათ. ადამანტის ცხოვრება ერთ განუწყვეტელ ლოცვად ისმოდა, უსასრულოდ კეთილისა და უსასრულოდ სამართლიანისა. ორიგენი ქრისტეში სრულყოფილ ლოთაებასა და სრულყოფილ ადამიანს ხედავდა და ღმერთს სიკეთისა და ჭეშმარიტების წყაროდ სახავდა. ორიგენის მრავალფეროვან ყვავილნარის სურნელებას შეიგრძნობდა. მას თვლება მოერია, სანთლები ქრებოდნენ, იღარ ესმოდა მითრიდატეს ხმა, რაღან სიჩუმე უფრო ხმამალლა კარნახობდა.

ზღვის სუფთა ჰაერის ნაკადმა კარგანხმულ სამყოფელში თითქოს სიმხნევე შემოიტანა. მკრთალი ისის შუქი დააჩნდა ტატნობს.

პამბო

სასახლე საკმაოდ უცნაურ სანახაობას წარმოადგენდეს; კარის, წარჩინებულთა ნაცვლად უმეტეს შესამოსიან ბერთა, კარის მოსახლენენ, მრისხანე ხმათა ნაცვლად ფსალმუნთა გალობა მსმრდა. კეისარი თითქოს აქ არც იყო. თავის საქმიან სიტყვას ყველა ავგუსტითი იწყებდა და ეს ავგუსტიც არ ნიშნავდა დედოფალს; ეს იყო კეისარი ფეოდოსის უფროსი და, ავგუსტა პულქერია, რომელსაც სახელმწიფო სადავეები ხელთ ჩაეგდო და უმაღლეს სიტყვას განასახიერებდა.

მურვანს საგანგებო მექრე, საჭურისი პამბო მიუჩინეს. პამბოს ხელში გამოზრდილიყოთ თეოდოსის მამის, კეისარ არკადის მთელი შთამომავლობა. თავისი დანაოჭებული, ტანჯული სახით, გაცრიატებული სახის ფერით და სევდიანი ლიმილით იგი სასახლის ცოცხალი მატიანე იყო. ერთ დროს თავადაც იძულებით ჩამოყანილს კარგად ესმოდა იბერიელთა საწუხარი და მთელი თავისი ერთგულებით, სიკეთითა და მონძომებით ცდილობდა მათთვის პირველი დღეების სიმძიმე შეემსუბუქებინა. ცხოვრებას ბევრი უსამართლობა ეჩვენებინა მისთვის, მანც ბედნიერს უშურველი შურით შესცემეროდა და თვით შესაშურად უშფოთველი, ყველას უყვარდა. მან იცოდა თავისი იდგილი, გონებით მყუდრო, ცხოვრებას არ ებრძოდა და მონა იყო დედით და მონური ცხოვრებაც ვერ ასცდა, მას იმანაც არ უშველა, რომ მამამისი იყო თეოდოს დიდი.

პამბო მხოლოდ მაშინ იღიმებოდა, როდესაც ვისმე გაახარებდა, მხოლოდ მაშინ აღელდებოდა, როდესაც ვისიმე მწარე ხევდრს იზიარებდა. უმეტეს იჯდა ჩუმაღ, თავის იმბებით არავის მოაწყენდა, გარკვეულ დროს კი ვერ დააბამდით — სალოცავად გარბოდა. ვერც გზის სიშორე, უამინდობა, ვერ აყავებდა. ღვთის წინაშე ქედს იხრიდა, მაგრამ არაფერს სთხოვდა; არც ვისმე ხოტბას შეისხამდა, ქება მიაჩნდა ლიქნად, უკეთ — ბასრობად, ამიტომ ძუნწი იყო ქათინაურებზე. ერთი კი იყო, პამბოს ძალიან იზიდავდა თერმები. უყვარდა ყურება როგორ დარბოლნენ მონები სუნამოებით სავსე კურპლების გასახსნელად, როგორ უსვამდნენ ზეთს შიშველი მექისეები და ყურს უგდებდა ხმამაღლა მომუსაიფეთ, გამოელაპარაკებოდა მონებს. თერმები იყო საუკეთესო ადგილი, საღაც მოდიოდნენ ქილაქის უკანასკნელი ამბების გასაგებად და ამიტომაც პამბოსთანაც ყოველთვის საინტერესო იყო საუბარი.

პამბოს ის უცნაური სუნი სდიოდა, რომელიც საოსტივნოებიდან და სენაკებიდან შემოჰყვებოდათ ხოლმე და ახლა ხელში მოშინებით ეკავა მურვანისათვის, როგორც სამეფო ოჯახის წევრისათვის, ვიაცინ-ტინას ტანსაბურავი, ვარდების სურნელებას რომ აფრიკევდა.

პამბო დიღხინს იდგა მურვანის წინაშე, აღმოსავლური მოქმედებით ელოდა როდის მოხედავდა და სიტყვას ვერ ძრავდა, მოლოდინის მურვან-მა სოხოვა დამჯდარიყო და ჰქითხა, რას შეეწუხებინა, რაზე გაოჭილი-ყო, მაგრამ სამოსს ზედაც არ შეხედა.

მაშინ პამბო საოცარი გულწრფელობით ამეტყველდა, აუწერა მონების რა თავდადება და გულმოდგინება იყო ჩაქსოვილი ამ სა-მოსში, მონა ქალების რა ხელოვნება და გემოვნება იხატებოდა ქსო-ვილზე ნაქარგ გამოსახულებებში; მურვანმაც უნებლიერ დახედა სა-მოსს, გახარებულმა პამბომ ისიც დაურთო, თუ როგორ აამებდა თეო-დოსის მისი დანახვა ბიზანტიურ სამოსში. და მურვანმა მაშინვე პირი იბრუნა, თვალი აარიდა სამოსს, წარბიც შეიკრა.

პამბოს სახის ნაოჭები ჩაუღრმავდა, თავი კიდევ უფრო დაბლა დახარია, ქვევიდან შეანათა თვალები სინანულითა და სიბრალულით და სოხოვა მიელო იგი როგორც საჩუქარი ტყვე მონებისა, რომელთაც ნაქარგს სამშობლოს სიყვარული ჩაქსოვეს.

პამბოს გულისხმისმყოფელობით გაყვირვებულმა მურვანმა მას ისევ ღიმილით და თანაგრძნობით გახედა.

ბურგავასი სურვილს ვერ მალავდა მურვანი ბიზანტიურ სამოსში დაენახა.

ბოლოს პამბომ მოჰქიდა ხელი სამოსს და პათეტიკურად წარ-მოთქვა:

— განა ყველაფერი არ იცვლება ქვეყანაზე? განა დღისით და და-მით, ზაფხულსა და ზამთარში, კექა-ქუხილსა და სიმყუდროვეში, ბუ-ნება ერთნაირად იმოსება? განა მას შემდეგ, რაც ფოთლებით იფარ-ვიდა ადამიანი სხეულს, სამოსელს მრავალნაირად არ გამოიცვლიდა? თუ ტერტულიანემ ტოგა გასცვალა ლაბადაზე, რომ ემცნო ჩვენთვის თავისი აზრის განსხვავებულობა, შენ შეგიძლია ამ სამოსელით მისი დაფუძვა.

მურვანს გულზე მოხვდა პამბოს სიტყვა და მორჩილად, ღიმილი-თაც დანებდა შესამოსელად.

გახარებულ პამბოს ცრემლები აუკიაფდა თვალებში და გაფაციცე-ბით რომ აწვდიდა შემმოსავთ სამოსს, თან ახალ ამბებსაც ჰყვებოდა:

— დასავლეთის ტახტის მემკვიდრეს, აშ განსვენებულ გონირეას

შვილიშვილს, ალექსის, უარი უთქვამს ტახტზე და ქორწინების ღამეს გაუჩინარებული. ამბობენ, ლვის სამსახურისათვის ამას აღრიც ფიქრობდათ. ზეპირად სცოლნია საღმრთო წერილი, თურმე უმარტვა ხურცით და სულით, სამოთხეს დაიმკვიდრებსო...

პამბოს გამომცდელ გამოხედვაში ბრწყინვადა ფარული აქტერი, რომელს უნდოდა ეთქვა, — ტახტს ჩვენში თავისი ნებითაც. ჩორებული, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ტახტი იყო ერთადერთი, რაც ჩერქევას ყველაზე ნაჯლებად იღონებდა და ლვის სამსახურისათვისაც დადმიშისა და საცოლის მიტოვება მისთვის გაუგებარი რჩებოდა.

ივრენო პამბომ, რომ მისი ამბავი დიდად არაფრად ჩააგდეს და უფრო ყურადსაღებად განაგრძო:

— ხეალ თეოდოსი ლებულობს გონირეას დას, თავის დეიდას, ცნობილ გალლა პლაციდიას ქალიშვილითა და ხუთი წლის ვალენტინიანით, რომელიც გამოცხადებულია დასავლეთის ტახტის მემკვიდრედ ალექსის ნაცვლად. დედოფლის სურვილით კი სასახლეში სასწრაფოდ ეწყობა ახლადშობილ თეოდოსის ქალიშვილის, ევდოქსიას და ხუთი წლის ვალენტინიანის ნიშნობა. თეოდოსის ყოველი ღონეუქმარია რომში ეღიარებინათ მისი მომავალი სიძის — ვალენტინიანის ძალაუფლება გალლა პლაციდიას მეურვეობით. აღმოსავლეთი და დასავლეთი ნათესაური კავშირით ერთიანდებიან.

ამ ამბავმა ყველა გაახალისა მოსალოდნელი სანახაობით. ბურგაკასი თვალს ვერ აცილებდა მურვანს: ახალ სამოსში თითქოს იერი შესცვლოდა უფლისწულს, ბრძოლაში გამარჯვებულივით გამოიყურებოდა.

მეორე დილას სასახლემ მართლაც ფერი იცვალა. ბრწყინვადნენ დიდებულნი პატიოსანი ქვებით ნაქარგ სამოსში, განათდნენ ჭაღებით დარბაზები. ყველა საგანგებოდ აგრძნობინებდნენ ხელისუფალთ, რომ სასახლეს შევნის ეს ზეიმი.

პამბომ შენიშნა მურვანი მალ-მალ ავგუსტას რომ გახედავდა ხოლმე და სახე ექუფრებოდა.

— ძალაუფლებით გატაცებულს ბოროტი აზრი მუდამ თან ახლავს, — ხმადაბლა ეტყოდა.

პამბოს გარეგნობაში მურვანმა პირველად შენიშნა მეფეური მედიდურება, აღრე იგი ასეთად არ ეჩვენებოდა და ახლა თეოდოს დიდის სურათს რომ დააცემერდებოდა, უნებლიერ პამბოსაც გახედავდა. მსვაუსება აოცებდა.

თეოდოსის გვერდით ყურადლებას იპყრობდა ერთი წარმოსადეგი

კაცი. მას ისეთი წითელი ენა პქონდა, თითქოს პირში ცეცხლი უკიდიაო. მის სიტყვასა და სალაში თითქოს რაღაც უკედური / უკედული.

— ეს არის თეოდოსის მექრე, ხრიზანფი, — ამბობდა ბიბი / და მის სიტყვაშიც მეფური ხმა უღერდა, — წარმოშობით ბარბარისია / ბიზანტიელებს ტყვედ რომ ჩაუვარდა, თეოდოსი მოხდეს / მისშეს ჭიშებულმა ნაბიჯმა, მისმა მგლის თვალებმა, რომელნიც სასურარმავი მხრინია; ავეუსტამ კი, თუ რამ საწყენი ახსოვდა ბავშვობიდან ჩემგან, ერთ დღეს გადამიხადა და ხრიზანფით შემცვალა. ხრიზანფი სულ მალე კარვის მცველიდან სასახლის მცველთა უფროსი გახდა, ახლა ის არის დიდი სპონფარია. ხედავ, როგორი ზარზეიმით მიაქვს თეოდოსის წინ მახვილი იმპერიისა. კაცი კი არა, ჭურია ყოვლისა უკეთურებისა. მისი ურვა მხოლოდ საფასეს მორეწვაა. უძილობა სკირს მრავალი საგონებლისაგან; მას სხვისი უძილობაც არ აძინებს: უნდა იცოდეს, რისთვის არ სძინავს სხვას, რადგან ყველაში მტერსა ხედავს. არ უნახავს მხე არც ამოსვლისას და არც ჩასვლისას, არც როდის გაუტაცია მაღალ იდეებს, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ლირსეული, ყველაზე მეტად ფასდება. არ მოეწონები, თუ მის გარეგნობას არ შეაქებ, არ გაიკვირვებ მის სიტყვამჭევრობას; თუ მისი თანდისწრებით გაიცინებ ისე, რომ მას მიზეზი არ ეცოდინება — შევიძულებს, დამცინისო... ავგუსტას ევონა ჩემი ჩამოცილებით მშვიდობას პჰოვებდა, სახელმწიფო საქმეებში ველარავინ ჩაერეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დედოფალი ტახტზე ავიდა, თუმცა მისიე შერჩეულია, მასთან მშვიდობა ვერ მორიგდება. დედოფალი ათინელია, ცნობილი რიტორის, ლეონტის ქალიშვილი, მწიგნობარი და მგოსანი, სახელად ათენაის, ახლა კი სამეფო კარის საყვარელ სახელს — ევდოკიას უხმობენ. ავგუსტას საკუთარ შეურაცხყოფად მიაჩნია, რომ მისი ძმისწული, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ასაყვანია, დასავლეთის ტახტზე ადის და ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ასეთია დედოფალის სურვილი. ის მოხდენილი ყმაწვილი კარის მზრუნველის შეილია, პავლინი, თეოდოსის ბავშვის მეგობარი, მას შემდეგ, რაც თეოდოსიმ იგი მეფვარედაც ირჩია, პავლინს წყალობანი აცვივა; სკოლის მაგისტრისა და დომესტიკის წოდებიდან კურაპალატია დღეს.

მურვანს ერთფეროვნად და მოსაწყენად ეჩვენება ბრწყინვალე ცერემონიალი. პმიტომ არჩია განშორებოდა ყველას და პამბოსთან ერთად ნელის ნაბიჯით ხეივანს ჩაუყვა.

ფართოტერასებიანი დაფნას ტაძართან შეჩერდნენ. ეს ტაძარი იზიდავდა მურვანს თავისი სიღიადითა და გარემოს სურნელებით.

პამბო კი კარგი ზღაპარივით ჰყვებოდა სასახლის ამბებს. მურვანს ეს არ აინტერესებდა, მაგრამ ვერ უკრძალავდა, ატყობდა იგი უფრო გულს იოხებდა, ვიდრე მის გათვითცნობიერებას ცდლობდა.

პამბოს ჰუმორის წყალობით კი მურვანს ზოგი რამ კიდევაც და-ახსომდებოდა; ვეგუსტა სულ ორი წლითა ყოფილა უფრუქც უფლეო-სიზე და ოჯახის მეთაობაც მას რეგბია. 15 წლის შეულეუროველი ვეგუ-სტობა რომ მიეღო, ფიცი დაეღო უქორწინებისა, ძალაუფლებაში მოზიარე არ გასჩენდა. უქორწინების ფიცი დაადებინა თავის ჯერ კიდევ მცირეწლოვან დებს, არკადიასა და მარინას. ვე-გუსტა შთააგონებდა მათ არა მხოლოდ მას, რაზე უნდა ეფიქრათ, რა მოსწონებოდათ, არამედ მასაც, თუ რაზე არ უნდა ეფიქრათ, არ მოსწონებოდათ და პამბო განასახიერებდა, როგორ ასწავლიდა ვე-გუსტა თეოდოსის მეფეურ ნაბიჭით სვლას, სამოსის ტარებას, თავის დაჭერას მოსმენისას, როგორ გაეღიმა, როგორ შეეკავებინა სიცილი და — პამბო და მურვანი სიცილს ვეღორ იქაებდნენ.

მურვანის ყურადღება პანთეონში მიიპყრო. აქ მოეყარათ თავი კონსტანტინე დიდის მიერ დამორჩილებული ერების დამხობილი ღმერთებისათვის, რომელთაც შეენარჩუნებინათ თავისი დიდება, მაგრამ ეს თავყრილობა თავისთვის უკვე ცხადჰყოფდა, რომ არც ერ-თი მათვანი არ იყო ჭეშმარიტად ღმერთი. მურვანს სწორედ ამ შთა-მაგონებელ გარემოში აფიქრებდა ჯვარის საიდუმლოებაც: ჯვარი, სიმ-ბოლო სიკედილზე გამარჯვებისა, არ იყო მხოლოდ მოგონება გოლგო-თაზე; ჯვარი თავის თხის დაბოლოვებით ოთხ სტრიქონს მოასწავებდა, პირველ სახეს მატერიალურ სამყაროსი და ღმერთი ყოვლის შემ-ცველობას იუწყებოდა; ჯვარი კიბეთ წარმოესახა ცათა შინა აღსა-ვლელად... „თუ ჯვარი გვაგონებს ქრისტეს, მაშინ ჩვენ უნდა ვემ-თხვეოდეთ უბრალო ხის ჯვარს, ჩვენ კი ვემთხვევით ოქროთი და თვალმარგალიტით მოკედილს, ალბათ ეს სურვილია წარმოვიდ-გინოთ იგი, როგორც ბრწყინვალე საწყისი სამყაროს გარდაქმნისა, როგორც მანათობელი უკვდავებისა“, და პამბოსათვის მოულოდნელად იქითხა:

— რატომ გახდა ღმერთი ადამიანი?

— იმიტომ, რომ უცნობის არც მიგნება შეიძლება და მით უფრო სიყვარული. ადამიანის სახით კი ყველასათვის მისაწვდომია იგი, — თან პამბო გაოცებული შესცემოდა მურვანს, რომლისთვისაც ასევე მო-ულოდნელი იყო ეს შეკითხვა.

მურვანს იხლა თავისი კითხვა უფრო აფიქრებდა, ვიდრე პასუხი.

განა სწამდა, რომ ღმერთი ადამიანად გადაიქცა, შემოქმედი — შემოქმედებად იქცა, რომ კითხა რატომ მოხდა ესო?

— შენ, მე ვიცი, — ღიმილით უბნი პამბომ, — მალე იმსაც იკრიხავ, თუ როგორ იქცა ღმერთი ადამიანად. მაგრამ დაიხსომე ჩემგან — ეს ის საიდუმლოებაა, რომელიც ჩვეულებრივი აზაშექტებს ჭრას შეიძლება, საძიებელი არ არის. ჩენ ვიფიქრობთ ჭრაშეს ასე ჩენი გასაკეთებელია. სამების საიდუმლოებას ადამიანი ვერ ჩისწვდება.

მურვანი ისევ დადუმდა, ფიქრობდა: „ღმერთი გახდა ადამიანი იმისათვის, რომ ადამიანი გამხდარიყო ღმერთად“.

აკროპოლისის სასახლემდე ისე მივიდნენ, პამბოსაც სიტყვა არ დაუძრავს.

მურვანისათვის ზუზოს იმდენი რამ ეამბნა ქრისტეზე და ისეთი რწმენითა და გატაცებით, რომ მურვანს ცოცხლად, ხელშესახებად წარმოუდგებოდა ხოლმე მაცხოვრის სახე. გრძნობდა, პამბოსაც ასევე მიეჩნია და თავის რწმენაში ეჭვის შეტანასაც არავის გააბედვინებდა. უნდოდა, მურვანსაც პქონოდა მკვდრეთით აღდგომის, მარადიული ცხოვრების მტკიცე რწმენა, მით უმეტეს ახლა, უცხო ქვეყანაში, მაგრამ ყოველივე ამის საფუძველი იყო სამების ერთარსება, რომელიც მისთვის ამოუცნობი რჩებოდა და პამბო კი ეუბნებოდა, მისი ჩაწვდომა არ უნდა სცადოო.

მაგრამ მურვანის გონება ხნოვანებას წინ უსწრებდა, ყველას აკვირებდა მისი წარმატებანი ბერძნულსა და ლათინურ მეტყველებაში; პამბოც გრძნობდა, რომ ეს ჩვეულებრივი კი არა, საოცარი ბავშვი იყო, რომელსაც შეეძლო დაენახა და გაეგო იდუმალი და ამოუცნობელი.

თავი მისამი

სამშობლოს ძახილი

იქ, სადაც მარმარის კიბეებიანი ტერასები ზღვაში ეშვებოდა, მხიარული საფარდულები იდგა. ვაჭრები, უმეტეს სირიელები და სომხები იყვნენ, არაბებიც გამოერეოდნენ და ქართველებსაც ედგათ ქარავნები. მათი მიმყოლ-მომყოლი ლაყბობასა და წვრილმანი ვაჭრობაში იქცევდნენ თავს. ხის ძირს გაშელართულნი ქილიკბდნენ, იცინოდნენ.

მურვანს უყვარდა აქ გავლა, გაიხარებდა ხოლმე იბერიეცთა ხილვით: ქუდებს მოიგლეჭდნენ, დაბალ სალამს მისცემდნენ. უკავშირს გამოელაპარაკებოდა, დიდხანს ტრიალებდა მათ შორის, რომ მათთვის ხმა სმენოდა, ქართული ბასრობა გაეგონა, თავადაც ებასრა, მათ ხებში ნაცნობი ხმები ამოეცნო და სამშობლოს სურნელებს შეუწერინო. უცხოთაც იკვირდებოდა ხოლმე, სურდა პართენულებულმას შესრულებული მოექრა: ახლა თეითონ ჩასჭიდებდა ხელს და მეგობრობას შესთავაზებდა, მაგრამ პართენოკელი არსადა ჩანდა. ზუზოსა და დედისათვის უცხო რამ ნივთს შეათვალიყორებდა: ჩუქურმებიან ზარდაზე სპილოს ძვლისა, ხატებს მოზაიკისა, ოქრომკედით ნაქარგ სამოსს ძორულისა. აქ დამზადებული ფუფუნების ნატიფი საგნებით ხომ მთელს ქვეყანაზე თავს იწონებდა შიზანტია.

კონსტანტინოპოლი ჰგავდა ვეებერთელა ქარვასლას, საღაც ყოველი მხრიდან რაღა არ მოედინებოდა. აქ იყიდებოდა ყველაფერი, იყიდებოდა მონებიც, როგორც ოჯახისათვის ფრიად საჭირო პირუტყვი, მონა კი პირუტყვზე იაფად ფასობდა და ხომალდებიდან გადმოტვირთვისას ტვირთს მეტი უურადლება ეთმობოდა, ვიდრე აღამიანებს, მოკრუნჩულები კუთხეებში რომ ეყუნტნენ. უმოწყალო მცხვნევარე მზე მთელი დღის განმავლობაში სწვავდა ოფლშეუშრობელო, მოთმინებით რომ უცდიდნენ თავითო მყიდველებს.

მურვანი ხედავდა, ბურგავისი როგორი სიბრალულით, გულდამძიმებული შესკეროდა მონებს თავის გაფაციცებული დიდრონი თვალებით. გრძელსა და შვერილსა და შინაგანი სხივი ვერ დაეფარათ, მისი მეტყველი სახის პატრონს ბევრი ლაპარაკი არა სჭიროდა.

— შენ ახლა იმას ოცნებობ, — უთხრა მურვანმა, — ეს მონები გაყიდინა და გავანთავისუფლებინა. — ხელი გადაწვია, ამ საზარელ სანახობას მოაშორა.

ბურგავისი ხალისიანი აღმსრულებელი იყო, მაგრამ სწავლა მაინცა და მაინც არ ეხალისებოდა. თვალი ნადირობასა და დოღზე ეჭირა. სცადა კიდევ მოგირითთებთან დაახლოვება, ცირკში მონაწილეობის მიღება, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა — წარმატებისათვის მოწადინებისა და უნარის გარდა, კიდევ ბევრი რამ ისეთი იყო საჭირო, რაც მის მართალსა და ფაქიზ ბუნებას არ ეგუებოდა. ნადირობას დასჭერდა, ისიც მურვანთან ერთად.

ბურგავისი ფიქრით თავს არ იწუხებდა, მოვლენების შიზეზებს მუდამ მარტივად ხსნიდა. ტაძარს რომ მოხედა, რომელსაც მონები გალავანს უშენებდნენ, თქვა:

— რა საჭიროა ტაძრების აგება? ღვთის ყოვლისშემძლეობას ბუნების კალთაში უფრო ვგრძნობ, ჩამობნელებულ ტაძარში დანაქილს კი მხოლოდ სევდა მეუფლება.

— კიდევაც იმიტომ გამოიყურება ხოლმე ტაძარში ვითარცა ისააკ, ზეარაკად შესაწირავი, — თქვა ღიმილით მურეანმა. ერთ 13 ეპი

— განა მზე უფრო არ შვენის ღმერთს სანათე მდიდარ, უძრის მხეჭურავი პატრუქი, გინდ სამეფო კელაპტარი?

— ტაძარი ჩვენთვის არის საჭირო, ღვთისათვის კი არა, — განუმარტავდა მურეანი, — ბუნებაში ყოველთვის ღმერთზე ვერ იფიქრებ ისე, რომ რაიმემ არ გაგიტაცოს, ხან უამინდობაც არ შეგიშყობს ხელს. ტაძარში კი მხოლოდ ღვთის სადიდებლად მოვდივართ. ტაძარი ვითარცა მინდორი უთქვიათ, სადაც ითესება თესლი მარადიული სიბრძნისა, სად სიტყვა ღვთისა იგივეა სულისათვის, რაც მიწისათვის წვიმა; ტაძარი იდუმალი სალოცავია, სადაც თვით სული ღვთისა შუამდგომლობს ყველასათვის გამოუთქმელ მეტყველებითა, სად ხატნიც მდუმარებით მეტყველებენ მასზე. ანთებული სანთელი გვასწავებს აღნოებას სიყვარულითა, საქმეველი გვამცნობს სურნელებას შეურვებულ ლოცვისა და არა არის რა ტაძარში, რაიც აღაშთოთებს საუბარს ღმერთთან. ერთობლივი ლოცვა კი უძლიერესია განმარტოვებულის ლოცვაზე და „როდესაც სამნიც კი შეიყრებით ჩემს მოსაგონებლად, მეც თქვენს შორის გარ“ — თქმულ არს ქრისტესაგან. ტაძარში იქმნება ერთობა სულთა, შეგნება ურთიერთსიყვარულის გრძნობისა. აღარ გახსოვს ბებია ზუზოს ნაუბარი: ვითარცა დღე და ღამე არ დასცხრებიან მიმოვლობასა, ისე კეთილმორწმუნენი არ დასცხრებიან ეკლესიასა შინა სიარულსა, — ბრძენი დამრიგებლის სიდარბაისლით გახედა და ერთნაირი გულუბრყვილობით კი გაეცინათ.

ამ საუბარში იყვნენ, როცა მაცნე შემოხვდათ და უსტარი დედისა ვადასცა.

მურვანს მღელვარებისაგან თითქოს დასცხა კიდეც. ხელები აუცახუახდა და უცბად რომ თვალი გადაავლო, იყის მაუწყებელი ხომ არაფერიაო, მხოლოდ თვეის სავანეში მისულმა დაშვიდებით წიაკითხა:

„შვილსა ჩემსა და მემკვიდრესა, იმედსა და ნუგუშსა, დედა შოგიერთხავ!“

„შენმა წერილმა გავვახარა. ისეთი ხატოვანი იყო შენი სიტყვა, თითქოს გხედავდით კიდეც, შენი ხმაც გვესმოდა. შენს სამოსს მივეალერსეთ და შენს ნატერფალზე ფიქრი დავჭანცეთ.

„ვიწროება გონებისა და ულონობა ენისა ჩემისა უწყოლე.

„ჩანს ქვეყნის ყურის მიმღებაც ბედნიერება არ მიუჩინება მიზნის მისაღწევ გზად და ამიტომაც უბედობასთან მორიგება არ გვაღონებს. უბედობაში უკეთა ვფლობთ თავს, ღვთის სიახლოვესაც მეტად შევიცნობთ. გვწამს ღვთის ხელშია ჩენი ბედი და არა ქადაგისა, არა მელიც აგრეთვე ღვთისაგან მოელის ხსნასა. პირველი გვი

„ქეშმარიტი სიხარული შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ წარსულის მოგონებით, ან მომავალზე ოცნებით: აქმყოს უმეტეს ზომიერება შეენის, რათა არ ვიცით იგი რისი მაუწყებელია. და თუ ის დაუძლეველი სიხარული მწუხარების მაუწყებელი იყო, იქნებ დღევანდელი გოდება სიხარულად გვეძცის.

„და თუ საზარელია ადამიანი, რომელიც ფიცით არ ენდობა ადამიანს, რაოდენ შემზარევი უნდა იყოს ის, ვინც ღმერთს არ ენდობა ამაში მაშინაც კი, როდესაც უფალი თავის ნება-სურვილს წინასწარმეტყველებით გვამცნობს. მე მწამს, შენ მძევლობით კარი გააღე დიდების გზაზე.

„მამაშენს, ბუზმარს, სევდა ერევა და ბოლმა უტევს, მიგრამ ზეზო სიყვარულით ლოცულობს უკელასათვის და ნუგეშინსა გვცემს. არჩილს ეშინია არ გაგიტქბეთ მანდ და არ დაგვივიშუოთ. ბურგავასმა რომ სწავლას უმარჯვა, დედამისის, ოთას, სიხარულს საზღვარი არა აქვს, აღარ იცრემლება.

„რამეთუ მზე ერთნაირად აღმოვალს ბოროტთა და კეთილთა ზედა და ერთნაირად წევის მართალთა და ცრუთა ზედა, ამისათვის კეთილს უყოფდეთ მოძულეთა თქვენთა. უკეთუ გიყვარდეს მხოლოდ მოყვაისი შენი, რა სასყიდელი გაქვს?

„გაბსოვდეს სიგრძე ეამისა ყოველსავე დავიწყებად მიიღებს, ხოლო წინაშე უფლისა მარადის ბრწყინავენ, რომელთა სათნოდ აღასრულეს თავისი ცხოვრება“.

უსტარს მოჰყვა მოსაყიოთხი, სპარსეთს წამებულთა წმინდა ნაწილები, რომელნიც იქაურ ქრისტეანებს წარმოეგზავნათ ბუზმარისათვის.

უჭრნობ და წარუხოცელ მოგონებათა ნიავმა სევდა გულისა მოჰყვარა უმაშვილს, წარსულის მოგონებანი თავის იერსა პფენდა ყოველივეს, იქ პოულობდა ფერებს, იქ შეიგრძნობდა ხმას და მით კაზმავდა სიტყვის. ხედავდა აცრემლებულ ვენახს, გადათეთრებულ ხეხილის ბალებს, ატმისა და ვაშლის ყვავილის ნაზი ვარდისფერი რომ შერთვოდა და მათ სურნელებას იყნოსავდა.

წმინდანთა წამება იმდენად განიცადა, მოწამენი სიზმრად ეჩვენებოდა და მათ სურნელებას იყნოსავდა.

ბოლნენ, ნუგეშინს სცემდნენ, შვების მომტან დაუსრულებელ ცხოვ-რებას აღუთქვამდნენ.

ნათლისლების წინა დღე იყო. საღამოს ლოცვაზე მურვანი მეფეს ტაძარში არ გაჰყვა, დადგომა უნდოდა ლოცვად მოწამეთა ჩვენების სამადლობელად.

კანდელების დანთება რომ მოინდომა, მსახურმა უპრეც ტექტის მოტანაზე და დააყვედრა:

— მეფის ძე ხარ და არა გსურს სამეფოთათვის ასეთ დიდ დღე-სასწაულზე ცველა ქრისტეანენი იხარებდნენ, ხოლო შენ, ვითარცა მონაზონი, მშიერ იმყოფები და არც ჩვენ გვაძლევ უფლებას გახარებისათ.

მურვანმა მსახურის ყურადღება არად ჩააგდო, კიდევაც გაუხარ-და, რომ მასაც წასვლა უნდოდა და გაანთავისუფლა, კანდელები კი წყლით შეავსო და ხატებს სინათლე მოპონა.

შევრდომილი პმადლობდა და ეველრებოდა უფალს:

„სამებაო, ზეშთა არსებისაო, წარმიმართე ზეშთაუცნაურისა დაზე ზეშთაბრწყინვალისა მიმართ უმწვერვალესისა თხემისა საიდუმლოთა სიტყვათასა, სადა წრფელნი და უქცეველნი ღმრთისმეტყველებისა სა-იდუმლონი ნათლითა უზეშთაესითა დაფარულ არიან საიდუმლოსა დუმილისა არმურითა და ბნელსა შინა უმეტეს საჩინოებით უფროის ბრწყინვენ და შეუხებელისა და უხილველისა ზეშთასიკეთისა მშვე-ნიერებით აღავსებენ უთვალოთა გონებათა“.

მაგრამ გონება რწმენას არ ჯერდებოდა, სამების საიდუმლოებას იძიებდა: რატომ ვაღიარებთ ერთ ღმერთსა და, ამავე ღროს, გვწამს სა-მება იმავე არსებისა, მარადიულისა და უსაწყისოსი? როგორაა სამე-ბა თანაბარი, სამიცაა და ერთიც? ის, ვინც განკაცდა ჩვენოვის, რო-გორ არის ერთი სამებათაგანი?

მიზეზთა მიზეზი სამების მიღმა ეგულებოდა. ბურუსით იყო მო-ცული იგი, გონების თვალით ვერა სწედებოდა. მურვანი საღმრთო ნისლს მოეცვა, უხილავ ნათელს, რომლისა შინა მკვიდრობა ღმრთისა იგულვებოდა, რომელი უხილავ არს ზეშთაგარდამეტებულისა სა-ჩინოებისაგან და თავის უსუსურობის შეგრძნებით სევდიანს ჩასთვ-ლიმა.

ძილის შორისში ხედავს პეტრე მოციქულს; მან ვამოიყვანა ბორ-ცვზე და ზეცაში დაანახა დიდი სხივი, რომელიც მაღლა მიმავალ გზას ჰვავდა, მიუწვდომელსა და შეუცნობელს. წრისებური იყო იგი მზის მსგავსად. მოციქულმა თქვა: „ეს არის მამა ღმერთი“. შემდეგ აჩვენა

შეორე სხივი, რომელიც პირველს მისდევდა და პირველის მსგავსი იყო, მხოლოდ შეუძინ იმყოფებოდა ნაზარეველი, ის, ვინც ჯვარს ეცვა, ერთი სამებათაგანი. „ეს ძეა,“ — განუმარტა ისევ მოკიდულმა და ბოლოს დაანახა მესამე სხივი, მსგავსი პირველი ორისა: „ეს კი სული წმიდაა“ — თქვა და გაუჩინარდა კიდეც.

მურვანმა თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა, ჭიქეჭიქი ქუქისტურა- ყო. მაგრამ იპოსტასთა ერთიანობა გაცხადდა. სინათლის წყაროთა სამეული — ერთისა და მრავლის შეერთებით, რომელიც იმავე ღროს შეურვეველია, უსასრულობა და სასრული, უსაზღვრობა და საზღვრული, ცა და ქვეყანა გამოლიანებული მზის ნათელში...

ორთოლვით იბარებდა პერგამენტი ზეშთაგონებას:

„თუ შენობაში რამდენიმე სანთელია, ჩვენ ვხედავთ რამდენიმე სანთელის მონაფენს, სინათლის მთლიანობას, ყველა სინათლის შეერთებას ერთ ნათელში და ვერავინ შესძლოს მის გარემომცველ პარტი გაარჩიოს სინათლე რომელიმე ერთი სანთლისა სხვა დანარჩენებისა-გან, ვერავინ თქვას, რა ნაწილი რომელი სანთლისაა, თუმცა ისინი შეერთებული არიან შეურწყმელად. მაგრამ თუ ოთახიდან გავიტანთ ერთ სანთელს, მას თან გაჰყვება მისი ნათელი და ოთახს სინათლე მო- აყლდება, თუმცა ეს სინათლე ვრცელდება პარტის სივრცეში და წარ- მოიქმნება ნივთიერ ცეცხლისაგან“...

კანდელებზე სინათლე ოდნავდა ქრთოდა, მასთან თეოდოსი რომ შემოვიდა.

თეოდოსიმ შეუქო მურვანს გულმოლგინება, ამბორის ყოფით და- აჯილდოვა.

მითრიდატე ხარობდა მურვანის წარმატებებით, ამბობდა:

— ასე ხდება ხშირად, ასე დაემართა ნისელსაც, ზოგი წლები ცხოვრებისა სიზმარივით გაქრება და ერთი ღამის სიზმარი კი სინამ- დვილედ დარჩება.

თუ პირველი დღეები გულისგასაშუალებლად მიიზღაზნებოდნენ, თვეები უკვე ერთმანეთს ღინჯად მისდევდნენ, გადიოდა წლებიც და ღროს თავისი გაქქონდა — აეწყვნენ იბერიელნი ბიზანტიის ცხოვრების ძალუმ ჩქეფას. მითრიდატე, როგორც სახელმოხვეჭილი სწავლული, დედოფალმა მიიწვია თავის დაარსებულ სკოლებში. დროზე ადრე დაბრძენებული უფლისწული მეცნიერებათა წყაროებს ეწაფებოდა. მწიგნობარი დედოფალი განსაკუთრებული მხრუნეელობით თავს ევ- ლებოდა საკვირველ ყმაწვილს.

უფლისწული მოშორებული ქალაქის ხმაურს, მოსაწყენსა და ჭარბ

ცერემონიალს, სად ყვავილოვან ბაღებში შაღრევნების შეხედი და წყაროთა ჩერიალი თუ დაარღვევდა სიჭყნარეს, მურვანის გრძების თვალსაწიერი იზრდებოდა და უხვად ხარობდა, ღმევები კონფაშე, თუ წერაზე ათენდებოდა. რამდენადაც დამოუკიდებელი იყო გონებით, იმდენად მიმნდობი გულით; რამდენადაც როულურული მცირდებული განვების წინაშე, იმდენად მოურიდებელი ამა სოფლის ძლიერთა მიმართ.

თ ა ვ ი მ ა რ თ ხ ი

ი პ რ დ რ თ ხ ი

აღმოსავლეთისა და დასავლეთის დანათესავებას მოჰყვა სპარსელებზე გამარჯვება. ავგუსტია ჩამოსულებს დიდის პატივით დახვდა. ყველაფერს ეტყობოდა მისი შორსმცვრეტელი თვალი. შთამაგონებელი იყო და განსაცვიფრებელი ხალხის სიმრავლე, იარალის სრულყოფა და ქალაქის კედლების სიმაღლეზე გამახვილებული ყურადღება; ყველაფერი ეს კი იმისათვის, რომ სტუმრები მეზობელ ქვეყნებიდან იყვნენ და გამარჯვებას მშვიდობით უზრუნველყოფა ესაჭიროებოდა.

ბრძოლის ველზე გამარჯვებულ მხედარმთავართა შორის მარკიანე გამოირჩეოდა თავისი თავმდაბლობით და მოკრძალებით, მაგრამ ის, რომ იგი უპირველეს თეოდოსის წინაშე წარსდგა და არა ავგუსტასი, საკმარისი აღმოჩნდა მისი ღვაწლის მისაჩქმალავად.

წარმატებებით აღფრთოვანებული დედოფალი ტრიუმფალურ პოემასა სწერს. უკეთესს ვერას მოიფიქრებდა მწიგნობარი თანამეცხედრის საამებლად, და თუ ქალიშვილის დაბადებით ავგუსტობა მიეღო. რაც მას პულქერიას თანაბარს ხდიდა, ახლა სავსებით მოიგო კეისრის გული, ეს კი პულქერიაზე მაღლა აყენებდა და იქ კედლების სიმაღლე, ხალხის სიმრავლე და იარალის სრულყოფა აღარაფერს ნიშნავდა. პოეზიით გაცისეროვნებულ შავი თვალების ელვარებისაგან ავგუსტას გულში ცეცხლი ინთებოდა, დედოფლის ოქროსფერი კულულები თითქოს ავგუსტას საბედისწეროდ ირხეოდა, მის ძლიერების პორი-

ზონტზე ღრუბელს თავს უყრიდა, ღაწვთა ელფერის გამოუთქმელა
იერი ავგუსტას სახეს ჩრდილს აყენებდა, ზომიერ და უდერდი ხმაში
დედოფლისა, შორეულ ქუხილის გრვინვა ისმოდა.

პავლინი დედოფალს ფერტკარივით თავს დასტრიიალებდა.

გამარჯვებულმა თეოდოსიმ პავლინი პატრიციად აუზრუნველყო

მურვანი ხედავდა, რა უყოფმანოდ და თავმომშეწყდა და მუდა
უმაღლეს ღირსებას პავლინი და ფიქრობდა, ნამდვილად არ უნდა ყო-
ფილიყო მისი ღირსი. მის ფერად-ფერად ფრახებში ფუჭი იყო აზრე-
ბის ძიება, მისი მოზომილი ნაბიჯი და უზომო ზომიერება კი მის ზო-
მიერ გონიერებაზე უფრო მეტყველებდა, ვიდრე გონიერ ზომიერება-
ზე, როგორც ეს თეოდოსის მიაჩნდა. მისი ლალი ჩატმულობაც არ მოწ-
მობდა მის სიმაღლეზე, ისევე როგორც თავის უფლებებით უფრო
თავი მოჰქონდა, ვიდრე შეეძლო მათი გამოყენება.

ათასნაირი ხმები დადიოდა პავლინისა და ავგუსტას ურთიერთობა-
ზე.

— ღიქმაჭელას ფოთლებს უნდა სჭამდეს ავგუსტა და ეგ კი ჩი-
ტის რძესაც არ იქლებს, — აზრახა პამბომ.

— ღიქმაჭელას! — მისკენ მიუხედავად გაიმეორა მურვანმა.

— ხო, ავხორცობისაგან იცავსო, ამბობენ, — განუმარტა პამბომ.

„უდავოდ არის რაღაც დაუძლეველი უმაღლესი ძალაუფლების
სიყვარულში, რომელიც ავგუსტას მთელ სულიერ ძალებსა ნოქავს“, —
გაიფიქრა მურვანმა.

კანონმდებელი და მაგალითი ყველასათვის, „ცოცხალ კანონად“
აღიარებული, ავგუსტა პულქერია ნაკლებად ზრუნავდა სიწმინდეზე.
მისთვის მთავარი იყო წესრიგი. შიშს პევრიდა ყველას, რაღვან მასში
ყველა ხედავდა მმართველ ხელს. ლათინურსა და ბერძნულ ენასთან
ერთად თავის მშობლიურ ენას, ესპანურს, ბრწყინვალედ ფლობდა,
მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაშიც მოენეს არ საკიროებდა და ეს
ნიკი იმ მოქნილობასთან ერთად, რომლითაც იგი ყველასთან საერთო
ენას პოულობდა, ბრწყინვალე შარავანდედით ჰმოსავდა მას.

მორიელივით შეეძლო დაფარვა რისხვისა, შეეძლო სიხარულით
აღფრთოვანება გამოეხატა, როდესაც გული ლვარძლით ევსებოდა, შე-
ეძლო ცრემლი ელვარა მწუხარებისა, როდესაც ვისმე დასჭით ზე-
იმობდა. მტერი მისი მეგობარი ვერასოდეს გახდებოდა, მეგობარს კი
სულ ადვილად მტრად გადაექცეოდა და მაშინ ყველაზე საშიში ხდე-
ბოდა. გულმარიხიანი, დაუშრომელი იყო. არც თუ ისე ლამაზი, შთამ-
ბეჭდავი თავისი უქრობი ცეცხლით, სხეულს, როგორც დასაყრდენს,

იმაზე მეტად უვლიდა, ვიდრე საჭირო იყო და იმაზე ნაკლებად, ვიდრე ეს უნდოდა.

დღეს პავლინი უპირატესობას აშკარად დედოფლის მხატვებზე, აღარც დიდებულნი მაღავდნენ, რომ დედოფლის გვერდით მისი შბრძნებლობა უხერხულობას იწვევდა და კარგად გრძნობდა, ორმეტობი დღეც დადგებოდა და დედოფალი თავის უფლუბეს შრის გამოსავა

და.

პავლინი ხელიდან უსხლტებოდა, მასთან მოსულს ერთავად თან შემოჰყებოდა დედოფლის ქება-დიდება, დედოფლის მიერ დაარსებულ სკოლებში დღე მუდამ დაიარებოდა, — „სწავლულთა მცდელობისა და მოსწავლეთა წასახალისებლად“-ო, — ამბობდა.

ავგუსტას შორსმჭვრეტელი გონება დამარცხების საშიშროებას ამცნობდა და თავდასხმა ახლა საუკეთესო თავდაცვად მიიჩნია.

პავლინმა ავგუსტას ერთ გამოხედვაში უველაფერი ამოიკითხა და იგრძნო, დიდი სიფრთხილე მართებდა, მაგრამ იმდენს იზრახებოდა თავისი გრძნობების სიღრმეზე ავგუსტასადმი, ისეთი კორიანტელი დაეყენებინა ქათინაურებისა, რომ იჭვებით დაბურულ ავგუსტასათვის მისი გრძნობათა სიღრმე უკვე საეჭვო აღარ იყო. პავლინი გათანაგა სულში ჩახედვის მოსურნე თვალებმა და უმწეო არსებად აქცია. ავგუსტას დაქადნებულმა ღიმილმა პავლინს წყალგადასხმულ მუგუზალვით უსიამო შიშინი ააღინა, ავგუსტას კი დახშული ცეცხლის ბოლი აღრჩობდა. მართალია, ავგუსტას პავლინი უკვე სათადარივოდ შემოენახა, მაინც უნდოდა თვით ყოფილიყო მისი უარისმყოფელი და არა პავლინს უკუიგდო იგი.

ხარირემივით დაქქროდა ავგუსტა ზეიმზე.

— პავლინის კარბი დაინტერესება სკოლებით, ვფიქრობ, კარგს არას უნდა მოასწავებდეს, — ჩაურთო ლაპარაკში.

თეოდოსიმ გაოცებულმა შეხედა:

— მე კი სასიხარულოდ მიმაჩნდა დედოფლის წამოწყება.

ავგუსტამ მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა:

— მინდოდა მეთქვა, ეს დაინტერესება იქნებ საფარი იყოს უფრო დიდი დაინტერესებისა.

უსაზღვროდ შეუვარებული მეუღლე და მეგობრის ერთგულებაში დარწმუნებული თეოდოსი, ასე იოლად მისადგომი არ აღმოჩნდა, თუმც სიტყვამ ზედ გულზე უკბინა. თეოდოსიმ ახლოს ჩახედა თვალებში და თქვა ის, რისი თქმაც დიდი ხანია ეწადა და საბაბი ვერ მოენახა:

— შენ ისეთი შეუსაბამობის წინაშე დამდგარხარ, მე შემიძლია ვთქვა მხოლოდ, რომ ეს ყველაფერი ზედმეტი იქვიანობის მროვლია. მე ამაზე ლაპარაკიც კი შეურაცხებად მიმაჩნდა უქორშინების ძლი-თქმადადებულთან, შენ კი რაში გინდა მე ახლა დამაეჭვო? ასეთი ბრალდება დიდ დაფიქრებას მოითხოვს, რომ მოულუკუნელუჭლებია წინაშე არ აღმოვჩინდე.

გეგმული გარეულება

ავგუსტა მართლაც მოულოდნელობამ დააბნია, წყალში ჩაშვებულივით აიძურწა, არ ელოდა თავისი გამოზრდილისაგან ასეთ შეპასუხებას: „ნუთუ იგი მას ვერ სცნობდა? უფრო კი ათინელი მოაჯაღოვებდა“.

— მე ჩემს აზრს არ გამოვთქვამ, — მეტი დამაჯერებლობისათვის დასძინა, — არამედ...

— მით უფრო, მით უფრო, — ალარ აცალა თეოდოსიმ, — რაშიც თვით არ ხარ დარწმუნებული, გინდა მე დამარწმუნო?!

— ხრიზანტის მცდელობა და დედოფლის თვალთმაქუობა არ დარჩენილა უკვალოდ, წარმართნი უძლიერესნი არიან ჭადოქრობაში, მაგრამ თუ ჩემს სამყაროშიც შეეძლოთ გათარეშება...

გადააჭარბა ავგუსტამ მით, რომ დედოფალი გარია და სცადა სხვისი გამტყუნებით თავის მართლება, მაგრამ თეოდოსიმ შეუჩევლად განაცხადა:

— ალარ მსურს მსგავსი რამის მოსმენა, რადგან ეს უკვე შეურაცხულფს ჩემს თავმოყვარეობას.

თავი ოდნავ დახარა და დიდებულთ მიუბრუნდა.

როგორც ყოველთვის, მტრებზე გამარჯვების დღე ახლაც ეტლების ჭირითით აღინიშნებოდა.

იპოდრომის ვეებერთელა შენობა, ქანდაკებებით შემყულ სპინათი, საკვირველებას წარმოადგენდა. აქ ჭირითი ეწყობოდა ხოლმე: 11 მაისს — კონსტანტინოპოლის დაარსების დღეს, იმპერატორის დაბადების დღეს, ოლდგომის, კონსაკრაციის დღეს, მტრებზე გამარჯვების დღეს.

ყოველი ბიზანტიილი თავის ლირსებად თვლიდა, ყოფილიყო ჩარიცხული რომელიმე პარტიაში, ეტარებინა მისი ფერის ნიშანი მკლავზე.

ფერებს სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდათ: მწვანე ნიშნავდა მიწას, ლურჯი — ცას, წითელი — ცეცხლს, თეთრი — პაერს. წამყვანი ფერები: მწვანე ანუ პრასინები მიძღვნილი იყო აფროდიტესაღმი, ცისფერი ანუ ვენეტები — პოსეიდონისაღმი.

იპოდრომი! ეს იყო ლერძი, რომლის ირგველიც ტრიალებდა სამყარო ბიზანტიური, სარქი, რომლის წინაშე შიშვლდებოდა მისი ხაზოგადოება, ქვეყნიური შურით მგზებარე ფორუმი ბიზანტიური, ქარა, სადაც ლვიოდა ხალხთა ვნებები.

იპოდრომშე პირისპირ ხვდებოდნენ ერთმანეთს სამართლებრივი თავისი იმპერატორული სიდიადით და ქვეშევრდობის, შესტესტის კავისი სიმრავლით. ხალხი, რომელიც თავის უბნებში ფუსფუსისას მშვიდომიანად გამოიყურებოდა, აქ, იპოდრომშე, გრძნობდა თავისი ერთიანობის ძალას, შეუპოვარი და მომთხოვნი ხდებოდა.

ხმაურიანი, ფუფუნებით აღსავსე დღესასწაულისაგან ქალაქს თავბრუ ესხმოდა, წარსული შეჯიბრის დამთავრებისთანავე მოუთმენლად ელოდნენ ახალ შეჯიბრს, თვალყურს ადევნებდნენ მის სამზადისს. განსაკუთრებულ ყურადღებას ცხენებს აქცივდნენ, მსჯელობდნენ მათ ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე, ამა თუ იმ მეეტლის ხერხსა თუ უნარზე.

მეეტლეები, განთავისუფლებული ყოველგვარი გადასახადებისაგან, კანონიერებაზე მაღლა მდგომნი, პეტებისა და მოქანდაკეთა შთაგონების წყაროდ ქცეულიყვნენ. მათი ქანდაკებანი მოედნებზე აღიმართებოდნენ ბაზილევსის ქანდაკების გვერდით. ქალაქის მოლაყენი ყველანაირად აღიდებდნენ მათ დამსახურებას, მათ მეტი ტაში ხვდებოდათ წილად, ვიდრე გამარჯვებულ მხედართმთავრებსა და ტრიუმფატორებს.

ჭერ კიდევ წინა დღით აღელდა ქალაქი.

შეჯიბრის ციებ-ცხელება არ იყო მხოლოდ მეტოქეობა პრასინებისა და ვენეტებისა, ამ ბრძოლაში მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შეღლლიც იგრძნობოდა.

მწვანეებს მუდამ ჰყავდათ მხურვალე მომხრეები და მათ შორის უპირველესად — კალიგულა და ნერონი. ახლაც მწვანეებს ეკავათ საპატიო ადგილი. როგორც ბაზილევსის პარტია, ოფიციალური მრჩამსის დროშით გამოდიოდნენ, ამიტომაც სარგებლობდნენ ყოველგვარი პრივილეგიით. გათამამებული ათასგვარ ჩატმულობას იგონებდნენ — სპარსელებივით იპარსებოდნენ. გრძელ წვერს ატარებდნენ. მათი მოწინააღმდეგე ვენეტები კი ახალი ქრისტეანული მოძღვრების — მონოფიზიტების მხარეზე იყვნენ.

მურვანი ყოველივე ამას მშვიდად გასცემოდა. მისთვის არ არსებობდა არც პარტიები, არც განსაკუთრებული ფერები, მაგრამ მაინც ჩათქმული ჰქონდა ვენეტების გამარჯვება, რადგან ბურგაფასი მათ

თანაუგრძნობდა, მეტლე ანაცელოსი თავის გმირად აერჩის და-
ლავდა, ანაცელოსი კი ვენეტი იყო. მურვანს ერთი ხაფიქრაცი ჰქონ-
და, რომელიც ყველაფერს ნოქავდა — რამენაირად ესარგებლი სპარსე-
ლებზე გამარჯვებით და გამოეთხოვა თეოდოსისაგან ჰყაშუბეუზუშუაბ-
რუნების უფლება. მა შესაძლებელი ბედნიერებისფრთუ საერწო ქვეყ-
რულისა და აღტაცების თანაზიარად გამოიყურებოდა.

ყველა უცდიდა, როდის შემოვიდოდა ბაზილევსი სავალ გზაზე.
მწერივად გაწყობილი პარტიები გალობდნენ. გაისმოდა წამომწყების
„ალიმართე, ლვთაებრივო მეუფევ“ და ხალხი სამჯერ იმეორებდა, სამ-
ჭირვე „დიდება მეფესა და დედოფალსა“ გაისმოდა.

ბაზილევსი უცხოელებს მთელი თავისი დიდებით წარუდგა.

კენარი დედოფალი კარის მანდილოსნებით გამობრწყინდა წმინდა
სტეფანეს დერეფანში; გაისმა „ლვთოვ კურთხეულნო, წარსდექით
თქვენის ავგუსტებით, გააბედნიერეთ თქვენი მონები“. წარსდექით

მურვანი დააცემდა დედოფალს, ყრუ სინანული იგრძნო, რომ
სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შესაძლოა ველარც იხილავდა და
ვით განშორების უკანასკნელ დღეს ღრმად ჩახდა მის მომხიბვლელ
სახეს. დედოფალმა მის გამსჭვალავ მზერას თვალი გაუსწორა, მოკრძა-
ლებით თავი დახარა დაბალი სალამის ნიშნად და იგრძნო, მის სხეულ-
ში უცხო რამ სიამე ჩაიღვარა.

დააგუგუნეს ჰიმნი და თეოდოსიმ პროკურატორს ანიშნა ეთქვა:
— ვინც მე მიყვარს, მას მინდა ვხედავდე ჩემს წინ.

პრასინებმაც დასძახეს:

„შენი შენთაგან“.

ის იყო, უნდა დაწყებულიყო სანახაობა, რომ ხალხის ხმაურმა,
ტაშის გრიალმა ყველაფერი დაახშო.

თეოდოსიმ მოიხდა და მოკრძალებით თავდახრილი კირი იხილა,
კირი. რომელსაც ფეხშე წამომდგარი ხალხი შეძახილებით ხვდებოდა:

— კონსტანტინემ აშენა, კირმა დაამშვენა.

პრეფექტის ასეთმა პოპულარობამ მეფეს გულზე გაჟეჭრა, მაგრამ
ღიმილით შეხდა, ხოლო დედოფლის განსაკუთრებული აღფრთხოვა-
ნებაც რომ შენიშნა, ქათინაურის თქმა ველარ მოახერხა და ფიქრების
თავიდან მოსაცილებლად პრეპოზიტს მოსწრავებულად ანიშნა, სანა-
ხაობა დაეწყო.

კირმა იგრძნო უხერხულობა და გამობრუნებულმა მურვანს უთხრა:
— მე მაშინებს ჩემი ბედნიერება, მეტად დიდია იგი.

— თქვენ ღირსეულად იმსახურებთ მას. ქალაქს თქვენ მიანიჭეთ

მრისხანება მეკობრეთაგან დასაცავად სანგრებისა და გოგოლების შემოვლებით, ალექსანდრიას უპირატესობა თქვენ წიარიყიდთ რამის განათებით, — მმობდა მურვანი და გრძნობდა დედოფლის კუროტილ ხედვასაც.

დროშა აღიმართა.

საჯინიბოში დასძახეს:

- გამარჯვება მწვანეებს!
- გამარჯვება ცისფერებს!
- მწვანეები გავატარებთ საუცხოო დღეს!
- ცისფერები გავატარებთ საუცხოო დღეს!

გაისმა „ჩვენ ვუგალობთ სამებას“... ბაზილევსმა ისროლა ენქერი და დაიწყო ბრწყინვალე და მძვინვარე დოლი კაშკაშა მზის ქვეშ.

იპოდრომი გაინაბა. გაიღო ოთხი კიშკარი. „ნიკა“ მოედანზე გამოვარდა ოთხი სხვადასხვა ფერის, ოთხ-ოთხი ცენტრიანი ეტლი. მეეტლეების სიშმაგით, ბრბოს ლრიალით, გრიგალივით მიპქროდნენ ეტლები სპინას მოსახვევში, ხალხი ეკვროდა ერთიმეორეს. მეეტლეებს დამსხვრევის შიში გაპქრობოდათ, ისმოდა მათრახის ძლიერი დარტყმის ხმა.

თუ მოქიშპე პარტია ზეიმობდა მოპირისპირის ჩამორჩენით ან მეეტლის გადმოვარდნით, ხმაური შიშისა და სიხარულისაგან ლრიანცელად იქცეოდა.

მურვანს ესმოდა ბურგაკასის ვედრება: „ლმერთო, მიიღე შენს მფარველობის ქვეშ ოლიმპია ანნაცელონი“. ესმოდა მწვანეების ვედრებაც: „ლვთისმშობელო, მიეცი პრასინებს გამარჯვება“. ატყობდა, ყოველი ბიზანტიილი მზად იყო თავის პარტიის გამარჯვებისათვის დაეთმო თავისი ქონება, სიცოცხლე, იღვზნებული გადაშვებულიყო მოედანზე.

ამ ღროს მოულოდნელად იქნება მეხმა. თეოდოსი წამოდგა და სანახაობაც შეწყდა. ცეცხლიდან გამოღებულ დაფერფლილ ნალვერდალს დაემსგავსა იპოდრომი. გაისმა ფსალმუნი. ბრბო შფოთით დალრენილი პირით დავითის ქნარს სწვდებოდა, შეღერილი მჭიდრო სავედრებლად იშლებოდა. მქისი სიტყვა „უფალო შეგვიწყალე“-თი იცვლიბოდა.

წამოდგა მურვანიც, მაგრამ შუბლზე მიღებული სამი თითი შუბლზე შერჩა, პირჯვარი ვერ გადაესახა, ქვემოდან გამოიხედავდა, ხალხის სულისთქმას გრძნობდა, მის გულისწყრომის იზიარებდა, მართლაც. — ფიქრობდა, — რა ღროს ფსალმუნი იყო, ამ გახურებულ ქურას კექა-ქუხილი უფრო შვენდა.

ერთიანები
გიგანტის მეტე

გადაიყარა ლრუბელმა და სანახაობაც ისეთის ძალით განჩელდა, დემარჯებს დაცვის გასაძლიერებლად წარჩინებული მიემჟელნენ, კურსორები გარბი-გამორბოდნენ, დარაჯები ბარელიეფებთან იღვნენ, ზედამხედველი სამოსსაცავებთან გაძლიერებულიყვნინ, მატელთა ოქროს გვირვეინების დასაცავად.

და აი, გამარჯვებულმა ვენეტებმა ააფრიალეს ცისფერი ალმები. ამაყად გახედეს მბრძანებელს. მურვანი არაფრით გამოხატავდა, მხოლოდ შინაგანად ზემობდა ჩათქმულის გამარჯვებას.

სასოწარკვეთილი დამარცხებული კი გამომწვევ სარკაზმებითლა იბრძოდნენ. სარკაზმებს გამარჯვებული ვერ უთმენდა, ბრბოც იყოფოდა ორად და ზემი დიდ ჩხუბში გადადიოდა. მცველები განურჩევლად ურტყამდნენ მოჩხუბრებს, რომელთაც ერთმანეთი სასიკვდილოდ იღარ ენანებოდათ.

ბურგაკამი ხარობდა, ჩამოეფხატა ფრიგიული თექის ქუდი და დაფნის გვირგვინით გამარჯვებულ ანნაცელონს თვალებში შესციცინებდა.

ავგუსტასთან წარმატებებით გათამამებული პავლინი დამშვიდობებისას იმაზე მეტი თანაგრძნობით შეეხო დედოფლის ხელს, ვიდრე ამას მდგომარეობა მოითხოვდა და მეგობრის უფლებები ნებას რთავდა. მისი აფერადებული სიტყვები უფერულ განცდებს ვერა ფარავდა, მაგრამ სჩანს, დედოფალს ქალურის თავმოყვარეობით თუ ავგუსტაზე უპირატესობის მოპოვებით, კიდევაც ეამა, მაგრამ როდესაც პავლინმა თვალიც უტიფრად გაუსწორა, წინასწარ დარწმუნებით, თითქოს ყვილა ზღუდე გადაელახა, დედოფალი უსიამო გრძნობამ დასერა, პავლინისათვის ეს შეუცნობელი დარჩა და ოცნების იალქანი აუშვა.

— ვშიშობ, კირმა ხალხის გულთან ერთად დედოფალიც არ დაიყროს, — დაბალი ხმით წასჩურჩულა თეოდოსიმ.

დედოფალს გაელიმა, თუმცა პავლინის მზერით გამოწვეული უსიამო გრძნობა ჯერაც არ მოეცილებინა.

— კირი მუდამ კეისრის ქება-დიდებაშია, — თქვა დედოფალმა.

— ო, ჭეშმარიტად, ჭეუიან ქალებს ქმრებს უქებენ და უგუნურებზე კი ნადირობენ.

დედოფალმა დამაჯერებელი გულწრფელობით იცინა და თქვა:

— როგორც ერთია ღმერთი, ისე ერთია დედოფლისათვისაც სათაყვანებელი.

ჩვეულის პატივით მიაცილა დედოფალი თავის სამყოფელში. ჯირითის მარცხი ამ დიდი გამარჯვების დღეს პრაფრად ჩათვალა, დაე, დღეს უველას უხაროდესო, პრასინები ისედაც მუღმივ პატივში არიანო.

თეოდოსი შეუვალ კლდესავით დახვდა ავგუსტის, მაგრამ მისი სიტყვების შხამი გულის სილრმეში შეგუბებულიყო და იქიდან წერაც-ნობლად დაღვდა. თავისიდა უნებურად პავლის უფრო დაცვითი ბით აცქერდებოდა. გაიცინებდა ვინმე მორიდებით ფართუ ძიშვენი არ ეცოდინებოდა, იფიქრებდა, მას დასკინოდა, ხმას კი კი მარტინი წერდა ფიქრობდა, რაღაცის დაფარვას ცდილობენ. მხოლოდ დედოფლის გულისა სახე, მოსიყვარულე უშუალობა და სანდომიანობა მზესავით უფანტავდა ნისლს. თეოდოსის ყველაზე უფრო აშინებდა ადამიანში რწმენის დაკარგვა, რაც საკუთარ რწმენასაც ურყევდა.

მურვანს თვალი აედევნებინა მისთვის, მოხდენილად მოუკრა გზა:

— გთხოვთ განტევებას, სამშობლოში დაბრუნებას, — წინასწარ დარწმუნებულმა თანხმობაში, გაბრწყინებული თვალები შეანათა.

დედოფალიც შეჩერებულიყო. მოუხედა და ლიმილითა თქვა:

— ციდან გამოვარდნილ ქერუბიმსა ჰგავს.

თეოდოსიმ თანხმობის ნიშანად თავი დაუქნია. მურვანს კი ხელი მოხვია, შეჭირვებულმა ფიქრებით, და უბნო:

— მე შვილად მიგიღე და შვილადაც შეგიყვარე, ისედაც ვერ შეგელეოდი და ახლა კი შენ უფრო საჭირო ხარ. გამარჯვებაზე უძნელესი მონაბოვარის შენარჩუნებაა.

მურვანმა მეორედ დაპკარგა დღეს სამშობლო, მეორედ შეხედა დღეს მტრულად თეოდოსის და მასში სულიერი უბალრუკობა შეიცნო, ეპვის თვალით რომ უცქერდა კეთილგანზრახულს.

თეოდოსიმ მურვანს მხარზე ხელი დაადო მამა-შვილურად და-მორჩილების ნიშანად და, რა მოსკილდა, პავლინს მოუხმო.

გარეშე ყოველგვარ შესავალისა, მოულოდნელად აზრახა:

— ამბობენ, შენ მეტად დაინტერესებულხარ სკოლებით და ეს რას მივაწეროთ: განათლებას თუ ქალების პატივს?

გამომცდელ თვალს არ აშორებდა, იცოდა, მოულოდნელი შეკითხვით მოუფიქრებელ პასუხს მიიღებდა, რაც სინამდვილეს ვერ დაფარავდა, თუნდ გამომეტაცველებით.

პავლინი გაფითრდა, თითქოს დაიბნა კიდეც. უკრად ვერაფერი თქვა და ისევ თეოდოსიმ განაგრძო:

— ვშიშობ, მეგობრები არ წაგვაჩხუბონ...

— მაშინ მიიღო ჩემი ალსარება, — სახეშეცვლილმა მიწას დაუწყო ცქერა, იფიქრა, ერთი ჭირისაგან მაინც გავნთავისუფლდებიო.

თეოდოსის გული გადაუქანდა, სიტყვა ვეღარ დასძრა და ჩაკიებული მზერით, თავის ქნევით ანიშნა თანხმობა. იგი უკეთეს შემთხვე-

ვაში უარისყოფას ელოდა, უარესში—გაჩუმებას, აյი წუთიერად შე-იგრძნო კიდეც იგი. მაგრამ ახლა პავლინი რის თქმას პირებრაზე და-ნაშაულის აღიარებას, თუ მის შერცხვენას უნდობლობაში თოვე შემთხვევაში დამარცხდებოდა და ეს წუთიერი შეყოფუჩუკუფლისწუ-ლოდ მოეჩენა.

— დიდი ხანია მაღონებს, რომ ჩეენს შორის არის ისეთი რამ, რა-ზეც ჩვეულის გულახდილობით არ შეგვიძლია ვისაუბროთ...

სხეულის ქარნახით გამოწვეული შიშის გრძნობა უბადრუკად გა-მოიყურებოდა, მაგრამ თეოდოსის უკვე მიწის ფერი ედო, პავლინმაც ვეღარ გააგრძელა და გმირულის გამბედაობით მოუკრა:

— დიალაც, პულქერიასთან სიახლოვე შენს რისხვის იმსახურებს... თეოდოსი მოფერიანდა.

პავლინის თვალისათვის არ დარჩა ეს შეუმჩნეველი.

— და როდესაც ვხედავ შენს ჩვეულ სიკეთით აღსავს სახეს, ვბე-დავ აღიარებას, რომ ჩვენმა ურთიერთობამ ფიცით დადებული საზღ-ვარი შელახა და ცოდვა რის ცოდვაა, თუ კი სატანჯველს არ გააჩენს. აღარ ვიცი, რისთვის და სად დავეხეტები, რა საქმეს აღარ ვეპოტი-ნები. გამოგიტყდები, თუ პულქერიასაც აგრძნობინებ, რომ შენ ამის შესახებ იცი, იგი იმდენადა დამძიმებული მომხდარით, შენი პატი-ებით დღეიდან მხოლოდ ცოდვის გამოსყიდვაზე იფიქრებს.

შვებით ამოისუნთქა თეოდოსიმ.

შვებით ამოისუნთქა პავლინმაც.

იმ ღამეს კი ავგუსტას სიყვარულის პირველი დღეები გაახსენდა. პავლინი დამშვიდობებისასაც რომ ამბორით უფარავდა ავგუსტას ხელ-ფეხს, მის იჭვებსაც ფანტავდა. ავგუსტა თავის უძლეველობაში რწმუნ-დებოდა, მაშინ, როდესაც პავლინისათვის ეს იყო მხოლოდ ნაური გრძნობისა, რომლის სათავე დამშრალიყო და რომელსაც მხოლოდ ყოვლის მამხილებელი დრო ამხელდა.

გულდამშვიდებულ თეოდოსის მონასტრისაკენ გადაეხვია. მეფის პატივით ბერებიც გაიხარებდნენ, მის სამებლად ბევრს რასმე იტყოდ-ნენ და მარტო დარჩენილნი კი მაინც გაკეთწლავდნენ:

— ღმერთმა ღარიბობა რომ დაბადა, მოსვენება სიღარიბეს უამ-ხანაგა. პატივი ხელმწიფეს იმად დასდო, რომ ქვეყნის მცველია, ხალ-ხის მომსვენებელი. პატივი და მოსვენება კი ერთ ალავას არ შეიყრე-ბის, უნაღვლობა და ხელმწიფება არ გაეწყობის. ხელმწიფემ მოს-ვენება გლეხს დაანებოს და თვითონ დარჩელი დაიმკვიდროს, თუ ამას არ იქმს, ვერც სახელს მოიხვევს და ვერც მამულს დაიმკვიდრებს.



მურვანი და თეოდოსი

ეროვნული
ბიბლიოთი

მურვანმა გაუგო თეოდოსის. თუ რამ უბედურება სჭირდა, ჭარბი სიკეთისაგან მოსდიოდა. უსაზღვროდ კეთილი, თავმდაბალი, ყველას მიმართ თავაზიანი, სიბოროტის თანამშრახველი არც როდის გახდებოდა. მას სიავის მოსმენაც კი ემძიმებოდა და წინასწარ ყველას აფრთხილებდა: „ცუდი არაფერი მითხრათ“. თეოდოსის ბევრი რამ მოეკითხა წმინდა წერილიდან. ბევრს ბერებთან საუბარშიც ჩასწევდომოდა, მაგრამ ის მთავარი, რომ ადამიანს სიკეთეში უმეტეს ჰმართებს სიბრძნე, ვერ შეეთვისებინა. ბოროტი ენები კი რაღას არ შეარქმევდნენ: „კალიგრაფს“ — იმისათვის, რომ უყვარდა ხელნაწერების გადაწერა, მათი მინიატურებით მოფერადება; „შინჯორმის“ — რაյი წიგნებში ჩაფლობოდა და სანთლის საჩრდილობელიც თავად გამოეგონა; „მალე მჯერს“ — ყველას რომ ენდობოდა. ის კი კეისარი იყო და რაც საქებარი იქნებოდა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, მას ზარად ეთვლებოდა. კეშმარიტად ბერად დაბადებული. ერთობ საშუალო ნიჭის პატრონი სწავლული, სახელმწიფოს მმართველობას გაურბოდა.

თეოდოსის ყოველდღიური მიღებები არ უყვარდა. ახლა იმ მოსაბეზრებელ საჩივრების თავიდან აცილებაც მოინდომა, რომელნიც თხოულობდნენ მის, როგორც კანონმდებლის და მართლმსაჯულის ჩარევას და უნდოდა შემოელო ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული კანონმდებლობა და რადგან ერთადერთი სახე კანონმდებლობისა იყო ბრძანებულებები, გასცა განკარგულება: „შეეროვდეს ყველა ბრძანება, მოყოლებული კონსტანტინე დიდიდან მისი მეფობის ჩათვლით და ერთი კოდექსი ჩამოყალიბდეს“.

იმუშავდნენ სასახლის მწერლები, გამოცოცხლდნენ არქივები, ამოტივტივდნენ წარსულის საქმეები, გაიკლინთა სასახლე პერგამენტის, სიძველის სურნელებით, თეოდოსი კი სამეფო კარის თვალთავან თითქმის გაუჩინარდა. ეს მაშინ, როდესაც მოვლენები სახითათო საზღვართან შეჩერებულიყვნენ.

თეოდოსის არც საომარი ვარჯიში იზიდავდა და არც ომისაკენ ეჭირა თვალი. ნადირობა დიანას საჩუქრად მიაჩნდა და ღვთაებრივ ვარჯიშად სთვლიდა.

— ნადირობისას, — ამბობდა, — სწავლობ უკეთ დანახველი გაგებას, იწრობი სითამამესა და მოქნილობაში, იმაგრებ განმროვებას...

პავლინს ნადირობა საერთოდ არ იტაცებდა, მაგრამ უკეთ მანაც მოიწადინა. მოხდა ისე, რომ მურვანის ვერდეფულმოწმუნებული მურვანს უყვარდა სანადიროდ გასვლა, ცხოვრების „გაორდას“ დანახვა. ფართოდ გაშლილ მინდვრებსა და ტყეებში პირისპირ ბენებასთან შეხვედრა. აქ ივიწყებდა დროსა და ადგილს, აქ სამშობლოს მინდვრები და ტყეები აგონდებოდა. ნადირობისას კი მთელი მისი მცდელობა იყო დამიზნებული ისრის აცდენა.

პავლინმა შენიშნა, რომ მურვანი ნადირს განზრახ არ ესროდა, გუკვირდა და ჰქითხა:

— ბევრს საოცარს ამბობენ შენზე, — თქვა პავლინმა, — და მართლაც, გასაოცარი ყოფილხარ, თუ არ მოჰკლავ, აბა, რისთვის დადიხარ სანადიროდ?

— რომელი ერთი გითხრა, — უბნო მურვანმა, — ნადირობაში ბევრი რამ არის საინტერესო, თუნდაც ის, რომ მე თქვენ უკეთ გავიცნობთ.

პავლინმა გამკენწლავი ღიმილით გახედა, წასასვლელად იბრუნა პირი, ისე გადაიხარხარა, რომ მისი სიცილი ცასა სწვდებოდა და ღრუბლებს მიერეკებოდა.

„ნუ იცინი, რამეთუ კეშმარიტ არს, — უნდოდა ეთქვა მურვანს, — ზევითზევით მაცქერალს უფსკრულში ფეხი არ მოგიცდესო“. — უსწავლელობასა თანა შექუსული სიმაღლე ცნობისა, მოგება სილალესა ცნობისასა — საბრალობელ არს, — თავისთვისა თქვა.

პავლინი კი თეოდოსის კვალს გამოუდგა გაჭინებული ცხენით და თან ფიქრებსაც მიაქენებდა: „თეოდოსისაც და მასაც უჩინარი ფრთხები უნდა ჰქონდეთ, ორივე ცაში უნდა დაფრინავდეს, ესენი მხოლოდ სარბენად გამოდიან ტყეში. ერთმაც და მეორემაც ნებით თუ უნებლივით ტახტი გაუშვა ხელიდან. მეფობა უნდა მრგებოდა მე და დედოფალიც იღედოფლებდა“.

მურვანი კი მიწაზე გაწოლილიყო. ბუნებისათვის განდობილი იქვები და იმედები დაუშრებელ განცდებს იწვევდნენ. ტყის ბატების გნიასსა და ვასაკების კრიასს მუსიკასავით ისმენდა, თვალიც ხარობდა კორდებზე მოფენილი ყვავილებით, ქართლის გარემოს აგონებდა. წვეთს იცქერდებოდა, მზე წვეთში მთლიანად მოსჩანდა, ანდამატივით ყველა ფერით რომ ელავდა, უდიდესს უმცირესში ხედავდა და როდე-

საც მზეს ოვალს ვერ უსწორებდა, წვეთში მისი ანარეკლის ბრწყინვა-
ლებით ტქბებოდა; ისე გაეტაცა ფიქრთა დენის, ვერ შენიშნა თეოდო-
სი ოვორ წამოსდგომოდა. მყის წამოიჭრა და წარუდგა.

თეოდოსის ახლადნაჩუქარი ცხენი წამოეცვანა, ვერაფრით დაურ-
ვებინა, პირგამზიდავი ლაგამსა და სადავეს ეურჩებოლქვა არ გაქვე-
ცა კიდეც. ქამანდი ესროლეს, ვერა და ვერა. მურვანი უმშებელ ტაქტის
ცხენით დაედევნა, გაღმოუხტა, სწრაფიდ რახტსა სწვდა, ელვის სის-
ტრაფით შემოახტა, შემოაჭენა ირგვლივ და თეოდოსის სრულიად მორ-
ჩილი მიჰვეარა.

თეოდოსიმ, აღტაცებულმა ამ საოცარი სისწრაფით, მურვანს იქვე
გადაუწყვიტა:

— შენ იქნები სარდალი სამეფო ჯარებისა.

მურვანი სახტად დარჩა. მეტად მოულოდნელი იყო მეფის გადა-
წყვეტილება.

იქ მყოფთ რომ უკანაც დაიხიეს საპატიო მანძილის დასაკავებლად,
სარდლის შესაფერი სალამი მისცეს და თვითონაც შესაფერი ხელის
აწევით, შემდეგ გულზე ხელის დადებით მიიღო მისალმება და შეფიქ-
რიანდა — სარდლობა მყუდროებასთან გაყრას ნიშნავდა, ყოველდღი-
ური საურავით ცხოვრებას.

სასახლე სასწრაფოდ ემზადებოდა სარდლად კურთხვის ცერე-
მონიალისათვის.

ახალმა მმბავმა უცებ შემოირბინა ქვეყანა. მურვანის მოსვლამდე
გაეგო ბურგაკასს მეგობრის აღზევება და ხარობდა. მითრიდატე ჩაფი-
ქრიანდა, ასეთი მოულოდნელი შემოტრიალება სასიკეთოდ არ მიაჩ-
ნდა, მას სულ სხვა ფიქრები პქონდა მურვანის მომავალზე, სულ სხვა
გზა განეჭერიტა მისთვის.

ავგუსტას არაფერი პქონდა საწინააღმდევო მურვანის სარდლო-
ბისა, ოღონდ ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო — მეფე და დედოფალი
საკითხს უმისოდ სწყვეტდნენ. გუნება ემღვრეოდა, ათასნაირი ფიქრი
ეჯარვოდა, მაგრამ ისეთი ცეცხლოვანი გამოხედვით და მრავალმნიშვ-
ნელოვანი ღიმილით დააგილდოვა სკარამანგიანი მურვანი, რომ დე-
დოფალმა ყველა მისი ჩხევა დაიხსომა, დაიხსომა ისიც, რომ მურვან-
მა თავი ჩვეულებრივზე დაბლა დახარა და უხერხულად გაიღიმა.

თორმეტი წლის ევდოქსიაც სულ მურვანის ირგვლივ ტრიალებდა,
ერთაერთ რაღაცას ეკითხებოდა, სახეში შესცინდა. დედოფალს ესეც
არ ეამა. უნდოდა დაპკვირვებოდა და თავის თავს გამოტყდომოდა...
უცნაური აზრები უელავდა და ფიქრების თავის ასარიდებლად სამზა-

დისით გართობას არჩევდა. მაგრამ დედოფალს უჩვეულო გრძნობა ეუფლებოდა — ყოველი უმნიშვნელო მნიშვნელოვანი ხდებოდა რატომლაც კრობოდა. მურვანიც დროდადრო უნებურად დედოფალს გახედავდა, მასში მაშველს ხედავდა. მეტ სავსეობას გოძნობდა, მეტ სიმხევეს და თურაცხელ მოლოცვებს სამძიმარუცხის მქონე ჭულობდა. და ეთხოვებოდა რა შეჩვეულ სიმყუდრტეს წარწუმების მომავალს ლიმილით ეგებებოდა და დედოფალს თვალს ვერ ამორებდა.

შევენებით ოლსაც ახალგაზრდა სარდალი სიახლისა და შინაგანი ცეცხლის ბრწყინვალებით თვალს სჭრიდა მანდილოსნებს და მხოლოდ მას, ვისაც არ აოცებდა და არ აცდუნებდა მისი გარეგნობა, შეეძლოდა და წმინდა ბუნება.

კველას მომხიბვლელი თვით მოუხიბლავი რჩებოდა. იგი მხიარული იყო მხოლოდ ვიწრო წრეში თავისი მეგობრებისა.

თეოდოსის თავი მოსწონდა თავისი არჩევანით და დიდებულნიც პმალობდნენ წყალობისათვის.

ხალკიდიან დიმების გალობით წმინდა სოფიოს ტაძარში კურთხევისათვის მიაცილებდნენ, შემდეგ სალოცავად წმინდა სტეფანეს ტაძარში, იქიდან სასახლეში მოელის ბრწყინვალებით სახეიმოდ.

დედოფალმა უცებ მოიწყინა ზეიმშე. შეიძლება იმიტომაც, რომ ავგუსტამ გადაჟარბა სითმამეს, თავის უპირატესობის გამოჩენით, მურვანის ყურადღების მისაქცევი ქილიკიანით. პავლინმაც, სასმელმა რომ საღერლელი აუშალა, ვითომ ხუმრობით, რამდენიმეჭერ გაიმეორა:

— ამიერიდან სახიფათო მდგომარეობა ექმნებათ როგორც მანდილოსნებს, ასევე მის მფარველებს და როგორ უშველის სასახლეს ჯარი, თუ მოსაგერიებელი გვეყოლება თვით სარდალი?

ეს კი იმ საიდუმლოების გაცხადებას ნიშნავდა, რასაც დედოფალი თავის თავსაც ვერ გამოტყდომოდა; მურვანიც შეშფოთდა, თუმცა არაფრით იმჩნევდა და კირთან ძალიან ხალისიანად საუბრობდა.

კირი პენტოპოლისელი იყო. თავისი გონებრივი კულტურით, ნატიფი გემოვნებით და მოხდენილობით, ერთი შეხედვით გამცნობდათ თავის სისადაცეს. პრეფექტის მაღალი თანამდებობა რომ მიიღო, მალე პრეტორიაც შემოიერთა და ახლა საპატიო კონსული და პატრიციია გამხდარიყო. თეოდოსი მასში ძველი აღთქმის კირს ხედავდა, დედოფალი — ბრწყინვალე სწავლულს, შესანიშნავ პოეტს, მურვანი კი — უბრალოდ კარგ მოსაუბრეს.

კირმა სასიხარულო ამბავი ამცნო — ფილოსოფიურ ცაში პალ ვარსკვლავს გაებრწყინა. დედოფალს თავის დაარსებულ სკოლებში მოეწვია და სულ მაღე კონსტანტინოპოლის ეჭვეოდა ათინელი ფილოსოფოსი პროკლე, ხმობილი დიოდორხოსად. მურვანმა იგრძნო, ჯვალი საოცნებოდ რჩებოდა ბევრი რამ ისეთი, რაც ჭერ, ჭრდებული გურია-სა-სა ადვილად ხელმისაწვდომი იყო. სამაგიეროდ მითირადა კურისა, იმედი მოეცა პროკლესთან უშუალოდ დაახლოვებისა. მურვანი კი ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა, დედოფალი მხედველობის არედან არ გასცლოდა, მას მფარველ ღვთაებად სახავდა, თუ მისი გარეგანი ბრწყინვალება თვალს აამებდა, შიგნით ჩახედვით გულს უნათებდა, მის წინაშე ქედს იხრიდა. ვეგუსტას შზერა აღელვებდა, სასმისიც თავის ძალას იჩენდა და გრძნობდა, როგორ სტოვებდნენ ფიქრები მარადიულზე. უცხო გრძნობები აღზნებოდათ მის შემხედვარე მანდილოსანთ — მათი სანდომიანი და გამომწვევი ღიმილიც შეუმჩნეველი არა რჩებოდა, მანდილოსანთა შემოსევა შემოტევაზე გადადიოდა. მურვანმა მოზიდა სადავენი, მაგრამ უხედნავი ვნებანი თავის ნებაზე წარიტაცებდნენ. ვეგუსტას სუნთქვა ბანგივით ათრობდა, ცდუნებით აღზნებდა, ყოველივე ეს კი აბნევდა, ვერ უძლებდა ვერც დახვეწილობას ეთიკეტისა.

რა ბედნიერი იყო ჭერ კიდევ გუშინ, ცის თაღებს რომ ელამუნებოდა, სიმსუბუქესა და სილალეს გრძნობდა. დღეს კი ყველაფერი და ყველა სე შეუბრალებლად ეზიდებოდა მიწისაკენ. ალმოდებული ჭანჩი ერტყმოდა და რით უშველიდა თავს, სად გაექცეოდა და ან ვის გაექცეოდა? ნდობით და ნდომით მისკენ რომ იწევდა, ვისაც სუსტ არსებად აღიარებდა! წლების მანძილზე ვერ შეენიშნა დედოფლის ნაკვთთა უზადობა, დღეს კი მისი ხმაც რომ აღელვებდა, თეოდოსის მნათი თვალები აურთობდა.

თავი მემკვეთ

და აგაპიტი

ბურგავასი კარგად იცნობდა მამა პასარიონს. ეს იყო ერთი ბედის მძებნელი, უხეირო ნარევი ჭახირი ერისკაცისა და თვალთმაქცი ქრისტეანისა. მასზე ამბობდნენ, მუწუკია ეკლესიისაო. მოწოდებით დალაქს, ხელობად მაინც მღვდლობა ერჩია, პატივიც უნდა დაემსახურე-

Ցենա, մաշրամ արց ույ հեցզենի ոսք, ցդոյթը, սամպարոս յանտենմու-
յրեծա տացուտացած ֆարմօքմենոլոցու, կը մարութած սբամբա, հոռի մաս-
նուրեծա սմալլեսո յանցեծած, ընտանի մասունք մասունք ուժու-
ծութա, հոմ մուսո արևեծու, հոգորու սմենունելո վեռուղեծա մո-
լուսո, Մեսամինեցո, մուտ շուրո մենունելոցանո յուգությունուկ շամբար-
սաւուս լա մոյսուի ծառու, տացուսո პորութա սոամոցությունուկ յութու-
հութա; մշուլուս ծառուս յասամաշրեծլած սաշույտուսո սաշմելութիւն եց-
լունցնեծութա; մշզենուր ուրուցլասաւուս լա-մոնծա յեցուուր լա մա-
րագունու յարուցունոս մուսամոցութա յուլանուտո, ամծոնթա.

Ֆածլատմունո ուրուցլա սայրեծուլո բամարթի մցալոնծլած ուլցա.
Ցուրցայսոս մուսո յալութածեցա մինչեսացու յումունցեծութա յուլիւ, մուս
մունցունցարյ ալյորսս յարմենութա, ալո լուսարյ յանտուսա սբությունութա, չըր
մորլունցած երութա տացս, յայտութան յանցեցացա եռլմի, յորտ լուս կո
նայուրությունու մոսեցա յուլիւ. ուրուցլամ մուս մինչերաս լումուլո յեց-
ցեծա լա ծուրցայսոս շամբա յութելո բայցութա. ալար ուլցա ծուրցայսո բա-
մարթի սալուցուած, ցուտարու ուսաց նեարայութ յեսախուրացո, հոգորու
մշունցանո յութութա եռլմի, ոց մորությունուլո ուրմուցու մուսիկարութա
բամարթի լա եանծած յիշայութութա յալունծաս, բուլս ար ուդեծլա մցա-
լունծլութս, մուսո մոմանուլո յցըլանո յամուրիկութա, յցըլաս յուրագ-
լութս օպյուրութա.

յալո կո մարտլաւ յեմկուլո յուցլուտա յետուլուտա, նուռնուսա լա
նուռմուս ալմերուլո, սոյցարուլուս ալմուրթի յանցեցուլո յամաս ամարո-
նուրեծիթա, մուսո մոտերամոտերայ մալալ բարմունունի մերույցլութա.
ու յարմենութա տացու լուրսեծեցի լա սամարտլունունաթա մայունծլա.
ու յարմենութա ուրուցլաս լուս մուսո սոլոմանիս ջարո յալո ար ճայուրութութա լա,
ուրուցլաս հոմ լունցեծի յեշուայլութութա, ալար ուրուցլաս յանցութիւնութիւն ու
հութիւնութիւն յու սուրութա, նաճաճիս — մուլցարյս ու նուսունս — մլյուզա-
րյս.

ծուրցայսմի յորտ լուս ուրուցլաս յուլար յայումլո լա ձասարունս
յամուցեծած սախլթի.

— մամա ձասարունս յանցնութա յանցնութիւն, ամ սայցուր-
յըլս արայուրո յմալութա, ատուրտան մոնճա մոմեսբայլոս. մեց ոյզենսա-
ցու լումանի ճախոնությունո մայցու ճաթույցեցուլո իյմես յայցանամի լա նու-
լացեցլու համ սաշույտուսո յնճա յայցիայնո.

յեսուց ծուրցայսոս, սբությունու ամ սուրույցեծութ ճանիշու յատո նայունութ-
իթ, ամ սուրույց մուրունա մաս յամարչցեծա, հանչեց ուրուցլութա լա մեծու-
ցու արա մյունթա, հագցան ուրուցլա, յուլլուս մամայու ենուրաթ տացմու-

წონე მანდილოსნებში საბურთაოდ ქცეულა; მაგრამ დღესაც, როდესაც ასე ჩაკვირვებით და უკვე გონების თვალით ყველაფერს-გატარდოდა, უკვირდა, რამ ათქმევინა ასეთი სიცრუე. თეოდულის ჭი „ლამაზი დაწინდულის“ ხსენებამ ყველაფერი დაუკიშყა, არ გვიდოდა დღე, მისი „ლამაზი დაწინდული“ არ გაეხსენებინა. არ იყო ჩვეულების ჭი დაწინდული მისი თანდასწრებით ვისიმე სილამაზის აღიარებას და მისი გრძელებას მხოლოდ თავის თავს აძლევდა, ისიც იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ მისი შეუდარებელი სილამაზე აღენიშნათ და მისი საონოებაც არ დაევიწყათ, რისთვისაც იღვწოდა.

მაშინ სახეზე წყენა არ გამოუშეურებია, მხოლოდ დაკვირვებით ჩახედა ბურგავასს სახეში და იზრახა:

— და ალბათ, შორიდან კიდევ უფრო ლამაზად ვეჩვენებათ.

მხოლოდ მერე მიხვდა ბურგავას, რომ ამას იმ რწმენით ამბობდა, რომ ვაյი აუცილებლად იტყოდა: „თქვენზე ლამაზი ქალი ხომ შაინც ვერავინ იქნება“-ო, რადგან თეოდულამ ბურგავასისაგან პასუხი ვერ მიიღო, ისევ გაუმეორა: „ალბათ, თქვენს დაწინდულზე უფრო ლამაზი არავინ შეგხვედრიათ“-ო. მაშინდა მიხვდა ბურგავას, რომ თეოდულას გულს ბავთად მოხვედრილიყო „ლამაზი დაწინდული“ და პასუხად დუმილი არჩია, ამ დუმილმა კი თეოდულა საბოლოოდ დაამარცხა.

ერთხელ კინალმ გაბრიყვდა ბურგავასმი და გადასწყვიტა თეოდულასათვის ელიარებინა, რომ „ლამაზი დაწინდული“ მოგონილი იყო. მაგრამ როგორც კი შეემზადა აღსარებისათვის, თეოდულამ სმენად არ იღო. ხოლო როდესაც ბურგავასმა თქვა: „ჩემი დაწინდული მორწმუნე არ არის და შესაძლოა აღარც ვახსოვაო“-ო, თეოდულა კმაყოფილი დარჩა მორწმუნეობრივი უპირატესობით, თავის თავისადმი პატივისცემით განიმსჭვალა. ბურგავასმა ისიც დასძინა, რომ უცხო ხილს ის თავისებური სურნელება და გემოვნება აქვს, რასაც ვერაფრით ვერ შესცვლი და ამ დღიდან კი დაიხსომა, რომ საჭიროების დროს „ლამაზი დაწინდული“ არ დავიწყებოდა.

იცოდა ბურგავასმა, რომ თეოდულა და აგაპიტი მამა პასარიონისა იყო, მაგრამ ერთ საკანში რა ნახა მღვდელი და ქალწული, მაანც ეჩოთირა. კედლებზე ქალების ქამრები, მოსახვევები, კუთხეებში საბეჭდავი, სართავი ჭარა, თითისტარები, საფეიქრო დაზგა, კალათები მატყლისა და სელის მარაგით, სავარცხლები, საჩეჩლები და მხოლოდ სადღაც კუნცულში თვალი მოპერა ღვთისმშობლის ხატს.

მეზობლები მორბოღნენ ღიასახლისთან სამუშაოდ ან სალალობოდ, გაისმოდა ყურს ასარიდებული სიტყვები, მას მოჰყვებოდა ახი-

რებული სიცილი, მღვდელი მონაწილე იყო მათი მხიარულების, ის ყველაზე მეტს იცინოდა, ყველაზე ყურებდაცვატილი აყო, ყველაზე უკეთ მსჯელობდა მატყლის ხარისხზე, ნართის ლირსებაზე. მავნეერ და აგაპიტს კი ყველაფერი ეს ნაკლებად აინტერესებდა. მას შეცხო ყრმა უფრო იპყრობდა, მღვდელს თითქმის ვეღარც მოწირდა, რომელიც ციმციმ გარბი-გამორბოდა.

ყველაფერი ეს დიდად ვერაფრით შეუწყობდა ხელს ხსნის საქმეს, მაგრამ ბედნიერი იყო მამა პასარიონი და რამდენად მყარი იყო მისი ბედნიერება, ამაშიც ბურგავასი მალე დარწმუნდა, როდესაც პირველად შეეხო თეოდულის თბილსა და ჩბილ ხელს და თანაგრძნობა, განუმეორებელი სიამე, სითბო და სურნელება აკრძნობინა.

ახსოვს მათი საუბარიც როგორ აეწყო:

— თქვენც თუ ისეთი სანაქებო ხართ, როგორც თქვენი უფლის-წული?! — აზრაა გამომწვევი სიკეკლუცით თეოდულამ.

— უფლისწულივით სანაქებო ვერ ვიქნები და თავის ქებითაც არა მგონია, რომ მოგეწონებით.

— ლოცვისას კი წმინდანივით გამოიყურებით, — ისევ თქვა თეოდულამ.

— ლოცვა მიყვარს, არც მარხვას გავურბივარ, მაგრამ მუდამ იმასა ვფიქრობ, ერთხელ ვცხოვრობთ და რატომ უნდა ვთქვათ უარი ქვეყნიურ სიამეზე. ლოცვისას ჩემი ფიქრები სადღაც შორს გარბიან ტაძრიდან. მაინც ვერ გამიგია, რისთვისაა საჭირო ყოვლის შემქმნელისათვის, რომ მე უარი ვთქვა მაგალითად ლამაზ ქალთან მეგობრობაზე...

— თქვენ არ გითქვამთ უარი, ლამაზი დაწინდული გყოლიათ, — შენიშნა თეოდულამ.

— ო, დიახ, მაგრამ.. — ახსოვს, აქ დაება ენა, მაგრამ მამა პასარიონი ჩაერთო საუბარში და მან იხსნა. გრძნობდა ბურგავას, რომ პასარიონს ცალი თვალი და ყური მათქენ ეჭირა, ამჩნევდა თეოდულა, ჩვეული თავდაჭერილობით არ ემუსაიფებოდა ბურგავასს.

— ყველაფერ ამას ჩვენთვის აქვს მნიშვნელობა და არა განგებისათვის; მარხვაც და სიამოვნებათაგან თავის შეკავება ჩვენ ცოდვათაგან გვიფარავს. მამათა განმარტებებს არ ჩაჰვეირვებიხარ...

— თუ ღმერთმა მოისურვა შეედგინა წიგნი კეშმარიტების შემეცნებისა, იგი ამ წიგნში მოათავსებდა ყველაფერს, სულის ხსნისათვის რაც საჭიროა, ხოლო მისი გაფება ლვთის ბოძებული გონების საქმეა, რომელიც თავის საჭმარისი ყველას გაგვაჩნია, — ასე თამამად შეეპა-

სუხა მაშინ ბურგაფასი პასარიონს და თეოდულის კრიალა თვალების
ბრწყინვალებაში მოწონება ხვდა წილად.

პასარიონში კი არ მოუწონა:

— ეს განმარტებები ჰაიპარად კი არ არის შედგენილი, არაედ
დიდის რუდუნებით, ბრძნულის მოსაზრებით... 

მაგრამ აქ თეოდულამ, სიყმაწვილის ჯანსაღი ნიუფლურუსტრუ
ჰიტენოდა, სიტყვა აუკრა:

— მე იმის ძალაც კი არ შემწევს, რომ ვსოდვა, არის ღმერთი და
ვერ გავძებავ იმის თქმასაც, რომ ღმერთი არ არის...

— ვშიშობ, თუ მის უსაზღვრო სრულყოფის სილრმეს გამოვუდ-
გებით, — წაეხმარა ბურგაფასი, — არ გვეყოფა აღამიანური ღონე და
ვერ გადაცურავთ მის მაღალ ტალღებს.

— მე ხშირად ისიც მიფიქრია, — აეწყო თეოდულა, — რამდენია
ჩემისთანა და რომელი ერთს უნდა მიხედოს ღმერთმა...

— კაცისათვის შეუძლებელი, ღვთისათვის შესაძლებელია, — გან-
მარტავდა პასარიონი, — ვით წილოვან დედაკაცს, უნდა გჯეროდეს,
რომ გისმენს უფალი.

— უნდა მჯეროდეს, მაგრამ არა მჯერა. რამდენი ღირსეული აღა-
მიანია ამ დროს მავეღრებელი და რაღა მაინცა და მაინც მე მისმენ-
დეს. რამდენი რამ მითხოვია კიდეც და არ შემსრულებია.

თეოდულამ თავისი გულუბრყვილობით, სითამამით, საბოლოოდ
ძოაჯადოვა ბურგაფასი. პასარიონი კი თავს ვეღარ იკავებდა, უკმა-
ყოფილებას თვალების ტრიალითო რომ ამხელდა, ახლა ხმაც
აუწია:

— ეს იმიტომ, რომ ვეაქლია მედგრობა, ცოდვილნი ცოდვის შენ-
დობას კი არ ვეძიებთ, სხვა რამ წყალობას გამოვითხოვთ. მოვალი-
სათვის ვალი თუ არ გადაგვისძია და კვლავ მიესულვართ სასესხებ-
ლად, რა მიგვიღია? უარი. ჭერ გული გვეწმინდოთ ცოდვათაგან, შემ-
დეგ ვითხოვთ მოწყალება. შეიძლება შენ ისეთ რასმე ითხოვ, რაც
შემდეგ სანანებლად დაგრჩება, ეს იცის განგებამ და არ შეგისრულებს
შენსავე სასარგებლოდ, არა გვაქვს სასოება, ქანანელი დედაკაცი არ
გვანსოეს...

სჩანდა, თეოდულას მობეზრებოდა მისი ქაღაგება და ნიშნის მოგე-
ბით წარმოთქვა:

— მე კი მიყვარს ფრინველები და არა ნაკლებ მათი ჭამა, მიყვარს
ლოცვა და არა ნაკლებ მლოცველი, — და ახლა პასარიონშაც რომ სი-
მორცხვით გახელა, მაღლიერმა მლვდელმა შევებით ამოისუნთქა.

თეოდულამ კი თავი ვერ შეიცავა და ბურგავასს მაინცა ჰქოთხა:

— ტაძრებიც ალბათ თქვენი სჭობია, როგორც თქვენი ლიმაზი ქალები ჩვენა გვჯობიან.

ბურგავასს მართლაც ერჩივნა თავისი პატარა ტაძარი, თავის სიმ-შვიდითა და მყუდროებით, მათ ვეებერთელა ნაფერმეტების „შემო რომ ხმაურით ავსებდა და ისევ ძლიერმა გრძნობაში მისწერების მოაფიქრებინა — მდუმარე ღიმილით თავი დახარა... სულ მალე კი ბურგავასისათვის თეოდულა თეოდ იცია. არწივის მართვესავით გა-ლალებული, ფრთაშემართული, მსუბუქად მიძქროდა გულის სწორი-საკენ. თითქოს განძი ეპოვა უჩევეულო და კიდევ და კიდევ ცველაფერს თავიდან დაუყვებოდა მოვონებით.

ბედშავი მღვდელი კი რას არ იღონებდა, რომ თეოდულას გული მოეგო! როგორის სიფრთხილით ზრუნავდა თეოდულას სამეცაულისა თუ ჭურჭელისათვის, მთელ დღეს გარბი-ვამორბოდა, დაძრწოდა: ოქრომჭედლიდან — ათირთან, ათირიდან — ქსოვილების გამყიდველ-თან, მეწალესთან. ვაჭრობაში ყოველგვარ ხრიკებზე მიდიოდა, რო-გორც ყველაზე გამოქნილი მყიდველი; დუქნიდან დუქანში, ფარდუ-ლებში ტრიალებდა მისი სული. მასაც, ალბათ, ნაპოვნად მიაჩნდა ეს ძვირფასი განძი და სულ იმის შიშში იყო, პატრონი არ გამოსჩენო-და; თეოდულასაც ხშირად გამოუტყდებოდა: „ვშიშობ, არ დაგკარვო, უშენოდ ჩემი არსებობა წარმოუდგენელია“ და აი სწორედ მაშინ აფიქრებინებდა თეოდულას, რომ გარდაუვალი იყო იგი პასარიონი-სათვის, მაგრამ მასთან განშორებაზე და, მით უფრო, მის არყოფნაზე ვერ იფიქრებდა თეოდულა. ღმერთს პასარიონისათვის დღეგრძელო-ბას ევედრებოდა, ღმერთიც პირმოთნე ლოცვას პირნათლად უსრუ-ლებდა და პასარიონი უკვდავად გამოიყურებოდა. თეოდულას სიძულ-ვილი კი დღითიდღე იზრდებოდა და მის ლამაზ თვალებში მუქარა გაანათებდა ხოლმე, როცა მონაზენად აღკვეცის სურვილს გააცხა-დებდა.

ბურგავასი მჩნევდა, მამა პასარიონი მის დანახვაზე როგორ წა-მოიწყევლიდა ხოლმე, მაგრამ მაინც ებრალუოდა სახეგადაწირული მღვდელი, თეოდულას მოლოდინში ეკლესიის შესასვლელთან რომ ყიალობდა, თეოდულას წინ გაუძლვებოდა, რომ გზა მიეცა ბრბოში. ხედავდა ბურგავასი, როგორ იწვევდა მღვდელი საერთო ჩუმ ღიმილს და თვითონაც ეღიმებოდა, სირაქლემას რომ ადარებდა კამილაფერასა და ანაფორაში თავმომწონედ გამომზერალს.

ბურგაფისი კლიროსთან იდგა, რომ თეოდულა უკეთ დაეწია. ისე გაწაუულიყვნენ მუნჯ საუბარში, უბრალოდ წარბის აწევა, პაგეთა ოდნავ შერხევა თუ შემართება, მთელ საუბარს გადააძამია. თეოდულას საოცრად შევნოდა გალობა და იმ წუთებში ბურგაფისი ფიქრები კადევ უფრო ბიწიერი ხდებოდნენ. მოახლოვდებოდნა! ასე ჭუაბი საიდუმლო ზიარებისა, პასარიონი ბარძიმ-ფეშეუმს მდინარეულებისა ექნ მიაპყრობდა, თვალთახედვა კი თეოდულასაკენ იყო გულხარბისა. ბურგაფის კი თავი უღირსად მიაჩინდა, თვალი გაესწორებინა წმინდა სანაცილესათვის, ვერც ღვთისმშობელს უმაგრებდა თვალს, თითქოს ყოვლადწმინდა ქალწულის მიმართ აღძროდა ვნებათა ლელვა, მაღლით ქრისტე მაცხოვარი დაჟყურებდა და, ვერც მის ნათელ სხივს უმართავდა მზერას.

პასარიონსაც ეწადა თვალებით გამოსაუბრება თავის ქალბატონთან, სახე მისკენ მიექცია, მაგრამ იღუშებოდა, ვერ იჭერდა თეოდულას თვალთახედვას, მღვდელს სიბრაზე ყელში ეჩრებოდა, ბარძიმით ხელში ნაბიჯს ვერ სძრიელდა.

თეოდულა პასარიონს სახლში მოსვლას აწრებდა, ტაბლას ვაშლილს დაახვედრებდა, ჭარბად ყურადღებიანი ამბორს უყოფდა, კმაყოფილი იყო თავისი გონიერების — ცოდვისათვის ძილის გატეხა არ ლირდა, ამასთან, ღამე მეტ სიფრთხილეს მოითხოვდა, დღე თავის მართლების მეტ საბაბს იძლეოდა, პასარიონის დაწმუნებაც არ გაუჭირდებოდა, რომ მარხვისა და ზიარების მსხვერპლისათვის სიწმინდის დაცვა ვის, თუ არა სასულიერო დას, დაშვენდებოდა!

პასარიონი კი თეოდებდამტვრეული პირუტყვივით ღონილებდა. გულისა რომ შეეშინდებოდა, თვალს უჭერიდა, ზედმეტ შეკითხვასაც ვერ გაუბედავდა, თვემოყვარე იყო გრძნეული და იჭვის გამოთქმა აჯანყებას უდრიდა. არა და, გათავდა კაცი სევდისაგან, აშკარა იყო, ქალი ის ადარ იყო, რაც იყო, მისი ყურადღება და უყურადღებობა ერთნაირ საგონებელში ავდებდა.

ბურგაფისი ყველაფერ იმას ცხადლივ ხედავდა და თეოდულასაგანაც ბევრი სმენოდა. მიზეზს თავის თავში ხედავდა, ფიქრობდა, პასარიონის ცოდვით ის ხეც გახმებოდა, რომლის ჩრდილშიაც მოისვენებდა. ფიქრობდა: როგორც ხელი კაცისა პირს არ უმტყუნებს და ნაცვლად პურისა ქვას არ მოაწვდის, ასე ერთი კაცი მეორეს არ უნდა უმუხოლებდეს. „რამეთუ ვართ ურთიერთარს ასოებ“. გრძნობდა იმასაც, რომ ეს არ იყო იმ წარმავალ გრძნობათაგანი, რომელსაც ისევე მაღე ივიწყებენ, როგორც აღვილად მიენდობიან. შთაბეჭდილებები

არ ქრებოდნენ, ჭრილობები არ ხორცდებოდნენ და მას სხვა ახალი არ იზიდავდა.

დამძიმებული ფიქრებით თუ განცდილით ისევ მურვანთან ეძებდა შვებას, იგი აღამიანის აზრების გამართლებას პირად, ცხოვრებაში ხედავდა, მისი პირადი ცხოვრება კი მის აზრებსა, და, შემოწმებებს არ ამართლებდა. მურვანს თავის ამბავს სხვათაშორისაც, სხვისგან გავონილს, სხვის ამბად მოუყვებოდა, მურვანიც ასე პასუხობდა:

— ის საცოდავი მღვდელი ყოფილა ლომი — ფაფარდაჭრილი, კბილებდაცვენილი, ბრჭყალებდამძვრალი, რომელიც უკვე არ არის ლომი.

თავი მეშვიდე

ნესტორიონი

გარდაიცვალა პატრიარქი სისინი, რომელზედაც იტყოდნენ თევზის მრავალსიტყვაობას და ბაყაყის მხურვალებას ორატორულ ხელოვნებაში. სნეული იყო ძველი ჭირკი. დიდად არ უგლოვა პამბოს. მისგან კარგი რა გაასხენდებოდა — სისინი იყო პამბოს მონასტერში რომ უპირებდა გაწესებას, სისინის წყალობრ იყო სამეფო ქალწულთა მონაზენებად აღკვეცა.

სისინის ერთადერთი დამსახურება იყო პროკლეს ეპისკოპოსად კურთხევა. პროკლე სისინის მაგივრად წარმოსთქვამდა ქადაგებებს, მიჰყავდა წირვა და ითანე ოქროპირის ისედაც სახელოვანმა მოწაფემ კიდევ უფრო დიდი სახელი მოიპოვა.

სისინმა როგორც კი დახუჭა თვალები, მრავლად წამოიჭრნენ ულირსი პრეტენდენტები: მისი შემყურე ბევრი გათამამდა, საპატრიარქო ტახტის დასაუფლებლად ლირსებებზე აღარ ზრუნავდნენ, არ თაკილობდნენ ამომრჩეველთა მოსყიდვას, ოქროს უხვად აბნევდნენ და არჩევნებს სამარცხვინო პირი უჩანდა. სამეფო კარი შეფიქრიანებული იყო, საიმედოს მათში ვერავის ხედავდა. გადახედეს წირსულს — წინამორბედთ ასეთ შემთხვევაში საპატრიარქოდ ითანე ოქროპირი ანტიოქიიდან გამოეხმოთ. მათაც გახედეს ქვეყანას და რა გაუსწორეს თვა-

ლი ანტიოქიას, დააცემულდნენ ნესტორიოსს, რომელიც იმ დროს მცენერ-მეტყველებით სჭექდა და ქუხდა. მართალია, ნესტორიოსის გამოხმობა სპატრიარქო ტახტზე სახელმწიფო გადატრიალებას უდრიშა, მაგრამ ორი ბოროტებიდან: არჩევა კანონიერად და ულიტოსია, თუ არჩევა უკანონოდ და ღირსეულისა, უკანასკნელი იმუჩენებულობის ფრთხილი იყო და ეიდრე თვეის საბოლოო სიტყვას ქრისტიანული და რჩევა მიეღო ღვაწლმოსილი სასულიერო პირისაგან, მხოლოდ ისე, ავგუსტის არა სცოდნოდა. არ უყვარდა ავგუსტის სხვისი და, განსაკუთრებით, ბერების რჩევები, როდესაც საკითხს თვითონა სწყვეტდა.

ლამით, ქალაქის კარიბჭესთან, მონასტერში თეოდოსი არქიმანდრიტ ავგასთან მივიდა.

ავვა ბერების იმ მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც შედიოდნენ რა მონასტერში, ფიცა სდებდნენ, არ გამოვიდოდნენ იქიდან სიკვდილამდე. თეოდოსი, ყოფილი დიდი მხედართმთავარი, ერთ დღეს, გაუბედურებული მიწისძვრითა და ცოლ-შეილის დაღუპვით, უკვე ორმოცი წელია ლეთის სამსახურში იდგა. სწავლული და გამჭრიახი, ბრძენი მრჩეველი, საყოფაცხოვრებო საკითხებშიც შორისმცვრეტელად ითვლებოდა, მისი რჩევები ლამის განვების განცხადებად მიაჩნდათ.

ავვა თეოდოსის დანახვამ უზომოდ გაახარა, სიხარულისა და სევდიანი მოვონებების ცრემლი აღინა. მიხვდა, თეოდოსის მხოლოდ გაჭირვება მოიყვანდა; მზად იყო ყოველგვარი სამსახურისათვის და რა გაიგო მოსვლის მიზეზი, შედრეა:

— უარი, გადაჭრით უარი უნდა თქვას არჩევანზე. ნესტორიოსი ისეთ ქარიშხალს გამოიწვევს, დიდხანს არ დაცხრება. შორს წასვლა რად გვჭირია, განა ჩვენს გვერდით არ იმყოფება არქიმანდრიტი პროკლე — მოწაფე იოანესი, განა პროკლე ყველა ღირსებით არ არის შემჯული?

თეოდოსი გააოცა თავისმა სიბეცემ, მართლაც და, როგორ გამორჩია ყველას პროკლე, როგორ არავის გაახსენდა.

— ეს იმიტომ, — ამბობდა ავვა, — რომ მან თვითონ არ გაგახსენათ თავისი თავი და მისი სიმღაბლე კილევ მეტ სიმაღლედ უნდა დავაფასოთ.

თეოდოსიმ გაიხარა საქმის ასე მარტივად მოგვარებით. ახლა მხოლოდ ისლა აღონებდა, როგორ გაეცხადებინა ეს მოსაზრება. ჭერ კიდევ ფიქრების ხლართში იყო გაბმული, რომ სასახლეში დაბრუნებულს პრელექტო ეწვია ხელმოსაწერად გამზადებული სიგელებით.

თეოდოსიმ სცადა სრულუფლებიანი ბაზილევსის სახე მოეღო:

— ეგზომ დიდი საკითხის ასე ნაჩქარევად გადაწყვეტა კოტა არა მოვციტანს, — დინგად თქვა.

— მგონი, საქმიოდ დიდ ხანს ვიმსჯელეთ, — არ აცადა პულქერიამ, — აწყვო გადავსინჯეთ, წარსულიც დავიმოწმენ სრულ შესრულება საიდან?

— მამაჩენის დრო სხვა იყო და ითანესაც სულ სხვა სახელი მოეხვეჭა. ნესტორიოსი არც ისე საიმედოდ გამოიყურება, ამასთან უცხოს, მოსულს მაინც ყველა მტრულად დახვდება, ყველა მის საწინააღმდეგოდ გაერთიანდება და ჩვენივე თავშისაცემი გახდება.

— ეს შენი აზრი არ არის, — აილეწა ავგუსტა.

— შენ არც კი გრძნობ, რომ შეურაცხყოფას მაყენებ, — გაბედა თეოდოსიმ.

— თუ ეს შენი აზრია, — დაუწია ხმას ავგუსტამ, — მაშინ უნდა თქვა კიდევაც ვინ შეიძლება ავირჩიოთ.

— უბრალოდ, არც შენ გაგახსენდა, არც მე, ბერების ყიუინმა ყველა დაგვაბნია. ამა გაიხსენე, ვინ გამოგვრჩა, უკვე დამშრი თანაგრძნობით გახედა თეოდოსიმ.

— არც იმდენი არიან ლირსშესანიშნავნი, რომ ვინმე გამოგვრჩენილა, — მაინც გულარძნით თქვა ავგუსტამ.

თეოდოსიმ თავი ვეღარ შეიკავა და წასჩურჩულა:

— პროკლე, არქიმანდრიოტი პროკლე, ითანეს ლირსეული მემკვიდრე! წარმოიდგინე, რა შესანიშნავი იქნება. — ეს წარსულსაც ამართლებს, აწყვოში მას ბადალი არა ჰყავს და მომავალიც უზრუნველყოფილი იქნება კანონიერებით, — ამბობდა თეოდოსი და ხმას დაბლა სწევდა, ავგუსტას სახეს რომ ხელავდა. დაეჭვდა საყუთარ თავში, პროკლეს ლირსებებშიც. ავვას წინასწარმეტყველებაშიც.

ავგუსტა სწორედ იმიტომ ჩქარობდა, რომ არავის გახსენებოდა პროკლე. პროკლეს — ითანესნაირ სალ კლდეს, იგი თავის ჭკუაზე ვერ ატარებდა, ვერ აიძულებდა გაჩუმებულიყო იქ, საღაც პროკლე მხილების გადაწყვეტდა. იგრძნო, რა თავისი გავლენა თეოდოსიზე, მრავალმნიშვნელოვანი ლიმილით, გაკვირვებულმა თქვა:

— რამ მოგაფიქრებინა, ან ვინ გირჩია? სჭობს, ხელს მოაწერდე დროზე, თორემ თუ გაიგეს, ვისიმე აზრს ანგარიშს უცწევთ, ისეთს აგვარჩევინებენ, რომ სისინი სანატრელი გაგვიძება, — და ამდენ ხანს ფეხზე მდგომი, სავარძელში ჩაესვენა.

მაშინ კი თეოდოსიმ პირდაპირ უთხრა:

— ავვა დალმატიმ გვირჩია, ავვამ. ავვა წინააღმდეგია ნეკორიოსია.

ავვას ხსენებაზე ავგუსტა წამოვარდა. სახე მძულვარებით აესა. მზად იყო, იქვე ეთქვა უარი საერთო მმართველობაზე, რაც იმავე დროს სიცოცხლეზე უარის თქმასაც ნიშნავდა მისთვის! დადგმატუ-მიას სძულდა. სძულდა იმისათვის, რომ ავვამ ოდესლიც მისილებისა, უთხრა: „სჯობდა, უქორწინების ფიცი არ დაგედო, ნაკლებს შესცოდავდიო“. როგორც სინათლე ავადმყოფ თვალთათვის, მტკიცნეული იყო დალმატის სიტყვა, მით უფრო, რომ მისი სიტყვისა ყველას სჯეროდა.

— ჩვენ დღე და ღამ თვალს არ ვაშორებთ ქვეყნის ვითარებას, — დაიწყო ავგუსტამ, — და გვიჭირს მაინც მისი გაძლოლა. ბნელ საკანზე გამოკეტილმა რანაირად უნდა გვიკარნახოს? მას დიდი ხანია ქვეყანასთან გასწორებული აქცის ანგარიშები და ჩვენ დავვეხსნას. ცოცხალი თუ იყო, არც ვიცოდი. იქნებ მას თვითონ სურს პატრიარქობა სამარის კართან მდგომს. შევეხვეწოთ, რა ენაღვლება, ტვირთი ხომ მაინც მე უნდა ვზიდო! — შეატყო რა, რომ თეოდოსის სახეზე წუხილი ალიბეჭდებოდა, ვიდრე მოსალოდნელი უგულვებელყოფა, თავის მრავალ ნაცად ხერხს მიმართა. ხმას დაუწია, სატანისებური ლიმილი აკრა და თქვა:

— მე უარს ვამბობ საერთოდ მმართველობაზე. მეუდაბნოეს მიანდვეთ ეკლესიაც და სახელმწიფოც, ის ხომ წინასწარმეტყველია! იქნებ დედოფალმაც თქვას თავისი სიტყვა, ანგარიში მასაც ხომ უნდა გავუწიოთ!

თეოდოსი მზად იყო, თვით აეღო ხელი ყველაფერზე, ოლონდ ეს ჯანყი მის სახეს ჩამოსცილებოდა: ვერ წარმოედგინა, თუ პატივმოყვარეობისა და წვრილმანი ანგარიშებისათვის ავგუსტა ყველაფერზე ხელს აიღებდა. მის მმართველობას ისე იყო მიჩვეული, რომ საქმეებიდან მისი ჩამოშორება უფსკრულში ჩავარდნად მიაჩნდა. მუდარით ხელი გაუწოდა, არ გაეწირა ქვეყანა, და ხელიც მოუწერა.

— შენს პასუხისმგებლობაზე იყოს, — თქვა და დარბაზიდან პირველი გავიდა.

დიდ ვაუკაცობად ჩაეთვალა ეს თეოდოსის. ავგუსტა არ იყო ჩვეული ასეთ უპატივცემლობას და სხვა დროს ასეთი კილო თეოდოსის ადვილად არც ჩაუვლიდა, მაგრამ ახლა ეს გამარჯვებასაც ნიშნავდა. მაცნენი აფრინა ნესტორიოსის მოსაწვევად. შეუთვალი, რაც შეიძლე-

ბა სასწრაფოდ ჩამოსულიყო. სასახლე და საპატრიარქო კი შესაფერი ცერემონიალის მომზადებას შეუდგა.

მოულოდნელი იყო ნესტორიოსისათვის პატრიარქობა, მაკომი გავის თავში დარწმუნებულმა უმალ შეიფერა. მასთან, საჭიროდ სკრო, თავის მეტად დასაფასებლად ეყდევინებინა ქალაქის ქავების კეირის სავალს სამი თვე მოანდომა. გზად მაპსუტების უძინესი ქავების მიერთოდა და სახელგანთქმულ, უკვე ღრმა მოხუცებულ-თან, რათა მიეღო მისი რჩევა-დარიგება.

თეოდორე დამოუკიდებელი გონების ადამიანი იყო, იგი გაბედუ-ლად ედავებოდა ხორცშესხმის დოგმატს და ამბობდა:

„...უგუნურებაა მტკიცება იმისა, რომ ღმერთი იშვა ქალწულისა-ვან. არა ღმერთი, არამედ ტაძარი, რომელშიაც იმყოფებოდა ღმერ-თი...“ გონება ცოდნის იმ სიმაღლეზე აზიდულიყო, რომ ცოდნა არ-ცოდნად ეღიარებინა.

მაგრამ ნესტორიოს, გატაცებულს თავბრუდამხვევე წარმატებე-ბით, უნდოდა გაეოცებინა მთელი ქვეყანა ახალი სიტყვით. და თუ ყვე-ლაშე გაბედულ პატრიარქს ითანხს, რომლის სიმაღლე მას ადაბლებდა, კეშმარიტების სისადავეს უქებდნენ, ნესტორიოს უნდოდა გაე-შიშვლებინა საიდუმლოება, რომელიც აწმენას მოეცვა.

„ვინ შეა ქალწულმა მარიამმა: ღმერთი თუ კაცი?“ — ფიქრად ჰქცეოდა ნესტორიოს და ისე მოელწია სატახტო ქალაქისათვის, ვერ შეემჩნია. ქალაქი კი მოუთმენლობით ელოდა, ყველაფერი საგანგი-ბოდ იყო მორთული.

კეისრის დიდ ბაზილიკაში იკურთხა ნესტორიოსი პატრიარქად.

ნესტორიოსი არ იყო უფერული ატიკი, არც სნეული სისინი, მაგ-რამ რით იყო მათზე უკეთესი? — ახლა მოქიშპე პრეტენდენტები თა-ნაგრძობით გაერთიანებულიყვნენ და ნესტორიოსის ყოველ მოძრა-ობაშე ერთმანეთს უცქერდნენ, მოუთმენლად ელოდნენ ახალი პატ-რიარქის საკორონაციო სიტყვას, რომელსაც გასაკიცხს უსათუოდ გა-მოუნახავდნენ.

მეფეური შეხედულება, ფერმკრთალი სახე, ნათელი და ღრმა გამო-ხედვა, ხმის თეატრალური დიდებულება, სავსე ულერადი ხმა და ბუ-ნებრივი ნიჭი სიტყვისა, ყველაფერი ის, რაც ყველა დროში აღიარე-ბული იყო ორატორის კუთვნილებად, ნესტორიოსისათვის ბუნებას არ დაეშურებინა. მჭიდროდ ჩამჯდარი თავსაბურავში და კვერთით ხელში, ნაპერწკლებს აბნევდა. იმ ნაპერწკლებმა კი ივეუსტას გულში მყისვე ვნების სახმილი შეანთო. ცოცხალი, მოძრავი პატრიარქი დაუ-

ლეველი ნდომის სურვილს იწვევდა. ავგუსტა გამარჯვებას წინაშე არ
ზეიმობდა, ეს პავლინზე შურისძიებაც იქნებოდა.

„იმპერატორო, — მიმართა ნესტორიოსმა თეოდოსის, — მომეცი
მიწა, განწმენდილი ერეტიკოსებისაგან და მე მოგანეჭიდებული მომეცი-
მარე ერეტიკოსების განადგურებაში და მე მოგეხმარები პრიურულ-
ბისაგან თავის დაღწევაში...“

უმრავლესობამ უბრალო ადამიანებისა მისი სიტყვა მიიღო ალფრ-
თოვანებით, იფიქრა, ძირფესვიანად აღმოპფხვრიდა მწვალებლობის
ლვარძლს, მაგრამ ისინი, ვისაც შეეძლო სიტყვის მიღმაც გადაეხედა,
გაყვირვებული დარჩნენ.

მონასტრის კედლებში გამოზრდილი ნესტორიოსი ქედმოუხრელი
და გამბედავი, ჯიქურ შედიოდა ცხოვრების ბარდებში და საზღვარს
ვერ უდებდა თავის რწმენასა და უფლებებს.

* ნესტორიოსმა შორიდან დაუწყო თეოდოსის. იზრახა წინაპართა
დანაშაულზე, სასჯელზე, გამოსყიდვის აუცილებლობაზე და სამების
მეორე პირს რომ დედა ჰყოლოდა — ეს მხოლოდ წარმართების უგუ-
ნურებას გამართლებდა, დედა წარმართების ლმერთებსა ჰყავდათ,
ესეც არ იყოს, ქმნილება შემქმნელს როგორ დაბადებდა? მარიამმა
შვა ადამიანი, იარალი ხსნისა. ვინ წარიმატებოდა სიბრძნეში მაღლი-
თა და ასაკითა? — იდამიანი, რათა ლმერთი სრულებრივია უკუნით-
გან. როგორ იტანჯებოდა ქრისტე? — ღვთაებრიობით თუ ადამიანო-
ბით? — ადამიანობით, რადგან ღვთაება ტანჯვაზე უმაღლესია... ქრის-
ტეს მოსელამდე როგორ სწამდა ხალხს ლმერთი, იესო ლმერთთან
უშუალობას რით იღწევდა. დავითის ქნარი როგორ აელერდებოდა,
რით მოიპოვებდა იმა ღვთას წყალობას? *

და გაოგნებული თეოდოსი ფიქრობდა:

„მართლაცდა, მდევნ ხანს როგორ არავინ დაფიქრდა, ვინ იყო ის,
ვინც ცხოვრობდა მოკრძალებით, ლოცულობდა გოდებითა და ცრემ-
ლითა, ევედრებოდა ყოვლის შემძლეს ხსნად სიკვდილისაგან და შეს-
წევდა ძალა თავი გამოეხსნა? თუ ქალწულმა მარიამმა შვა უბრალო
კაცი, წინდა სულით განათლებული, მაშინ ქრისტეანობას ენგრევა
საფუძველი, რათა ესეთნი შეიძლება ვიყოთ ჩვენ ყველანი. თუ ქრის-
ტე იყო ქეშმარიტად ლმერთი, არც ეს არყევს ნაკლებად საფუძველს
რწმენისა. ცოდვის გამოსყიდვისათვის საჭიროა ლმერთიც და კაციც
ერთდროულად და თუ ქრისტეში ერთიც იყო და მეორეც, მაშინ უნდა
გარკვეულიყო, რა ურთიერთობაში იყო ღვთაებრივი ადამიანურთან.
ეს კი იყო ის მრისხანე კითხვა, რომელიც ყველას აწვალებდა. და რად-

გან მხოლოდ ნესტორიოსთან საუბარში გრძნობდა თევს ჩაკუვად, ნესტორიოსს ვერ იცილებდა და ნესტორიოსმაც თავისას მიაღწია, თეოდოსი მისი მგზნებარე მიმდევარი გახდა.

აღტაცებული დედოფალი ხან გულწრფელად, ქან პერფერატორით ნესტორიოსს ადარებდა ბრწყინვალე რიტორებსა და სკორპიონებს. კუ

პავლინი რელიგიას უცემერდა ხელისუფალის თვალით, — თა საგვებლობას მოუტანდა იგი სახელმწიფოს. სიახლეზე არ იჩქარიდა აზრის გამოთქმას, მაგრამ თავის ორაზროვნებასაც არ ფარავდა.

მკაცრ ავგუსტას ნესტორიოსის მოძღვრება მითაც აღაზნებდა, რომ იგი სამარადისოს მოსაპოვებლად სხეულის მოკვდინებას არ სცნობდა დიდ საჭიროებად. აბბობდნენ — მის სამზარეულოში საზრდელი ფარმეცანგის ტვინისა და ბულბულის ენისაგან მზადდებოდათ. მაგრამ ნესტორიოს ავგუსტას მზერა მაინც აფრთხობდა, საპატიო მანძილი ეყავა. „არც ისე ახლოს უნდა იყო ზღვისთან, — ფიქრობდა, — რომ მისი სიავე განიცადო და არც ისე შორს, რომ მისი სიკეთით ვერ ისარგებლო“.

დაიწყო ერეტიკოსების დევნა. ქალაქის კედლებთან სამლოცველოებში განაბული არიანელები ნესტორიოსის ბრძანების აღმსრულებელთა მოლოდინში ვედრებად იყვნენ ქცეულნი. ბრძანება მკაცრი იყო — ყველას განურჩევლად უნდა დაეტოვებინა სამლოცველო, ისინი კი უძრავად იდგნენ. მაშინ გამოვიდა მეორე ბრძანება — დანგრეულიყო სამლოცველოები. ისეთი ურჩობისათვის კი ყველას დილეგებში ჰყრიდნენ, სდევნიდნენ, ართმევდნენ ქონებას, სამოქალაქო უფლებებს.

ერეტიკოსებზე გამარჯვებულმა ნესტორიოსმა მართლმადიდებლებისაკენ მოიხედა და უპირველეს ავგუსტას დააცემერდა.

აღდგომის საზეიმო დღე იყო. ავგუსტა, როგორც არასოდეს, მოუმეჩნლობით ელოდა საიდუმლო ზიარებას თეოდოსისთან ერთად, მუტატორიაში დგომა ერთგვარ მორჩილებასაც ნიშნავდა ეკლესიის წინაშე, მაგრამ ავგუსტას ეს მხოლოდ სასიამოვნოდ მიაჩნდა, რაღაც ხალხში დგომის უხერხულობას ააცდენდა. თავდაპრილი პირდაპირ საკურთხევლისაკენ მიიწევდა, მაგრამ აღსავლის კართან შემართებული ნესტორიოსი გამოუდგა.

— საკურთხეველში შესვლა მხოლოდ მამათ შეუძლიათ, — ძლივს გასაფონად თქვა, — ის გრძნობები, რომელსაც გულში ატარებ, არ შეჰდერის ქრისტეს საცოლეს, ისინი შეურაცხყოფენ ღვთაებრივ საქმროს, — გაბედა და ხალხის წინაშე მიაღებინა ზიარება.

თითქოს სილა გააწენეს, აზავთებულ-ატორტმანებულ ავგუსტას კი-
ას თფლმა დასხა.

— ავგუსტას შესაფერი პატივით უნდა მიმართავდნენ, — მოგონა
თეოდოსი დიდის ამაყმა შვეიცავილმა და ზურგი შეაბრუნა.

ქრისტეს სისხლს მისი გამშრალი ბავრიც კი ვერცხმატესთ — დღე
პატივისა და სიყვარულისა შურისძიების და სტერტვების სკრიტ
იქცა. ბოროტი ღიმილით ალანძული წელში გასწორდა და უმაღ ტა-
ძარი დასტოვა, ეს კი რისხვაზე მეტს იუწყებოდა.

— არ იცნობს ნესტორიოსი ავგუსტას, — თვისოთვის იტუოდა, —
არ ახსოვს, ვისი ქალიშვილია. თუ ავგუსტა ვისიმე მტრად გადაიქცე-
ვა, მისი ბრალდება არ იქნება პირადი შეურაცხებისათვის... მას არ
გაუჭირდებოდა გამოენახა მისთვის საბაბი, რომ სამართლიანობის სახე-
ლით წაეყენებინა კანონიერების წინაშე და თავიც დაეხრევინებინა, და
თუ ავგუსტა ვისმე თავს დაახრევინებდა, ის ვეღარც გაიმართებოდა.

მაგრამ დღეს ნესტორიოსი ქედმოუხრელი იდგა. ნესტორიოსს ჯერ
კიდევ ახალგაზრდობიდან ახსოვდა და — აგაპიტისთან სულიერი და-
ცემა და ფიცი დაედო, არასოდეს ქალს არ გაჰყარებოდა. მეორე და-
ცემა პირველზე უარესი იქნებოდა, იცოდა და ამბობდა:

— როდესაც ლეთის წინაშე დადებული ფიცის გატეხისა არ ერი-
დებათ, აღარაფერი უნდა გვაოცებდეს.

საშური იყო ავგუსტას ძალაუფლებიდან ჩამოცილება და თეოდო-
სიც არწმუნა, რომ კანონიერება ვერ ითმებს დედოფლის გვერდით
ავგუსტას მბრძანებლობას. ამას ხრიზანფის გამუდმებული შთაგონე-
ბაც ერთოვდა და გადაწყდა ავგუსტას ჩამოცილება.

სულ მალე ავგუსტა მართლაც მმართველობის მწერერვალიდან გან-
ზე აღმოჩნდა და ეს მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო სკირდებოდა
ძალაუფლება მას.

მოქმედს, მბრძანებელს, უმოქმედობის ბორჯილები დაედო. წარბ-
შეყრილი, ლოყებდაბერილი ტირანი ევდომის სარქმელიდან იყურებო-
და. სწყევლიდა იმ დღეს, როდესაც ნესტორიოსის სასარგებლოდ ნა-
ბიჯსა სდგამდა, სწყევლიდა დედოფლის მოსკლის დღეს, როდესაც
მის ბედსა სწყევტდა: მაგრამ რა იყო ნესტორიოსის უმაღურობა, რო-
დესაც ძმა ამდენი წლის ამაგს წყალში უყრიდა. ღვარძლი ფიქრებს
ხუთავდა და მუქარა შურისძიებისა საზარლად გამოიყურებოდა. უზო-
მო პატივმოყვარეობის საფარი კი ახლა კაციმოყვარეობა იყო. სა-
ხელმწიფო საქმეებს ჩამოშორებული მართლმადიდებლობის მფარე-
ლად იქცა.

ნესტორიოსმა შეადგინა სიტყვა, რომელიც პრესვიტერ ანასტასია
უნდა წაეკითხა საჯაროდ საკრებულო ეკლესიაში მისი თანდაზემოვნებით.

ტაძარში უამრავ ხალხს მოყვარა თვით. ქადაგების სულიანისტელი
უსმენდნენ. უცრად ანასტასი შეჩერდა და უცნაური გაფოთხილება
მისკა:

— ერიდეთ მიერიდან, ძმანო და დანო, ქალწულებულების უფლებული
მშობლად წოდებას. მარიამი აღამიანი იყო და აღამიანისაგან კი არ
შეიძლება ღმერთი შობილიყო.

კრებული სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა, თითქოს რაღაც მოს-
ჩვენებოდა, რომლის სიცხადის დაჯერება არ უნდოდა, თითქოს კი-
დევ ერთხელ განმეორებას უცდიდა, რომ გვირნილის უარყოფა სმე-
ნოდა. ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს, გაიწიეს ამბიონისაკენ. ანასტასის იქვე ჩაქოლვა არ ასცდებოდა, რომ ნესტორიოსი არ წა-
მომდგარიყო. მის დანახვაზე ხალხმა უკან დაიხია, მაგრამ თავები წინ
წაეწიათ. ავის მაუწყებელი სიჩუმე ჩამოდგა, აცალეს პატრიარქს სი-
ტყვის თქმა მხოლოდ იმ რწმენით, რომ იგი თავის კატეხიზატორს
შეაჩვენებდა, მათვე გადასცემდა, მაგრამ მოხდა უარესი. პატრიარქი
მოუბრუნდა ღვთისმშობლის ხატს და განუცხადა:

„ო, მარიამო, ნუ ამაყობ, რომ შობე ღმერთი, აღამიანი ხარ და
შობე ადამიანი“.

კრებული გონს ვეღარ მოდიოდა და პატრიარქი განაგრძნობდა:

„...დიახ, აღარ არის საჭირო, ამიერიდან მარიამს ვუწოდოთ ღვთის-
მშობელი, იგი დედა მხოლოდ ადამიანისა და ჩვენ მას ვუწოდებთ
მხოლოდ ქრისტესმშობელს. მე პატივს ვცემ მარიამს, როგორც ტა-
ძარს მასში მყოფისათვის, თავიანს ვცემ ხილულ ადამიანს, მასში
მყოფ უხილავ ღმერთისათვის, მაგრამ მე არასოდეს არ ვცემ თავიანს
ბავშვს, როგორც ღმერთს, რომელიც თავისი დედის ძუძუსა სწოვს და
გარბის ეგვიპტეში თავისი სიცოცხლის გადასარჩენად“...

პამბო აცქერდებოდა მარიამის ხატს, საოცარი იყო იგი, ქალ-
წულება და დედობა, ღვთაებრიობა და მიწიერება ერთმანეთს შერ-
წყმოდა: „რისთვის, რისთვის ართმევდნენ იმ ნუგეშს, რა უფლების
ძალით უნდა აპყროდა მარიამს ეს მაღალი ღირსება, რას უნდა აეძუ-
ლებინა გონება, რომ შეკრილიყო რწმენის საიდუმლოებაში, იმ სა-
იდუმლოებაში, რომელსაც წარმართა სიბრძნე ვერ ჩასწედომოდა.
ჩევულებრივი გონება რას გახდებოდა?“ და პამბო მზად იყო, ნესტო-
რიოსი ამბიონიდან საკუთარი ხელით გადმოევდო და დაიძახა:

— ის, რაც ჩვენ გვესმის, ღვთის მგმობელობაა.

— შეაჩვენოს ზეციერმა, ვინც ნესტორიოსის სიტყვები გთმეოროს, — ვიღაცამ დაიძახა და კრებული აილესა მრისხანებით ერთხმად დასძინა: „შეაჩვენოს“, და პატრიარქს სამეფო დაცვა მოუდგა გვირდში.

— მე ვამჩნევ სარწმუნოების დიდ ერთგულებას ჭრაჭაჭულ განდგინებას კეთილმსახურებისათვის, მაგრამ ნაკლები მასში დული სარწმუნოების სიღრმეში. უმეცრებაში თქვენ არ გადანაშაულებთ, სჩანს, თქვენს მწყვემსებს არ ჰქონდათ დრო კრებულის გაცნობიერებისათვის...

აღგზნებული, აღწყოთებული, უმეცრებაში საჭაროდ ბრალდებული ბრბოს სუნთქვა და გმინვა ცეცხლივით გუგუნებდა. მოხდა აღრევა, ატყდა ხმაური, ჩოჩქოლი, ითხოვდნენ ნესტორიოსის გასამართლებას, რომ უცრად ამბიონზე დაინახეს საპატის ეპისკოპოზი პროკლე, რომელიც ხალხს სმენად მოუწოდებდა და კრებული ისევ სმენად იქცა.

— ჩვენ აქ თავი მოგვიყარა წმინდა ღვთისმშობელმა, — დაიწყო პროკლემ, — ქალწულმა მარიამშა, სასახლემ, რომელშიაც სიტყვის ხორცი შეისხა. მონა და დედა ღვთისა, ქალწული და ცა. ვის უნახავს, ვის გაუგონია, რომ წიაღში იმყოფებოდეს უსასრულო ღმერთი, რომელსაც ცანი ვერ იტევენ? ადამიანის მოდგმა, დიდ ვალში იყო თავისი ცოდვებით. არავის ძალუძრა ამ ვალის გადახდა, საჭირო იყო თვით ღმერთს გამოესყიდა კაცობრიობა, ღმერთი ქცეულიყო იდამიანად, უცოდველს თავის სიკვდილით ეხსნა ცოდვილი სიკვდილისაგან. იგი მსხვერპლი იყო შეწირული ჩვენი ცოდვებისათვის, ჩვენი პირველი მღვდელმთავარი, ემანუილ, რომელსაც შეეძლო ეშუამდგომლა ჩვენთვის წინაშე მამის... ჩვენ ვეწამს, რომ იესო ქრისტე თანდათანობით კი არ გახდა ღმერთი, არამედ უკვე ღმერთი, თავისი მოწყალებით გახდა კაცი. მან თავისი მონა იორჩია დედათ და იცოდეთ, რომ ჩვენი მხსნელი იესო ქრისტე, დაბადებული ქალწულ მარიამისაგან, არ იყო მხოლოდ უბრალო ადამიანი და არც ღმერთი მხოლოდ, როგორც გინდა შენ, მანიქერი! იგი იყო ემანუილ, ღმერთი და კაცი ერთად და ვალიარებო რა მასში ორ ბუნებას, არ უნდა გაყო მისი ბუნება, რომ თვით არ აღმოჩნდე განყოფელი ღვთისაგან.

იგრიალა ღვთისმშობლის ერთსულოვანმა სადიდებელმა.

შორიდან პამბოს ხმა გაისმოდა:

„ყოველი სული, რომელიც განაცალკევებს ქრისტეს ღვთისაგან, არ არის ღვთისაგან“.

წმინდა წერილის დარღვევა არღვევდა ქვეყნის მშვიდობას და ომმა
თვით საკურთხეველში იფერქა.

— ზღვაში არქიპისკოპოსი, — ვიღოცამ დაიძახა და ხალხის ტალ-
ღა მბიონს მოაწყდა. ნესტორიოსი სასწრაფოდ უკანა კარით გაიყვა-
ნეს, ხალხი ხმაურით ტაძრიდან ქალაქში გამოიშალა. ჩაუქარებული ცემი
იყო სარწმუნოების საძირკვლის რყევა. ქალაქი დაქუცურულის შექმ-
ვან დაობდნენ: ეკლესიებში, სახლებში, ქუჩებში, ხან ისე მბობდნენ,
ხან ასე, ყველაზე საბრალოც კი საშიშად გამოიყურებოდა, ყველას
უნდოდა თავის გავების ფარგლებში გარკვეულიყო, გაეგო, რას მო-
ასწივებდა ნესტორიოსის სიტყვა.

საერთოდ კი გაიხარეს მრავალთ, ნესტორიოსი ნოვატორად და
მოაზროვნედ აღიარეს. ზერელე გონება მოიხიბლა. — გამოუთქმელი
გამოითქვა: „შემოქმედი არ დაიძადება ქმნილებისაგან. სული არ წარ-
მოქმნება ხორცისაგან, უსასრულო — სასრულისაგან...“ აღრითოვა-
ნებით ერთმანეთს უმეორებდნენ, თითქოს ეს კეშმარიტება პირვე-
ლად გაეგონათ. დარბაისელნი კი უფრო ზომიერად გამოხატავდნენ თა-
ვიანთ აზრს: „მას აქვს საქმარისი მჟღვრმეტყველება, — მბობდნენ, —
და ნაკლები გონიერება. ის, რაც ჩვენ გვწამს და გვესმის, არ არის
სავალდებულო ესმოდეს ქვეყანას. რა აუცილებლობაა, შევთავაზოთ
ყველას ესოდენ იდუმალებით მოცული რამ? მაშინ, როდესაც მთელი
ქვეყანა ჩასაფრებულია მრწამსის ხელშეუხებლობის დასაცავად!“

ახლა კეშმარიტად ზეიმობდა ავგუსტა. კარგად ესმოდა, ნესტო-
რიოსს ეს დაუსჯელად არ ჩაუვლიდა. კონსტანტინეპოლი თუ ვერას
გახდებოდა, ალექსანდრია არ აპატიებდა. ლოცვად დამხობილი თანა-
მოაზრეთ გულმოდგინებით აღიგზნებდა და ღვთისმშობლის ღირსე-
ბის დასაცავად მოუწოდებდა.

მსჯელობდნენ საიმპერატორო სასახლეშიც. ნესტორიოსის კეთილ-
მოსურნენი შეზფოთებულიყვნენ. ამ დღიდან ნესტორიოსი, აღარ იყო
მხოლოდ ერეტიკოსი, იგი აღარ იყო ქრისტეანი და თავადაც შეფიქ-
რიანებული ეტყოდა:

— ეს იყო მხოლოდ ვარჭიში ქაშაში.

მაგრამ უკვე გვიან იყო, მისი სიტყვა მახვილად ქცეულიყო, ნეს-
ტორიოსს თითქოს დავიწყებოდა, რომ პატრიარქია, რომლის ყოველი
სიტყვა ხალხის გულისთქმით უნდა ყოფილიყო გაზომილი და აწო-
ნილი და ასე საგაროდ ღვთისმშობლისათვის ღირსების აყრა ქარიშხა-
ლის მეტ შემოტევას იუწყებოდა.

დედოფალი უთანაგრძნობდა ნესტორიოსს, ყოველივე ამაში წარმართობის უძლეველობას ხედავდა.

წარჩინებული იმეორებდნენ მას, რასაც იტყოდა პაზილები, მიუხედავად იმისა, იზიარებდნენ თუ არა.

გარეუბნებში არიანელების ეკლესიებს ეკადლებულენი ციტოლემა-დიდებელნი, რომელთაც გაეწყვიტათ ურთიერთობები უფერჩუ უპრეკოპოსთან და ქადაგებდნენ ლია ცის ქვეშ, ნათლავდნენ გუბეებში, სწირავდნენ და ლოცულობდნენ გამოქვაბულებსა და ტყეებში. განსჯასა და განქიქებას საღმრთო წერილისა, ნელ ცეცხლზე დაწვას არჩევდნენ.

მათი რწმენა იყო უბრალო და ყველას ეუბნებოდნენ:

— ნე გაირჩებით ტუუილუბრალოდ, გამონახოთ მტკიცება იმისა, რასაც რწმენით მიაღწევთ.

თ ა ვ ი მ ე რ ა ვ

პ ი რ ი ლ ე

ნესტორიოსის მოძღვრებით გამოწვეული შფოთი კონსტანტინოპოლის ეკლესის სცილდებოდა, მთელ აღმოსავლეთს ედებოდა და ეგვიპტის უდაბნოს მონასტრებს რომ აღწევდა, მეუდაბნოეთ თავზარსა სცემდა.

ალექსანდრიის პატრიარქი, მეუფე კირილე, თეთრ სამოსში მორთული, ზღვაზე გადამდგარ იივანზე ბოლთასა სცემდა. წარბები შეჰყროდა, შუბლი დალაროდა და ფიქრებში წასულს, უნებლიერ, მჯოლი ეკვროდა.

ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებს პირველობისათვის დიდი ხნის მეტოქეობა ჰქონდათ. ანტიოქია წინ აყენებდა თავის ორმაგ სამოციქულო წარმოშობას პეტრესა და პავლესაგან, სიტყვა „ქრისტე-ანის“ მის წიაღში დაბადებას. ალექსანდრია უპირისპირებდა დიდებას თავისი სკოლებისა, უპირატესობას თავისი პატრიარქებისა რელიგიურ კამათებში, ამიტომ ალექსანდრიის დიდების გამოსაჩენად საკირო იყო მსოფლიო კრება და დოგმატური დავა.

ნესტორიოსი სირიელი იყო და ამ შემთხვევაში კირილე/ქრთ და იმავე დროს ანგარიშს გაუსწორებდა კონსტანტინოპოლის და ან-ტიოქიასაც.

კირილე, მიმდევარი ოთანასესი და ბასილი დიდისა, მოწილეობის ზღვერს უდებდა და ოწმენას უმორჩილებდა. გამოზრდილი ტელურის უწვევა და ალექსანდრიის პატრიარქის ყველა ვნებით და კონსტანტინოპოლში, როგორც თეოფილეს, მასაც უბრალოდ „ეგვიპტელად“ მოიხსენიებდნენ, რაც ნიშნავდა: ფიცხს, შეფოთვარეს, ძალაუფლების მოყვარეს და დიდების მწყურვალეს. გონებით ძლიერი, მკაცრი და მმრდანებელი ხელით მართავდა კირილე თავის ცოცხალ და მღელვარე სამწყსოს, რითაც შეშერეულ პატივისცემასა და ერთსულოვან აღიარებას იმსახურებდა.

კირილე დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ეკლესიის ოღრევის და ნესტორიოსის შეჩერებაზე ოცნებობდა. ანაზდად თავს ვერ დაესხმოდა, ქომაგად ბაზილევსი უდგა, მაგრამ აი, გამოჩნდა სავსებით კანონიერი, ზნეობრივად გამართლებული საბაძიც: ზემო ეგვიპტის მონასტრების წინამდლევარნი ჩამოცვიდნენ თავის მეუფესთან — შეშეფოთებულნი ნესტორიოსის სიტყვის გამო რწმენის ცა ჩამონვრეოდათ, გამოხსნის იმედი აღარ იყო და ლამის კკუიდან იშლებოდნენ.

კირილემ მშვიდად მოუსმინა მათ, მშვიდადაც დაარწმუნა, რომ ეს მხოლოდ გამოცდა იქნება თქვენი სარწმუნოების სიმტკიცისო.

კირილესათვის ეს იყო, ერთდამავე დროს, უბედური და ბედნიერი შემთხვევა. უბედური იმიტომ, რომ მართლაც აწუხებდა ეპარქიაში შეფოთის აღძრა, ბედნიერი კი იმიტომ, რომ ნესტორიოსთან ბრძოლის საშუალება ეძლეოდა.

საალდგომოდ კირილემ დაგზავნა — „ეპისტოლენი ეგვიპტის მეუდაბნეთ“. ეპისტოლენი განმარტავდნენ ხორციელების საიდუმლოებას, აფრთხილებდნენ, შეაგონებდნენ, არ გატაცებულიყვნენ ერეტიკული ნაწერებით.

ასეთი ეპისტოლე ნესტორიოსის ხელშიც მოხვდა და შეურაცხყოფილმა კირილეს შეუთვალა: „ეს უსაფუძლო თავდასხმაა, რომელიც მე არ დამიმსახურებია“, რაზეც კირილემ უპისუხა: „შეგვეძლო განა ჩვენ დავრჩენილიყავით უმოქმედო, როცა ვხედავთ, რომ ჩვენი წმინდა სარწმუნოება უკუღმართდება? და თუ ეკლესიაში შეფოთის მიზეზი თქვენი უწმინდესობაა, სამართლიანია განა ამაში სხვისი გამტყუნება?

ნესტორიოსი სიტყვებით ასე ადვილად არ ტყუდებოდა და ალა-
რაფერი შემოუთვლია.

უცასუხობას კირილე დიდად არ დაუღონებია. მთავარი იყო ჩარ-
თვა დავაში და თანამოაზრედ მარტო რომის პაპი ცეკვეტერიულყო-
ფოდა.

ხანი გადიოდა და ნესტორიოს უფრო და უფრო აფიქრებდა კი-
რილე. ალექსანდრია ოც ისე ხელწამოსაკრავი იყო, მისთვის ანგარი-
ში არ გაეწიათ. ალექსანდრია ისეთივე მნიშვნელოვანი იყო კონსტან-
ტინოპოლისათვის, როგორც ერთ ღროს რომისათვის კართავენი. ხორ-
ბლის მოჯარადრენი და გადამზიდი ფლოტილია ალექსანდრიას ემორ-
ჩილებოდა, მიტომ საყმარისი იყო სანოვავის ერთი კვირით დაგვიანე-
ბა, რომ ბაზილევსის რეზიდენციის შიმშილი გამოეწვია. გადაწყვიტა; ისევ
მიეწერა კირილესათვის წერილი, რომელშიაც მტკიცების ლო-
გიკურ ძალას დაეყრდნო.

კირილემ ამაში თავისი ძლიერების დასტური ივრძნო და ახლა დუ-
მილი არჩია. ამ დუმილით კი ნესტორმა ივრძნო მძლავრი კლანჭები
ალექსანდრიის მეუფისა და სცადა ვერაგული დარტყმით ხელიდან
გასხლტომა.

კონსტანტინოპოლის თავს აფარებდნენ ეგვიპტიდან გამოქცეული
უქმაყოფილო ბერები, რომელნიც ვერ უძლებდნენ თავიანთი მეუფის
ტირანიას. ამიტომაც ალექსანდრიის პატრიარქი არ იშურებდა ხოლმე
ლიმილს კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის, რომ მისი მტრებისათ-
ვის მხარი არ დაეჭირა. მაგრამ ახლა, როცა კირილეს აღარ ელიმებო-
და, ნესტორიოსმა მოუბმო ეგვიპტიდან ლტოლვილ ბერებს, გამოიყიო-
ხა მათი გასაჭირი, გულისყურით მოუსმინა, ურჩია ეჩივლათ ბაზი-
ლევსთან და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

თეოდოსი აღაშფოთა კირილეს ტირანიამ. ბრძანა მისი გამოძახება
და გასამართლება.

კირილემაც არ დააგვიანა ჩამოსვლა, ეგონა, შესარიგებლად იხმო-
ბდნენ, გულაც სწყდებოდა, რომ ასე ადვილად, უფერულად უნდა
ჩაევლო მთელი ბრწყინვალებით თავის გამოჩენის ამოდენა შესაძ-
ლებლობას.

გამოძახების მიზეზი მხოლოდ კონსტანტინოპოლის გაიგო და კმა-
ყოფილი დარჩა, რომ ვერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. ეს გამოძახე-
ბაც უკანონო იყო, რადგან წესით ყოველი მეუფის საქმენი უნდა გან-
ხილულიყო მხოლოდ მის ეპარქიაში და ამან უხერხულ მდგომარეო-
ბაში ჩააყენა თეოდოსი. საქმე საბოდიშოდ გაუხდათ და კირილე პა-

ტივითაც გამოუშვეს. კირილემ არ მოინახულა ნესტორიოსი, რახედაც ნესტორიოსმა თქვა: „კირილე გამირბის, ეშინია არ მოვაჭრო“.

კონსტანტინოპოლის ყოფნით კირილემ მაინც ინარგებლა მოსინჯა ნესტორიოსის ძლიერების საყრდენი. ივგუსტაში საიმედო შემწიდანიახა და თავისი უკმაყოფილო ბერებიც ევგიპტუში წარმატები. ზორეველი შემოტევა რომ ასე აღვილად მოიგერია, ალექსანდრიაში დაბრუნებულმა, წერილები გამოგზავნა კონსტანტინოპოლის.

თეოდოსს წერილში სთხოვდა, დაუცვა ჰეშმარიტი სარწმუნოება. — მარიამისათვის ღვთისმშობელის წოდებაზე უარის თქმა არყევს მიწას, ანგრევს სარწმუნოების მთელ შენობას და ცას ეპოტინება ჩამოსაქცევადო. ავგუსტას კი ჭარბ ქება-დიდებას ასხამდა, აფასებდა მის ღვთისმეტყველურ ცოდნას.

თეოდოსიმ ითაკილა ბრძანების კილო, განსხვავებაც წერილებში აშკარა იყო. „ტყუილად კი არ ეძახიან მას ეგვიპტელს!“ — თქვა და მისწერია კიდეც:

„უკელასათვის ცნობილია, რომ ჰეშმარიტი მოძლევრება კეთილმსახურებისა დებულობს სიმტკიცეს არა ბრძანებებისაგან, არამედ გონიერებისაგან, არა მუქარით რომელიმე მეუფისა ან მეუფების მოსურნისა, არამედ თათბირებითა და მსჯელობით წმინდა მამებისა და წმინდა კრებისა.

იცოდე, რომ შენ ბრალად გედება საეკლესიო აღრევები. შენი დაუდგრომელი ზნე არა სთესავს განა უთანხმოებას ძმასა და დას შორის? რატომ? გეკითხები მე შენ, რატომ ერთსა გვწერ ჩვენ, მე და ჩემს მეუღლეს, უკეთილშობილეს ავგუსტას და მეორეს — ჩვენს დას, ავგუსტა პულქერიას?

მაგრამ ჩვენ მაინც პატიებით დაგასაჩუქრებთ.

საქმეს რწმენისა ჩვენ მივანდობთ წმინდა კრებას და რასაც იგი გადასწყვეტს, მას ვბრძანებთ აღსასრულებლად. შენც კეთილგონიერად მოიქცევი, თუ გამოცხადდები კრებაზე, ჩვენის სიგელის თანახმად“.

ეს პატიება რისხვაზე მეტი იყო, მაგრამ შედეგმაც მოლოდინს ვადაჭარბა, მსოფლიო კრებას ლოდინი აღარ დასჭირდებოდა და მყის მისწერა პაპა ცელესტინს, რითაც ნესტორიოსის წინააღმდეგ ყველაზე მძვინვარე მტერი აღძრა. წერილს რომ არ დაეყოვნებინა, ლათინური თარგმანითურთ აახლა.

ნესტორიოსი კი არასოდეს ყოფილა ისე დამშვიდებული, როგორც იმ დროს, როდესაც ალექსანდრია და რომი გაერთიანდა.

ცელესტინმა მოიწვია კრება, რომ დაედო ზღვარი ნესტორიოსის
თავგასულობისათვის. კირილეც ამას ოცნებობდა.

რომის მხარდაჭერამ კირილე მეტად გაათავაშა, თავის თხე
მსოფლიო მოსამართლედ სთვლიდა. ახალი ძალ-ლონის მოქრებით მე-
ტად ამოქმედდა და გათამამებული მეორე უკიდურესობის ჩაჯდებულ-
და.

კონსტანტინოპოლის მოვიდა პაპა ცელესტინის წერილიც:

„მიეცეს წინადადება ნესტორიოსს, ათი დღის ვადაში უარპყოს თა-
ვისი მოძღვრება წერილობით, თუ არა და, იყეაროს ეპისკოპოსობის
ლირსება. დაეინების შემთხვევაში კი განიკვეთოს ეკლესიისაგან“.

სასახლე შეფიქრიანდა. ნესტორიოსს მომხრეები არწმუნებდნენ,
დაეთმო და თავი არ დაელუპა. თეოდოსიც, უკვე გაბეზრებული გაუ-
თავებელი დავით, ამბობდა:

— თუკი ერთი სიტყვა ხალხს დააშოშმინებს, რატომ არ უნდა
თქმულიყო ეს სიტყვა?!

მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა ამ ერთი სიტყვის წარმოთქმა.
ეს ნიშნავდა ალექსანდრიის პატირიარქის წინაშე ქედის მოხრას, საქვეყ-
ნოდ თავის დამარცხების აღიარებას.

ამიტომ გადაწყდა მსოფლიო კრების მოწვევა. კრება ეფესოში და-
ინიშნა.

თავი მეცნიერი

დიდი ღამე

დედოფლისათვის ეს რელიგიური ომი სანახაობად ქცეულიყო. მის
ჰქვიან და ლამაზ თვალებში წარმართს გამოეხედა, ჩწმენაზე გონე-
ბის უპირატესობა ნესტორიოსის გულშემატკიცარს ხდიდა. დღესაც,
წარმართობის სამახსოვრო დღეს — ბრუმალს, წელიწადის ყველაზე
მოკლე დღეს ზეიმობდა. — აცილებდნენ შემოდგომას და ასაფლავებ-
დნენ ღმერთ დიონისეს — ბახუსს.

ბრწყინავდა მეწამული დარბაზი, ბრწყინავდნენ დიდებულნი, ანთე-
ბული სანთლებით ხელში ფერხულს უვლიდნენ, გალობდნენ ბრუმა-
ლისათვის მიძღვნილ საგალობელს. დედოფალს, მემუსიკებთან ერ-

თად, მოსნები აღაფრთოვანებდნენ, დიდების კლფერით მოსავლნენ
და მის ბრწყინვალებას ავლენდნენ.

აქ იყო კირი, საზოგადოების სული და გული; პრისკე პანირნე-
ლი — სინიდისი და პატიოსნება იმპერიისა, პროკლე დიონისისი —
ახლად გამოწყინებული ვარსკვლავი ფილოსოფები; ცუტუჭუჭული რა-
ვანი — სამეფოს მშვენება, სიბრძნისმოყვარულთვის წარმოშორიში უწყი-
ლოსანთა ხორცმესხმული ოცნება. ყველანი გულწრფელად თანა-
უგრძნობდნენ დედოფალს წარსულის პატივისცემისათვის. პავლინი
უხვად იხარჯებოდა უზომო გამოხატვით გაკვირვებისა, აღფრთოვანე-
ბისა. თავისი მოუსვენრობით და ხარბი გამოხედვით კი მხელდა ადა-
მიანს, რომელიც უჩვეულო გარემოში გასართობს ეძიებდა.

დედოფალი ფესანგოვანი ქსოვილებით ასაჩუქრებდა მანდილოს-
ნებს, ოქროსა და ვერცხლით — წარჩინებულთ.

თეოდოსიმ მურვანს მიუთითა თავისი დედისა და დედოფლის სუ-
რათზე:

— რომელი სჯობნის სილამაზით? — შეეკიოხა.

— რომელიც უფრო კეთილია, — არ დაახანა პასუხი მურვანმა.

აღფრთოვანებულმა თეოდოსიმ ყველას გასაგონად გაიმეორა, რა-
მაც მიიპყრო ყურადღება ათინელი ფილოსოფოსისა, რომელიც მით-
რიდატესთან საუბრობდა.

— ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, — უბნო პროკლემ მითრიდატეს.

საერთო ხმაურში პავლინის ხმა გამოირჩეოდა. დიდებისა და ქო-
ნების მიმდევარს ჰემარიტება საძიებელი არა პქონდა. ქვეყნის თუ
აქამიმდე უმისოდ მოეღწია, არც მომავალში გაუჭირდებოდა. „ერ-
თხელ ვცხოვრობთ“, — ამბობდა და სიამოვნებას ხარბდებოდა. მისი
ნასროლი სიტყვები მსჯელობის საგნად იქცეოდა:

„ადამიანის დანიშნულება სიამოვნებაა“, — მოხვდა მურვანს სმე-
ნად და შორიდანვე შეაგვება:

— სიამოვნება რომ დანიშნულება იყოს, უდიდესი მეთავისე სა-
მაგალითო იქნებოდა, მოქეიიფე შემოქმედზე მაღლა იდგომებოდა,
უზნეობა სათნოებას დასჩრდილავდა. სიამოვნება შედეგია და არა
დანიშნულება.

თეოდოსიმ დასტურის ნიშნად კმაყოფილებით თავი დაუქნია.

მურვანს ხიბლავდა დედოფლის სახის საოცარი პატიოვნება ვარ-
დისფერში რეცლი სითეთრისა, ოქროსფერი ზილფი კავების ჩეხვა,
სანდომიანი მეტყველი თვალები და ღიმილით შეკრული ბაგენი, მრა-
ვალი სათქმელი რომ შეემწყვდიათ.

დედოფალი ქალწულებრივი გატაცებით სიხარულს ნებდებოდა. ხან მჭერმეტყველებით იპყრობდა ყურადღებას, ხან მზრუნველ მფარველად ევლინებოდა მურვანს, რომლის თავისუფალი სიტუაცია, ფიცხელი შეუპოვრობა, მის გარეგნულ მშვენებას ბრწყინვალებას აძლევდა, დიდებული მიხვრა-მოხვრა თავისთავად დაზემდეჭვულ შეტყველებდა. მომხიბვლელი იყო და საოცარი შეხამწყმარებულება სიმკვირცხლესთან. ამ ურიამულსა და საგალობელთა პანგებმი მისი სმენა მხოლოდ მურვანის ხმას სწვდებოდა.

თეოდოსიმ მალე ინება წისვლა. ნესტორიოსის ბედი აღონებდა, ეფესოდან მაცნეს ელოდა, ბრძანებების კოდექსი აღელვებდა.

■ მურვანმა თეოდოსი მიაცილა და მობრუნებულმა ერთხანს ბალში შეიცადა. ბალი სურნელებას აფრქვევდა, უჩვეულო გრძნობა ეუფლებოდა, აკრთობდა კიდეც, მთელ სხეულს რომ სიამით ავსებდა. შორიდან გასცეროდა, როგორ მოემართებოდა ბალში ნელი და ზომიერი ცეკვით, მსუბუქი ფერხულით, ჩირალდნებით ნიმუშების მომღერალი გუნდი.

„ნიმფები ხარობენ, როდესაც ხეებს წვიმა ასაზრდოვებს“, „ნიმფები სტირიან, როდესაც ხეებს აღარა აქვთ ფოთლები...“

მთელი გუნდი მანდილოსნებისა ბალს ეფინებოდა, ვისაც ვისკენ უწევდა გული, იქით მიიღოტვოდა. დედოფალს ჩამოეცილებინა მხელებელნი, საჭურისნი და თავდავიწყებით მისდევდა ფერხულს. სიხარულს სიტყვად ექცია მურვანიც მოხდენილად რომ აეწყო ფერხულს. წარსულის ამ თაყვანისცემის დღეს დედოფალს ეწადა თავისი წარსულის ფურცელიც გადაეშალა.

მზესავით ნათელ ელინურ მეტყველებაში, სახის უზადო ნაკვთებში სიბრძნე და სილამაზე ერთად გამოსცეიოდა. დედოფალს ალერსისა და სინაზის ალი ასდიოდა, მის გვერდს მყოფი გულგრილი ვერ დარჩებოდა. მურვანი მუსიკასავით უსმენდა, უსმენდა და თან ფიქრობდა; ასე ცოცხლად ბავშვობის წარმოსახვა მხოლოდ სიყვარულისა და სიკვდილის დღემ იცოდა, დღემ პირველმა და დღემ უკანასკნელმა.

„ამ, დღეს ათენში, ციკვა-ციკვით, სახლიდან სახლში გადარბოდით ვაშლებით ხელში, ვერცხლის მონეტებს ვაგროვებდით. ცა იყო ჩვენი დარბაზი და ვარსკვლავთა გუნდი — მომლხინებელი. დღეს კი, ბრწყინვალე სასახლის დარბაზში, თეით ვარიგებ საჩუქრებს, ისიც ოქროთი...“

„ჩემს დაბადებას მამაჩემი სიხარულით შეხვედრია, უმალ ხელში აეუყვანივარ, ეს ჩვენში ნიშნავს აღიარებას ოჯახის წევრად, მაგრამ

საბრალო დედამ კი იმ დღეს დასტოვა წუთისოფელი და შემჩერ მე თვითონ დედამ, გაუიგე, რა ბევრი რამ დამკლებია.

მურვანმა დედის ხსენებაზე თავი დახარა.

— ...ლექსების წერა მიყვარდა. ლექსებით უხილავ დედას ვუმ-ლეროდი, ხილულ ღმერთებს შევხაროდი. მაგრამ მამამ ჭავჭავაძე თავის რ-ძით ჩამაგდო განსაცდელში. ძმებს დაუტოვა მთული წილების მქუდი მხოლოდ ასი ოქრო და წინასწარმეტყველება ბრწყინვალე ბედის, როგორიც არც ერთ ქალს არ ექნებოდა. მე მაინც შევრდომილი ვე-ვედრებოდი ძმებს, გაენაწილებინათ მამის ქონება, სადღა არ ვიყავი: ელევზისში, ოლიმპზე, ვიყავი არგოსში, ქალდეაში — ნიმუჟებს მსხვერპლს ვწირავდი და მხოლოდ დელფოში მიწინასწარმეტყველა ორაკულმა იგივე, რაც მამაჩემმა და მაშინდა დაებრუნდი მორჩილად ათენში. ათენმა კი, ყველა დამცირებულთა და შეურაცხმყოფელთა დამცველმა, არ გამიწია მფარველობა. „ბედი თავისით არ მოდისო“, თქვა მამიდაჩემმა და წამოვედით კონსტანტინოპოლის ავგუსტასთან ქო-მაგის თხოვად, თუმც ანდერძის ურჩობისათვის შიშიც მქონდა სას-ჯელისა.

„ავგუსტა კი იმ დროს თურმე სადედოფლოს ეძებდა თეოდოსისათ-ვის, ამასთან, თავისთვისაც სასურველს, ისეთის, რომ არ ჰყვარებოდა მბრძანებლობა, მორჩილებას დასჭრებოდა. ყველა დედოფლობის მოსურნე კი უპირველესი მბრძანებლის სახეს იღებდა, მეფეურ სიამა-ყეს იჩენდა, ჩემს შიში მორჩილება დაინახეს, პოეზის სიყვარულში ქვეყნიური დიდების უარყოფა და ფეხის ზომაც არ იკითხეს, მყის თეოდოსის წინაშე წამაყენეს. ფარდის უკან ჩასაფრებული პავლინიც თავს ვეღიარ იყავებდა, თანხმობის ნიშანს აძლევდა და თეოდოსიმ შე-ხედვისთანავე ხელი გამომიწოდა: „ყოველი ლამაზი ქალი ღირსია იყოს დედოფალი“, თქვა და მივიღე ქრისტეანობა... ზოგი იმ ქორ-წინებაში წარმართობის გამარჯვებას ხედავდა, ზოგი — ქრისტეანობი-სას. ყოველ შემთხვევაში — რჯულშემწყალებლობას მაინც. მე უმალ მოვუხმე ჩემს ძმებს. უნდა გენახა, რა შიშით შემომცეროდნენ დე-დოფალს, ეგონათ, დაისჯებოდნენ, მე კი გულწრფელად მადლობის გადახდა მინდოდა. იმ დღეს მე ყველაზე ბედნიერი ვიყავი. აღზრდილს მხიარულ სახლში, სადაც ყველაფერი იცინოდა, იცინოდნენ ნერეიდე-ბი კედლებზე, იცინოდნენ მოცეკვავე ღმერთები, ტრიტონებიც კი — მე სულ ადვილად შევეგუე სასახლის დაღვრემილ კედლებს, გალო-ბას ერთფეროვან ფსალმუნებისა ჩემს პატარა მულებთან ერთად.

ამის შემდეგ მურვანს იღარ ახსოვს რა თქვა, ვერც დედოფალი

იტყოდა, როგორ აღმოჩნდა მურვანის მკლავებში, როგორ გაფაეხვია
ახალგაზრდობა სიბრძნეს, როგორ ვადააბიჯეს შეუცნობელები. მურ-
წყმოდათ სუნთქვა და ჩაუწვდომელის ჩაწვდომას ლამობრნებ. ეს
მოხდა თავისთავად, როგორც ხდება ყოველი მნიშვნელოვანი. ამოუც-
ნობი იყო იგი, როგორც სიცოცხლის ჩასახვა, როგორც მისამართი
სიცოცხლის განსკვრეტა. იგი სინამდვილის აღქმის ალექსანდრე მარტინი
და შეუძლებელი შესაძლებელი ხდებოდა. ეს იყო კურთხევა სიყვარუ-
ლის საიდუმლოებაში, თოთქოს შემოქმედი გამოიხმოთ თავის უსაზღვ-
რო წიაღიძან. შეუცნობელის წინაშე იდგნენ და მისი ბრწყინვალებით
დაბნელებულთ წუთიერი მარადიულს განაცდევინებდათ. ამ ნეტარე-
ბის ამოსაწურავად საუკუნეც არ ეყოფოდათ.

ბაღმაც შეითქვა სურნელება ზეცით მონაბერისა და თრთოლვით
შეიჩხა ფოთლები სავარდისა, ვარსკვლავებმა კი ეს დაიხსომეს. არ
სთვლემდა დარბაზ-ქალბატონიც, ავგუსტას თვალისა და ყურის ნაც-
ვალი, „პატრიციელი ქამრით“, რომლის სამოსის შრიალმა მეხივით
გასთიშა წყვილი. დიდ განცდას დიდი საფარიც სჭიროდა. უსიტყვოდ
ანიშნა დედოფალმა „პატრიციელს ქამრით“ — საპატიო მანძილზე
გაჰყოლოდა და თვით მურვანთან ერთად დარბაზს დაუბრუნდა.

მურვანი არ ცდილა გარკვევას მომხდარში. აოცებდა მხოლოდ, რა
საიდუმლოებით იყო მოცული გულგაღელილი ბუნება, როდესაც ეხე-
ბოდა მას სულიერი ქვეყნის მიზიდულობის ძალით. როდესაც გიყვარს,
გრძნობ, რომ უყვარხარ, ცხოვრების აზრიც ნაპოვნია, სიცოცხლის
ფერხულში ხარ ჩაბმული და ყოველი ხის შრიალს, ფრინველთ გალო-
ბას, ყვავილთა ლიმილს, მათ სურნელებას ნიავთან ერთად მარადიუ-
ლის ფიქრებიც მოაქვს.

და მურვანი ვერ გრძნობდა, როგორ უკრელებდა თვალს მისი
ბრწყინვალება მანდილოსნებს.

პროკლემ აღნიშნა იბერიელის გარეგნობის მშვენება და გააყოლა
რა თვალი, მითრიდატეს უთხრა:

— არა მცონია, მანდილოსნებმა გაიმეტონ უფლისწული აზრის
კოცონზე დასაწვავად.

ახალი სარდლის ქება-დიდება გაისმოდა ყველგან და ყოველ წუთს.
მაშინ მურვანმა სიცილით თქვა:

— ვშიშობ, ქების წყარო ნიაღვრად არ გაქცეთ და არ წამლეკოს,
მოღით, მაგინეთ, ისა სჯობს.

პროკლემ ისევ მოხედა მურვანს:

— უარყოფის ძალის ჩასწვდომია სარდალი, თორემ ფილოსო-

ფოს არ უნდა რცხვენოდეს ქების, ფილოსოფოსს რცხვენია მლიქვნელობის.

მურვანი ამ დროს მეომრების სადლეგრძელოს ამთავრებით:

— კაცნ ფილოსოფოსნო! ფილოსოფოსთ უფრო გიწოდებთ, ვიდრე მეომრებს, რადგან თქვენი მუდმივი მეცადინეობები უფრო ხელის ვიდილია.

შე გერი მეტე

ფრთაშესმულ მურვანს დარბაზი აღარ ყოფნიდა და პროკლესა და მითრიდატეს შესთავაზა ზღვის პირად გავლა.

დააგდეს დარბაზი და ხეივანს გაუყვნენ. მთვარე დაპქათქათებდათ. მურვანი სუნთქვედა დედოფლის სუნამოთა სურნელებით, მის სამოსს რომ თან გამოჰყოლოდა, ზღვის სუფთა ჰაერს ბალების სურნელება შერთვოდა, მის გრძნობასა და გონებას კი ცეცხლი ეკიდებოდა: „ათენის, ათენაის, — იმეორებდა, — მე შენ გიწოდე ათანაზია — უკვდავება.

აზრებს მიწიდან აეტაცათ, ზღვა ტაშს უკრავდა, ცა უცინოდა, ვარსკვლავების ბრწყინვალებაში დედოფლის ბრწყინვალებას ხელავდა. გრძნობებს აზრები აწყდებოდა. პროკლეს სიტყვის აღმოჩენისავით ისმენდა და ეს იმიტომ, რომ წარმართისაგან ესმოდა:

„იბრძეიან სხეულის კანონები გონების კანონებთან და ვიდრე არ დავთრგუნავთ სხეულის ვნებათ, ვიდრე არ განვიწმინდებით, მარადიულს ვერ ვეზიარებით... ჩვენ ვცხოვრობთ სხეულში, მაგრამ არა სხეულით, მოკვდავ სხეულში უკვდავი სულია, ზეციური მოქალაქენი მიწაზე დავიარებით მოგზაურებად და უკვდაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ამას მხოლოდ ჩვენთვის აქვს მნიშვნელობა, ყოვლი შემქმნელს ჩვენგან არა ესაჭიროება რა. მე ლვთაებას ვუწოდებ სიცოცხლეს ან სიკეთეს და არა ცეცხლს ან ქვას.

წარმართი წარმართობას მაღლიდან დასცემეროდა.

— ...ქრისტე მე მივიღე უდიდეს აღმიანად, იმდენად დიდად, რომ მისი ქომაგნიც ვერ ჩასწვდებიან ჯურმულსა მის სიბრძნისასა და ქნინ ბუქებად მოსჩანან საუკუნოვან ჩინართან. ქრისტეს უნდა უბაძვიდეთ, და მოკრძალებით ქედს ვიხრი მის წინაშე. უმაღლესი ერთიანობა ყველაფერშია თავისი გამოსხივებით და ჩვენთვის, ელინთათვის, ღმერთების პანთეონი შუამავალია უმაღლესი ერთიანობისა და გარე სამყაროსი. სულის ასელა უმაღლეს ერთიანობასთან ნიშნავს უმაღლესი ერთიანობის შეცნობას. უმაღლეს ერთიანობამდე კი აღწევს მხოლოდ უმაღლესი სიკეთე, რაც გულისხმობს უარყოფას ყოვლივე გრძნობადისა, მიწიერისა, ბოროტისა.

მურვანი კი ისევ გრძნობდა, როგორ ეძიებდა განსაზღვრული სხეული განუსაზღვრელ სულთან ერთიანობას, რაც ასევე უწყვეტესის მიღწევას ნიშნავდა და მხოლოდ ნაწყვეტებად ესმოდა პროკონს სტუა:

— ... შეიძლება ისე წახვიდე ამ ქვეყნიდან, ვერც ფარგლენი, ნუკლეარ შენ. თავი ამოუცნობი დარჩება მით უფრო მას, ჰინტ ჟენტრისტებისაკენ მიისწრაფვის.

— ...არა მჯერა, რომ ღმერთი მიწაზე დაიარებოდეს, არ ვიზიარებ, რომ იგი სახელიდებოდეს, ყველასათვის მისაწვდომი ხდებოდეს. მე კარგად მესმის ნესტორიოსის, რომ მას არ შეუძლია იწამოს ღმერთად ბავშვი — ქალწულისაგან შობილი არსება. იგი ცამდე მართალია, მაგრამ მაინც განწირულია. იგი ხალხს ყველაფერს ართმევს, მიცემა კი არაფრისა შეუძლია. ჩვენ ყველა ვისწრაფვით ღვთაებრივი ნაოლისაკენ და ვცდილობთ მასთან საიდუმლო შეერთებას და, რადგან ღვთაება უკვდავია, ჩვენც ვეზიარებით უკვდავებას....

მურვანი მათ ნაბიჯს ვეღარ უწყობდა. უკვე გარბოდა. მის წინ გადაშლალიყო გონების სხივით დაუსერავი მიღამოები, თითქოს ჭრეა-ჭუხილი ესმოდა პირველი გაზაფხულისა, მალ-მალ აზრი გაიცლებდა და უხილავს ნათელსა პფენდა, მიუწვდომელს სწვდებოდა; იმ სიმაღლეზე აზიდულიყო, საიდანაც აზრისა და არსის განუყოფელობა იხილებოდა. უარყოფაში დადებითი დაინახა, რელიგიის ღოგმებს მიღმა გადაიხედა და დაფარული გაცხადდა.

გარბოდა მურვანი. აზრის ღრუბელს წვიმიდ აქცევდა პერგამენტი — ნაოშ მიწაში მოხვედრილ თესლს აღორძინებდა:

„ბნელი უჩინო იქნება სინათლით, უმეცრება — მეცნიერებით, მაგრამ ღმერთი, უმაღლესი გონებასა და არსებობაზე, გადამეტებული ბრწყინვალებისაგან უხილავი რჩება. საღმრთო ნისლია ის უხილავი სინათლე, რომელშიაც ღვთაება იმყოფება, გზები მისი გაურკვეველია და წყალობა მისი გამოუთქმელი.

„რამდენადაც მეტად მივისწრაფი უმაღლესისაკენ, მით უფრო ჩემი სიტყვა მოკლდება და როდესაც შევდივარ იმ ნისლში, რომელიც ყოველ გონიერებას აღემატება, ღუმილი მეუფლება, რაღვან იგი არ არის ის, რაც არსებობს — იგი არ არის არც სული, არც სიტყვა, არც გონება, იგი უმაღლესია ყოველ განსაზღვრებაზე.

„უზენაესს მისეზს, ღვთაებას, უწოდებენ სიტყვას, გონებას, სიცოცხლეს, უჩინარს, უსასრულოს, მას უგალობენ ვითარცა სახიერსა, ბრძენსა, წმიდათა წმიდასა, მისეზთა მისეზს, მზესა, მიწასა, ცეცხლსა,

წყალსა, ჰაერსა, კლდესა, მე კი მას ვუწოდებ საკვირველსა. იგი გან-
ფენილია მოვლენათა შორის სიკეთით, საიდუმლოდ ვრცელდებოდ გო-
ნიერ არსებაში, რაოდენ მზადყოფნაშია იგი ღვთაებრივის მისაღებად,
რაოდენ დასატევნებელ არს მისთვის.

„მხის სხივი გამჭვირვალე საგანში ძლიერად ბრწყინვაშეს უძლიერი
მეტად ათბობს მას, ვინც ახლოა მასთან. ხმა ერთნაირია კი მისმა მჯ-
რამ ყველას ერთნაირად არ ესმის — ერთნი მიიღებენ. მარადიული
ათვისებით, მეორენი — დროებით. მიმღები ცვალებადია, ამიტომ ცვა-
ლებადობს ათვისებულიც. უამიერი მყარი და უძრავია, დროებითი —
ცვალებადი და მოძრავი. უამიერი დროის უზენაესია, დროებითი კი
დროს დაქვემდებარებული. საგანი, რომელიც მარადიულობს ეჭვემ-
დებარება, კეშმარიტი ყოფიერებაა, საგანი, რომელიც დროს ექვემდე-
ბარება — წარმავალია და ისპობა.

ღვთაებას უარყოფის ცნება მიუყენა და ხელშეუხებელს ხელი
შეახო:

„ვთქვათ არა რა იგი არს, არამედ რა იგი არა არს და მაშინ ოდენ
ვჭეშმარიტებდეთ, რათა უკუთქმანი უჭეშმარიტეს არიან სალმრთოთა
ზედა. არსთა შემქმნელი არა არს. მიზეზი ყოველთა არცა სულ არს, არ-
ცა გონება, არც ძალ, არც ნათელ, არცა მეუფება. იგი გამოუთქმელ
და უცნაურ არს.

„ვთქვათ რას არ ვიზიარებთ, არ შევიუვარებთ, არ ვეგუებით, ვერ
მოვითმენდით — უკეთ გაგვიგებენ. და როდესაც ვაღიარებთ, რასა
ვსცემთ თაყეანს, რას ვიზიარებთ — ეს ყველაფერი მხოლოდ აბნევს“ —
უნდოდა პროკლესათვის ეთქვა.

თავი მიათი

ავაა დაღმატი

როდესაც თეოდოსი და ნესტორიოსი კრების აღვილად ეფესოს
ირჩევდნენ, ფიქრობდნენ მხოლოდ იმაზე, რომ ეფესო სტუმრებისათ-
ვის მისაღებად ერთნაირად აღვილი მისაღვომი იქნებოდა როგორც
ზღვით, ისე ხმელეთით, ამისთან, ეფესო კეთილმოწყობილიც იყო. მაგ-
რამ მათ ვამორჩათ ის გარემოება, რომ მარიამი თავის სიცოცხლის

უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა სწორედ ეფესოში, აქ იყო მისი საფლავიც და მის სახელშე ერთადერთი ტაძარი მაშინდელ საქონის გუნიში.

ეფესოელნი მარიამს სთვლიდნენ არა მარტო მფრიდავად, არამედ ეფესოს მკეტავადაც. „ისაა მარიამი, რომ ქალაქს ყოველივე სიკეთეს მოუვლენს, ისაა, რომ იცავს მეკობრეთაგან, ისაა, შექვეჩეტებტ ჭადარის გადარჩენს ქარიშხალისაგან“ და მარიამისათვის ლტეტმჭტჩტეტტეტ ქანხელწოდების შემდავებელი, ყოველი კეთილი ეფესოელის თვალში ქალაქის მტრადაც გამოიყურებოდა.

პაპა ცელესტინი ასე სწერდა ეფესოელებს:

„მ შინაგან ომში რწმენა ჩვენთვის უნდა იყოს კედელი ურწმუნოებისაგან თავის დასაცავად. დავიცვათ იგი, რადგან იგი ჩვენ გვიცავს.

„უმაღლესი საგნების გარკვევისას შიში უნდა გვქონდეს, ჰქუას კი არ უნდა ვატანდეთ ძალას!

„ვინ გაბედავს გამოსცადოს ლმერთი?“

„ხორცესხმის საიდუმლოებას უნდა ვუცერდეთ როგორც სასწაულს, სასწაულის დანახვაზე კი უნდა დაღუმდეს გონება. ნუ იყითხავთ, როგორ რჩება ლმერთი ლმერთიდ და იქცევა ადამიანად. ასეთი გამოკვლევები ხელს უწყობს სულის დაღუპვას და არა მის ხსნას“.

მაცნენიც ეფესოდან სანუეშოს არს იტუოდნენ: ეფესოს მაგისტრატმა და დასმა ნესტორიოსს არავითარი პატივი არ მიუწოდ. მთელი თავის ამაღლითა და პარაბოლანებით ჩამოსულ კირილეს შესახვედრად კი მთელი საეკლესიო ფლოტილია მოიკაზმა. კირილეში მეორე მფარველს ხედავდნენ. მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ტაძარს, საღაც კრება შესდგებოდა, გარს ეხვია გროვა ბერებისა, საერო ხალხისა, მთელი გუნდი აღმსარებლებისა და მოყვარულნი საეკლესიო ფალავანთა ჭიდილისა. ეფესოელები თუ ქრისტესათვის მშვიდი სახით მიღიოდნენ სიკვდილის მისაღებად, არც მწყემსმთავარს დაინდობდნენ ქრისტესათვის განსაგმირად. რაკი ნესტორიოსს ლვოის ხმა აღირ ესმოდა, ერის ხმა უნდა გაეგონა.

ომიანობის გამო დასავლეთიდან ლეგატებს აგვიანდებოდათ, აფრიკიდანაც მძიმედ იძვროდნენ, ერთდროულად თავს ვერ იყრიდნენ, ერთმანეთსაც ვერ უცდიდნენ და ნაცვლად მსოფლიო კრებისა რამდენიმე კრება ეწყობოდა — იმდენი, რამდენ ქვეყანისაც დაგვიანდებოდა.

ერთი კრება რომ გამოაცხადებდა: „აეყაროს ნესტორიოსს საეპისკოპოზო ლირსება და განიკვეთოს ეკლესიისაგან“, ხალხი დასცემდა ყიუინის: „ახალ იუდას შეჩენება!“ და მთელ ღმეს განათებულ ეფესოს საყვირებით უცხადებდნენ, განაჩენს მოედნებზე აქრავდნენ; მე-

ორე კრება ნესტორიოსს მოარიგებდა ხალხთან, კირილეს განცემულნენ აპოლინარიზმში ბრალდებით; შემდევ ისევ ნესტორიოსს მეტავარებდნენ, კირილეს ამართლებდნენ. გაბეზრებული ბერობა უცხო ქალაქში ყოფნით, აურზაურით, უთავბოლო დავიდარაბით, ძეელი ანგარიშების სწორებით, თავიანთ მონასტრებში დაბრუნებას ითხოვდა. ყველა ჭორი მოითვალისწინებოდა დაუსრულებელი საჩივრები. ყველა ერთი მეორის საწინააღმდეგოს ითხოვდა. ბაზილევსი და მრჩეველნი თავს ვეღარ ართმევდნენ მდენ საჩივრებს. ბოლოს გადაწყვიტეს, დაეპატიმრებინათ კირილეცა და ნესტორიოსი. შეეწყვიტათ ყოველვარი მიწერ-მოწერა. გამოსცეს ბრძანება, ყველა მოგზაური გაესინჯათ საზღვარზე, რათა არავის ჰქონდა წერილების გატან-გამოტანის საშუალება.

ამას უარესი არეულობა მოჰყევა. შეურაცხყოფილი ეფესოელნი ოლარ უსმენდნენ შემრიგებლებს, არც მუქარა აშინებდათ, ჩამოსულნიც თუ მანამდე ითხოვდნენ წასელას, ახლა, როდესაც ცდილობლენენ კრების დაშლას, სამეფო რწმუნებული ყველას თავ-თავის ეკლესიებში დაბრუნებას სთავაზობდნენ, გადატრით უარზე იღვნენ:

„ი, ჩვენი სხეული, რაც გინდათ, უქენით, — გაიძახოდნენ, — ი, ჩვენი ეკლესიები, წავგართვით ისინიც, ი ქალაქები, აქედანაც გავადევნეთ, გიდრე არ აღიარებთ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, აღმოსავლეთელებთან ჩვენი ურთიერთობა შეუძლებელია“.

ჩხრეკა მეცაცრი იყო საზღვარზე, სასჯელი — მძიმე, მაგრამ ეფესოელის წარმოსახვის უნარიც — დაუშრეტელი. მათხოვარი კომბალით ეფესოდან ბოსფორში მიმავალ ხომალდზე სამოწყალოდ მიიღეს.

მათხოვარი კომბლით კონსტანტინოპოლს სწრაფად ვაუჩინარდა. ქალაქის კარიბჭესთან მონასტერს მიადგა.

დალმატიმ იცნო ვასიანე, დიდად სახელმოხვევილი ეფესოელი ქველმოქმედი და, რა გაიხსნა კომბალი, კირილეს წერილთან ერთად კრების ოქმი წაიკითხეს. ავგამ კურთხევა მოიღო და ვასიანე ისევ გაუჩინარდა.

„რა წყევლას იმზადებს ნესტორიოსი!“ — ესა თქვა მხოლოდ და დაღვა ლოცვად, შეწევნითა ლვთისათა ელოდა გამოსავალს.

გამოსავალი კი ერთი იყო — უნდა თვით წარმდგარიყო თეოდოსის წინაშე და მოეთხოვა კირილეს დეპუტაციის მიღება, მაგრამ როგორ დაერღვია წმინდა ფიცი მონასტრიდან არგამოსვლისა, თუნდაც ისეთი კეთილშობილი მიზნისათვის?

მოუსვენარი დღე, უძილო ღამე, შეერდომილი ავა ღვთისაგან
ითხოვს შველას და ძილ-ღვიძილში ესმის:

„გამოდი, დალმატ, გამოდი აქედან“.

და აპა, კარგანნმული მონასტრის ზღურბლთან სდგას დაწმეტი, და
თავის ბერ-მონაზვნებს მოუწოდებს ჯვარისნული სკლიზვებს. ჭრის
ამოსვლას კი ავვა კონსტანტინოპოლის სავალ გზაზე უკდება. მონასტრის
მასთან ყველა მონასტრიდან, ეკლესიდან, სასოებით, შიშით შესცევ-
რიან ერთმანეთს. გროვდებიან მოხეტიალე ბერები. ბრბო სასახლისა-
კენ მიემართება. გზა და გზა კიდევ და კიდევ ემატება ხალა ხალხს.
სასახლესთან ავვამ ხელის აწევით მოითხოვა შეჩერებულიყვნენ,
ფსალმები ყი არ შეეწყვიტათ.

ვასიანეს გმირობის ამბავი მთელ კონსტანტინოპოლის მოედო, არა
ნაკლებ აღმგნები იყო ავვას თავგანწირულობაც.

ავგუსტიამ რა შენიშნა ავვა სარქმლიდან, ფიცხლად გამოეგება, შე-
ერდომილმა კურთხევა მოსთხოვა, მზად იყო მონანიებისათვის, მაგრამ
გამბედაობაც არ აღმოაჩნდა ელიარებინა დანაშაული.

ავვამ მიიღო კურთხევა და თქვა:

„ღმერთი შეუნდობს მონანულს უსიტყვოდაც. ახლა სარწმუნოების
დაცვა უმაღლესია“.

დალმატის უეცარმა გამოცხადებას თეოდოსი განაცვიფრა და შე-
აშინა კიდეც, თითქოს თვალთაც არ უჭერიდა. ჟალა კი ველარავინ გა-
დაათქმევინებდა, თუ კი რასმე მოსთხოვდა.

ავვამ მაინც იქიდან დაიწყო, რომ ეს დღე სამი წლის წინ ვიწინა-
სწარმეტყველეო. ახლა უპირველეს ურჩევდა ავგუსტას დაბრუნებას
თავის უფლებებში, რაც იქვე განხორციელდა და თეოდოსის ყველაზე
მტრივნეულ იარას მალამო დაედო, გახსენდა თავისი უზრუნველი ბა-
ვშვილი, თვალები ცრემლებით აევსო:

„მე მინდოდა სიწყნარე დამემყარებინა მღელვარე ეკლესიაში,
ვფიქრობდი, უპატიოსნება იქნებოდა არ მეძებნა განკურნება ბორო-
ტებისაგან და მსოფლიო კრებაც მოვაწვევინე... მეუფეთ რომ მოენ-
დომებინათ მშვიდობა, მე მზად ვიყავი მიმეღო მათი წინადადებანი. მე
არა ვარ მიზეზი განხეთქილებისა, ღმერთმა იცის, ვინც არის იგი“.

მაშინ დალმატიმ გადასცა კირილეს ეპისტოლე და მოსთხოვა დე-
პუტაციის მიღება, ნესტორიოსი კი, როგორც ღვთისმგმობელი, უნდა
განედევნათ.

— მე გავცემ ამის შესახებ ბრძანებას, — თქვა თეოდოსიმ.

ავვას უნდობლობის ღიმილმა გადაურბინა და გაბედა:

— გთხოვთ, სიტყვა ჩემი თანდასწრებით შეასრულო.

თეოდოსის მოეწონა ავვას მამაცობა და იქვე დაწერო ბრძანება, ავვას კი სოხვა:

— ეველრე ღმერთსა ჩემთვის.

ხალხსაც მიმართა:

— მამანო, ილოცეთ ჩემთვის.

და გალობით „აქებდეთ უფალსა...“, ანთებული სანთლებით, მოკიას ტაძარს შემოხევივნენ თეოდოსის ბრძანების წასაკითხად.

ანათემა და კირილეისონ ერთად მიქვროლნენ თაღებისაკენ. ქუჩებს მოედვნენ მყვირალა ბერები და ყოველ შემხვედრს სალამის ნაცვლად „ანათემა ნესტორიოსს“ დასძახებდნენ.

სახლებშიც ვეღარ ჩერდებოდნენ, ქუჩებს ეფინებოდნენ, თავისი ერთსულოვნებითა და სიმრავლით მრისხანედ გამოიყურებოდნენ.

ბაზილევსის აზრის შეცვლამ არ დააყოვნა კარის დიდებულთა აზრის შეცვლა. კირილე გაანთავისუფლეს და ალექსანდრიამ იზეიმა გამარჯვება.

კონსტანტინოპოლის ქუჩებისა და მოედნების კედლებზე დადგენილება გააკრეს:

„აიკრძალოს წერა, შედგენა და წარმოთქმა სხვა რომელიმე სიმბოლოისა, გარდა ნიკეისა. სიმბოლოში რამე შესწორებისა, დამატებისა თუ გამოკლებისათვის, სამღვდელოთ მიესჯება დამხობა, საერთო — ანათემა“.

ცეცხლს მიჰქონდა ნესტორიოსის ნაწერები, იწვოდა მაფსუეტელიც, არც დიოდორე ტარსელი ავიწყდებოდათ.

მაგრამ ნესტორიოსი განდევნას უდრტვინველად შესვდა:

— მე არასოდეს არ მეონია პატივმოყვარეობა, ჩემი მხურვალე სურვილი იყო მუდამ განმარტოვება მონასტერში.

ამან კი თეოდოსის გაუქრი ყრუდ შემორჩენილი სინიდისის ქენჯნა.

რელიგიურ ომს სასახლისათვის საფარი წაუგლიჯა უეცარი ქარივით. გადაეთელა სამეფო კარი. ნაქარიშელევზე მზემაც გამოანათა. ვინ გაბზარულიყო, ვინ ძირიანად მოეთხარა გრიგორეს, სიზმარში იყვნენ, თუ სიზმარი ენახათ? განაფხულის მოძრულ ყვავილებივით ფერი ეცვალათ, სამისიც თითქოს შემოსრესოდათ, გუშინდელი დიდება აწ გონებათ ჰქონდათ.

ბაზილევსის ტახტი ერყეოდა, ავგუსტა მმართველობის სადაცებს ჩატრენოდა. დიდებულნი ხელაბყრობილნი ულოცავდნენ ერთმანეთს გადარჩენას. თითქოს მოძალადე მევალისათვის უკანასკნელიც გაეღოთ

საგანძურიდან — ნახეს უძლეველთ თავის უსუსურობა, ცოდნების ტალღებს აქონ-დაპქონდათ ანლა ისინი. გამარჯვებული იყო საჭირო / და საზეიმო განწყობაც მას ჰქონდა.

პატრიარქად არჩეულ იქნა პაპა ცელესტინის ბაკუვაზე ციფებრი, პრესვიტერი მაქსიმიანე, დაბადებული და გაზრდილი ტუმშერიქცეულისანი, მაგრამ არაფრით გამორჩეული, სწორედ ისეთი, როგორიც ახლა ესაჭიროებოდათ. მისთვის მთავარი იყო მშვიდობა. მას თავის სენიც ჰყოფნიდა სადარდებლად, — დღენიადაგ მუხლების ტეხისა და წელის სატკივარს უჩიოდა, მკურნალის გარდა არავის მოყიოთხავდა და მისი ულიმლამო ცხოვრებაც ავადმყოფურ ძილ-ღვიძილში მიედინებოდა.

თავი მთავრობითი

ავგუსტი

ნესტორიოსს თავისი გულუბრყვილობით ქვეყანა გაეკვირვებინა. საკვირველება იყო თქმა იმისა, რასაც ყველა იფიქრებდა და თქმას კი ვერ იკისრებდა და თუ მწყემსმთავარი, ნაცვალი ქრისტესი, ამას კის-რულობდა, მის ნათქვამს ძალაც შესწევდა და სარწმუნოებასაც არ-ყევდა.

მურვანის გონებაში კი მართლაც საკვირველი აზრები ტრიალებდა. თუ ნესტორიოს მარიამი არ მიაჩნდა ღირსაღ ღვთისშობლად აღი-არებისა, მურვანს, საერთოდ, აღამიანი არ მიაჩნდა ღირსაღ იმისა, რომ ძე ღვთისა, ჩამოსულიყო ქვეყნად მისი ცოდვების გამოსასყიდად.

— ავმაღლდეთ სულით, ავიდეთ ღმერთოან, აქ, ქვეყანაზე, იგი გა-მოუთქმელია: თეოსის! — გაღმერთდეს აღამიანი და არა ღმერთი იქ-ცეს ადამიანად.

მურვანმა ხელშეუხებელს ხელი შექმო და ღვთაებას უარყოფის ცნება მიუყენა, რითაც ღვთაება კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდა.

დღეს საზღლობის კმაყოფილიც იყო, მით, რომ მას არ ევალებოდა საღმრთისმეტყველო სიტყვა ეთქვა. იგი მუდამ ღუმილს არჩევდა, ვიდ-რე იმის თქმას, რასაც არ იზიარებდა. მისთვის ქვეყანაზე უჩვეულო არა მომხდარიყო რა და სიტყვაგებითაც თავს არ იღლიდა.

კონსტანტინოპოლი ავგუსტას მოთავეობით ღვთისმშობლის ჩახელ-ზე ძეგლსავე მშვენიერსა და დიდებულ ტაძარს აგებდა, როგორც ეფე-სოს ჰქონდა. ყველას უნდოდა, ერთი ქვა მაინც თვითონ მიეცირებინა, ავგუსტა კი უფლება ქვას ისე გააყოლებდა თვალს, თითქოს წარმოი-სის ჩამაჯოლად მიქონდათ.

დღე თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო. პაპის, ლიგანტუ კონსტანტინის, გამაღებების ერთნაირი ელარუნით ჩამოველო და ყველა კარიბჭე მძიმედ გაეღო. კამატილი თეოდოსი სანადიროდ გასულიყო. დედო-ფალი ჭერ არ ჩანდა. მურვანს დაემთავრებინა მითრიდატესთან სიბრძ-ნის საათი და გარის საომარ ვარჯიშს უთვალთვალებდა.

ავგუსტაც მშენებლობაზე იყო. დარბაზ-ქალბატონი, „პატრიციელი ქამრით“, გვერდში ამოსდგომოდა და გამჭირდავ კილოზე და თავაზი-ანი ცამომეტყველებით თხრობას არ წყვეტდა. ავგუსტაც განურჩევი-ლი სახით ისმენდა. ბრუმალის ზეიმის ამბავი არც თუ ისე აინტერე-სებდა, მაგრამ სიტყვა შეეხო რა დედოფლის სარდალთან სიახლოვეს, ყურები ცმვიტა, „პატრიციელმა ქამრით“ ხმას დაუწია, მრავალმნიშვ-ნელოვნად თვალებიც გადაატრიალა და თავისი სიტყვაცა თქვა. ჩაშინ ავგუსტამ შეაწყვეტინა, შენიშვნაც მისცა, უმნიშვნელო განკარგულება გასცა და „პატრიციელი ქამრით“ ადგილიდან მოწყდა. საგონებელში ჩავარდნილს ვერ გაერკვია, რა თქვა ისეთი, რაც არ უნდა ეთქვას შე-საძლოა, თავის თავზე მიიღო გადაკრულ სიტყვად, მას კი ამაზე სუ-ლაც არ ეფიქრა.

დიდი ხანია, ავგუსტას მურვანზე ჰქონდა თვალები გაისრული, მაგ-რამ ნესტორიოსთან მარცხმა, მასთან ანგარიშის სწორებამ, მმართვე-ლობის დაბრუნებამ, ერთხანს პირადი სიამოვნება დავიწყა, ახლა კი, მგონი, დაპერვინებოდა. პირდაპირ სასახლეში მობრუნდა. კარი გამო-იყეტა, სახიდან განურჩეველის ნიღაბი ჩამოიხსნა, მეტოქის ნავარდით დასერილმა სარკეს გახდა; რა ვუყოთ, რომ დედოფალი მშვენებით სჯობდა! საჩდალს, ჭერ კიდევ სულ ახალგაზრდას, შეიძლება უმანქო-საც, ნდომის ძალით ყველა ერთნაირად ლამაზი მოეჩვენებოდა. აშ-ლილ ფიქრებს აჰყვა და დაპყვა. საკუთარ მსაკერპლთა სახეებმა თვალ-წინ ჩაუქროლეს. რა უნდა ყოფილიყო ნესტორიოსთან მარცხის მიზე-ზი? ის, რომ მან დრო მისცა ნესტორიოსს გონს მოსულიყო. ახლა კი მოულოდნელი იქნება მისი იერიში და დედოფალი მურვანისათვის ლა-მაზ სურათად დარჩებოდა. თეოდოსისაც იხსინდა თავსლაფის დასხმი-საგან — კეთილშობილური იყო მისი მიზანი, ღმერთიც ხელს მოუმარ-თავდა. დღეს თუ მურვანი უძლეველად გამოიყურებოდა, როდესაც

სხეულთან ერთად სულსაც საფარი ჩიმოეცლებოდა, ავგუსტი გაიხა-
ხვდა ჩვეულებრივს, ადამიანური ვწებების მონას და მაშინ ჩა-
საც დაუცვლებოდა... მაგრამ სურვილებმა ძალიან შორს შეტოვს,
იცოდა ვრძნეულმა, წინასწარი დარწმუნება მხოლოდ სანახეოროდ თუ
გაუმართლებდა, ამიტომ გონიერებას მოუხმო. საიდან, პრეზიდენტი
უდგეს მურვანს?

ხელებს ისრესდა, თითქოს სწორედ ამ დროს აზრიც ეყინებოდა.
და აა, მოცვივდნენ მასთან მიწისძვრისაგან დაქცეული ნიკომოდიელე-
ბი, შეელას ითავოდნენ მისგან.

„დაუყოვნებლივ ეცნობოს საიმპერატორო ჯარების სარდალს,—
გასცა ავგუსტამ ფიცხელი ბრძანება, — სასწრაფოდ მიიღოს ზომები
ნიკომოდიაში დამხმარე ჯარების გადასაყვანად! — თან დასძინა — თვი-
თონაც გამოცხადდეს ნიკომოდიელთა სანუგეშებლად“.

მურვანი თეოდოსის განკარგულებასაც ელოდა. მაშინ ავგუსტამ თე-
ოდოსისაც ურჩია სჩვენებოდა საბრალო ნიკომოდიელებს.

ჩვეულებრივ, ავგუსტა შემართული იქდა ხოლმე თავის სავარეცელ-
ში და ყველას დანურჩევლად უსმენდა. ვერსაოდეს შეატყობდი, სასი-
ამოვნო იყო თუ უსიამოვნო მისთვის თქვენი მოსვლა. ახლა კი მურვა-
ნის შემოსვლისას ფეხზე ადგა, ერთ ალაგასაც ვერ ჩერდებოდა. მოე-
ვარებას ვერ ფარავდა და უნდოდა მურვანს ეფიქრა, რომ ქვეშევრ-
დომთა უწყალო ბედს დაერღვია ავგუსტას მშვიდობა. მაგრამ ქილი
ისე ახლოს, ისეთი მგზნებარებით წრიალებდა მურვანის გარშემო, რომ
მისი ვწების ალი ვაეს სწვდებოდა და იგიც უნებურად უკან იხევდა.
ავგუსტაც თითქოს გონის მოვიდა, სავარეცელს მიუბრუნდა, ღრმად ამო-
ისუნიქა.

მურვანი ხვდებოდა, რომ ავგუსტას გულს უცხო რამ ფიქრები ჩა-
ვეოდა. დამშვიდობებისას ავგუსტამ ხელიც რომ მარწუხიერი მოუჭი-
რა, მაშინ კი დარწმუნდა, რომ უქორწინების აღთქმის დადება სახელ-
მწიფოს მმართველისათვის ჯერ კიდევ უბიწოებას არა ნიმნავდა.

თეოდოსი გულწრფელად იზიარებდა თავის ქვეშევრდომთა ბედს
და იმ ღამესვე ყველანი ერთად გაუდგნენ გზას ნიკომოდისაკენ.

გზაში მურვანი თეოდოსის გვერდიდან არ მოშორებია. დუმილით
მიჰყვებოდა. მისთვის ღრო და მანძილი გამჭრალიყო, დედოფლის წე-
რილს ისენებდა:

„რა გიუი დღე იყო, რა ახლოს იყავი, სიზმრად ხომ არ ვნახე, არ
ვავდა არც ერთ დღეს, რაზედაც მიოცნებია ოდესმე.“

„შორიდან შენს თმებს მოპარვით ვუცემერდი, ვფიქრობდი: ვერას-დროს, ისე როგორც ვარსკვლავებს, მე მათ ვერ შევეხებოდი, მათი ცეკვით ტქმობს ვერც კი ვბედავდი, რომ შენი სუნდევა სულ ქალოს ვიგრძენი. რამდენი ზღუდე გადაილახა ერთი შეხებით, რა სითბო ვიგრძენი, „შენ“ რომ მომესმა, ნაცვლად „ოქვენ“-ისა, მე წლებზე მომდევა უქრობი ცეცხლის.

„თითქოს ინათა ელვამ, მასთან ერთად განიხვნენ ცანი და გადმო-იყრევა სურნელება სამოთხის ბალის.

„ისე ბრწყინავდი სათნოებისგან, რომ მე შენს სახეს ვეღარ ვხე-დავდი, იმ სიმალლეზე ასულიყავი, რომ შენი ხმაც კი აღარ მესმოდა, მე ვგრძნობდი მხოლოდ შენი ჰეშმარიტი არსების ძალას, ისევე რო-გორც მწირი ლოცვის დროს არ არსებაში ამოიცნობს ღვთაების ნებას.

„მე მესმის მხოლოდ შენი სმა და ესუნთქავ მხოლოდ იმ დღის გან-დებით, ქვეყნის მიმართ ვარ დაყრუებული.

„სისიხარულო ნუშის ყვავილო, ატმის ყვავილის მშვენებავ, ვაშ-ლის ყვავილის სინაზევ, ვაზის ყვავილის სურნელებავ! როგორც მცე-ნარეს უმზისხივებოდ ყვავილები არ გადაეშლება, ისე ეს გული შენს უხილველად სიხარულისთვის არ გაისსნება და თუ ყვავილი სითბოს გარეშე არ გვაძლევს ნაყოფს და ფუჭად ხმება, ისე შენს სითბოს მოკ-ლებული ეს სიხარულიც გაუქრება.

„ი ეს მთები, მინდორ-ველები, ყვავილთა ჯარი, ფრინველთა გუნ-დი, ვარსკვლავნი ცაზე — ყველანი ერთად მემოწმებიან.

„მე შევიყვარე მცენარენი, ვარსკვლავნი ცაზე, რათა შენ სახის ბრწყინვალებას ვხედავდი მათში. მე აღარ მასსოვს ვნება ვისიმე, არც არავისზე გული დამწყდება, ყველას გულწრფელად ვაპატიე დანაშა-ულო“.

მურვანი თითქოს მიწასაც აღარ ეხებოდა, მიწიერი კანონებიც მის-თვის აღარ არსებობდა. სულიერი იყო მისი განცდა და სული მხოლოდ განგების წინაშე აგებდა პასუხს. მაგრამ უხილავი ჭრილობა მაინც მი-ედო დედოფლისაგან. მის ალერსიან სიტყვას საბრკე დაეგო ყურთა-სმენისათვის, მისი თვალთახდევა ასდევნებოდა და დაუსრულებელი ძალდატანება სჭიროდა მათ დასაძლევად. რაც არ უნდა ყოფილიყო დაფარული მომხდარში, უდიდესი ნეტარება, თუ ოცნების მსხვრევა, მიხვდა, რომ ასეთი რამ აღარსოდეს არ უნდა განმეორებულიყო.



მოპარული სიყვარული

ეროვნული

გიგანტური

სიამით მოქანცული დედოფალი თავისი საწოლი დარბაზის ყველაზე დაფარულ აღგილს, სიყვარულის ღმერთის პატარა ქანდაკის წინაშე დროდადრო მუსლის მოყრიდა, სამსხვერპლო სამფეხს ლერწამს, ნაძვსა და დაფნას შეუნთებდა; აქმევდა მსხვერპლად საკმელს და თან კვამლს თვალს ადევნებდა, ეწადა გაეგო, ბედნიერებისა თუ უბედურების მომასწავებელი იყო ის ჯადოსნური ლამე, როდესაც მურვანის სახე მის გულს ასეთი სიამით ჩაესვენა. მაგრამ კვამლი იფანტებოდა და თუ რომელიმე ფრინველიც დაიჩავლებდა, გული წუთიერად გადაუქანდებოდა, მაგრამ რა იყო აქ ღმერთებისათვის განსარისხი? თეოდოსიში ხედავდა ძმას, მამას, მეგობარს, მფარველს ყველას, ყველას. ფიქრით მხოლოდ იდუმალ შერწყმოდა მას, ვინც განგებას ყველა ლირსებით დაეჭილდოვებინა. უჩვეულო სიმსუბუქესა გრძნობდა, ისეთსავეს, როგორც მუზებთან გასაუბრებისას და ღმერთებს მიანდო თავისი ბედი, — ისინი უკეთ დინახავდნენ მაღლიდან.

ამა კი მისი სიხარული იყო ბავშვური სრულყოფის, როდესაც ყველა კითხვა გადაწყვეტილია და მის ეწადა მხოლოდ ესმინა სარდლისათვის, როგორ იმარჯვებდა ელინებთან მკევრმეტყველებაში, ეთქვა იმისთვის, რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე ღამყრობა ქვეყნების და თუ სარდალსაც წარმართობას აღიარებინებდა, მაშინ თვითონაც დამცყრბელი შეიქნებოდა.

ბაღიდან უჩვეულო სურნელება მოჰქონდა ნიავს, ფრინველთა გალობაში იდუმალი ხმები ესმოდა, ყველაფერს უჩვეულო იერი დაპყროვდა. სიერცეს გახედავდა ხოლმე და თვალები შინაგან იყურებოდნენ — ალკეოს ცეცხლვანება და სილრმე იყო საჭირო, საპოს ღვთაებრიობა და გულში ჩამწვდომი ძალა, რომ თავისი განცდების სილრმე გამოეხატა.

ნიკომოდიდან მობრუნებულთა ხმა შემოესმა, გამოფხიზლებულივით სწრაფად თავი შეამოსინა დიდი ხნის მომლოდინე შემმოსავებს.

თეოდოსის კეთილ ღიმილში კმაყოფილება ამოიკითხა. ივგუსტას სალაში თითქოს რალაც უკეთურმა გოელვა, მისი სახის ნაკვთების უსწორმასწორობა თითქოს მხოლოდ ახლა ენიშნა; გაფიორებულ სახე-

ზე გამშრალი ბაგენი შეჰქოროდა, ჩამქრალიყვნენ ვეფხეივით მაქეტის ალ-ნი თვალი, არც მისი — დარბაზ-ქალბატონის ზედმეტი მოწიფება მოიწონა. გაისხენა თეოდოსის გაფრთხილება: „როდესაც ზედმეტად გაგიცინებენ, სიფრთხილე გმართებს“, ეს გაბასრება, ალბათ, სიმართლე-საც გულისამობდა, მაგრამ რა უნდა აკონ მას, — კუჭმალებული, კუ-საც ღმერთები სწყალობდენ!

ყველამ თავისი სიტყვა ოქვა ნიკომოდიელებზე, ხოლო მურვანი სდუმდა, მისი მაღალი და წმინდა შუბლი ფიქრების ნიაღვარს დაეღა-რა; იგი იმდენად მწუხარედ გამოიყურებოდა, რომ შეცვლილიყო კი-ლეც და დედოფალი შეეცადა მის გამხნევებას:

— სტიქისა ვინ დაუღება წინ? იგი შეემოხვევეათ მათ არა გარეშე ღვთის ნებისა. ზოგჯერ უბედურება შეიძლება ბეღნიერების მომტანიც იყოს და მე მწამს, რომ განსაცდელნი მოევლინებიან აღამიანს გასაუმ-ჯობესებლად, რადგან გარეშე განსაცდელისა აზ შეიძლება სულიერი წარმატება. განსაცდელში გაჩინდება კაცის გულში რყევა, ღვთისა და სოფლის სიყვარული ერთმანეთს დაეჭიდება, მაშინ გაიგებს აღამიანი, ღვთისაა იგი თუ მიწისა.

დედოფლის მშვენიერებაში სიბრძნის ბრწყინვალება უქრობი ცე-ცხლივით ანათებდა, მაგრამ მისი სიტყვები თითქოს მეტად ამძიმებდ-ნენ, დედის სიტყვებს აგონებდა, გალიმებას მაინც ეცადა, საუბრის და-საწყებად კი სიტყვა ვერ მონახა. როგორ გაეგებინებინა, თუ როგორ ეცემა სული, როდესაც სხეული იმარჯვებს, როგორ ამაღლდება ის, ვინც სპეციალური დასცემს, მაგრამ თვით დაცემულს, რა უნდა ეთქვა. დალლილობა მოიძინება და მოსწრავებულად, უსიტყვოდ დაშორდა.

დედოფალმა თვალი გაყოლა, ეცცხოვა მურვანის უთქმელობა, თა-ვის ნათქვამსაც დაუფიქრდა, ხომ არაფერი ვთქვი სეთი, რაც არ უნ-და მეთქვაო.

ნიკომოდის მურვანი უფრო დაენგრია, ვიდრე ნიკომოდია მიწის-ძერას. ქვები თავის ალაგას დალაგდებოდნენ, კრილობები შეხორცილე-ბოდნენ, სავანებიც აშენდებოდნენ, მაგრამ რა ააშენებდა მურვანის დანგრეულ სამყაროს! რა გადაარჩენდა მონობისაგან კარისკაცად ქცეულს? შორეულ მიზნებად დარჩენილიყო მისთვის კესარიელი, ნის-სელი თუ ნაზიანზინელი. დააგდო სავანე და ბაღნარში პირქვე დაემხო, ჩაბლუჩა მიწა:

— განმწმინდე, მიწავ, განმწმინდე, ვით მღვრიე წყალი, განმწმინ-დე, — გმინავდა, — მეც ხომ შვილი ვარ შენი. ზეცას ალარ შემეხედე-ბა... რაც დაეთესვის ხრწილებით — ალსდგების უხრწილებით, რაც

დაეთესვის გინებით — ალსდგების დიდებით, რაც დაეთესვის უძლურებით — ალსდგების ძლიერებით.

დედა წარმოუდგა თვალშინ, სისადავითა და სწორადლით რომ იფარვიდა შინაგან სიმღიდრეს, ზნეობრივ სიმტკიცეს. აქ, ბრზანტიაში კი, ღვთისმოსავობა და სიმკაცრე იფარვიდა შინაგანს უძლებელი უკედრა წმინდანებს:

„ვითარცა პირუტყვი განლალებული შევირაცხები თქვენს წინაშე, ვითარცა მეძავი, ვითარცა ავაზავი, მეზვერე და უძლები, შემიწყნარეთ შემიწყნარეთ უპოვარი“.

ლიცულობდა და ნიკომოდია ედგა თვალშინ. ხედავდა, როგორ ჩასინებოდათ ნიკომოდიელებს ლოდებზე, ზოგიც ჩირალდნის შუქზე ქვას ქვაზე ადებდა, მურვანის კარავში კი უეცრად ბნელს ვიღაცის ჩრდილში შეერწყა, თან სუნამოთა სურნელება და ქალის ვნება შემოჰყა. ორმა ბრწყინვალე თვალმაც შეანათა და ღვთაებრიობისათვის მებრძოლი სხეულის ტყვედ იღმოჩნდა. ამაედრებულ გრძნობათა შემოტევამ გონება დაუბნელა. თითქოს რეინის ლაგამი, მძლავრი ხელით, პირს ამოსდებოდა და ვერ დაეძლია ხორციელის წაღიერება, ცეცხლოვანებას ტანი შეეპყრო. სუნთქვა სუნთქვას შერწყმოდა და ვნებათა ტალღებს უმანქოება წარეტაცათ. სულის უდაბნო, თავისი სიმშვიდით, სურნელებით და ნეტარებით ჯანყმა მოიცვა. სიტყბოსთან შერწყმული სიმწარე სულ დაბლა, დაბლა ითრევდა და რისხვაც ნდომის ნაკადმა წალეკა.

ამაოდ ალავლენდა ვედრებას წმინდანებისადმი — დავიწყებას მიეკათ ცოდვა სიჭაბუკისა. თითქოს ავაზას ჩაევლო კბილები და ლორმზე მიათრევდა. ავგუსტას შემოტევებისაგან თავს ვეღარ იცავდა, ღაუცხრომელი ვნებები სულის ლამპარს გაქრობით ექადნებოდა. ვეღარ დასცემდა მურვანი ხორცთა სიმხურვალეს სამეუფეო სამოსელის ქვეშ ფიცხელი ფლასის ტარებით, ვერც ფრიადი მარხვით იმორჩილებდა გულის თქმათა და ვნებათ. ვნებათა მარწუხებში გმინავდა, დასძლევედა იგი მათ თუ დანებდებოდა? რას ნიშნავდა კათარზის? განწმენდას დაძლევით თუ განწმენდას დანებებით? ხოლო ნისელივით არ მისტიკოდა დაყარგულ უბიწოდას. მითრიდატესაც თითქოს ხელი შეეშვა ცხოვრების ზღვაში ცურვის დასაუფლებლად, მისჯდომოდა პროკლეს წიგნებს და მურვანისათვის სიუნეგემენს ადგენდა.

მურვანიც კითხულობდა „ექესდღიურს“ ბასილი დიდისა, მაგრამ სადღა იყო გასაუბრება შემოქმედთან! ჩაკვირდებოდა „განმარტებებს“ და არსს ვეღარ სწვდებოდა, გადაშლიდა დაბადებას თუ სახარებას და

აშლებოდნენ ფურცლები ძველი და ახალი აღთქმისა — თითქოს სინდიოფალა ჩატვრენოდა. ვნებათა ქარიშხალს უიალქნო ნევივრ ქარის სახეთქებლად ექცია. მისი სული ცეცხლწყალდებულ ჭრებებზე იდენტებოდა, ცეცხლის ალი კი მხოლოდ ვეგუსტას სხეულს ანათებდა.

იმედის ალაგს შავი ფიქრები გამეფდა, არ უღიძეს დამტურულებრის სინაწლისა და იყო კაცი ვითარცა გამომცდელი ლველს კრესტეს.

მისი ბაგენი მხოლოდ ვნების აღმძრელ სიტყვათ იძოოდებდნენ, სმენა მისი ავგუსტას დაბანგულ სიტყვას ისმენდა. „ვინა ვარ მე? მორჩილი ვნებისა და დამვიწყებელი ქრისტეს ვნებათა. ვით წარვადგები ღვთის წინაშე, რომლისაგან ძრწიან ქერუბიმნი და სერაფიმნი და რომელსაც შეუძლია ერთის წამის ყოფით მტვრად მაქციოს? საქმენი უკან გამომიღებიან და ვით უპოვარი წარვსდგები კარიბჭესა ზეციერისა. დავშვრე სულთქმითა ჩემითა, ცრემლით დავალბო ცხედარი ჩემი. ბნელი მოვიდა მოშურნე ცხოვრებისა.

— იქნებ, — ფიქრობდა, — ბიწიერების აღძვრით სურს განგებას მისი გამოცდა?

„ნათელო ჩემო, ქრისტე, გამომიბრწყინე ნათელი საკნაური. და-აყენე ვნება, უფალო, კვალად მოვიდა ასპიტი. სად დახვალ, სულო, გატაცებულო ელურითა კრთომითა?“

საბელმიბმული ფრინველივით ფართხალებდა. სუვ დედოფალს წარმოუდგებოდა, რომ მის შემხედვარეს კურნება მიეღო.

და აი, დედოფალმა გაუწოდა თავისი ნახელავი, თვალმარგალიტით ნაქარგი ენქერი:

— ეს სამახსოვროდ და, რაც შიგ არის, სასიხარულოდ, — უთხრა. მურვანმა ენქერში დედის წერილი ნახა.

ქ დედა წერდა:

„შვილო მურვან, ჩვენც გილოცავთ წარჩინებას. ჩანს, ჩვენი ხვედრი ყოფილა, ნებით თუ უნებურად, ბიზანტიის გასვლაც და სარდლობაც.

„ბაკური განა თავისი ნებით დატოვებდა სამშობლოს — აიძულეს, ფეხდაფეხ რომ ვერ მიჰყვებოდა კარის ხმას. ქრისტეანობაც ვერ მიიღო და დარჩა წარმართად, მაგრამ რომელმა მისმა თანამემამულემ, მისმა თანამედროვემ დატოვა მასზე დიდი სახელი?

„საქმე ის არ არის, შენ რა გწამს, საქმე ისაა, როვორ გწამს, სიწმინდეა მთავარი. ბაკურმა, როგორც ბიზანტიელმა სარდალმა, ფრიგიდუსთან ბრძოლაში ტირან ევგენიოსის წინააღმდეგ თავი ისახელა სიმარაცით; რომაელმა სატრაპშა, ბარბაროს სარკინოზთა წინააღმდეგ

ომში, პალესტინის მწვერვალებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მაგრამ თვით არ ასწავლიდა ისართა ტყორცნას და ოროლთა სროლის, რა ჯირითს მეზობელ ბარბაროსთა მსგავსად, არად ასწავლიდა მას, /თუ ორგორ გაიწვრთნან რიტორიკულ ხელოვნებაში.

„ლიბანისიც ბაჟურს აი რას წერდა: „ზოგი აქებს შექნ ჭავაჩი-ლიანობას, იმასაც, რომ შენ დარწმუნებული ხარ, ჰავაქვემქანებული ასტე-ბა ღმერთებმა იციან და ხედავენ, ზოგი კიდევ ადიდებს შენს ზომი-ერებას და იმას, რომ უფრო მეტად მბრძანებლობ შენს ნება-სურვა-ლებს, ვიდრე ჯარისკაცებს, სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებ ბრძოლაში. იყო ისეთიც, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში საფრთხის წინაშე, მაგრამ მე შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩ-ნია ის, რომ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდე-ვენ, რისთვისაც შენ სასურველი ხარ ღმერთებისათვის და ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ იყავი მდელო“.

„და მეც მინდა, შვილო, შენც ყოფილიყო მდელო, რომელზედაც კვლავ უხვად დაპკრეფდნენ სიბრძნის ყვავილებს.

„მეფე და სარდალი უპირველეს თავისი თავისა უნდა იყოს ადამი-ანი, ეს მეტია მვეყნის მეფობასა და სარდლობაზეც“.

თითქოს დედის ხელმა აღვირს მოსწია და ვნებათა ქარატიდან სი-ბრძნის მდელოსაკენ გადმოავევინა. მიზაპვეულს ჯაჭვი გაუშუვეტინა, მადლიერებით ცას გახედა და რაღაც აზრს ჩაეჭიდა. ენქერი გულში ჩაიკრა.

სულიერი ომით გაძაფრულს ვერც გაევო სნეული პატრიარქ მაქსი-მიანეს გარდაცვალება, ტახტზე ცროველე ასულიყო. პროკლეს უპირვე-ლეს მოეთხოვა იოანეს გადმოსვენება წმინდა ბასილისკოს ტაძრიდან ქონსტანტინოპოლს და თეოდოსისაც გაეცა ბრძანება სამზადისისა.

პამბოს ისე გაუხადდა, რომ მალ-მალ წარმოსთვევამდა: „აწ განუტე-ვი, უფალო, მონასა შენსა...“

— დღესაც ზარივით სცემს ყურთასმენას იოანეს სიტყვა, — ეუბ-ნებოდა პამბო მურვანს, — „ისევ იროდიადა როგავს და თხოულობს იოანეს თავს; ისევ მძვინვარებს იეზაველლა და თხოულობს ილიას თავს“. ასე ამხელდა დედოფლალ ევდოქსიას, მაგრამ რა იყო იოანეს სიტყვის სამართლიანობა დედოფლის სიძულვილთან, კეისრის უზრუნ-ველობასთან და მტრების ვერაგობასთან! დედოფლის სიძულვილმა და კეისრის უზრუნველობამ იოანე განდევნა უდაბურ კუკუზაში, შურმა კიდევ უფრო შორს, თქვენს პიტიუნტში, მაგრამ წამებული გზაში გარ-

დაიცვალა. მის მაღალ შუბლს ეკლის გვარგვინი შვენოდა. მისი გან-
დევნის ღამეს სოფიოს ტაძარში იფეთქა ხანძარმა, იწვლდა რომელმი,
უშენდა სეტყვა, მაგრამ მშობიარე დედოფლის კივილი ცა მწვდომო-
და, მკვდარი ბავშვი შვა, თავადაც მოკვდა და მხოლოდ მაშინა ტაცხ-
რა ბუნება.

ერმიტეზე

მურვანს პამბოს ყოველი სიტყვა განაჩენიერი ტექსტები ჩატარებულ-
და და თითქოს გულის ბალლამი დანთხვები ლაშობდა.

კონსტანტინოპოლი დელავდა, თითქოს იოანეს ცოტაალს ეგებებო-
და. დიდებულად მორთული ტრირემა ქალკედონში იცდიდა. აյ იყო
მოელი უმსალლესი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება, მოელი
ჯარი სასულიერო მამათა. მურვანი თეოდოსის ცვერდით შემართებუ-
ლი იდგა. ავგუსტა მალ-მალ მზერას ესროდა, მურვანს კიდევაც ეღი-
მებოდა, ავგუსტას მწყერს მიჩერებულ მიმინოს რომ მიამსგავსებდა. მისი
მზერა აძრწუნებდა და კიდევაც ხიბლავდა, იხმობდა და კიდევაც
უკუაფებდა. ავგუსტას ეგონა, მურვანი მასთან შეჩერდებოდა, მაგრამ
არ შეჩერდა, ეგონა, ეტყოდა რასმე, მაგრამ არაფერი თქვა. ავგუსტამ
ყველაფერი ეს მხოლოდ დაიხსომა.

ზღვა, დაფარული ხალხით, სავსე უამრავი ხომალდითა და ნავით,
ხმელეთს დამსგავსებოდა, ხალხმრივალი ქალაქი კი ზღვისავით დელავ-
და. ბრწყინვალი წმინდა მოციქულთა ტაძარი კანკელ-ხატთ მშენებითა
და სანთელთ აღნთებითა.

იოანეს ცხედარის გამოჩენაზე ხალხი ერთბაშად მოიცელა, პირქვე
დაემხო. გაისმა მწუხრის საგალობელი და ცხედარი ფიცარნაგზე და-
უშვეს. თეოდოსიმ მოიხსნა პორფირი და ზედ გადააფარა, შევრდომი-
ლი ევედრა, დაევიწყებინა ბოროტება, რომელიც მისმა მშობლებმა
მიაყენეს ჩას.

ხალხი ქვითინებდა:

— ჩვენო მამავ, შენს ტახტს დაუბრუნდი.

პამბო კი ყველას გასაგონად იტყოდა:

— აღსრულდა სიტყვა, მამანი ჰკლავენ წინასწარმეტყველებს და
შვილნი ლუსკუმებს უგებენ.

მამხილებელი იოანე თვალუხელადაც ამხელდა და მურვანისაოვის
უკვე შემხარავად გამოიყურებოდა პირმოთნება ღვთისმოსავისა.

პროკლეს სიტყვამაც ზარივით ჩამოჰქრა:

— ქრისტეს მოსაყდრევ, აიას დესპოტა, სწორუპოვარო პატრიარ-
ქო, მშენებავ ეკლესიისა! ქედს ვიხრით შენს წინაშე და გოხოვთ პა-
ტივებას. უკეთესი იყო, მზეს ნათელი მოჰკლებოდა, ვიდრე გვენახა ოქ-

როს ბაგენი განწირულნი დუმილზე. დიდებულო ოქროპირო, შენ მო-
განიჭეა ლიბანისმა პალმა პირველობისა... შენ მტერთან შებორობა
არა გჭიროდა, შენი დიდება მას თავისთავად ამარცხებდა.

განდევნილმა, კუკუზიდან მოაქციე ჭიუტი ზნის ფინდუა... შენ, წი-
ნასწარმეტყველე, ქერათმიან და ცისფერთვალებიან ძალიანობების წალ-
ში იქნებათ ბედი იმპერიის მომავალისა და ამა, ვიზ მისაზღვრისა ჩვენს
ზღუდვებს. „იქნება, — ამბობდი, — დევნა, რომელსაც განიცდის ეკ-
ლესია, იგივეა, რაც ქარიშხალი ჰაერის გასაშენდად, ზამთარი — თეს-
ლის მოსამზადებლად, ღამე — სხეულის გამოსაცოცხლებლად და
უსამართლო განდევნა ღვთის წყალობად მიგაინდა.

ბოროტება არ არსებობს, ამბობდი, ბოროტებას ჩვენ თვითონ
წარმოვქმნით...

„ე კი მურვანს გული გადაუქანდა, მზად იყო, ახლავე მოეყვანა
სისრულეში თავისი გადაწყვეტილება; წარბები დაეჭიმა, თავი მაღლა
ასწია. მითრიდატებაც უფრო ახლოს წამოიწია, „ამინ“, თქვა და მურ-
ვანს გახედა.

„...ყველაფერი, რაც უნებს სულის სიშინდეს, რაც მას აბრეოლებს
უმაღლესის საწვდომად — ბოროტებაა. ჭეშმარიტებაა მხოლოდ ის,
რაც ეხება მარადიულის არსს და ის, რაც მოქმედებს საეულზე, წარ-
მავალია, როგორც თვით სხეული... სამეფო კარის წინაშე შენ დეჭი,
როგორც მოუდრეკელი ბერი, მოუსვენარი დასის წინაშე — განდევი-
ლი, სიმდიდრით აღზევებულთა მიმართ იყვი ადამიანი, რომელიც
კხოვრების უბრალოებით იდიდებოდა.

„უკანასკნელად სოფიოს ტაძარში რომ მიღიოდი, ვეითხარი: წავი-
დეთ, ვილოცით და გამოვეთხოვთ ტაძრის ანგელოსებს. დღეს კი ვა-
ხარებთ მას შენს დაბრუნებას, შენივე სიტყვებით: „დიდება უფალსა
ყოველივესთვის, ამინ“.

პროკლემ დაუჩინქა და ემთხვია, მასთან თეოდოსიმ და შემდეგ
ყველამ.

„ისპოლაეტი დესპოტა“ გაისმა და ცხედარი დასვენეს იმპერატორ
არქადისა და დედოფალ ევდოქსიას გვერდით.

— მდევნელი და დევნილი ერთად განისვენებენ, — თქვა პამ-
ბომ, — ადამიანს რომ შესძლებოდა, შეეყვარებინა ღმერთი მთელი
თავისი გონებით და გრძნობით, იგი დღენიადაგ ლოცვიდ დაემხობო-
და, მაგრამ ადამიანის წინაშე სდგას უფრო მაღალი მოწოდება —
რწმენითა და დვაწლით მოიპოვს ღვთაებრივთან ზიარება. მტევანი

ისრისება, როდესაც იწურება, სული ვიწროვდება, როდესაც მიღლდება”.

პამბოს თვალთაგან ცრემლი სდიოდა. წვეთები სახესე ანდამატებად ფაიბრწყინებდნენ და მურვანი ისევ უმცირესში უდიდეს ჰაერდავდა. ვნებათა ტალღებს ვერც ჩაეძირათ და ვერც საჯარიშოდ ჩაეციათ სულიერ შთაგონებით აღჭურვილი.

რა არის გულისმომწყვლელი სიღარიბე — ზნეობრივ საფარშე-მოფლეთილთან შედარებით, სიბრალული — სირცხვილთან. რა არის მონობა აღამიანისა აღამიანის მიმართ — საკუთარ ვნებების მონობას-თან?

როგორც ნივთიერებები ერთმანეთში შერევისას იჩენენ თვისებებს, ისე აღამიანები ურთიერთით გვამცნობენ თავს. რკინა მხოლოდ ცეცხლში იწრობა, მაგრამ რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამს.

„რას არგებს ღარიბს სიმდიდრის სიძულვილი? ან საჭურისს რა ღირსებად ჩაეთვლება ვნებათაგან თავისუფლება? მდიდარსა ჰმატებს ღირსებას სიმდიდრეშე უარის თქმა, ახალგაზრდას — ღათრგუნვა ვნებათა, ვნებათა ცეცხლის დაქრობა, სხეულის ხუნდებისაგან განთავისუფლება.

ამ ფიქრებსა და განსჯაში იყო, რომ მოვიდა ამბავი მეფე ბუზმარის გარდაცვალებისა. საკუთარ ჭირვარამად ჰქონდა ბუზმარს ჭირვარამი ქვეყნისა, მაგრამ აღამიანის სულმოკლეობას დაემსხვრია უზენაესით მოწოდებული მცნებანი და მხნე მეფისაგან შეიქმნა უმწეო სასომიადილი. დაბადებასა და სიკედილს შორის მომწყვლეულ აზრს ზეწარი სუდარად ეძირა და ბაღნარი — სასაფლაოდ.

მურვანის შუბლი ციგმა ოფლმა დანაშა.

ისევ უკანასკნელი დღე სამშობლოსთან გამოთხოვების...

ლითამ ჩამოფარებული მამის მთრთოლვარება შეიგრძნო. მამის ოცნება ახლა მაინც უნდა ალესრულებინა და ტახტი მიეღო ქართლისა. დიდი იყო ძალა სამშობლოს სიყვარულისა, რომელიც მის გალში დარჩენილ მემკვიდრეს მთების ზიღვასაც დააკისრებდა.

ზღვიდან სუსტიანი ქარი ზუზუნებდა. ოქროს რქის ყურეში სავაჭრო ხომალდი შემოდიოდა. ბოსფორშე ქარიშხალი მძვინვარებდა, მაგრამ იგი ნიავის ქროლად მიაჩნდა იმ ჯანყთან, რომელიც მის სულში ტრიალებდა. უზლუდო იყო ახლა მისთვის ქვეყანა და მურვანი გარბოდა ნაესაყუდელისაკენ. გამოიყითხავდა, ხომალდი საიდან საით მიემართებოდა. გარბოდა და ხედავდა, როგორ გაახარებდა ატირებულ მცხეთას, დედას გლოვას დაავიწყებდა, ზუზოს სიხარულის ცრემლს

დაადენდა... მაგრამ სწორედ იმ ხომალდს ახალი ცნობა მომქონდა, ცნობა მოხუცი ბიძის, არჩილის, მეფედ კურთხევისა.

შესდგა მურვანი ზღვის პირად, ირგვლივ კი ყველა გაობოდა ქარიშხალისაგან. მურვანი თითქოს ვერც გრძნობდა, როგორ აწერდა, ცხოვრების ზეირთცემის დამანგრეველ ძალას ახლა ჩამოიწერა გამოერიყა, მაგრამ არა უსულო გვამად... იგი კელავც გამცურავდა პალი ცხოვრების, სამარადისოს მოსაპოვებლად.

სამშობლოში თუ ველარ დაპრუნდებოდა, ველარც კონსტანტინოპოლის დარჩებოდა. დღესვე, დღესვე თავის განხრახვას შეასრულებდა და ჭერ კიდევ წვიმისაგან შეუშრობელი, მთლად ოფლად დაღვრილი, სახედალარული თეოდოსის წინაშე წარსდგა მთხოვნელი, წასვლად პალესტინას.

თეოდოსიმ სმენადაც არ იღო, უარის ნიშნად ყოველ მის სიტყვაზე თავი იქნია. იზიარებდა მის მწუხარებას, მაგრამ ვთ ლვიძლ შვილს, მასაც ვერ შველოდა.

მურვანს დაეინება არ გამოუჩენია, უსიტყვოდ შემობრუნდა, მაგრამ მისმა გამოხედვამ და იმ დარწმუნებულმა ნაბიჯმა, რომლითაც მან დარბაზი დააგდო, თეოდოსის აფიქრებინა, ეს თავის ნებითაც წავაო; მეთვალყურე აადევნა და მის სამყოფელსაც საგანგებო მცველები მიუჩინა.

მურვანს მართლაც ისეთი დაჭერებული სახე ჰქონდა, ბურგავასმა და მითრიდატემ იფიქრეს, ალბათ, თანხმობა მიიღოო, მაგრამ რა გაიგეს უარი, ამ სიმანევეში გადაწყვეტილების სიმტკიცე დაინახეს, გაიხარეს, ერთი დღეც დაუდგებოდათ და მძიმე ტვირთს ჩამოიხსნიდნენ.

მურვანი ჩვეული მოხდენილი სისწრაფით, შთამაგონებელი სიტყვით, ახალი იერით, ახალ ცხოვრებისაცენ იხედებოდა. სამშობლოსათვის დაკარგვული, საღმრთო ფიქრებთან გაყრილი, ვნებით პყრობილი, ახალ კილაპოტში ჩავარდნას ლამობდა. ძარღვდაჭიმული ბგერები ისმოდა მის ხმაში, მაგრამ მებრძოლი მშეიღად შესცემეროდა ბედის უკუღმართობას.

— თუ მისაღებია ღვთისათვის ჩვენი ზრახვანი, შემწეც იქნება, — ამბობდა მითრიდატე.

იმ ღუსკემო ღამეს, ჰპოვეს რა მარჯვე უამი, მონის ტანისამოსით ბოსფორს მიაშურეს, მარჯვედ მონაქეს ნავი. ბურგავასი კლდეზე მიბმულ საბელს მოეჭიდა და ნავი კლდისაცენ მიიჩიდა:

— ასე მგონა, კლდე მოდის ჩვენსკენ, — დაიძახა.

— ასეა ლეთაებაც, — გამოეხმაურა მითრიდატე, — როდესაც თავისკენ გვიზიღავს, ჩვენ გვგონია, მას ვიზიღავთ.

უბიძგა ბურგაქამა და დაიძრნენ კიდეც.

— როდესაც ვუბიძგებთ, ჩვენც ეშორდებით მას უფრო უძრავი წერა გვშორდება, — ახლა მურვანმა განმარტა.

ნამწყვდეც მიმინოებივით შეიძერტყნენ და იალქნებიც აუზვის.

თავი გიცამითი

„ზეინდა პეტრეს ხუცლებაზი“

სასახლის ხეივანში მზე ზოლებად იჭრებოდა, შუქსა და ჩრდილს ბილიკები დაესერა, დედოფალი ყვავილებს ესაებრებოდა, მურვანის ლტოლვილების ამბავი რომ მოვიდა, სახეზე გამოუთქმელი ნალვლიანი ღიმილი ჩამოეყინა. მშვიდი და ღაბალი ხმით იკითხა:

— რას იქმს კეისარი?

მოახსენეს: კეისარს მდევარი აედევნებინა, მდევარი კვალში ჩასდგომოდა, მაგრამ წასულს კვალი დაეფარა.

თეოდოსი არ განრისპებულა, მურვანი არ გაუმტყუნებია, მოუწონა კიდეც მამაცური შეუპოვრობა.

დედოფლის თვალებში წარმართმა გამოიხედა, ყოვლისშემძლე კისარს მძევლის გაქცევა ვერაფერ დამსახურებად ჩაუთვალა.

თეოდოსიმ დედოფალში დედობრივი წყრომა დაიხახა, დაშვიდებასაც ეცადა, მაგრამ ამაოდ. ამ დღიდან დედოფალი განურჩევლად, მოწყვით გახედავდა მას, ვეღარ შერჩყმოდა მას სურვილებში, ვერც მის აზრებს იზიარებდა, მისი ფიქრები შორს იყვნენ თეოდოსისაგან, შორს, სანატრელ ჰაბუქთან, რომელიც საკუთარ ვნებებს გაჰქცეოდა. მანიაკის თვალს რომ გახსნიდა, ღაწვებით ეხებოდა მურვანის თმებს, იმ ღამეს რომ თავის მკერდიდან აეკრიფა და მაშინ მურვანის სუნთქვას, მის თვალთახედვას გრძნობდა, უნდოდა ერწმუნა, რომ მურვანს დაიბრუნებდა.

ამ ფიქრებში იყო, რომ ცნობა მოვიდა რავენიდან — ვალენტინიან მესამის კონსტანტინოპოლს გამომგზავრებისა, იგი თეოდოსის ქალიშვილ ევდოქსიასთან ჯვარის დასაწერად მოდიოდა.

ქალიშვილის დასაცლეთის ტაბტზე ასკლით გახარებულმა /ფედო-
ფალმა ფიცი დასდო: „ლვთის სამაღლობელოდ წმინდა პდგილები მო-
ენახულებინა“.

სისარულით სავსე დღეებს ნეტარების დაბრუნების უმოყვაბი
ცვლიდა.

კეისარი დედოფალს ქათინაურებით ავსებდა ქრისტიანული გულ-
მოდგინებისათვის.

ავგუსტას აღგზნებულ ცეცხლს ალი განელებოდა. ყველაფერს
კრიჭაშეკრული უცემდა; შური და ეჭვი ერთად შერწყმოდა, ფიქ-
რები ემღვრეოდა, შებოჭილი თავისუფალს ხედავდა. ხუთთავი ვნებას:
გულისთვის, წყრომას, ურვას, შიშა და მწუხარებას ერთბაშად
ეფეთქა, მაგრამ მის მეფურ სახეზე ამათ იქნებოდა შეურაცხყოფის
ანარეკლის ძებნა, მან ლიმილიც კი აათამაშა გაყინულ სახეზე.

დედოფალს ფრთებს ასხამდა ბრწყინვალე ქორწილი და მღელვა-
რე სამზადისი წმინდა მიწის მოსანახულებლად.

ორი სამეფო კარის უშუალობა ქეეყანასაც ახარებდა, სასაზღვრო
ფარგლები ფართოვდებოდა, ვალენტინიანი თეოდოსის განკარგულე-
ბაში გადასცემდა მთელ ილიონას, მიიღეს „კოდექს თეოდოსიანუს“
და აღიარეს ორი საქალმწიფო ენის თანასწორობა.

დედოფალი უკველივე ამას გულწრფელი სიხარულით იზიარებდა
და ავგუსტას კუშტი მზერას თავის კრიალა ლიმილს აგებდებდა. იდუმალ
ხარობდა, ახლოვდებოდა დღე, როდესაც იხილავდა მას, ვისი თვალ-
თახედვაც ცნობიერებას აკრთობდა.

გარემოცული დიდებული ამაღლითურთ ხომალდი დაიძრა და დე-
დოფალი ზღვას შეერწყა თავის მღელვარებით.

გზად ანტიოქიას შეჩერდა. უზარმაზარი კლდეებით შემორტყმუ-
ლი ქალაქი ფერდობიდან გადაჰყურებდა ხეობას. მდინარე ორონტას
კუნძულზე აღმართული საიმპერატორო სისახლე საუცხოო ტეტრაპე-
ლონით, ქალაქს სიმყუდროვეს აძლევდა. ქანდაკებებით შემკული და-
ხურული ტალანები, რომელთა მსგავსი საიმპერატორო რომსაც ვერ
შეექმნა, მნახველს აოცებდა. აქ იყრიდნენ თავს მოქალაქენი წლის
ყველა დროს და ყველა ამინდში, აქ პოულობრენენ მეგობრები ერთმა-
ნეთს და აქ იჩენდა თავს ანტიოქელის შეუდარებელი ტალანტი ადა-
მიანის სასაცილოდ ავდებისა.

ყვავილებით მოფენილ დიდებულ ქუჩებში ხალხი დედოფალს
ხოტბითა და შეძახილებით უგებებოდა:

„ლვთისაგან ფარვილო, კეთილი იყოს შენი მოსვლა, ყველას კოვის
სასურველო“.

დედოფალმა არ დატოვა ათენი ანტიოქიის ვალში და ხაპასუხო
სიტყვა წარმოსთქვა:

— მე სიტყვას ვამბობ მხოლოდ იმისთვის, რომ — არა, მარტიმეს გა-
ჩუმება. აქ ჩამოსულს, შენით მოჯადოებულს ვიწყდება ვინ, ან სა-
იდან მოსულა. თუ ელევზისის საიდუმლოებაში განდობილნი ელიან
შვენიერსა და ნეტარ საიქიო ცხოვრებას, ანტიოქია სიცოცხლეშივე
განვაცდევინებს სამოთხის შვენიერებას. აქ გადმოაფრქვია მომხიბ-
ვლელობა აფროდიტემ, აქ იზიარებდა ლამეს პეფესტოსთან, ეროსი აქ
დაიბაჭა. პოსეიდონმა აქ ნახა თავისი ბინა, დემეტრემ აქ იზემია თა-
ვის მოწოდება... აქ ნიადაგი, წყალი და ამინდიც ერთმანეთს ეტოქება.
ნაყოფთა სიუხვესა და სილამაზეს სადღესასწაულოდ დიონისეც აქ
მოუყვანია. აქ ზევსი არ აგზავნის არც სეტყვას, არც თოვლს, არც ნი-
აღვარს, რომ დაარღვიოს თქვენი მყუდროება. თუ დემეტრემ ელევ-
ზისში პერსიფონა იპოვნა, მე ანტიოქიაში ჩემი სამშობლო ესცანი.
თუ დემეტრემ და პერსიფონამ პურით დაასაჩუქრეს ელინებიც და
ბარბაროსებიც, ანტიოქიამ მჟევრმეტყველებით გაამდიდრა მთელი
ქვეყანა... მშვენიერო ანტიოქიავ, ვის შეგადარო? ზოგს სჯობიხარ სი-
დიდით, შენზე დიდებს კი სილამაზით, თერმებით, სჯობიხარ კეთილ-
შობილებით, ელინური განათლებით და სიტყვის ხელოვნებით. შენთა
მოქალაქეთა ნატიფი ზრდილობით და ვინ შეედრება ანტიოქელს ადა-
მიანის სასაკილოდ აგდებაში. მშვენიერთა შორის უმშვენიერესო! რო-
მელმა გვირგვინმა შეგამჯოს? შენი მშვენება მუდამ დასჩრდილებს
თვალმარგალიტის ბრწყინვალებას. რა ლირამ და კითარამ გიმლეროს! რომელმა
ორფეოსმა შეგამჯოს და რომელმა შენმა სამაყო შეიიღო,
ლიბანიოსმაც შეგაქოს, შენი ლირსება ყველა შესხმაზე მაღლა იდგე-
ბა მუდამ, და მე ვაძაყობ, რომ შენი გვარისა და სისხლის ჩამომავალი
ვარ.

პომეროსის სიტყვებით დაამთავრა.

წარმატება იყო ბრწყინვალე. დადგინდა: დედოფლის მიერ ანტი-
ოქიის მონახულების უკვდავსაყოფად დედოფლის ოქროს ძეგლი აღ-
მართულიყო სენატში, ხოლო ბრინჯაოსი — მოედანზე. ანტიოქიამ კი
დედოფლისაგან მიიღო „ოქროს კარები“, სწორედ ისეთი, როგორიც
პქონდა კონსტანტინოპოლის და საგანგებოდ დაამშვენებინა ანტიონის
ქანდაკება.

დედოფალმა მოინახულა დაფნის ჭალა. ტყით დაფარულ მთების

ჭაჭეებს შუა ორონტას ხეობა ყველა ფერის ყვავილით ღიღანებდა. დიდებული იყო დაფნებისა და კვიპაროსების ტყე, ტაძრები ჰელიოსისა. მათ მიზნები: რაც ქალწული ნიმფა დაფნის ხედ იკა, მასზე შეუვარებულ ჰელიოსს ყველა ხეზე მეტად დაფნის ტყეზე უფლებაო.

დიადოხების დროს ამენებული დაფნის დიდებული ტყეზე ცეკვები უკვე სისპეტავით აღარ ბრწყინავდნენ; იულიანეს დოოს დამწვარი ტაძრიდან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩენილიყო; ოდესლაც ბრწყინვალე, გარემოცული მხევალთა გუნდით და ქოროებით, ახლა მიტოვებულ სასაფლაოს დამსგავსებოდა. ცივი წყაროები უხმოდ, ნალვლიანად მიედინებოდნენ, მთის შროშნებს შავი ფარავნები ჭირის-უფლებივით დაჭარფატებდნენ. სუმბული სურნელებით თრობდა არემარეს. დედოფალმა გარუჯულ საკურთხეველში გუნდრუკი ჩააგდო, მოწიწებით თავი დაარა და ანტიოქიელნი კიდევ უფრო აღაფრთვიანა, გამოთხვებამ კი გულწრფელად დააღონა.

ოდესლაც მშვენებით სავსე გზა იერუსალიმისაკენ პირქუშ უდაბნოდ ქცეულიყო. შემზარავი იყო მკვდარი ზღვა, რომლის ფსკერზე ამაყი სოდომი და კომორა მოქცეულიყო... სასტიკი იყო შერისძიება განგებისა. მკვდარი იყო ზღვა და მასთან მწერიც ველიარ ხარობდა, მასზე ნავი ვერ გასცურავდა, მისგან არა მდინარე არ ერთვოდა ზღვას. მკვდარი ზღვა ყველას ერთნაირად აფრთხილებდა, არ დაეკარგათ ზომიერება, შემოქმედი არ დავიწყებოდათ. და დედოფალს რატომ უნდა შეეცნო მასში ავის მაუწყებელი, როდესაც ყველა ჩვეულებრივად ჩაუვლიდა, სევდის მომვრელი ფიქრები ერთი შერხევით გადაიყარა, მაგრამ იერუსალიმის მისაღვომებთან უკვე აღარ იცოდა, რანაირად შეხვდებოდა აწ პეტრედ ხმობილ მურვანს, რას უსაყვედურებდა თუ მოუწონებდა, რისი თქმა სურდა? მეტად სათუთი იყო გრძნობა და სიტყვებით გამოთქმისას იმსხვრეოდა. თითქოს მხოლოდ პალესტინას მოსულს შეეცნო, რაოდენ სახიფათოდ გამოიყურებოდა მისი გადაწყვეტილება, უსიტყვოდაც აშეარად შიშვლდებოდა მის წინაშე, მაგრამ განა აღმზრდელს აღზრდილის მონახულება ცოდვად ჩაეთვლებოდა?! დედოფალი კრთხოდა, შესკვედრას არ იჩქაროდა, მით მოლოდინის სიამესაც იგრძელებდა.

რომიდან გამოქცეულ მეფე პიპინოსა და დედოფალ მელანიასთან ისურვა დავანება..

პალესტინა ყურს არიდებდა კონსტანტინოპოლის რელიგიურ ბრძოლას და ალექსანდრიის თარეშს, კრებიდან მობრუნებულთ რომ მოუსმენდნენ, უმაღ თავიდან მოიცილებდნენ. მშფოთვარე ფიქრებს

და მონასტრის სიმყუდროვეს შეეფარებოდნენ. პირადული კი შავ გულისხმიერებას აღავზნებდა და რა გაიგეს დედოფლის მონასტრება, ყველა დაფაცურდა პეტრედ ხმობილი მურვანის დასამალად, რაორმუნებული იყვნენ, რომ მას, როგორც ლტოლვილ მქეფაყურუსაჭრელს დადებდნენ. ყველაზე მეტად კი ზაქარიად ხმობილუბურებუჭურუ ეყრ შეშინებული და გაფაციცებით ადევნებდა თვალს დედოფლის მსახურთ.

პეტრედ ხმობილმა მურვანმა შორით თვალსაწიერზე გაარჩია დედოფალი თავისი ამაღლით და შორით შეხედვა უმიღლესი იყო, რის ნებასაც თავს მისცემდა. იგი საგონებელში ჩააგდო დედოფლის მოულონებულმა გამოცხადებამ. გულის სილრმეში კიდევაც საყვედურობდა, რომ ასე უწყალოდ ურღვევდა მყუდროებას, იცოდა, მეორედ ჩადგომა ცოდვაში პირველზე უარესი იქნებოდა. გაექანა მაიუმის მახლობელ დაბაში წინასწარმეტყველ ზენოსთან რჩევისათვის. ზენომ ერთი უთხრა: „იხსენ, იხსენ თავი შენი“ და პეტრემ იერუსალიმი დატოვა.

მელანიას მყუდრო ცხოვრება დედოფალს ერთი შეხედვით კიდევაც მოეწონა, მაგრამ სამეფო კარის დათმობა და ცხოვრებაზე ხელის აღება ღვთის სამსახურისათვის გაუგებარი დარჩა. მათ გმირებად ჰრაცხდა სიტყვით, გულში კი ებრალებოდა, ფიქრობდა, ასეთ ნაბიჯზე მხოლოდ ცხოვრებაში დამარცხებული წავიდოდა.

ერთგულს ოლიმპოს ღმერთებისა, კრძალულებით თავი შოემდაბლებინა და ყველა წმინდა ადგილს მოილოცავდა. მელანია კი სულწასული ელოდა, როდის მოიკითხავდა პეტრეს. დუმილი პეტრეზე მის ეკვებს აძლიერებდა, ფიქრობდა, ლტოლვილებისათვის მძევალს ბერად აღკვეცაც აღარ იხსნდა სასჯელისაგან და მელანია რაღაც არ მოიფიქრებდა სათქმელად, რომ დედოფალი პეტრეზე სასაუბროდ გამოეწვია. ერთ დღეს კი დედოფალმა თვალ გამოსთქვა სურვილი პეტრედ ხმობილ მურვანის ნახვისა.

მელანია ირწმუნებოდა სინაულით, რომ მისი ნახვა საძნელო იქნებოდა, შეიძლება შეუძლებელიც: ერთი რომ, უკვე კარგა ნანია იერუსალიმში არ უნახავთ, მეორეც — თვითონაც გაურბოდა აალობელთ, როგორც ბერს შეპფეროდა. იმ დღიდან, რა დღიდანაც შავი ანაფორა ჩააცვეს და შავი კამილავკა დაახურეს, მას აღარა ჰყავს ნათესავები და ყველა ძმად და დად ეკუთვნის, — მოწყალე ღიმილით შეანათებდა მელანია კეთილ თვალებს.

დად წსენება დედოფალს თითქოს არ ეამა მელანიისაგან არ ახლა
კი გასცა ბრძანება პეტრეს მონახვისა. ძიება უშედეგო პლანისაზე; დე-
დოფალი მაინც არ ცხრებოდა და ყველა ღონეს ხმაობდა. მოღონ
მიაგნეს კვალს — მაიუმას. რაკი იგრძნო დედოფალმა პეტრეს ფასკა... არი-
დებდა, მით უფრო ეძალებოდა ნახვას და ამბობდა:

— თუ იგი არ მოვა, მე თვით მივალ მასთან. ბერძნები და ას-
და ხომალდი მაიუმას მოადგა.

ფუიზლობდნენ მაიუმელებიც და პეტრედ ხმობილი მურვანი დე-
დოფალმა ვერც აქ ჰპოვა. ისევ მელანიას დაუბრუნდა ახლა უფრო
მომთხოვნი.

მელანიამ დედოფლის ასეთი დაუინება სასიკეთოდ არ მიიჩნია. გა-
დაწყვიტა ჩამოერთვა სიტყვა, რომ არ გათქვამდა, არ შეარცხვენდა
პიპინოს მეფეს მოძღვრის წინაშე, რომელმაც მურვანის აღსარება გა-
ანდო მას. დედოფალმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა, თვალიც და-
ფარა, სუნთქვა შეეკრა. მელანიას შიშნარევ ხმაში სალმობელი იგრძ-
ნო.

— მე ყველაზე დიდ ცოდვად აღთქმის დარღვევა მიმაჩნია, — შო-
რიდან დაიწყო მელანიამ და დედოფალს თითქოს სისხლის დინებაც
შეუჩერდა, — ფიცის გამტეხი პასუხს ლვთის წინაშე აგებს, ცოდვის
დათრგუნვისათვის კი, სულის გადასარჩენად, განგება მოწყალებას გა-
იღებს. ივგუსტას მედიდურ წმინდანობას მე ცოდვილობას ვამჯობი-
ნებდი... პეტრე გაეჭცა ივგუსტას ავალიცობას, რომელიც მის სულ
დალუპვას უქადდა, ლვთის სამსახურში ჩადგა. მისი ცოდვა ივგუსტა-
ზეა, მას ბრალი არ დაედება, იგი ქების ლირსია, ჩვენ საკუთარ სამე-
ფოზე უარი გვითქვია სულის გადასარჩენად, მაშინ როდესაც ჩვენ თა-
ნამდებანი ვიყავით ქვეყნისათვის გვეპატრონა, მურვანმა კი მხოლოდ
უცხო ქვეყნის სარდლობაზე თქვა უარი, — ამბობდა მელანია და სი-
ტყვა თანდათან უწყდებოდა, დედოფალს სახე რომ უბნელდებოდა.

პირბაკმიანს კამარა შეეკრა. ნაძალადევი, საკუთარი თავის მბასრა-
ვი ლიმილით გარინდებული ისმენდა. ყურადსალები იყო მელანიას ყო-
ველი სიტყვა მით უფრო, რომ მათი მნიშვნელობა მელანიას არ ეს-
მოდა. მაგრამ დედოფალს რომ სახე ექუფრებოდა, მელანია იბნეოდა,
აღარ იცოდა, რა უნდა ეღონა. იფიქრა, ეგებ ივგუსტას ავად ხსენება
არ მოიწონა, რადგან მისი წყალობა იყო დედოფლის ტახტზე ასელა...
შესაძლოა, ფიქრობს, სიცრუეს ვამბობ, რადგან ცნობილი იყო მელა-
ნიას სიძულვილიც ივგუსტასადმი და კიდევ ერთხელ გაიმეორა:

— ეს ქეშმარიტებაა, რადგან პეტრემ მოინანია მთელი გულის-

წყრომით, ამიტომ ავგუსტასაც შეუმსუბუქდება, თუ ისიც ანანიებს, თუ მისთვის ცოდვა ჩვეულებრივ ამბად არა ჭიდებლა.

შელანიას ყოველი სიტყვა გულს მახვილად სვდებოდა. იმისას /გა-
ცრუება თავის თავში რწმენას აყარგვინებდა. სინამდვილისა და მო-
ჩვენებითის განსარჩევად ფიქრები ეჯარვოდნენ. წამონა კურტკი პარე-
ბობა უაზროდაც ეჩვენა, დედოფლობა ლანდად ეჭცა და დაიკარგე-
ბულ გულს ფიქრთა ხროვა შემოესია.

იმ დღეს დაიფლითა მურვანისათვის ნაგოვმანები წერილები, ერ-
თი შებერვით გაქრა მანიაკიდან მისი შევერცხლილი თმები. გულს ცე-
ცხლი ჩაულველფა და სურნელება კვამლად ეჭცა, ყვავილოვანი მდე-
ლო მგზნებარებისა ცეცხლს მოეცარა და უსიცოცხლო მიწა შემზარა-
ვად ვამოიყურებოდა. ხედავდა, როგორ იფანტებოდა დამწვარი პერ-
გამენტის ფერფლი.

„როდესაც კარგავ პირველობას მის გულში, ვინც შენოვის ყველა-
ფერია, შენ უკვე მკვდარი ხარ“, — ფიქრობდა და ესმოდა ავგუსტას
სატანისებური ხარხარი.

იერუსალიმის პატრიარქმა საგანგებო წირვა დანიშნა დედოფლის
პატივსაცემად და, გაიგო რა დედოფლის სურვილი პეტრეს მონახუ-
ლებისა, პეტრე გამოიხმო დედოფალთან შესარიგებლად.

პეტრეს სისუსტე მორჩილებად ჰქიცეოდა, თავგანწირულობა — მა-
მაცობად. მასში ახალ-ახალი ძალა იღვიძებდა, რომელსაც ჰქვია სი-
ყვარული, ანუ განვითარება და სიწმინდემდე ვითარდებოდა. და თუ
ოდესმე ყოფილი ცდა დასაძლევად მიწიერისი, ასეთი განცდით დაუძ-
ლევიათ, ასეთ ჯებირებს გადურჩენიათ, როცა მიწიერს მოუხეთქია;
დავიწყებიათ მათი წყალობით ტანგვა მიწაზე მიჯაჭულისა და ნეტა-
რება, ვარამის დედა, გადაპქცევიათ იმ კეთილშობილ განწყობილე-
ბად, როცა სივსებით ვიწყდებათ თვით ნეტარება და მასში ვრძნო-
ბენ მხოლოდ საწყისს ზნეობის ამაღლებისა, როცა რწმუნება არ სა-
კიროებს არც ხელით შეხებას და აღარც თვალის მოწმობას.

დედოფალმა შორიდინვე ჰქიდა თვალი პეტრეს და დავიწყებულ
სიზმარივით იგონებდა ყველაფერს. პეტრეს მოახლოვებისას კი, მის
სევდიან ვამოხელვაში გულის იდუმალი მოძრაობა ამოიცნო, დუმილი
მეტად მეტყველებდა. ნათელი იყო — მურვანის ფაქიზი სული ბიწი-
ერებით კმაყოფილებას ვერ მიიღებდა, მაგრამ ჰქეშმარიტება მინც
დაფარული იყო. იმედი, რომელიც მისგან მოშორებულს ასულდგმუ-
ლებდა, მის სიახლოვეს ქრებოდა. ნალველს სიღრმეში ფარავდა და

წინააღმდეგობათა სპერაკად ნაქსოვი სული ნაღვლიან ლიმიტში შო-
მაჯადოვებლად გამოიყურებოდა.

პატრიარქმა მონასტრების მონახულებისა, თუ დიდ შეწირულება-
თა სამადლობელოდ დედოფალს პეტრე მოციქულის ჭავჭავა შეასრულა
პეტრედ ხმობილი მურვანის წელით.

პეტრემ დედოფალს თვალი გაუსწორა და ზეაუკდ წარმოსულის კუ-
ნული დამდოვრებულ მდინარედ აქცია, იდუმიალების ზღვას შეერწყა
და მღელვარე ზღვა მშვიდ ნაეთსაყუდლად იქცა. ჭავჭავი მოციქულისა
ტყვეობის სუნდებზე მეტყველებდა.

— რომ შესაძლო იყოს, ლირსება მქონდეს, ამ ჭავჭავს მკერდით ვა-
ტარებდი. კეთილი გზა აგირჩევიათ, ჩემთვისაც ილოცეთ, — თქვა დე-
დოფალმა ჭავჭავის მიღებისას და თითქოს მძიმე ტვირთიც მოეხსნა.

თავი მათოთხავტი

პალესტინაში

„მადლობა უფალსა მშვიდობის ღამისა და ნათელი დღისათვის“, —
წარმოოქვა პეტრედ ხმობილმა მურვანმა, როგორც კი დაიძრა ხომალ-
დი კონსტანტინოპოლისაკენ და ხომალდთან ერთად მის გულსაც მო-
ეხსნა ღუზა. ამდენი ხნის სიფრთხილით გაწმებულმა ზაქარიად ხმო-
ბილმა ბურგაქასმაც სული მოითქვა. მოუთმენლად ელოდა პეტრეს
სიტყვას, გრძნობდა კონსტანტინოპოლში მურვანისადმი დედოფლისა
და ავგუსტას უცხო განწყობას. დედოფლის ჩამოსვლამ იერუსალიმს,
ყველაფერში ცხადად დაარწმუნა, მაგრამ აռცებდა. მურვანის სიმ-
შვიდე.

— ებრაელთა თხრობანი იტყვიან, პე, მხერ ზაქარია, — აზრახებ-
და უდაბნოსაკენ გზად მიმავალი პეტრე ზაქარიას, — ფრიადის სიმ-
შვიდის მიერ ღირს იყო მოსე ღმერთის გამოცხადებისა და ღმრთის-

* ნაწილი ჭავჭავისა გაგზავნა რომში, საღაც ითვის მისთვის საგანგებო ტაძარი და
დღემდე იქ არის, ტაძარიც ასე იწოდება: „წმინდა პეტრეს სუნდებზი“. — S. Petrus
in vinculis.

მხილველობისა. სიმშვიდემ დაერთ ღმრთის მოყვარე ყო, იობ უმან-კოებით განმარტლდა, იოსებ — მზაკვარებასა ძმათასა პას გაგებდა და აბელ — ძმის მკვლელსა თანამავალობდა... აღვისილებულ ძის ბრწყინვალების მიმართ, რაოდენ ხელვად შესაძლებელ არს რაოდენ ჩვენგან მისაწვდომელ, რაოდენ...

— ...რაოდენ დასატევნებელ არს, — მიაშველებდა ზაქარიაშვილი ჭუტ-რეს ძმის საყვარელ სიტყვას.

— რაოდენ დასატევნებელ არს, — გაიმუორებდა ღიმილით პეტ-რე, — რაოდენ გვეძლოს განვიცადნეთ სიწმინდით იგავითნი გამოჩინებულნი ზეცის გონებათა წესნი, რომელნი უმსგავსოთაცა სახეთა მიერ გამოჩინდებიან და განბრწყინვებულნი საიდუმლოებისა ხელოვნებითა ღმრთის მოქმედყოფად შემძლებელ ვიქენებით...

— უკეთუ საყვირველი მოსე, — შეესიტყვებოდა გულმოწყვლილი ზაქარია, — საღმრთო იგი სჯულისმდებელი განეშორა ყოვლისაგან კაცობრივისა ხედვისა და დაუტევნა ლელვანი საწუთროსანი და ყოველი სიზრქე ნივთიერი განიყარნა, რათა განიწმინდოს მხედველობითი ძალი სულისა და ჰყოს იგი საღმრთოთა ხედვათათვის, ენამძიმედ უწოდდა თავსა თავისსა, ვითარცა ვერ შეუძლებდა მსახურყოფად საღმრთო განსაზღვრას. არა ლიტონად ებრძინა მას, რათა უპირველესად თვით განწდეს და შემდგომად ყოვლისავე განწმენდისა ესმა მრავალი ჩმა საყვირთა და იხილნა ნათელნი მრავალნი სიწმინდით ელვარენი და მრავალ შარავანდედად გარდაფენილნი. მე კი, გრემოცულმან ყოვლითავე ბიწითა და ცოდვითა, მრავალ სამფოთო გულის სიტყვათა ფოფინებითა, არც გონება და გული განმიწმედია სარკეყოფად საღმრთო ხედვათათვის, ვითარ მეტყველ ვიქმნე სიტყვათა აღმაღლებულთა ყოვლისავე კაცობრივისა დაბადებულებისა და ქმნულებისათვის, ვითარ დაბნელებულნი განანათლებენ!

— რაოდენ გვეძლოს, რაოდენ დასატევნებელ არს, — ისევ ღიმილით განუმეორებდა პეტრე და, ვიდოდენ რა გრძელ გზად, მოიგონებდნენ იმ ლუსკუმო ღამეს, ნათელსა და მზიანს, კონსტანტინოპოლს რომ ტოვებდნენ.

მორვეი და წყლის დინება, ხმაურით რომ ეხეთქებოდა ზღვის ტალ-ლებს, მათთვის მშვიდი რხევა იყო. ქარი ილბლად ზურგისა პბერავდა და შშვიდობით გასცურეს. ხმელეთზე ეგონათ, სამშვიდობოზე გამოვიდოდნენ, მაგრამ მდევარი კვალში ჩასდგომოდათ და ქალაქის შესასვლელთან შეიძყრეს და შესხეს სპყრობილეში: „ვიდრე თქვენი მაძიებელნი არ მოვლენ, არაფერს გიზამთო“, მაგრამ ბურგავის მაინც შე-

ბორჯეს და თავლასთან მიაბეს. „ლვის ხელშია ჩვენი ბედი და არა
კეისარისა“-ო, ეტყოდა მურვანი ბურგავასს, — ლვის ნებითა ამ შენ
მანდ გაკრული და უნდა ბედს დაემორჩილო.

— ლვის ნებით რომ ხდებოდეს ყოველი, ქვეყანა იმარტინული არ
შეეძრაობოდა მტერს, ხელაპყრობილი შეაგავერწყდა კარშეწყდა
ბურგავასი.

მოქანცულთ ღილეგში ჩასთვლიმეს, რომ მოულოდნელად არია
სტიქია. ელვა ჰექა-ქუპილთან ერთად ანათებდა, თითქოს ზედ თავზე
ატყდებოდათ შეხის ტეხა, შექანდა ბედშავი დედამიწა, შეინძრა საპყ-
რობილე და გრვეინვასავით გაისმა კედლების ნგრევა. დაბნეული
მცველები გარბოდნენ თავის საშველად. ელვის სისწრაფით შეხსნა
მურვანმა თავლას მიბმული ბურგავასი, ხელში აიტაცა და მითრიდა-
რე კი გზადაგზა უხსნიდა ხელ-ფეხს. მითრიდარეს მხნე ხმა ზარივით
რეკდა, პირვეარს იწერდნენ სასწაულის წინაშე, ქალაქისათვის თავ-
ზარდამცემი აღრევა განგების წყალობად ევლინებოდათ. მათ აღარა-
ვინ სდარაჯობდა, უკან მოუხედავად გარბოდნენ, დასტან წვიმიამაც და
უფრო დაბნეულდა. უგზოუკვლოდ მარბენალნი ათას ხითათს ატყდე-
ბოდნენ, ხროვა უქმი და უსარგებლო ძალებისა შეუწყვეტელი წევ-
წყავით, ყეფითა და ყმუილით აღევნებოდათ. ლტოლვილთ აღარაფერი
აღონებდათ, ზღვის ხმაურს მიჰყვებოდნენ, რომ მისკენ გზა გაეკვ-
ლიათ.

— ჩვენთვის სიკეთე სხვას ბოროტებას არ მოუტანს, — სიხარუ-
ლისაგან კიდევაც მსჯელობდნენ, თუმც წვიმა და ქარი სახეში სცემ-
დათ.

აფოფრილი ზღვა ნაპირზე მიბმულ ნავებს რამოდენიმე ადლის სი-
მაღლეზე ისროდა, არაბი მენავეები კი მზად იყვნენ სამსახურისათვის,
თუ კარგ გასამრჯელოს მიიღებდნენ. ესროლეს სავსე ქისა და ჩახტნენ
ნავში. ტალღები მთებად იზვირთებოდნენ, ერთმანეთს ეხეოქებოდნენ,
ერთნი კლდეებზე იმსავრეოდნენ, მეორენი ინგრეოდნენ აზვირთებულ-
ნი, მთელი ზღვა კი ქაფისაგან გადათეთრებულიყო. მენავეები ოსტა-
ტურად არიდებდნენ ნავს წამოსულ ტალღას.

იაფფიდან ქარიც საპირისპირო იყო და მთელ დამეს იბრძოდნენ.
სიცივისა, წვიმისა და თეთრად გატეხილი ღამისაგან გათოშილნი, სიმ-
ხნევეს მაინც არ პკარგავდნენ და დანთქმისაგან გადარჩენისა და საპყ-
რობილედან ხსნისათვის სამაღლობელო ლოცვაზე დადგნენ. როგორი
შვებით გასცეროდნენ გადაჭიმულ მიწებს ისრაელისა!

ზაქარიას ისიც ახსენდებოდა, დამსკდარ ფეხის გულებიდან სისხლი როგორ სდიოდა, გზაზე კვალს ტოვებდა და მტვერს პყრივი შოლმე, მალ-მალ უკან იხედებოდა, მდევარი არ წამოსწერდათ და ასამალავს ეძებდა. სულ სიზმრად ეგონა თავი. ეგონა, გაეღვიძებოდა და ისევ თავლასთან მიბმული იქნებოდა. პეტრე კი რტმაჟსტებრების აკვედუქთან ღელეზე გადებულ ერთ პატარა ქვისაგნესტმარტის შედეზე შემდგარიყო და წყალში კენჭებს ისროდა, თითქოს სამშობლოს გარემოში სალაობოდ გამოსულიყვნენ. როგორ ახარებდათ გზა ვენა-აებსა შუა, ეკლიანი ბუჩქნარი, ტიალი ოღროჩოლროც კი ბაღნარად ეჩვენებოდათ. მზე გადახრილიყო და მთებსა და ზღვის მალ-მალ ფერი ეცვლებოდა, სხივებში აელვარებული იერუსალიმი რომ გამოჩნდა. როგორ ხარობდა ოცნების ოსრულებით მითრიდატე!

იერუსალიმი ჯერ კიდევ სავსე იყო მოგონებებით მაცხოვარზე. ის ადგილი, რომელიც ნაკურთხნი იყვნენ ქრისტეს ყოფნით, დაფარული იყო მონასტრებით, მაგრამ პალესტინა ეს ის ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო აღარ იყო, დავით და სოლომონ მეფეს რომ შეექმნათ. ასურთა და ბაბილონელთაგან მოხსენებული, შემონვრეული გალავნით, სევდიანად გამოიყურებოდა. მისი მკვიდრნი, გადახიზნულნი და გაყიდულნი, გაფანტულიყვნენ ეგვიპტესა, საბერძნეთსა თუ რომელი. კონსტანტინე დიდის დროს კვლავ აშენებული იერუსალიმი კი ჯერაც უგალავნოდ იდგა და მცირერიცხოვანი სახლები და მობინადრენიც მეტად ღარიბი იყვნენ.

— პეტრობოდეს ფეხი ჩემი ამ საკვირველ ადგილს, — იტყოდა მითრიდატე.

გასცემროდნენ ნაზარეთს, სადაც აღზრდილიყო ქრისტე, ხედავდნენ მთა თაბორს, სადაც მაცხოვარს ფერი ეცვალა და სადაც თავაღაც ფერის საცვლელად მოსულიყვნენ.

ნარგიზები, ტიტა, ტვია, აკანთო თავს იშონებდნენ, ჩვენც აქა ვართო. როგორი ბავშვური ხალისით ეკურთხნენ აღდგომის ტაძარში, ქრისტეს საფლავზე. მურვანი შეიქმნა პეტრედ ხმობილი, მითრიდატე — იოანედ ხმობილი და ბურგაები — ზაქარიად ხმობილი.

ის, ვინც მოინდომებდა სახარების მიხედვით ცხოვრებას, უარ-ჰყოფდა ცნებას საკუთრებისა, თავისი ხელის ნაშრომით უნდა ეცხოვოს: „ვინც არ შრომობს, იგი ნუცა ჭამს“ მოციქულ პავლეს ეთქვა... ამის შემდეგ კი სულ მალე ანასტასი პატრიარქმა პეტრე და იოანე აკურთხა ხუცად. წინამდევარი გერონტიონისი, რომლისგანაც მიიღეს ხელდასხმა, პკვირობდა მათი წარმატებით ღვთისმეტყველებაში.

ხელისუფალნი ხალისიანად და უსასყიდლოდ აძლევდნენ ყველა მოსულთ სამოსახლოს, და მათაც ააგდეს სავანე „დავითის საკურთან“, სიონის ტაძრისაეკენ მიმავალ გზაზე, ააშენეს სასტუმრო განსაკუნძულებლად მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა.

მათ წინ გაიღო ახალი სამყაროს კარი. ეჩევენებოდეს მისამართ უსახელ-ნელე უკან იხევდა და სინათლე უფრო და უფრო მქონე და მდგრადად მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა.

მურვანს დიდი ღვთისმოსავის სახელი მოჰყევა თან, როგორც ბიზანტიის დიდებაზე და საკუთარ სამეფო ტახტზე უარის მოქმედს ღვთის სამსახურისათვის და სულ მალე კი მის წმინდანობაზე რაღას არ იტყოდნენ: „ვერ კიდევ ძუძუმწოვარი ყოფილა, რომ პარასკევსა და ოთხშაბათს დედის ძუძუსაც არ ღებულობდა; კანდელებს უზეთოთ ანთებდა, სნეულთ სიტყვით ჰყურნავდა...“

ჰეტრე გასცეროდა გენისარეტის ტბას, მოჩუხებულ წყარო-ნაკადულები რომ ერთვოდნენ და ერთისა და მრავალის ერთიანობაზე ფიქრობდა.

ზაქარიას ძველი აღთქმის ადამიანი უფრო ბეღნიერად მიაჩნდა, ვიდრე მცნებანი: არა კაც ჰყლა, არა იმარო, არა იმრუშო, არა ცილ სწამო... ყოველი ადამიანის ლირსება უნდა ყოფილიყო და ვერ გაერკვია აზრი ნაოქვამისა, როცა გერონტიოსი იტყოდა:

— გესმა, რამეთუ ითქვა არა კაც ჰყლა? ხოლო ქრისტე გეტყვით: რომელი განურისხდეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა. გესმა, რამეთუ ითქვა არა იმრუშო, ხოლო ქრისტე გეტყვით თქვენ: რამეთუ ყოველნი, რომელი ჰქედვიდეს დედაცაცა გულისთვმად, იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა. გესმა, არა ცილ სწამო, ხოლო ქრისტე გეტყვით, ნუცა თავსა შენსა ჰფიცავ, არამედ იყავნ სიტყვათქვენი: ჰე — ჰე და არა — არა. გიყვარდეთ მტერნი თქვენი.

სულს ითქვამდა ზაქარია, როცა საქმე მიღვებოდა ისეთ მცნებებზე, როგორიცა — მშიერსა ეცით ჭამიდი, მშყურვალსა ასვით, უცხო შეიწყნარეთ, შიშველი შემოსეთ, სნეულს მიხედეთ, საპყრობილეს ტყვე მოინახულეთ. ყოველივე ამაში ზაქარიას ვერავინ სჯობნიდა. „ვაი მას, — ამბობდა, — ვისაც მხოლოდ თავის თავზე უზრუნია და უსაშველო მას, ვისაც სხვისი უბედურება გახარებია“. მასზე ამბობდნენ: კაცი მართალი და მოწყალე, უცხოთა შემწყნარებელი, მშიერთა კამძლები, შიშველთა შემმოსავი და ჭირვეულთა ნუგეშინისმცემელია.

ჰეტრეზე კი ამბობდნენ: რომელიცა ვინ სათნოება გამოიძიოს, მასთან ჰპოოს, შემნდობელ და მლხინებელ, ბუნების ზიარია. მისი სახე, ლაჟვარდი თვალთახედვა კმა იყო სათნოებათა მისთა სიმაღლის გამო-

ჩინებად, ხსენება მისი სახელისა ბოროტ მესიტყვეს სიბოროტეს ბავშვე შეაშთობდა.

უდაბნო ხვდებოდა მათ უსიტყვო ალერსით, ვარსკვლავისი დამეუბის ბრწყინვალებით, ღილა-სილამოს ჩუმი დოლით და აპზინდის სურნელებით. აქ ცა ხედავდა და დედამიწას ესმოქნეულ სამართლის წმინდა სულისა გამოპერთოდა. სამარადისოს მამიშვერებელი უკავშირს ადამიანს საწუთრო გულგალელილი ეგებებოდა, უთვალავ სახეთა და ფერთა მეჯლისით ხვდებოდა. ცოდვათა მრიდენი თითქოს სამოხის ბალს შეხიზნებოდნენ.

— ნეტარ არიან, ვინც შეისმინა სიტყვის უსუსურობა, ვინც შეისმინა, რა ძნელი არის ღვთის შეცნობა და მის წინაშე გალობს ვითარცა კითარა, — იტყოდა პეტრე.

სალამოს ისეთი სიხარულით ხვდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ევეყუანა შემოევლოთ, შემოსეული მტერი მოეგერიებინოთ და დაბრუნებულიყვნენ ტვირთითა სათნოებათა.

ცვარის წვეთები ყვავილებზე ლურჯად, მწვანედ, ალისფრად კიაფობდნენ და პეტრე უმცირესში უდიდესს ხედავდა, უმდაბლესით უმაღლესს სწვდებოდა; წარმავალის საშუალებით კი მყარსა და მუდმივს მოიპოვებდა.

ეწვივნენ ფინიკის, მოინახულეს ვინე მებოსტნე, დიდად ცნობილი კაცი თავის სიწრფოებით. ხალხი ამბობდა:

„რა მოეიდა პეტრე მებოსტნესთან, იმ ღამეს მებოსტნეს პქონდა ჩვენება. მან იხილა კაცი ვინე, რომელიც ადგილს მიუთითებდა მისი ბოსტნის მახლობლად და ეტყოდა: ამ ადგილს არიან წმინდა მარტვილნი, ამოთხარე და მიჰვარე პეტრე ქართველსათ. მებოსტნემ განთიადს აუწყა სიზმარი პეტრეს. პეტრე კი მათ ეპისკოპოსს შეეკითხა, როგორ მოქცეულიყვნენ. ეპისკოპოსმა უმალ შეკრიბა ერი, ჰყო ლიტანია და დიდის პატივით ამოიღეს მიწიდან წმინდა ნაწილები. მაშინ პეტრემ მებოსტნეს უთხრა, ილოცოს, რათა სახელებიცა წმინდა მარტვილთა ეუწყოთ და ილოცა კეთილმა მებოსტნემ. ღმით კი იხილა სამი კაცი, გვირგვინოსანნი, ბრწყინვალენი, რომელნიც ეტყოდნენ: სახელი ჩვენი არიან: ლუკა, ფუკა და რომანოზ. სპარსეთს ვეწამენით ქრისტეს სარწმუნოებისათვის და ძმებმა აქ გაღმოვვიტანესო“.

პეტრემ მათ სახელზე ააშენებინა ეკლესია.

გაიგო მთავარმა პეტრეს იქ ყოფნა და მოისურვა მისი ნახვა. სნეული იყო, უსაზრდელობისაგან უკანასკნელ სულისთქმამდე მისულიყო, პეტრემ გამოჰყითხა, რას სჭამდა, რას — არა და არწმუნა, რომ

თუ მას მორჩენა სურს, უნდა ჭამოს ახალი თევზი. უკემელობა არ ჯან-
მრთელსაც ავნებდა, ავადმყოფს რა სიკეთეს მოუტანდა! შთავარმა და-
უფერა. პეტრესავე დაჭერილი ახალი თევზი შეკამა. ჭამის დროს თეა-
ლებში შესცემისა უფრო სკეროდა, ჩანდა, მისი სიტყვისა უფრო სკეროდა, ვიზრე
თევზისაგან განკურნებისა. თავი რომ უკეთ იგრძნო, გრძელებული უფ-
რო ხალისიანად შეკამა. შიმშილისაგან დასუსტებული თუკლის გაც
მოიხედა და სულ მაღა ფეხზე წამოდგა. ამაზეც იტყოდნენ:

„სიტყვითა პკურნავს და თევზს მხოლოდ იმისათვის სთავაზობს,
რომ სიტყვის ძალა დაფაროს, რათა დაფარული მეტად მოქმედებს“.

სასწაულად ჩაუთვალი მთავარმაც განკურნება და რაღა არ მოიგო-
ნეს: უწვიმრობას მეყსეულად წვიმიან პყოფს, უშეილოთა შეილიერ
პყოფს, სნეულს — კაცა თუ ვენახს — განკურნავს, მეთევზურთ გა-
უმარჯვებს, საპურესა და საღვინეს ლოცვით აღავსებს.

პეტრე სდუმდა, სდუმდა, რადგან იცოდა იუდაველებს ისევე სჭირ-
დებოდათ სასწაულის რწმენა, როგორც ელინებს სიბრძნე. მისთვის კი
უველაზე დიდი სასწაული იყო ბუნების კანონზომიერება. ▾

მთელს დაბას მოსდეს პეტრეს ამბავი და აღარ პქონდა პეტრეს
მოსვენება ავადმყოფთავან.

დატოვეს ეს ადგილი და უკაცრიელ უდაბნოსაკენ გაუდგნენ.

გზად ერთ მთავართან შეისვენეს. გულფიცხი მთავარი ერთთავად
თავის სახლეულთ რისხავდა, რისხავდა და თან პეტრეს უზიარებდა
თავის გაჭირებას. პეტრემ ვერ გაუძლო ამ შფოთს, უკეთურ სიტყვათა
მოქმელისა და მსმენელისაგან ერთნაირად იგმობოდა ლვთის სახელი
და გაშორდა აქაურობასაც. მას ყოველ შესაწირავზე უმაღლესად გო-
ნების სიწმინდე მიაჩნდა.

გზად დააღამდათ და ერთ სალოცავს შეაფარეს თავი. კვირა დღე
იყო, უამის წირვისათვის საკურთხეველის შემზადება სთხოვა პეტრემ
ზაქარიას.

ზაქარიამ მიიხედ-მოიხედა. ხედავს, ირგვლივ კერპები დგანან, ყვე-
ლა კუნკულში წარმართული ღმერთები დაბადებულან. არსად ჩანს
მაცხოვარი, არსად — ჯვარი, არც ლვთისმშობელი.

— ქრისტეანისათვის შეუფერებელია ეს ადგილი სალოცავად, შე-
უძლებელია აქ წირვა, — განუცხადა პეტრეს.

— ღმერთი ყველგანაა, — თქვა პეტრემ. — ლოცვა მოგვიხდება
სახლში, ეკლესიაში, ქუჩაში, თუვინდ წარმართა სამლოცველოში,
სულ ერთია, ლოცვა შინაგანი კავშირია ზეციერთან და ყოველ გარე-
მოში ერთნაირად ფასეული. მთავარია ჩვენს თავში ჩაღრმავება, რა-
მეთუ სული თავის შემეცნებისას, შეიცნობს ღმერთსაც.

გაშინ ზაქარიამ გამარჯვებული სახით გახედა გარუჭულ /კერპებს/ და საკურთხეველი შეამზადა.

მარტივად სწამდა ღმერთი ზაქარიას. ის არ იძიებდა, თუ როგორ იქცა ღმერთი ადამიანად, არც იძიებდა, როგორ იბამდა ვაზა მტევანს. მან იკოდა, როცა სასოებით ლოცულობდა, თუ მოყვისას ამჟღაპნევა-თეს იქმოდა, თავს ბელნიერად გრძნობდა, ვაზიც შეკრულების ჩატარობდა. მისი რწმენა იყო გულუბრყვილო; ეჭვი არ ეპარებოდა ბედ-ნიერების საყრდენში და დალუბულად სთვლიდა მას, ვინც არ იტანჯე-ბოდა თავისი იჭვებით და ბუნებრივად მიაჩნდა ურწმუნება.

— შემიწყალეთ, წმინდანნო, შემიწყალეთ და სასოებასა ჩემსა ნუ არცხევთ, ყოვლად უბადრუკი ზაქარია გეველრებით, — მოუწყინებ-ლად რეკლა.

ბევრი სმენოდათ ტავროსის მთებში დაბინავებულ წმინდა ა ლევ-თეროზის ლვაწლმოსილებისა და ერთ დღეს პეტრემ თავისთან გა-მოიხმო. ბალნიანი, მცენარის მჭამელი მეუდაბნოე მონადირებს პი-რუტყვად მიაჩნდათ. სათნოებით მორკმული წელმაგარი იყო. ამლვრე-ული თვალებით შესცეკრდა ალევთეროზ პეტრეს. მას სიზმრად ეგო-ნა თავი. ვერ დაეჭერებინა პეტრეს წინაშე დგომა, მეორე პეტრედ, პავლედ თუ მოსედ რომ ელიარებინათ. ბევრი საოცარი გაეგონა მას-ზე, მაგრამ ხალხში მცხოვრების წმინდანობა მაინც ვერ დაეჭერებინა-ახლა კი, მის შემყურეს ყველაფერი ერთად ერწმუნა:

— გულბყრობი ვარ, ვითარმედ შენში აღმოვაჩენ საღმრთოსა ცეცხლის ნაკვერცხალსა, რომელიც დაუშრეტელ ჰყოფს ძალასა ცეცხ-ლისასა და მოუკლებელ წყალთა მდინარეობასა, — თქვა ალევთე-როზმა.

ალევთეროზ პეტრეს სიტყვას მაღლიდან ბრძანებად მიიღებდა. გა-უშეცარდა ბავშვობიდან მკალისა და ველური თაფლით მსაზრდოებე-ლი, რომ პეტრეს შეთავაზებულ ხორცზე უასს ვერ იტყოდა და ჭამდა. არწმუნა პეტრემ იგიც, რომ ქვეყნის ცდუნებისაგან თავის დასაღ-წევად არ არის აუცილებელი უდაბნოდ განდგომა და მით უფრო — გაველურება.

ამის შემდეგ კი ალევთეროზი აღარ დაბრუნებულა ტავროსის მთებში, მათთან დარჩა. აუგეს მონასტერი, ჩააბარეს ალევთეროზს მი-სი მოვლა-პატრიონობა, განუჩინეს საზრდელი და სამოსელი, ალევთე-როზ სიძნელეებსა და დაუღალავ შრომაში, ამ ნებით ტანჯვასა და დალ-ლაში განცხრომას და სიამეს განიცდიდა.

პეტრეს მისდევდა ერი მრავალი, თაყვანსა სცემდა თავისი უძლუ-

რების შეგნებით. მრავალ სახესა და მრავალფერსა აზმნობდნენ მისი სიტყვანი და მრავალთა მიიზიდავდნენ.

ზაქარია კი მოიჩქაროდა იერუსალიმს, ვით დედა თავის ჩეილ ყრმას, თავის ვენახს დიდ ხანს ვერ მიატოვებდა.

ვაზის ნაირგვარ ჭიშებს დარგავდა, უამინდობას „რუმეზურუმე“ შეწინ გადაურჩებოდა, ამინდი კი ნაირგვარ ღვინით უზტერნუშლეშურუშუ. ურ იყვნენ ჩეეულნი უღვინობით შეჭირვების. ქებული სამონასტრო ღვინო პურთან ერთად ხშირად ყველაფერს სცვლიდა.

უღვინოდ ვერ ჩაივლიდა სამონასტრო ღლესასწაული, აღაპი შემომწირველის მოსახსენებლად, კარგაღებული აღაპი — ურიცხვ გლახავსა და უპოვარს ტრაპეზს დაუმშვენებდა, უღვინოდ არც სამშობლო და არც განსვენებულნი მოიხსენიებოდა.

თავანკარა, კამკამა ღვინო კეთილი და გემოიანი დგებოდა. უზადო და საღი ღვინო ცინცხლად ჩაედინებოდა სასმისში და კედლებსა და ფსკერზე კვალს არ სტოვებდა. ზაქარია ჯერ მზეზე გახედავდა, ფერს გაუსინჯავდა, შემდეგ დაყნოსვით სულს შეუმოწმებდა და ბოლოს გემოს. ზედაშეს მარანში შესვამდნენ. ღვინო შეისმოდა წმინდა სათხო-მყოფელთა სადიდებლად, მოსახსენებლად და თაყვანსაცემად. მაგრამ ნაყროვანებითა და სასმელით თავს არ იწუხებდნენ, რომ თავიც და თვალიც ფხიზელი ჰქონდათ.

თეოდულას სადღეგრძელოს მხოლოდ მაშინ შესვამდა ზაქარია, როცა სასმელი მოერეოდა, როცა გონება აღარ კარნახობდა, თავის თავს ხმამალლა გაესაუბრებოდა. თეოდულას ეტყოდა: „სიყვარულო, შენ ხარ ვენახი, ჩამალულ მტევანივით რომ გვხიბლავ, სიმწარესაც გვაგემებ, მღელვარებით მოგვიცვავ და ნამდვილ ფერსა და სურნელებას სიძველეში გვაგემებ. სიყვარულო, შენ ყველას ხვედრი ხარ, სიყვარულო, შენ ლოცვა ხარ!“

აგონდებოდა, როგორ იდგა უკანასკნელ დღეს მის წინაშე თავჩამოგდებით, თეოდულა კი არ ეშვებოდა: „აკი მოგიტაცებო?“ ზაქარია არწმუნებდა, მონაზვნად აღკვეცა საუკეთესო საშუალებაა პასარიონისაგან განსათავისუფლებლად და სინიდისთან მოსარიგებლადაც. თეოს ეცინებოდა: — მაშინ შენ, როგორც მონაზვნის შეურაცხ-მყოფელს, მაგ ლამაზ ცხვირს მოგაჭრიანო და უცხვირო სახეს წარმოუდენდა. ბურგავის ახლაც ეცინებოდა, მაგრამ თეო მაინც ებრალებოდა. თუ განეშორებოდა სიცრუეს, შესავალი დახმობოდა გულში უკველგვარ ცოდვას და ბურგავისსაც ცხვირი აღვილზე დარჩებოდა. **v** უდარდელობის ეშინოდა, რათა უდარდელობა თუ თავად არ იყო

მანკიერება, მას თან მოჰყვებოდა უამრავი დაუძლეველი უბედურება, ამიტომ მუდმივმა მცდელობამ, უჯათ შრომამ და ყურადღებამ მის გონიერებას მედგრობა მისცა, მაგრამ მაინც ვიდრე თვითარ გამოიხდა თავის თავზე, სხვისი რისხვა და შეგონება მხოლოდ აუკვნებდა. იცოდა, ადამიანს მეტად აშვენებს ის, რასაც თვით მოიჭრების ფრთხოები იყო თავისი განცხადებაშიც; მუდამ ასესტუდნულწერებშიც სიწმინდესა ძალთა, ნუცა დაუფენო მარგალიტსა თქვენსა ღიროთა, ვაი თუ დათრგუნონ იგი ფეხითა მათითა და მოიქცენ და განგხეოქონ თქვენ".

ღამით თუ წიგნები იწერებოდა, იმკობოდა და იკინძებოდა, ალიონიდან სამონასტრო ბალ-ვენახებში ოფლი ილვრებოდა. ზაქარიას საფიქრალი ერთი იყო — რქა კარგად შემოსულიყო, ყურძნი კარგად მოწეულიყო; აჭოჭვა თუ მოსთვა ვაზებისა, პირმშოს სიყვარულითა და ალერსით იცოდა, თავს შემოველებოდა მტევნებად ჩამოვაგნილ ვაზს. ერთი იყო, რომ აქ ბაბილო არ ხარობდა. ბუნებას თითქოს მისი სამშობლოსათვის საჩუქრად მიეძღვნა ეს ვაზი, ასე უზრუნველად და უშრომლად რომ ხარობდა მაღალ ხეების კენჭეროებზე გასული. აქ ვაზი მიწაზე გაროხმულიყო და ღვინოსაც მიწის გემო მოჰყვებოდა, თვინიერ წყლისა არ დაიღეოდა.

ნინოს ჯვარიც ხომ ნასხლევისაგან ვაზისა იყო, ვაზი სამშობლოსთან აახლოვებდა, მათ საჭურველსა და მორთულობასაც **თავთავთან** ერთად ოქროს მტევან-ფოთლიანი ვაზი იმკობდა.

— ზომით განგვიყოს უზომოება თვისი და რაოდენ დასატევნებელ არს ჩვენთვის, გამოგვეცხადების და გვეჩენების ღმერთი, — ეტყოდა ხშირად საღამო ეამს პეტრეს ზაქარია.

თავი მეთხუთმეტი

ბრძოლა უფლებებისათვის

მოგზაურობიდან სულ სხვა გუნებაზე დაბრუნდა დედოფალი. სამეფო კარის დახვედრაც უფერული ეჩვენა, უფერულად ეჩვენა ყვავილნარიც კი, ანტიოქიის შემდეგ ნათლად შეიგრძნო მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა, მაგრამ მაინც გამარჯვებულის, კმაყოფილებით დაღლილის სახით, ნახულით აღფრთოვანებას გამოთქვამდა, თან ავგუსტის შეპარ-

ვით თვალს შეავლებდა; ნიშნის მოგებით ელიმებოდა, როდესაც ავ-
გუსტას სახეს ჩრდილი მიაღებოდა, ან კიდევ უფრო ჟენტლემანი, რო-
დესაც ავგუსტა მის გაუთავებელ შთაბეჭილებათა თხრობის გადა-
უძლებდა და უსიტყვოდ სტოვებდა ხოლმე.

სამაგიეროდ ყოველ ცისმარე დილას ხრიზანფი ქრისტენი-
ტით შეუდგებოდა როგორც დედოფლის, ისე ავგუსტას ქადაგებულების,
თავის კეთილ სურვილებში მოხერხებულად რომ ჩახვევდა საზრისიან
ფანდს.

— აღტაცებული ვარ თქვენი კეთილშობილებით, — ეუბნებოდა
ავგუსტას, — მსხვერპლად მოგაქვთ თავი თქვენი ძმისა და რძლის
ბედნიერებისათვის. გაოცებული ვარ, გაოცებული, თქვენი თავგანწი-
რულობით! ისინი თავიანთი გატაცებებით ცხოვრობენ, თქვენ კი მოე-
ლი ქვეყნის კირ-ვარამი ავიკიდიათ. — იცოდა ხრიზანფიმ, რა მოხვდე-
ბოდა, გულში დიდების მოყვარულს. ავგუსტასაც სწორედ ისეთად
მოპქონდა თავი, როგორადაც მას ხრიზანფი ხატავდა, რადგან მის დი-
დებას სწორედ კეთილშობილება და თავდადება აკლდა. თუ სიმდიდ-
რე საფასეს მორეწვით შეიქმნებოდა, დიდება დიდების უარყოფაში
მოიპოვებოდა. ხრიზანფიმ ისიც იცოდა, რომ ხარბად შესმული ფიალა
ლიქნისა გონიერსაც უგუნურად აქცევდა და იგი არ ზოგავდა არა-
ფერს, თან იმდენსაც ახერხებდა, რომ პირფერად არავინ სოვლიდა. აქ
უკვე თეოდოსი არ ცდებოდა, როდესაც ხრიზანფის ადამიანების გაე-
ბის უნარს მიაწერდა.

დედოფალთან კი ხრიზანფი გულწრფელ სინანულს გამოხატავდა:

— რამდენად მოიგებდით, ხალხის თვალშიც, სახელმწიფოს სათა-
ვეში რომ უდგეთ! როგორ გაუგებარია, რომ დედოფალს პრეპოზიტი
არა გუავთ!

დედოფალი მას უპასუხოდ სტოვებდა, მაგრამ მისი სიტყვები არ
ავიწყდებოდა. უკვირდა, აქამდე ამაზე რატომ არ ეფიქრა. გრძნობდა
დედოფალი თავის უპირატესობას, მაგრამ შორს იყურებოდა ელინის
თვალი. იცოდა, მბრძანებელ მულსა და სუსტი ნებისყოფის ქმართან
ასე ადვილად ვერას გახდებოდა. პავლინიც ახლა საჭირო ხდებოდა და
მაშინაც კი ულიმოდა, როდესაც სრულიად არ ელიმებოდა. იმედდა-
კარგული პავლინი კი იბნეოდა და იმ გარდაუვალ კანონს აწერდა ამ
წყალობას, რომელიც დასაუფლებლად მებრძოლს ხელიდან უსხლტე-
ბოდა და მიანებებდა რა თავს, თვითონ გეტანებოდა. ¹

დედოფლისა და ავგუსტას შეხვედრები კი თანდათან სულ უფრო
ხანმოკლე ხდებოდა, საუბარი არაბუნებრივი და მოულოდნელი გაცი-
ნებით წყდებოდა.

დედოფალი თავის ბედს უფიქრდებოდა: რატომ უნდა მიეჩნია დედოფლობა ავგუსტას წყალობად? ეს ხომ წინასწარმეტყველებით იყო მისთვის განკუთვნილი და უფლებებიც თეოდოსიზე ნაკლები არდი აქვა! ერთი, რომ დედოფლად კურთხევა წინ უსწრებს ქორწინების ცერემონიალს, ე. ი. ყოვლის შემძლე ძალაუფლებას უჩიტესუფლად წოვოვორც ბაზილევსის თანამეცხედრე, არამედ, როგორც უსწორესად საბურისა, ხალხსაც არა ბაზილევსი წარუდგენდა სახეიმოდ აღიარებისათვის, არამედ თვით წარსდგებოდა თავის ამალით და კურთხევაც დედოფლისა ხომ მეტი საიდუმლოებით ხდებოდა, ვიდრე ბაზილევსის. თანასწორი ძალაუფლებით, გონების გამჭრიანობითაც აჯობებდა მას.

მელანიას სიტყვას დიპსიდას შხამივით ემოქმედა, — რაც დრო გადიოდა, ძლიერდებოდა წყურვილი შურისძიებისა, იავარდის კოშკის დანგრევისათვის.

დედოფლის მეგობრები დღითიდლე გავლენიანნი ხდებოდნენ, — კირს მიენდო აღმოსავლეთის განმგებლობაც, რაც არ ექამნიკათ კლირიკოსებს და მით უფრო ავგუსტას. ეს იყო მხოლოდ დედოფლის პირადი ტრიუმფი, რითაც არკვევდა, ვინ იყო მტერი და ვინ მეგობარი. დედოფლის წყნარ სიტყვაშიც უკვე ბრძანება გაისმოდა.

დადიოდა ხმები, რომ მმართველობის ადგილები იყიდებოდა, მექრთამეობა იმპერიას აღონებდა, მაგრამ თვით მექრთამე და ადგილის გამყიდველი დედოფალს ხელში არ უვარდებოდა, მოიკითხავდა ათას საქმეს, ხრიზანტის ჩაეკითხებოდა და ქამელეონზე საოცარი არ იძნეოდა, მხილება მას ხელს არ აძლევდა, რადგან ერთ-ერთი მსხვერპლთა-განი თვითონაც იქნებოდა.

— აი, რარივ საჭიროა დედოფლისათვის პრეპოზიტი! ახლა საქმე-ებში ჩახედული იქნებოდით. სამეფო საქმეებში არ ვერევი, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მხოლოდ ავგუსტობის ტიტული არ იძლევა უფლებას პრეპოზიტის ყოლისა და ეს მხოლოდ თქვენი თავმდაბლობის და დიდბუნებოვანების ბრალია, რომ თქვენ პრეპოზიტი არა გყავთ. არ ახსოვს ბიზანტიას დედოფალი, რომ ძალაუფლება დაეთმოს ვისმე-სათვის, ისიც მულისათვის, ჩვენი დედოფლები ბაზილევსის უფლებებსაც კი ითვისებდნენ. ყველაფერ ამას კი, თითქოს ქრისტე მიდგას და მკარნახობს. ავგუსტას ჰეშმარიტად ეშმაკი აქეზებს, რომ თავის უფლებებს საზღვარს არ უდებს.

ენაგაქნილი ცეცხლს მუგუზალს მუგუზალზე უკიდებდა, ზედ ზეთს ასხამდა და ერთ დღეს დედოფალმა სრულიად მოულოდნელად თეოდოსის განუკეთდა:

— რატომ ამ მყავს მე პრეპოზიტი?

— საოცარია, მზე ნაღვლობდეს ულრუბლობას! — თქვა წყნარად თეოდოსიმ, — განა არ გახარებს, რომ მთელი დრო შეგიძლია მთამარო შენს საყავარელ პოეზიას? პრეპოზიტი ან შენ უნდა გყავდეს, ან პულქერიას. შენთვის, ვფიქრობ, ძნელიც იქნებოდეს, მრისფეროვანი ეს ჩვეულებრივი, შესისხლხორცებული მოვალეობაა წრულებული კეს პრეპოზიტზე უარს.

დედოფლის თვალებში ელვამ გაანათა ავგუსტას შექებაზე და უკვე წყრომით თქვა:

— მე მომბეზრდა შეშინებულ მონასავით ჯდომა დღესასწაულებზე. შეურაცხყოფად მიმაჩნია ისიც, როდესაც მესმის: „ბაზილევსი — კალიგრაფია, დედოფალი — პოეტი“.

თეოდოსიმ ერთი კი გახედა გამომცდელი თვალით, თითქოს ნაცნობში უცნობი დაინახა.

— არ მესმის, არ მესმის, რა სახარბიელო უნდა იყოს საჯახირო საქმეები, რომელიც სულიერად სცემენ ადამიანს და კეშმარიტებას, საც აცდენს. ბაზილევსი ვარ და სახელმწიფო საქმეებს თავს ვარიდებ, ვფიქრობ, სულის ამაღლებაზე ზრუნვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ათასგვარი საურავით თავის დატვირთვა, — თქვა და ისევ ჩახედა თვალებში.

— ავგუსტას არ უშლის ხელს საჯახირო საქმეები, მას ლამის წმინდანად აღიარებენ და შენ კი მბრძანებელს არ გსურს მბრძანებლობა?!

ამ დღეს საბოლოოდ წააგო თეოდოსიმ დედოფლის თვალში.

თეოდოსიმ სცადა ალერსით გაქარწყლება, მაგრამ მისი ალერსი უკვე აუტანელი იყო დედოფლისათვის. დალონდა თეოდოსი. არ უნდოდა დაეჭერებინა არც ყურთასმენისათვის, არც თვალთახედვისათვის და მომლიმარი სახით დედოფალს სავარდეში ჩაჰყა.

დედოფალი მოერია თავს და სერიოზულიდან ხუმრობაზე გადავიდა.

— გახედე, ყვავილთ დედოფალი ბალის გულშია და არა ორლობის ჩრდილში. მისი მზე ციდან ანათებს, ჩემი კი ხალხის გულიდან ამოდის. უპრეპოზიტო დედოფალს და უღონო მბრძანებელს საზეიმოდ ოთახის ყვავილებივით რომ გამოგვამზეურებენ, ესეც დიდი წყალობაა ავგუსტასაგან, არა? — ახლა უკვე თვითონ ჩახედავდა თვალებში თეოდოსის, რომელსაც ეგონა, უავგუსტოდ ყველა საქმე აირეოდა. დალერემილს თვალებში შიში ჩასდგომოდა. დედოფალს კიდევაც შეებრალა, ხელი ჩაჰყიდა და მზრუნველი დედასავით სიცილით უთხრა:

— ახლა მე და შენ სასწრაფო საქმე უნდა დავიწყოთ. პრეპონტი
ჰყავდეს ავგუსტას, ჩვენ კი ხალხს ვაჩვენოთ, რომ მარტო კალიგრა-
ფია და ლექსების წერა არ გვაინტერესებს.

ურავერცელი

— მაინც, რა მოიფიქრე? — მოსულიერებულმა შემოწმე მარტი

— სასაზღვრო კედელს კადელი უნდა მივაშენოთ. ჰუნები ისე
გაძლიერებულან ატრილას წყალობით, აღარივის არ ინდობენ და თავ-
დაცვაზე უნდა ვიფიქროთ.

თეოდოსი ისევ განცვიფრებული შეჰყურებდა, მასში ნამდვილად
უცხო ადამიანს ხედავდა, მისი ყველაფერი მოსწონდა და თანაც აში-
ნებდა, აღარ იცოდა, ეს წამოწყება უნდა გახარებოდა თუ სწყენოდა.

— რატომ იტეიროთავ თავს ასეთი საურავებით? მისათვის არის
სარდალი, არის პრეფექტი, შენგან დიდად პატივცემული კირი, — მრა-
ვალმნიშვნელოვნად გადახედა, — აბა, იმათ რაღა დავივალოთ?

— დაგავიწყდა გეორგი, არის ავგუსტა, რომელმაც ყველაფერზე
და ყველაზე უნდა იურვოს, ჩვენ კი საღმრთო სჯული ვიზეპიროთ.

— ყველაფერი ისე იყოს, როგორც გენებოს. გამოვიხმოთ ხუ-
როთმოძღვარი და დღესვე დავიწყოთ, კმაყოფილი ხარ? — მოსიყვა-
რულე თვალები შეანათა მეუღლეს, — ვაჩვენოთ ხალხს ჩვენი საქმენი.
კარგი რამ განვიზრახავს.

გეგმები, რჩევები, ადგილზე შემოწმებები ახალისებდა თეოდოსი-
საც. ამჯერად ესეც საქმარისი იყო ავგუსტას ასაფორიაქებლად. რო-
დესაც დედოფალი ხუროთმოძღვართან ერთად მშენებლებს თავს და-
სტრიალებდა, თეოდოსი იქვე რომელიმე ბერთან ქვაზე ჩამოჭდებოდა
და ღვთაებრივ საკითხებზე მსჯელობდა, შორიდან დედოფალს თანა-
გრძნობით გახედავდა ხოლმე, დედოფალი ქალაქისათვის გალავნის
შემორტყმით ავგუსტასაც ალყას არტყამდა. მალე თეოდოსი ორ
ცეცხლს შორის აღმოჩნდა. რწმუნება იმისა, რომ ეს ავგუსტას დასახ-
მარებლად ხდებოდა, უაზრობა იყო. გამჭრიახი ხელისუფალი ისე ად-
ვილად არ ტყუფდებოდა. კედლები, რომელიც ქალაქს გარეშე მტრი-
საგან იცავდა, შინაგან მტერს აძლიერებდა და მასსა და დედოფალს
შორის გურლვეველი კედელი აღიმართებოდა, დღითიდლე მაღლდე-
ბოდა და ავგუსტას გულზეც ლოდი ლოდს აწვებოდა.

თეოდოსისათვის კი ისევე გაუგებარი იყო ავგუსტას გაბოროტება,
როგორც დედოფლის მომთხოვნელობა, და გამწვავებული ურთიერ-
თობა იმდენად აუტანელი იყო, რომ დედამიწამაც ვეღარ გაუძლო და
ერთი რომ დაიგუგუნა მრისხანებით, მუქარით შეანძრია სატახტო ქა-
ლაქი; შემზარავმა მიწისძერამ ახლად მიშენებული კედლები ქვების

გროვად აქცია. ხალხი შიშის ზარმა მოიცა. მხოლოდ ავგუსტა ბარობდა გულის სიღრმეში; ამ ნგრევაში თავის ძლიერებას უედავდა, განგების რისხვაში — შემწეს. დამხობილი ჯვარცმის შამაქე ქვემის მადიდებელს წარმოსთვევამდა.

შიშული მომენტები

ლვის მოშიშმა ხალხმა კი ამ ნგრევაში თავისი ცოდვებისათვის რისხვა დაინახა, სტიქის წინაშე თავის უსუსურობის შეგრძნებამ შეაძრწუნა და თეოდოსი დედოფალს ყრუდ საყვედურობდა, ავგუსტა-სადმი მეტის ნდობით იმსკვალებოდა, მაგრამ თავის გრძნობებს ვერ ამხელდა. ხალხი მინდორზე გადიოდა ფსალტუნებითა და გოდებით. თეოდოსი უნდობისა და უპოვარის ტანსაბურავში შემოსილი, უხამური ხალხს არ ჩამორჩებოდა. დედოფალი არ ტყდებოდა, სტიქიასაც შემართებული ხვდებოდა, რაღან მის სულში არა ნაკლები სტიქია ბობოქრობდა.

პატრიარქი პროკლე ზეშთაგონებით მიღებულ ახალ საგალობელს აგალობებდა: „წმინდათ ღმერთო, წმინდათ ძლიერო, წმინდათ უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“. გოდების ზარი ზეცას სწვდებოდა და მისი ნახმევი — საუკუნეებს.

პროკლეს შთამაგონებელი სახე, საგალობლის ძალუმი გუცუნი და დედოფლის მხენობა თეოდოსის იმედს აძლევდა და საგალობელს შეუწყვეტლივ იმეორებდა.

მთელი ქალაქი ეკლესის დამსგავსებოდა, ლოცულობდნენ ყველგან, ვზაჯვარედინებზე, მოედნებზე, სადაც კი მოუხდებოდათ. შეწყდა მიწისძვრა, მაგრამ სამუდამოდ შეწყდა პროკლეს მგზნებარე ხმაც. ისევ დალონდა ქვეყანა, ისევ მწუზრი დაეუფლა, ხალხი თავის მწყემსს მისივე საგალობელით ეთხოვებოდა: „წმინდათ ღმერთო, წმინდათ ძლიერო, წმინდათ უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“.

დედოფალი შენებას ხელახლა შეუდგა, თეოდოსი კი ჩამოშორდა ამ წამოწყებას და თითქმის გაუჩინარდა.

პროკლეს ანდერძით საპატრიარქო ტანტი ფლავიანემ დაიკავა.

ხრიზანტის პროკლეს პატრიარქობა ვერაფრად ვამოეყენებინა და იმ ოცნებაში იყო, მის შემდეგ თავისი ნათლია ევტიქი ეკურთხებინათ. ამ მოულოდნელობამ კი გაბოროტებით ააწრიალა. ფლავიანეს დასამხობად ყველა ლონეს იხმარდა. მას ეკლესის მშვიდობა მხოლოდ აღონებდა და არ სვენებდა. არქიმანდრიტ ევტიქის მონახულებას მოუხშირა. თუ ნესტორიოსის მხარეზე იყო ერობა, ევტიქის მხარეზე იყო მთელი ბერობა. ევტიქი არ იყო სწავლული და არც სხვის განსწავლულობას აფასებდა, მაგრამ ხრიზანტი ფიქრობდა და ამბობდა მაინც,

რომ მის აზრებს ტიარას ბრწყინვალება კიდევ უფრთ დაამშენენდა. ევტიქით აღტაცებულ ხრიზანფის თეოდოსიც აღტაცებაში ძოჰკავდა და იმდენი ეცადა, რომ ნესტორიოსის თაყვანისეჭყმულურატექის მგზნებარე მიმდევრად აქცია.

გ ვ გ ლ ე მ ი რ მ ე ე ე

ფლავიანე, კეთილშობილი, მკაცრი, განდგომილი ამა ქვეყნიურისა-გან, ერთგული იყო მასზე მინდობილი ეკლესიისა. ვეშმარიტად მართლმადიდებელი არ უთანაგრძნობდა არც ნესტორიოსს, არც ევ-ტიქის. მისი მოძღვრება შემარიგებელი იყო და ცხოვრება კი — სადა.

ხალხს უნდოდა ენახა მისი პატრიარქი ბრწყინვალედ შემოსილი, მონაწილე დიდებულ ზეიმებისა, მეტოქე კონსულებისა, პრეფექტებისა და მხედართმთავრებისა, ფლავიანეს კი მხოლოდ აშინებდა ხმა-ურიანი, მრავალსაურავიანი სამწყსო, აღონებდა დაუსრულებელი ბრძო-ლა სულმდაბალ ადამიანებთან.

ხრიზანფიმ თეოდოსის მოათხოვნინა, ფლავიანეს სამადლობელო გამოეგზავნა ესოდენ დიდი პატივისათვის.

ფლავიანემ სამადლობელოდ ნაკურთხი ევლოგია გამოეგზავნა.

კმაყოფილმა თეოდოსიმ ნიშნის მოგებით ევლოგია ხრიზანფის მი-აწოდა, რადგან იცოდა, ხრიზანფი ძვირფას საფასეს რასმე ელოდა.

ხრიზანფისათვის ევლოგია საწყენად დარჩა და მასზე მეტად კი ის, რომ ევლოგია თეოდოსიმ კმაყოფილებით მიიღო. ამიტომ ევლოგია უკან დაუბრუნდა და თეოდოსის უკითხვად შეუთვალა ფლავიანეს მეფე ოქროს თხოულობს სამადლობელოდო.

ფლავიანე გაკეირდა, ოქროს მოყვარულად არ სცნობდა თეოდო-სის და შემოუთვალა:

„მე არა მაქვს ბაზილევსისათვის გასაგზავნი ოქრო, თუ არ გამო-ვიყენე ამისათვის წმინდა ბარძიმით“.

ხრიზანფიმ ამის შესახებ თეოდოსის არაფერი გააგებინა, ფლავი-ანეს კი ყველგან ყურისმიმგდებნი ჩაუსაფრა, რომ რაიმეში ბრალი დაედო.

ერთხელ ნადირობისას თეოდოსის წინ გადაუდგა ჩამოგლეგილი, ერთი ზორზოხა ბერი ვინმე, ხელი უტაცა ცხენის სადავეს და ბრძანე-ბით უთხრა, ძირს ჩამოსულიყო.

შეშლილი ეგონათ და შეუტიეს, მაგრამ ერთმა მხლებელთაგანმა იცნო ვარსუმა, ანიშნა, მოვუსმინოთო. ჩამოქვეითდნენ და მოკრძალე-ბით მოსთხოვეს კურთხევა.

ვარსუმამ თავმომწონედ გახედა თავდახრილ დიდებულთ და თე-ოდოსის მიმართა:

— ნესტორიოსი უნდა გადაასახლო ბევრად უფრო შორს, ეგვიპტის უდაბნოში, თუნდაც იბისში, სადაც საპყრობილე თვითონაა დარაჯი თავისი მსხვერპლის, ქვიშის ცხელი ქამარი კედელია მისა.

თეოდოსის ნესტორიოსი აღარც ახსოვდა და ადამიანზე სასჯელის დადებაც ყველაზე მეტად უმძიმდა, ღვთის შიში ჰქონდა, უარესობა არ მიეღო სამაგიეროდ. უკმაყოფილოდ მობრუნდა ვარსუმზა უარის ტრიუნვილი და უველას ანიშნა ამხედრებულიყვნენ.

— ნესტორიოსს საკმაოდ დიდი სასჯელი აქვს და მეტს აღარას დაუმატებ, — განუცხადა ვარსუმას.

ვარსუმამ ისევ მშვიდად განუმეორა, თეოდოსიმაც მშვიდად უპასუხა და თან დაძინა:

— თუ ნესტორიოსის აზრები ღვთაებრივზე არ არის ჰეშმარიტი, იგი თავისთვის უკვე დასჭილია და, ადამიანი რომ თავის თავს დასჭის, მას ბაზილევსის სასჯელი ვერ შეედრება.

ვარსუმამ თითქოს არც უსმინა, მესამედ გაუმეორა. მესამედაც უარი მიიღო და მაშინ კი თავს დაესხა შეჩვენებით, თეოდოსიზე განკვეთა წარმოსთქვა.

თეოდოსის მიწის ფერი დაედო. შეშფოთებულმა, შეურაცხყოფილმა, დაპქარგა ნადირობის ხალისი, ბრძანა სასახლეში დაბრუნება, მაგრამ ვარსუმას განკვეთის სიტყვები ვერ დაევიწყებინა.

სასწრაფოდ მოუხმეს ფლავიანეს განკვეთის მოსახსნელად.

— არა ყველასაგან უნდა ეცნა მას განკვეთა, — განუმარტა ფლავიანებ და თავისი ძალაუფლებით თეოდოსის შეუნდო.

თეოდოსიმ შეება მაინც ვერ მიიღო, ვერ მოისვენა და განაცხადა:

— შენდობა მისგან მინდა მივიღო, ვინც განმკვეთაო.

ფლავიანე გააოცა მეფის ასეთმა მოთხოვნამ, მაგრამ წინააღმდეგი მაინც ვერ წავიდა.

ეძიეს, მისდევს კვალს, მონახეს ვარსუმა, აღუთქვეს ნესტორიოსის გადასახლება და სთხოვეს, დაედო პატივი მეფისათვის და ხლებოდა.

ვარსუმამ ბერძნული არ იცოდა, მხოლოდ სირიულად მეტყველებდა და მოენედ ავგუსტა მოითხოვა.

გამარჯვებული ვარსუმა თეოდოსის შემართული წარუდგა, თეოდოსი კი მოკრძალებით იდგა მის წინაშე.

ავგუსტა აღშფოთებული უცქეროდა ამ სამარცხვინო სანახობას, მაგრამ რა გაიგო ვარსუმა ნესტორიოსის სასჯელის გაძლიერებას ითხოვდა, სიამოვნებით უმალ დააწერინა ბრძანება იბისში გადასახლებისა და ვარსუმამაც მოხსნა თეოდოსის განკვეთა.

ვარსუმას ნაბიჯმა, მებრძოლმა სულისკვეთებამ თეოდოსე კიდევაც მოხიბლა და თხოვა, კვლავაც მინახულეო.

ფლავიანემ ყოველივე ამის შესახებ მცმუნვარებით მოისწინა. მეფეში მეფური ვერა დაინახა რა.

— სჯობდა ვარსუმა გადაგვესახლებინა და ქვეყანის შუშტების შემატებათ, — სინანულით თქვა.

გაიგო ეს ხრიზანფიმ და თეოდოსის თავისებურად მოახსენა: „ფლავიანე ბრძანებს, თვით განსაკვეთი განკვეთას ხსნის ბაზილევს-საო“.

თეოდოსიმ ამაზე არაფერი თქვა, მაგრამ იცოდა ხრიზანფიმ, თუ რას ნიშნავდა ეს დუმილი. ვარსუმასაც მალ-მალ ქებას ასხამდა, სჯულის ხმალამოღებულ დამცველად სახავდა და დროდადრო ახვედრებდა კიდეც მეფეს.

ცნობა მოვიდა ალექსანდრიიდან კირილეს გარდაცვალებისა, საპატრიარქო ტახტზე დიოსკორეს ასვლისა.

იცოდა ხრიზანფიმ, მონასტერი აირეოდა და კირილეს ქონებას ყადაღა დაადო. დიოსკორესთან შეთანხმებას მიაღწია და კირილეს სიმიდიდრე გაიყვეს. ამით ხრიზანფიმ დიოსკორეს გული მოიგო. დიოსკორეს სძულდა კირილე და მისი ქონება სიამოვნებით მიითვალა.

ამ დროს ავგუსტას ფეხმძიმობა გაცხადდა. ზოგი გაიიღვით, ზოგი იღმფოთებით, მაგრამ ყველა ქალწულების აღთქმამიცემულის სრთა-მამეზე ლაპარაკობდა, მხოლოდ ეს მიოქმა-მოთქმა თეოდოსის ყურამდე არ აღწევდა. მაშინ დედოფალმა თეოდოსის პირდაპირ განუცხადა:

— როდესაც ჩვენ არ ვკიცხავთ დანაშაულს, ეს ნიშნავს, რომ ვიზიარებთ მას.

თეოდოსი ამ მოულოდნელობამ ისევ იმ სიძნელის წინაშე დააყენა, რომელიც ყველაზე მეტად აშინებდა და ერთხელ ნაცადი სიმწარე მეორედ აღარ უნდა ეგემა. მაგრამ გამოსავალი ერთი იყო, — ეკურთხებინათ ავგუსტა დიაკონისად, როგორც ქალწულების აღთქმადადებული. ფლავიანეს დაავალეს ამის მოწესრიგება.

ფლავიანე დავალებამ მეტად დააღონა, ნაძალადევ კურთხევას რა მადლი ექნებოდა. ლოცვად დადგა, ღმერთს შემწეობა თხოვა და ავგუსტას საიდუმლოდ აცნობა, არ გამოცხადებულიყო ტაძარში, ნურც მე მიმიჯარებო, რომ იძულებული არ გავხდე რაიმე წყენა მოგაყენოო.

მიხვდა ავგუსტა ფლავიანეს გაფრთხილებას. ხელავდა სევ შეუტრიალდა და ქედუდრეკი მბრძანებელი ბრძანებას მორჩილებდა. დედო-

ფალს პრეპოზიტი გაუგზავნა, განდგომა განაცხადა და სამეფო დასას-
ვენებელ სასახლეს, ევდომს შეეფარა.

განრისხდნენ მეფე და დედოფალი ფლავიანეზე, საიდუმლოს გა-
ცხადებისათვის და გაჟიცხეს.

მოხდა ისიც, რომ ფლავიანემ ევტიქი ამხილა ერებუსონდემი და
განკვეთა. ხრიზანთიმ დიოსკორეს გამოსთხოვა ფასტაურებულებელს
დაცვასა და ფლავიანეს დამარცხებაში. გადაწყდა კონგრი ძოვევა.
კრება ეფესოში დაინიშნა, რომელსაც დიოსკორე თავმჯდომარეობდა.
თეოდოსიმ კრებას ხმის უფლებით დასწრო ვარსუმა და თითქოს
ცეცხლზე თვით დააყარა. უგუნურებით მოცინარე ვარსუმა ვეგბა და-
ლესილ კბილებს ყველის სახეში უკრეპდა; ვითარცა პირუტყვი საგ-
ლეჭს, აურზაურს ელოდა.

ხალხის მღვრიე მორევში სამსჯავროს ვესლი ინთხეოდა. კრება
აურზაურით დაიწყო. ერთი მეორეს აზრის გამოთქმას არ იცლიდა.
დიოსკორემ, უპირველესად, ევტიქის წარმოათქმევინა მრწამისი და
გაამართლა; ფლავიანეს არც მოუსმინეს, ისე წარმოსთქვეს მასზე ანა-
თემა, იქვე დაამხეს იძულებითი ხელის მოწერით. ფლავიანე სიტყვას
ითხოვდა, ხელით ანიშნებდა, კვერთს სწევდა, მაგრამ წამოშლილი
ხრო ბერებისა აღრევას აძლიერებდა, ხალხის ტალღა ტალღას ასკდე-
ბოდა, ფლავიანე წაიქცა, გაისმა ვარსუმას ყურისწამლები „მოჰკალით,
მოჰკალით“, და ვით მგლების აშლილი ხროვა ვარსუმა თავისი ჯგრო-
თი გადათელილ ფლავიანეს ფეხით შესდგომოდა. საკურთხეველი
მწყემსის სისხლით ილებებოდა.

ფლავიანეს სისხლი ჯერაც არ იყო ამბიონიდან ჩამორეცხილი, რომ
ხრიზანთი ევტიქისთან იჯდა და ახალ საპატრიარქო გეგმებს აწყობდა
დიოსკორესაგან გათამამებული. ყოველივე ამას თავის გამჭრიახობას
მიაწერდა და მალ-მალ თავისივე ნაამბორევ ხელს შუბლზე იკრავდა;
რა სახელმწიფო მოღვაწე ვილუპები უგვირგვინოთო. მაგრამ ასევე გა-
მარჯვებულად ჰრიცხდა თავს დიოსკორე და დასაგვირგვინებლად კონ-
სტანტინოპოლის პატრიარქად აქურთხა ეგვიპტელი დიაკონი ანა-
ტოლი.

ანატოლის დანიშვნა ხრიზანთისათვის სიკვდილის განაჩენს უდრი-
და. ანატოლი ხრიზანთის სიახლოვეს არ გაიკარებდა. ანატოლიმ იცო-
და, რას ნიშნავდა კონსტანტინოპოლის პატრიარქობა — დიდებას, პა-
ტივს, ფუფუნებას და ბრწყინვალე ცხოვრებას. ამიტომ თავიც ღირსე-
ბით ეჭირა, მას დედოფალი და ბაზილესი თვალებში შეპყურებლენენ.

კრებას კი შეარქვეს „ეფესოს ძარცვა“.

რა არის ბოროტება?



ეროვნული

გერმანული

„ტახტი უთქვენოდ აღარად მივიჩნიე, — წერდა შურვანს დედა, დედოფალი ბაკურდუხტი — განზე განვუდექ მის ოხვრა-მრავალ ბედნიერებას. მონაზენებად აღვიყვეცეთ მე და ზუზო. ერთად ვართ ჩვენსავე აგებულ მონასტერში და შენც გიგზავნით განძეულს, რათა მანდაც აღაშენებდე ჩვენს მაგიერ.

ბიძაშენი არჩილი, დღეს მეფე ქართლისა, დიდებულთა დაუინებით დაქორწინდა ახალგაზრდა ასულზე, არ შეწყდეს სამეფო შთამომავლობაო, მაგრამ ხანდაზმულს შვილი მაინც არ შეეძინა. ყველაზე სატანჯველი ის იყო, რომ ახალგაზრდა ცოლის ღალატი გაცხადდა. დედოფალმა მოინანია, მეფემაც აპატია, მაგრამ ყველაფერი ეს ისე გვამძიმებს, რომ ღვთისაკენ აღპყრობილი ხელები ულონოდ ძირს გვეშვება. ღვთისმოსავმა არჩილმა კი სასახლე ეკლესის დამსგავსა — მგალობელნი და მემუსიკენი გარს ახვევიან დღემუდამ.

დიდი იყო ჩვენი ცოდვა, აღბათ, რომ მიწისძვრამ სვეტიცხოველიც დააქცია.

შენ ახლა ყველაზე უფრო საჭირო იყავი საშობლოსათვის, მაგრამ ღვთის სამსახური უმაღლესია და დედე, იყოს ნება ღვთისა. რაც საქმე ხელთ იღოს კაცმა, გაუთავებელი არ უნდა დააგდოს. საიქიოს ყველა საქმე გაცუდების, სამის მეტი: შენება საყდრისა, კაცოაგან რამ სარგებელი მიხვდეს კაცსა და გაზარდოს შვილი საონო და ღვთის მადიდებელი.

ილოცე შენი მონატრული დედისა და აღმზრდელისათვის. თუ ღვთის ნება იქნება, ვინილავთ ურთიერთს სამარადისოში”.

მურვანს ნალვლიანი ფიქრები შემოესივნენ, მანძილითა და დროით დაშორებულს ფიქრი აახლოებდა სამშობლოსთან, დედის მოსი-ყვარულე თვალები თითქოს მის სავანეს ანათებდნენ.

ავედრა შემომქმედს მშობლები და სამშობლო. დღიდან წიგნის მიღებისა ტაძრის შენებას შეუდგნენ იორდანის პირსა, ადგილსა უდაბნოსა. ბეთლემის ძევლი ბაზილიკის ნაგრევებიდან ქვა მოზიდეს. იოანედ ხმობილი მითრიდატე მეთვალყურედ დაუდგა. მოვიდნენ შენებელნი, გათხარეს საძირკველი. მომიჯნე ვინმე ერის კაცი იყო და შე-

ედავა საზღვრისათვის. არ დასთმო ითანებ. მთავარი ალუშტოფლა და
ხეთქა ითანეს სახეში, მშენებელნი გაუყარა.

ითანე სახეზე ხელაფარებული მოვიდა პეტრესთან.

— საკვირველი იქნება, თუ ამაღამ ის კაცი არ მოკვდება, — მშვი-
დად თქვა პეტრებ.

მართლაც, მეორე დლეს შეიტყვეს, ის მთავარი მშენებელი გამოდაც-
ლილიყო. გაყვირდნენ ამ ამბის შემტყობნი და სასწაულმოქმედად
აღიარებული პეტრე ახლა წინასწარმეტყველად შეირაცხა.

პეტრემ ითანე აღარ მიუშვა მშენებლებთან და თვით ჩაუდგა სა-
თავეში საქმეს. მშენებლებთან ერთად ქვას ეზიდებოდა, ტრაპეზის იზი-
არებდა, ლვინოს შესვამდა, გალალდებოდა, მათთან საუბრით არ მო-
იწყენდა და ქებასაც ასხამდა.

სვეგამწარებული ქვრივი მთავრისა კი პეტრესა სთვლიდა მიზეზად
თავის უბედობისა, გაბოროტებული თვალს არ აცილებდა მათ საქმი-
ანობას და მათ გასაგონად იტყოდა:

— დაშვრა და შეჩერდა შენება, განსვენებას მიეცა საზრდელითა
და სასმელითა. ვერ ეძლოს ტაძრის აშენება.

პეტრეს თითქოს არც სმენოდა.

მაშინ ქვრივმა თავის მამასახლისს ათქმევინა:

— რა დროს დასვენებაა საზრდელითა და სასმელითა! ამაოდ დაშ-
ვრი და არა გაქვს მადლი, ამისათვის ვერ შესძლებ მის ზედგომასაც.

— სასწარკვეთილი თვითონ ხარ, იქედან გამეცალე, — მიუგო
პეტრემ.

ქვრივი არ დაცხრა და ახლა თვით მიეჭრა:

— სამეუფეო მამული დაგიტოვებია და ისეც არა კეთილად ცხოვ-
რობ. მეფის წულს არ შეენის მაგდენი პატივი და თავმდაბლობა მდა-
ბიო კაცისა.

— როცა საქმე თავმდაბლობით წახდების, ნუმც მქონია მსგავსი
მისი სიმდიდრე და ნურც ამპარტავანებით მომიხსენიებენო, — უბნო
პეტრემ მოუსვენარ ქვრივს.

— ასეთი რა გაგიკეთეს, რომ ამოღენა ქება შეასხი? — მაინც იშო-
ვა ქვრივმა სათქმელი.

— ყველა საქმეზე რომ დატუქსო ადამიანი და არაფერი მოუწო-
ნო, ვერას გააწყობ, — დინგად მიუგო პეტრემ.

— დატუქსვით არ ვიცი რას აკეთებო და შექებით რომ ეკლესიას
ვერ ააშენებთ, ეს არის საიდუმლო.

ქვრივმა იმდენი და ისეთი რწმუნებით აზრახა, რომ პეტრეს შიში
შეეპარა და სავანეს მოსულმა ითანეს შესჩივლა.

ახლა ითანემ დააშვიდა:

— არავის წარწყმედს უფალი შრომაში, ისეც რომ მოხდეს და
მართლაც ვერ დავიმთავროთ, უფალი განსჯის არა სჭირებული და უძვი-
ებით, არამედ წინასწარ განზრახვათათვის; უფალი ჭკრტლები მრავალშეს
არა შრომათათვის, არამედ მოგონებათათვის. არა ქვრივმან, არამედ
განმკოფელმან იფქლისა ცხოვრებისამან მოგვანიჭოს მოთმინება. სი-
წყნარემ ყოველი საქმე დაშვენოს და სიჩქარემ მრავალი დაამარცხოს.

დაშვიდა პეტრე და იმ ღამეს ჩვეულებრივზე მეტ ხანს ლოცუ-
ლობდა, ისე დიდ ხანს, რომ შევრდომილს ლოცვაში წასთვლემოდა.
ძილ-ლვიძილში ეზმანა ზეცად ტაძარი მშვენიერ შემკობილი და
ბრწყინვალე. შინაგან მის ერგასისნი კაცნი მგალობელნი, იხილა ქრი-
სტე მაუწყებელი:

„აპა ეკლესია, რომელიც აგიშენებია. აწ უკვე სულმოქლე ნუ იქ-
ნები, არამედ იხარებდე, რათა საუკუნო დიდება გელის შენ“.

წამოიჭრა პეტრე. სად იყო სიზმარი, სად — სინამდვილე? გააღვი-
და ითანე, ზაქარია და ახარა:

— მე ვნახე, ვნახე ტაძარი, როგორსაც ავაგებ.

დილაუთენია გარბოდა შენებლებთან. თვით დასახავდა, ხოლო
იგინი აღმოჰკვეთდნენ და აღაშენებდნენ. სულ მალე თაღებს მოხატუ-
ლი და მოოქროვილი კესონები ავსებდნენ, იარაკებზე ისხმოდა ნაირ-
ფერი სეფი; საოსტიგნე, სამზარეულო, ყურძნის საწნეხი, ზეთის გა-
მოსახდელი, ბაგები, ეკვდერი, ეზოს კი სვეტებიანი ტალანი დაამშვე-
ნებდა. რა დაამთავრეს და მოხედეს მესაზღვრეს, მთავრის უნუგეშო
ქვრივს შენება მიეტოვებინა. პეტრეს კი ეწადა მისთვის მაღლობა ეზრა-
ხა, მის მოუსვენარ შევონებას მიაწერდა ქრისტესა და ტაძრის ხილვას.

წავიდნენ უდაბნოს, შეკრიბეს მოლვაწენი, ძმანი მრავალნი და მო-
იყვანეს. განუჩინეს მათ წესი და კანონი, დაუდგინეს წინამდლვარი, კა-
ცი ღმერთშემოსილი და დაარქვეს მონასტერს „ივერთა მონასტერი“.

მეთვალყურედ ზაქარია დაუდგა. ყოველ დღეს უკანისკნელად მი-
იჩნევდა. მას უქმად მყოფი ღროის მკვლელად მიაჩნდა, მიზნისაკენ
გზის მომჭრელად. ღროის დენის უდარდელად არ აპყვებოდა, არც
ფერფლწაყრილ წარსულს მისჩერებოდა, დღევანდელ დღეს ჩასჭიდე-
ბოდა და ხვალინდელს უთვალთვალებდა. ყოველ დღეს, თუ საათს რა-
იმეს გამორჩებოდა: „რაოდენ ძალგვეძლოს, რაოდენ დასატევნებელ
არს“, — პეტრეს სიტყვა არ დავიწყდებოდა.

სხვის წრთობაში თვითონაც იწრთობოდა. დიდ დღესასწაულების წინა ღამის თევა ლოცვაში, წირვის მოსმენა ბოლომდება, გაფეხდება ცისკრისათვის, მითქმა-მოთქმითა და კიცხვა-ბასრობმთ მისი ძემულებელი ვერ მოიქანცებოდა.

— ვისაც სასჯელი არ უნახავს, არა ჯერ არს მასტერის მოკლენება. ჯერ დალლა და მერე მოსვენება. ხელი მშრომელისაუფამიწყვეტის წევლი შრომილი დაშთების და მჭმუნვარება მუდამ სჯობს გახლალებას, — დღე მუდამ შეახსენებდა ძმათ.

პეტრეს სიხარული დიდი იყო ბრწყინვალე ტაძარს რომ შესცემოდა. არც ქვრივს, არც ავგუსტას ბოროტად არ მოიგონებდა. ჩვეულებრივზე მეტად მხრახველი იყო. საუბარს პირველი წამოიწყებდა:

— „ძველანა ამოცანაა. ყოველი ადამიანი, ცხოველი, მცენარეც კი გამომცდელია შენი. რას შეიყვარებ, ან ვით შეიყვარებ — ეს პასუხია ჩვენი. ცდუნებას ვერ ასცდება ვერც ერთი სულიერი, რათა მთელი ცხოვრება ცდუნებაა და ადამიანის დანიშნულებაც სწორედ ცდუნების დაძლევაა.

სიკეთის თვისებაა მარადიულობა და რაც არსებობს მარადიულად, იგი არ შეიძლება იყოს ბოროტი, რადგან ბოროტება არის ნგრევა, მოსპობა, დასუსტება, შეუფერებლობა, დაბნევა, უმიზნობა, უმიზეზობა, უსაქმობა, უწესობა, უკანონობა.

ბოროტება არის დაკარგვა ძალ-ლონისა, უქმარისობა სიკეთისა. ბოროტებას აქვს შემთხვევითი ხასიათი, რადგან იგი რისამე გამო წარმოქმნება და არა აქვს საყუთარი დასაბამი. მას აქვს მრავალი მიზეზი, მაშინ, როდესაც სიკეთე წარმოიშვება ერთი და საყოველთაო მიზეზისაგან, ჩვენ ჩავდივართ ბოროტებას მაშინ, როდესაც სიკეთეზე ვნაღვლობთ.

ვითარცა ხილული მზე არცა განიზრახავს, არცა წინა აღირჩევს რასმე, არამედ ყოველსავე გარდაპფენს ბრწყინვალებასა თვისესა შარავანდედთასა და ყოველი მიიღებს მას ძალისაებრ მისისა, აგრეთვე უხილავი ღმერთი, ყოველთა მიმართ განეფინება და ძალისაებრ თვისესა მიიღებენ ნიკთა, რაოდენ ძალუბთ; ხოლო რომელი რა ვერ მიიღებს ნათელსა მისსა, ესე არს უძლურება ნათელთ მიმღებელისა, ვითარცა უმეცრება არს შეცომილთა.

განვენა შარავანდედთა მზისათა იდვილმისაცემლობით მიიწევს უგამევირვალესთა მიმართ და უსაჩინოესად გამოაბრწყინებს თვისთა კამპამებასა, ხოლო მოეფინოს რა უზრქესთა ნიკთა, უმცირეს აქვს თვისთა მომცემელობათა საჩინოება უმარჯობისაგან საგნისა.

კვალად მხურვალებასაცა ცეცხლისა უმეტეს მიიღებენ უახლოესნი მისისა მიმართ, ხოლო წინააღმდეგომნი, მოშორებულნი ინსრულებით არა, ან მცირეოდენ მიიღებენ.

ზოგნი სიკეთეს მიიღებენ მარადიული ათვისებით, ზოგნი — დროებითი ათვისებით. მიღები ცვალებადია, ამის გამო ცვალებაზე ათვისებულიც. რაოდენ გვეძლოს, მოსწრაფე ვრცენეთ. შექმნების ღმრთისა მიმართ, ძალისა და დატევნებისამებრ მიუღრეველად ალვინილვებოდეთ საღმრთოთა გამობრწყინვებათა მიმართ. ბნელი უჩინო იქნების ნათელითა, უმეცრება — მეცნიერებითა.

ზოგი დროის უზენაესია, ზოგი — დროის შესატყვისი. დროისათვის ყოველმხრივ დაქვემდებარებული არსება განელთვის მარადიულობისათვის ყოველმხრივ დაქვემდებარებულს და შეუძლებელია დროული არსებანი შეუერთდნენ მუდამეამიერ არსებათ, რათა ისინი მათი დაგვარინი არ არიან.

ხოლო ყოვლითა სახითა დაქლებული, უნაწილო კეთილისაგან, არაოდეს არსადა იპოვოს, არცა ყოფილ, არცა იყოს, არც ყოფად შესაძლებელ არს: თუნდაც ტრფიალი სიძვისა დაქლებულ არს კეთილისაგან პირუტყვულითა გულისთქმითა, მაინც სიკეთესთანაა შეერთებული სიყვარულის მცირე ნახმევით. რისხვა, რამდენადაც მიისწრაფვის გამოასწოროს ის, რაც ეჩვენება ბოროტებად — მონაწილეობს სიკეთეში.

რისხვა პირუტყვული, გულისთქმა უგუნური — ბოროტებად გვესახება, მაგრამ წარწყმიდოს რა ლომა სიმხნე და მბრდვნელობა, არღარა იყოს ლომი; უკეთუ ძალლი ყოველთა მშვიდ იქმნეს, არღა რა იყოს ძალლი, რამეთუ ძალლისა არს მყეფარობა, ჰლიქნიდეს თვისთა და სდევნიდეს უცხოთა.

უკეთუ არსნი ყოველნი სახიერებისაგან არიან, რამეთუ ბუნება სახიერისა არს დაბადება და ცხოვრება, ხოლო ბოროტისა განხრწნა და წარწყმედა, არა რა არსთაგანი არს ბოროტისაგან, და უკეთუ სახიერებისაგან არს, არა ბოროტ არს რამეთუ არცარა ყინვა ცეცხლისაგან არს.

სახიერება სახიერს დაპირებს, მაგრამ რამეთუ უძლურ იქმნეს დაცვად თვისისა მთავრობისა — ბოროტად იწოდების. ბოროტია, ვინც ისმენს სიბრძნეს და უძლურია რწმენაში.

კეთილი ერთისაგან ოდენ არს, ხოლო ბოროტი — მრავალთა მიზეზთაგან.

უგანცხადებულესად, უკეშმარიტესად გვითქვამს: ბოროტება უკო-
თურება, უგუნებობა, უქმობა. ბოროტი არრავისა იყოს მშობელ,
მზრდელ, მაგრამ ყოვლითურთ მოკლება სიკეთისა ყოვლად შეუძლე-
ბელ არს, რამეთუ ყოვლად მოკლება კეთილისათა ვეროარა უკინებენ
მი».

ზაქარიასათვის ჩაუწვდომელი იყო ესე სიბრძნე და იყითხავდა:

— ვითარ ბოროტი მოქენე იყოს კეთილისა? ვითარ სურის ყო-
ველსა მშვიდობისათვის? რამეთუ მრავალნი არიან, რომელთა უხარის
ვანსხვავებულობა, გაყოფა და არაოდეს ინებებს ნებსით მყუდრობას.
რამეთუ კვნესის უმანქოება, როდესაც დანაშაულება პატივით იმოსება.

— ჩვენც ზაქარია დაბნელებულად ვიტყვით, მოკლებითა ნათლისა-
თა და ყინვაც ხომ მოკლებაა სითბოსი?! „სიკეთე სინათლეთ წარმო-
იდგინება. არც უმაღლესნი აღწევენ მის სრულებულებას და არც უმ-
დაბლესნი დარჩებიან მის გარეშე. ხოლო რომელნი ვერ მიიღებენ ნა-
თელს, ეს არც უძლურებაა, არც სიმცირე სინათლის მომცემელისა,
არამედ ბრალია, მიმღებელის უმარჯობისა, ისევე, როგორც ერთი და
აგივე ბგერა ერთნაირად არ მიიღება ყველას მიერ“.

მისტიური ბურუსით მოცული მაღალფარდოვანება სავსე იყო სა-
იდუმლოებით და ზვიადობით. ზაქარიას ისედაც ფართოდ გახილული
თვალები უკვე შუბლის დაპყრობას ლამობდნენ:

— რაოდენ დასატევნებელ არს ჩვენთვის, — თქვა ზაქარიამ და
ლრმად ამოისუნთქა.

— ბოროტება არ არსებობს, — ისევ გაიმეორა პეტრემ, ხოლო
ხმას დაუწია, — უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ბოროტება არ წარმო-
იქმნება სიკეთისაგან, როგორც ყინვა ცეცხლისაგან და როგორც ცე-
ცხლი ვერ შეგვამცირებს, ისე სიკეთე ვერ გაგვაძოროტებს.

ზაქარიამ გაუბედავად, მაგრამ მაინც წარმოსთქვა:

— ამდენი რამის შემქმნელი ბოროტების წარმოშობის შესაძლებ-
ლობასაც მოვსპობდი.

— ნუ იყვებით ბრბოს მოუფიქრებელ სიტყვებს, რომ განგებას
ჩვენის ნების გარეშე უნდა მივყავდეთ სიკეთისაკენ. განგების თვისე-
ბას არ შეადგენს ძალადობა, განგება ყველაზე ერთნაირად ზრუნავს,
ხოლო ყველა ვერ ღებულობს ერთნაირად, ღებულობს იმდენად, რამ-
დენადაც დასატევნებელ არს მისთვის, რამდენადაც მზად არს სიკეთის
მისაღებად.

— უსაკვირველესად შერწყმია სიტყვა. ბუნებას, კეშმარიტად იდუ-
მალი ხმა გსმენია, — უთხრა ზაქარიამ.



განხეთქილების პაზლი ისტორიუმი

ნათლისლების დღე იყო, დღე შემოსვათა, კონსტანტინოპოლის ქუჩები და მოედნები საღლესასწაულოდ იმოსებოდა. მხოლოდ დედოფალს ვერ მოენახა ფიქრთა სავანე. მცმუნვარებით სივრცეს გაჰყურებდა, ბარს აცქერდებოდა. რამდენი საამური დღე გაეტარებინა ყვავილებთან, ვარსკვლავებთან; ახლა კი თითქოს მის თავზე ქორი ირაოს ჰქრავდა, ან იქნებ ყარყატი იყო — ღვთის ფრინველი, დარბაისელი მაცნე ბედნიერებისა?

და თეოდოსიც შემოვიდა, შესთავაზია წირვაზე წასვლა, მაგრამ დედოფალმა მწუხარედ გამოიხედა და წასვლაზე უარი უთხრა.

თეოდოსი, როგორც ყოველთვის, ფეხით ვიდოდა. ბაზილევსის სავალი გზა მწვანითა და ყვავილებით იფინებოდა. დიმარქები თავის დიმებით ხოტბით ხვდებოდნენ. და, აი, ვინმე ფრიგელი გლეხი თეოდოსის გზად გადაუდგა. მიწამდე მდაბალი სალაში მისცა და ნიშნად ქვეყნის დოვლათიანობისა, უჩვეულო სიდიდისა და სილამაზის გაშლი მიართვა. თეოდოსი გაკვირდა ნაყოფით, გლეხი უხვად დააჭილდოვა და სევდიან დედოფალს გაუგზავნა ეს საკვირველება საამებლად.

დედოფალი დაჭრილი არწივივით გამოიყურებოდა, ვერ აფრინდებოდა და მიწაზე ფორთხვაც არა შეენოდა. უსიყვარულოდ სული კვდებოდა სხეულთან ერთად, მაგრამ თუკი მზე ალარ უნათებდა, ჩირალდნებს დაინთებდა, სიხარული არ ჰქონდა — სიამოვნება უნდა ეძია.

ფიქრით პავლინს დაცქერდებოდა, რომელსაც თავი წაევი გადამეტებული სიყვარულით და სევდას დაესნეულებინა, მისი წარმატებანი გაცილებით უმნიშვნელონი აღმოჩნდნენ, ვიდრე ელოდა და უიმედობას აჩრდილს დაემსგავსებინა. ქარისაგან გამოფიტულ კლდეს, დამშრალ მდინარის კალაპოტს ჰგავდა და დედოფლის ფიქრთათვის კი — შიშველ მთის ძირას მიტმასნილ დალვრემილ ნავსაყუდელს. დედოფალს თუ თავისი ბედნიერება დაპყაროდა, ხომ შეეძლო პავლინისათვის სევდა სიხარულად ეჭცია, ქრისტეანებიც ხომ ამბობდნენ — ჰეშმარიტი ბედნიერება სხვისი გაბედნიერებაა...

ამ ფიქრებში იყო დედოფალი, რომ მოართვეს საკვირველი ვაშლი. დედოფალს მართლაც სევდის ღრუბელი გადაეყარა, ვაშლის და-

ნახვაზე უეცარმა აზრმაც გაუელვა და უმალ დარბაზ-ჭალბატონის მო-
უხმო.

კაში თუ ველარ გაინავარდებდა, მიწაზე მაინც ფრთხების ჩეკულებულებდა, ვერ გაიხარებდა—სხვას გაახარებდა და ვაშვების მდგრადი სა-
ზავნა, თან დასძინა, არ გაეცხადებინა ვინ აგზავნიდა. იფიქრა: ჯერ სა-
ნახაობით აამებდა, შემდეგ კი, როდესაც გააცხადებდა თავს, იმედის
სხივითაც გაათბობდა.

წირვიდან მობრუნებულმა თეოდოსიმ უპირველესად ავადმყოფი
პავლინი მოინახულა. კარების შელებისთანავე დღესასწაულის მილოც-
ებით მიესალმა; სჩანდა, თეოდოსი დიდად ქმაყოფილი იყო და შე-
უჩერებლივ იზრახებოდა. ჩამოუჭდა სარეცელთან და დაუყვა თავის
აღტაცებებს ბრწყინვალე დღესასწაულით, პატრიარქის შესანიშნავი
ქადაგებით, ხალხის უზომო სიყვარულით და, ის იყო, უნდა ეთვა
ფრიგიელ გლეხზე, რომ პავლინმა აღარ აცალა და ვაშლი უჩვენა:

— ბევრი ალსაფროთოვანებელი გიხილავს, მაგრამ ამაზე საოცარს
ვერას იხილავდი.

თეოდოსი თვალებს არ უგერიდა, გაყვირვებით ხან ვაშლს, ხან
პავლინს აცქერდებოდა, ალმაცერად შეაჩერდებოდა.

— ალბათ, მეც ასეთი სახე მქონდა, ხა, ხა, ხა,— გაეცინა პავ-
ლინს, — როგორც კი შემომიტანეს, მაშინვე აზრი გამიჩნდა შენთვის
მეჩვენებინა, რომ მენახა, როგორია კეშმარიტად გაოცებული სახე. —
პავლინი წამოიწია.

— საიდან? — ჩავარდნილი ხმით იყითხა თეოდოსიმ.

— თეითონაც არ ვიცი. ისე გავოცდი, რომ ველარ ვიკითხე ვისგა-
ნაა...

პავლინს სიტყვა გაუწყდა, თეოდოსის სახე რომ მთლად ჯანყს მო-
ეცვა და ნაძალადევი ლიმილით თქვა:

— ისე მაკვირდები, თითქოს ეშმას ნაფრჩილევი შეგენიშნოს.

— შენ გეცინება, არა? ხო, მეც მეცინება, ხა, ხა, ხა...

შეშლილივით გაიცინა თეოდოსიმ. რაღაც აზრმა გადასერა უცებ
და სახე ჩამოუბნელდა. ვაშლი მოსწრაფებით ჩაბლუჭა:

— ჩემთვის გინდოდა, ხომ ეს ვაშლი? — ერთხელ კიდევ თვალი
გაუსწორა პავლინს თეოდოსიმ, — გამბედავი რომ იყავი, ვიცოდი,
მაგრამ თავზე ხელალებულიც თუ იქნებოდი, აღარ მეგონა, — თქვა
თეოდოსიმ და სწრაფად შემობრუნდა. დაუშვიდობებლად დაგდო
იქაურობა.

პავლინმა შეშფოთებით წამოიწია, ადგომაც კი დააპირა. მაგრამ თავბრუ დაესხა და ულონოდ სასოუმალშე მიეშვა.

თეოდოსიმ სწრაფად გაირბინა დარბაზები, დედოფლის საწოლ დარბაზში ვაშლი ფრთხილად ფარდის უკან დამალა და დურულფლის წინაშე ხელცარიელი წარსდგა.

დედოფალი ლიმილით მიეგება, დღესასწაული მიულოცა, საოცარი ვაშლისათვის მადლობა შესწირა და გულწრფელის მადლიერებით ეამბორა.

თეოდოსის წუთიერად შერცხვა თავისი თავის, ოფლმა დაასხა და თავადაც შუბლები ეამბორა, დარწმუნებული, დედოფალი იტყოდა, ვაშლი პავლინს გავუგზავნეო, მაგრამ დედოფალი აღარაფერს ამბობდა.

— მერე, — ველარ ითმენდა თეოდოსი, — სად არის ახლა ის ვაშლი?

ეკითხებოდა და თან მის სახეს აკვირდებოდა, არ გამოჰქარეოდა სულის ის პირველი მოძრაობა, რომელიც ყოველთვის უტყუარია პირველი და მოულოდნელი შეკითხვისას.

დედოფალი წუთიერად დაიბნა, თითქოს სიტყვა ვერ მოენახა გაშოსათქმელად და თეოდოსის ხედვამაც რომ შეაკრთო, უცებ მიამიტად თქვა:

— მე იგი შევჭამე.

თეოდოსის სხეულში თითქოს ცხელი ლავა დაინთხა, თვალებში სისხლი მოაწვა, ისევ დააცქერდა, „ვაი თუ არ ხუმრობს“, გაიფიქრა და მუდარით გაეცინა, თვალები კი აემღვრა. თითქოს თავსაც უქნევდა, კარნახობდა ეთქვა: ვაშლი პავლინს გავუგზავნეო. და როგორც კი ამას გაიგონებდა, მყის დაემხობოდა მის წინაშე მომნანიებელი და თავისი უხამისი ფიქრებისათვის პატიებას გამოსთხოვდა, ამდენი ხნის ნაგუბარ ბალიამს სინანულის ცრემლად აქცევდა, როგორც ცილისმწამებელი შენდობას მოსთხოვდა, სასჯელსაც მორჩილებით მიიღებდა. ჩქარა, ოლონდ ჩქარა, ნუღარ დააყოვნებდა, თორემ ცეცხლის რკალი იკვროდა და მთელს მის არსებას წაეკიდებოდა.

— სიმართლე, გაფიცებ, თქვი სიმართლე, გაფიცებ, რაც კი შენ-თვის უძეირფასესია, — ემუდარებოდა.

ასეთი ჩაციებისათვის უკვე უკმაყოფილო დედოფალმა წყენით გახედა, არ შედრეა და გაუმეორა:

— გითხარი, შევჭამე.

თეოდოსის საზარელმა აზრმა სახე დაუღარა.

— და ეს არის შენი უკანასკნელი პასუხი?

კიდევ უფრო ახლოს ჩახედა თვალებში, მოხეოქილ ბალდაძე გა-
ეფითრებინა ანთებული რისხევა.

1913. 10. 10.

— ეს არის, — უკვე გამომწვევად თქვა დედოფალში და იყენებუ
მაშინ თეოდოსიმ მოსთხოვა დაეფიცა — კიდევ საღლაც იშედი

უკროოდა, თავს ვეღარ ფლობდა და შიშიამდგარი საგარენელში ჩაეშვა.

— ვფიცავ შენს გადარჩენას, ის ვაშლი მე შევჭამე, — ახლა უკვე
შეშინებულმა წარმოთქვა, ვეღარ გაერკვა, თეოდოსის რა ემართე-
ბოდა.

მაშინ თეოდოსი მძიმედ წამოდგა, ფარდა გადასწია და ვაშლი და-
ანახა. რისხვაზე უსასტიკესი იყო თეოდოსის საზარელი ლიმილი.

დედოფალმა თვალებზე ხელები აიფარა.

ვაისმა ბაზილევსის სმენის წამლები კივილი:

— პავლინს, პავლინს გაუგზავნე შენ იგი და რისთვის, რისთვის,
გეკითხები, რისთვის დაფარე?

თითქოს მიწამ პირი უყო დედოფალს ჩასანთქმელად, ქარიშხალი
იყო მისი ღრიაბი, სიტყვა — ნაღვერდალი და სულთქმა — სიკვდილი.

— მოდი, შენი კუროები ჩამოგითვალო, — თეოდოსის ნაპერწკლე-
ბი სცეოდა, — კირი, პავლინი, ხრიზანთიასაც, მგონი, გაჭეარი კბილი,
მურვანს შვილადა ვზრდიდით და შენ, შენ აიძულე იგი... ოხ, უგუნუ-
რო გადარინელო, სიღროე არჩიე სიწმინდეს...

თეოდოსის არსება ისეთი ძალით შეძრულიყო, რომ ამოტივტივდ-
ნენ დაძირული ეჭვები, აემლვრა გონება და დედოფალის წარსულმა,
ყველაფერმა, დანაშაულებრივად ვამოიხედა.

— არ შვენის მეფეს რისხვაში ემსგავსოს მონას, — სცადა დედო-
ფალმა გონიერებისაკენ მოეწოდებინა, — ცილისწამება ყოველ სას-
ჭელზე მძიმეა, — და აქვთინდა.

მაგრამ მათ შორის უკვე ყველა ხიდი იწვოდა, სასახლეც თითქოს
ალაგს იღარ იდგა. თეოდოსი ერთი ხელით რომ თვალით იფარვიდა,
მეორეთი განშორებას ანიშნებდა. გასალდა უცებ, მშვიდად იტყოდა:

— ნუთუ უბედურება იმდენად მწარე არ არის, რომ კიდევ ტირი-
ლი შეიძლება?! — წამოდგა თეოდოსი და თვით დაპირა გასვლა.

— გახსოვს, — შევრდომილი მიპყვებოდა, — გახსოვს, ამბობდი,
შენდობა ყველაზე დიდი მადლია, თუ შენ არ შეუნდობ, ზეციერმა
როვორ შეგინდოს, — ხედავდა დედოფალი, თეოდოსი საშინელ აზრს
მიპყვებოდა. აკი ამბობდა, ღმერთი თავისთვის იტოვებს უფლებას შე-
ურაცხმულობის დასასჯელად. მე თუ უნებლიერ შეურაცხყავ, დამ-

საჯოს ღმერთმა, მისი სასჯელი უფრო სასტიკი იქნება, ოლონდ რა გამსჯი შენ. იწამე, ღვთის გულისათვის, იწამე შენი თანამეცხრდის სიწმინდე... რამდენი სიკვდილმისჯილი გიხსნია, დამიხსენი მცცელა.

თეოდოსი წუთიერად შეაქანა ცრემლების ჩიალვაზშა, ქრისტეანულმა მოწოდებამ, სცადა წამოეყენებინა შევრდოშილი, ჰაგრაძ რა დადუმდა დედოფალი, მისი სიტყვები ავლივით გაქრა, გაავცნობებული თეოდოსი ისევ შეუვალი გახდა.

— ღვთიური ახსნა ვნებისა! ევდოქსია — ადოქსია! * რა ახლოა ერთმანეთთან! — საკვირველი ღიმილით თქვა თეოდოსიმ.

აქ კი მოიქრიბა გონება დიდი ლეონტის ქალიშვილმა:

— ეს თქვენ დამარქვით ევდოქსია, ათენის არის ჩემი სახელი.

— ო, ეს კი მართალია, — შემოუბრუნდა თეოდოსი, სიმართლის ნატამალი რომ შენიშნა, — ჩვენ შეგარქვით ევდოქსია, ჩვენ გაგაპატიოსნეთ. შენ კი წარმართი იყავი და წარმართად დარჩი... რა უბედური ადამიანი კუოფილვარ! — ნიშანი მისცა მხლებელს შემოსვლის და ავგუსტა ანმობინა, — მოვტყუდი ერთში თუ ორში! ერთბაშად ყველაში!

— ნუ გაახარებ შენს დას ჩემი უბედურებით, ნურც პავლინს მოიძულებ, მან არც იცის, თუ ის ვაშლი მე გამოვუგზავნე, სულგრძელიქმენ, გეფიცები ღვთიურ სიწმინდეს მის მიმართ.

— კმარა, გათავდა უკვე ჩვენს შორის ყველაფერი. ცრემლი ადრე იყო საჭირო, ადრე უნდა გაპქცეოდი ცდუნებას, რომელმაც ეს მწუხარება შვა.

ავგუსტას შემოსვლაზე თითქოს მდინარეებიც მის დასახრჩობად გადმოსკდნენ. ბედის მოლერილი ისარი ვერ აიცდინა და ვერა, განგების შურისძიება იმდენად საშინელი იყო, რამდენადაც მოულოდნელი. ფრთამორტებილი სასიკვდილოდ განწირულს ჰგავდა. რა ადვილი იყო შეჩერება და რა ძნელია დაბრუნება! ერთ უთქმელ სიტყვას სიტყვათა ნიაღვარი ვეღარა სცვლიდა.

ბოროტად ამრეზილ ავგუსტას მისკენ გესლიანად მოელრიცა სახე.

„ასეთი იქნებოდა მელეაგრეს დედა, მუგუზალის დაწვასთან ერთად შვილის სიკვდილსაც რომ ელოდა“, — გაიფიქრა დედოფალმა.

ავგუსტას წინაშე სინანულიც სასაცილო იქნებოდა და დედოფალმა მეფეური ნაბიჯით დაგდო დარბაზი.

„დაგვლიგონ ძალებმა, — უნდოდა დედოფალს ეთქვა მისთვის, —

* პატიოსნება — უპატიოსნება.

რომ შენი ბოლო ძაღლებისაგან სიკვდილი იყოს, როგორც ულმრთოსი.

თეოდოსი უაზროდ გაპყურებდა ბალს. ბალიც თითქოს გაძარცვულიყო, თითქოს სეტყვის ღრუბელი ჩამოწოლილიყო ჭავშემოწვევა-ახლა გაახსენდა, რომ ავგუსტა განდგომილებიდან გმიჩქენიდა ასე მას-ხედა წამოსასხამჩამოშლილს, თითქოს მხოლოდ ახლა შეიტყო მისი ფეხმძიმობა:

— შენც, შენც დაარღვიე ფიცი, ღვთის წინაშე განდგომილი ხარ! წადით, განმშორდით, ღვთისა და ადამიანების მოღალატენო.

მოტყუებული მეუღლეში, შემცდარი მეგობარში, დის სიწმინდე-ში, თეოდოსი სასოწარკვეთას მისცემოდა და თავისთვად გამარჯვებული ხრიზანტის ნუგეშინისცემის ამარა დარჩენილიყო. პამბოს წინაშე კი თვით გრძნობდა თავს დამნაშავედ, მისი კეთილი გამოხელვა და თბილი სიტყვა თავის თავსაც შეაძულებდა.

დედოფალი სარკმლიდან ხედავდა ევდომისაკენ ჩქარის ნაბიჯით მიმავალ ავგუსტას და თითქოს შვებასა გრძნობდა. მხევალნი, მსახურნი, ვით ფრინველნი ქარიშხალის წინ, იფანტებოდნენ, ვეებერთელა მონები, პაფლავონელები გარბი-გამორბოდნენ.

— ვინც უნდა იყო შენ, მიუწვდომელო ღმერთო, შენ მიხსენი სირცხვილისაგან, რათა შენთვის ყველაფერი შესაძლებელია, — ლოცულობდა დედოფალი.

ბედის სავალი ბილიკი უბედობას შარაგზად ექცია. ღამეს ბოლო არ უჩანდა და დღეს დღეობა არ ეტყობოდა. დედოფალს უბრძანეს, გამოკეტილიყო კოშქი. ბალნარში გამოსვლა, თუ აბაზანებზე წასკლა, ბაზილესის უნებართვოდ აეკრძალა, ვერც მასთან მივიღოდა ვინმე ნებართვის გარეშე. მის მხევალთაც კენჭის ყრით სხვადასხვა მეუფენი გაინაწილებდნენ, მაგრამ დედოფალს საბოლოო დამარცხება მაინც ვერ დაეჭრებინა, იმედის ნაღვერდალი არ იფერფლებოდა, სწამდა, ღმერთები თავისი ნებით ნაბოძარს ასე უბრალოდ არ წაართმევდნენ, ოლიმპოს ღმერთები ქრისტეანულის სისასტეინით არ განსჭიდნენ და მხოლოდ ნაფიქრალს ცოდვად არ ჩაუთვლიდნენ. ყველაზე უფრო კი თავისი სუსტი ნებისყოფის თანამეცხედრის იმედი ჰქონდა.

თეოდოსი თავს ებრძოდა, გოდებდა, რატომ ადრე არ მიღალატეს, რომ ამდენი წელი ასე ფუჭად არ დამკარგოდა. სეედას თითქოს ჭვარტლი ასდიოდა, ირგვლივ ჩამობნელდა. თეოდოსი ვეღარავის სცნობდა, ვერც თავის თავში ერკვეოდა და ამიტომ ვეღარც მას სცნობდნენ. მშვიდობიანსა და მოსიყვარულეს მკაცრი მბრძანებელის

ნიღაბი აეკრა. საუკუნეობით მიღებული ძლიერების საფეხური წუთებში აერბინა: კანონიერი მონაცელე და პირდაპირი შემქვიდე თომის იმპერატორებისა, სარდალი იმპერიისა და კანონმდებელი ქვეყნისა, ბაზილევსი — მეთაური ელინიზმისა, მეტოქე მონასტერების და ქაისტერეანობის წყალობით კი ნაცვალი ღვთისა, ერთდროში მეტე ქრისტიანობიც და სწორი მოციქულთა.

ჩაგარდა შუაში მოსარიგებლად მღვდელი სევეროს, კაცი გონება გულისხმის მყოფელი, და უბნო თეოდოსის:

— გარეული ფრინველი ბადით დაიჭირების, კაცი წყალობით ინადირების, წყალობის საბმური გულზე დაედების და ვეღარ აეშვების. გავითხვის დღეს ცოდვილ კაცს ღვთისაგან შენდობა დაეჭირვების და რაც უფრო დიდია თანამდებობა, მეტიც მოეთხოვების. მოთმინება ფესვი არის სჯულისა და გაგულისება კი მეწინავეა ბელიარის ლაშქრისა. კაცთაგან უმაღლესი ის კი არ არის, ვინც მრისხანებისას სხვა კაცი დასცეს, უმაღლესი ის არის, რომელიც მრისხანებისას თვით დაეცეს და რა გინდ გაძლიერდეს ცეცხლი ჭავრისა, მოთმინებით დაინელოს, თავის ბუნებას თვით უპატრონოს. ვინ ქვა გრას, შენ, ვითარცა ხემან მსხმოიარემან, ხილი აგემე, რამეთუ მრავალ დროს წყრომას დათმობა სჯობს, ორსავ ალაგი აქვს და ხელმწიფემან ორივ მის ალაგი უნდა იცოდეს.

— თუ მომმართავთ როგორც ბაზილევსს — ერთია, და თუ როგორც ქრისტეანს სხვაა, — თქვა ბერების თაყვანისმცემელმა თეოდოსიმ.

— ორსავ მოგმართავთ, ორსავ ერთად, — უბნო სევეროსმა და მცმუნვარებით გაიფიქრა, — ნეტავ გონება რაღა გასაყოფია!

— როგორც ქრისტეანი, მე მას ვაპატიებ, მაგრამ როგორც ბაზილევსი, თანამეცხედრე მისი, ტახტზე ვერ დავაბრუნებ. ბედნიერება ზნეობრივ ღირსების შეუსაბამოდ ადამიანს არ მიეწლება, — თქვა ისევ თეოდოსიმ და თავი დახარა, რაც სევეროს წასვლას ანიშნებდა.

— ქვეშმარიტი ბედნიერება დაძლევაა უბედურების, — მაინცა თქვა სევეროსმა და ისე დააგდო დარბაზი.

თეოდოსი კი ნაუბარს ჩაჭიქრებოდა:

„თუ ბედნიერება ადამიანს ზნეობრივი ღირსების შესაბამისად მიეზღვება, რატომ ვარ დღეს მე უბედური? მე ხომ მხოლოდ ზნეობრივი სიწმინდისა და ღირსებისათვის ვიღწვოდი? იქნებ სევეროს მართალიც არის, რომ „ბედნიერება დაძლევაა უბედურების“.

როგორც ყოველთვის ასეთი ყოყმანისას, ბაზილევსი დმტკიც შე-
ეთაობირა. გადახსნა წმინდა წერილი თვალდახუჭულმა:

„1-ლი პეტრესაგან: ნუ მიაგებთ ბოროტებასა ბოროტებისათვის,
გინებასა — ვინებისათვის, პირიქით, აკურთხეთ, უფრდენ რუსულო
თქვენ მოწოდებული ხართ დაიმკეიდროთ კურთხევაზე და მომდევ კურ-

შეუვრდა თეოდოსი ლოცვად, მაცხოვრისაგან გამოითხოვა სუ-
ლის სიმშვიდე, ხსნა იჭვებისაგან, სიძულვილისაგან. ცრემლით მოილ-
ბო გული. ებრძოლა თავს და გადასწყვიტა შეუსრულოს დედოფალს,
რასაც სთხოვდა და მისწერა:

„რამეთუ ასეთი ვითარება დიდ ხანს არ ძალმიძს გაგრძელდეს, გა-
მოსთქვით თქვენი სურვილი და ბაზილევსი მოისმენს“.

ამ წერილით ბაზილევსი თითქოს შენდობას მოიღებდა, დედოფა-
ლი კი ბოდიშს ელოდა. თუკი გონს მოეგებოდა და თავს დამნაშავედ
არ სცნობდა, არც ქედს მოიხრიდა, მაგრამ თუ ბაზილევსი თავად ეახ-
ლებოდა, მზად იყო ეპატიებინა, ახლა კი, როდესაც ხედავდა სინკლი-
ტი თავს იყრიდა, დომესტიკი, დრუნგარი, ყველა ფეხზე იდგა, ისეთი
სისწრაფით ტრიალებდა ამბები, თავს ვეღარ ართმევდნენ, ვის რაზე
უნდა ეფიქრა თუ გაეკეთებინა. მაგისტრების წითელი წამოსახამები
ისედაც დაზაფრულ სასახლეს საგანგებო იერით ელვარებდა, თითქოს
ცეცხლს აელანდა სასახლე, დედოფალი სწერდა იმას, რაზე ფიქრისაც
კი ეშინოდა:

„თუ თქვენს კეთილშობილებას ჩემი პატიმრობაც ალონებს სასახ-
ლის კედლებში, ნება მიბოძეთ, ქალიშვილთან რავენაში გავემგზავრო“.

თეოდოსიმ უმალ თანხმობა გაუგზავნა, კმაყოფილი იყო — ისეთი
გამგზავრება განშორებას არ მოასწავებდა, შერიგების შესაძლებლობა
კიდევ წინ რჩებოდა. ამიტომ სინკლიტმა დედოფალს ამ დღეს ტახტზე
უარი არ უთხრა, რადგან თეოდოსიმ საერთოდ აღარაფერი თქვა მას-
ზე და სამეფო კარი საგონებელში დასტოვა.

პატივახდილმა დედოფალმა წასვლის დასტური სიმწარით მიიღო.
მისგან ჭერ კიდევ შორს იყო ქრისტეანული მადლიერება უდანაშა-
ულოდ დასჯილისა და სასახლეს სტოვებდა ბოლომდე მოუსმენელ
ზღაპარივით.

მღვდელი სევეროს კი სწორედ ახლა ხედავდა ცხოვრების დასა-
წყისს და დედოფალი რომ თავის ხვედრს სიმწარით ლებულობდა, გუ-
ლის ტკივილით ეტყოდა:

— ილოცეთ, ილოცეთ.

— ჩემი ლოცვა მხოლოდ სუსტი ნიავია ქარიშხალის წინააღმდეგ.

— მორჩილად დასთმეთ ის, რაც გერთმევათ და რაც შეტე წა-
გერთმევათ, მით მეტი მოგეცემათ.

გადაწყდა: მღვდელი სევეროს და დიაკონი იოანე დედოფალს /თან
გაჰყებოდა სხვებთან ერთად. სევდამორეულ, დაუშენებულ ჭერი-
ფალს მათი მოსმენა უყირდა, არამც თუ მათთან ჭრული ყრულს ქა-
რამ სევეროს დაუდუმებლად ღალადებდა:

— სასოწარკვეთა იარალია მაცდურისა. თუ უცოდველს გდებენ
ბრალს — ბედნიერი ხარ, ღმერთი ხედავს შენს სიმართლეს და ათას
წილ მოგიზლავს მორჩილებისათვის, თუ ცოდვილი ისჯები, გწამდეს
შენი ცოდვა თან არ გაგვკვება, აქ მოგეხსნება და სხვისი ცოდვებისათ-
ვის კმუნვარება კი რითი გაგვიმართლდება?

დედოფალს არ სურდა ყოფილიყო ვისიმე შესაბრალისი, თუნდაც
ღვთისა. ძილს იგი ლოცვისათვის არ დასთრგუნავდა — მას ფიქრისა-
გან არ ეძინა; არც შიმშილი გადაეწყვიტა მარხეისათვის — საზრდელ-
ზე გული არ მისდიოდა. გულზე შემოწოლილ სევდის ლოდს სიბრძ-
ნეც ველარ დასძრავდა. წარმართი იყო და თავის გამართლებას უპირ-
ველეს ამ ქვეყნად ითხოვდა. ქრისტეანებს ადამიანების აჩრდილებად
სოვლიდა. შავი სამოსი რა სიწმინდესაც იფარვიდა, მასზე უკეთ ვინა
ხედავდა ავგუსტას შემხედვარე.

სევეროს თითქოს ხვდებოდა მისი გულის ნაკვესს და ეტყოდა:

— ქრისტეანობის საზომი ადამიანები არ უნდა იყვნენ. ქრისტე-
ანობის მაგალითი თვით ქრისტეა და ქრისტეანებად მაშინ უფრო უნ-
და ვიყოთ, როდესაც უსამართლობას ვხედავთ, სულმოკლეობისათვის
გვებრალვოდენ და სულგრძელობით განვიზიდეთ.

მაგრამ დედოფლისათვის ეს ლიტონი სიტყვები იყო, რადგან მისი
ბედის გამცუდებელნი სწორედ ქრისტეანები იყვნენ.

— ო, მრისხანევ და პირქშო დღევ, რომელმაც შესცვალე ნათე-
ლი ღამეები, ო, წყვდიადო ღამევ, რას მიქადის ეს უკანასკნელი დღე?!
სირცევილის ცეცხლშია სული ჩემი, რომელსაც ლამპრები ანათებდ-
ნენ, — გოდებდა დამწყვდეული მშვენიერება, — გტოვებთ, ჩემო მე-
საიდუმლებო, ვარდებო სიამაყისა, სუმბულო სიხარულისა. თქვენ
სურნელებას ფიქრთა დუმილი შვენოდა, თქვენი სიყვარული თან მიმ-
ყვება, ვარსკვლავებიც თან გამომყვებიან. გტოვებ შენც, მშვენიერო
სასახლევ, გტოვებთ, ველებო და ტყეებო, მაცნენო ქვეყნის საიდუმ-
ლოებისა. ო, ეირენევ, უშვენიერესო უკვდავთა შორის, მე ვნახე შე-
ნი გაზაფხული, შენი ფერხულები მხიარული სიმღერებით, შენი ყვა-

ვილებით მოგვირგვინებული ნადიმები. იქნებ შენ ვერ მაპატი მიღება ქრისტეანობის?

მანდილოსნები სარკმლიდან, ფარდებს მოფარებული, გასცემრიდნენ მიმავალ დედოფალს, იცრემლებოდნენ, გზას ულოცავდნენ, სინა-ნულით იტყოდნენ: „აღარ იქნება დედოფალი, აღარ იქნება ქანიხა“.

ხომალდი მძიმედ დაიძრა პროპონტიდისაკენ. ბიბლიური ისე

ჰელესპონტის ვიწრო სრუტე თავის ერთფეროვანებით მომაბეზრებელი იყო და, როგორც კი გააპო ხომალდმა ეგეოსის ზღვის ტალღები, დედოფალი ბაქანზე ამოვიდა. ვერაგი ზღვა ტალღების ლაჟვარდში ელავდა.

— ჰელესპონტო, შენ გაჟყარე ერთმანეთს ქვეყნები, შენ დააშორე ერთმანეთს და-ძმა, დღეს ერთმანეთს გვაშორებ თანამეცხედრეთ. ეგი! დაგვიფარე და დაგვიცავი შენ!

მრავალ ზღვათა შემცველი, მრავალ სრუტეთა მფლობელი ჰელესპონტი საოცარი მრავალფეროვანებით კიაფობდა. ჰომეროსისათვის ეს იყო ნეტართა ზღვა საესე ჰიმნებით; ევრიპიდესათვის აქ ნერეიდები ფერხულს უვლიდნენ; აქ, დელოსზე, იშვა აპოლონი და არტემიდა, მათვის ეს ორებარე ჰარმონიით იყო აღსავსე! ჩემი სმენა გულისა კი დახშულია იდუმალისათვის — ფიქრობდა დედოფალი.

უკაცრიელ კუნძულთა სამყარო კი რაიმე საიდუმლოების ამოცნობას ჰპირტებოდა. კუნძული კუნძულსა სცელიდა და თითქოს სიმრავლისაგან თავის დალწევა შეუძლებელი იქნებოდა. „იქნებ, — გაიფიქრა, — ეს კუნძულები ჩაძირული მთაგრეხილის მწვერვალებია“. როგორც კა მოკაზმულ ვარსკვლავებით, ისე ეგეოსის ზღვა კუნძულებით ბრწყინვავდა და ვარსკვლავების ნოხს ჰვავდა. დედოფალსაც აზრი აზრს წამოეწეოდა, მოგონება მოგონებას ამოჟყვებოდა. ხედავდა, როგორ იხრებოდნენ მის წინაშე დროშები ტახტზე ასვლისას, ბრბო პირქვე ემხობოდა, მანჭია მასხარები კი თითქოს ახლაც თვალებში შეჟყურებდნენ და იცინოდნენ, მათ უკვე მაშინ იცოდნენ, რომ მარგალიტებით მოოჭვილი წითელი ვაშლი, დედოფლის წინ რომ მიპქონდათ, სიმბოლოდ სიყვარულისა, ერთ დროს იქცეოდა სიმბოლოდ სიძულვილისა... თუ მამისაგან განწირულს, უნუგეშოს ბედმა დედოფლობა არგუნა, დედოფლობამ სირცხვილი და სულის სიობლე მოუტანა. მაგრამ ოხვრა, ხელთაპყრობა და მუხლების ტყუილუბრალოდ გარჯა ახლა არაფერს მოუტანდა, გამოსავალი მოქმედებაში უნდა ეძია.

და როგორც ერთ დროს ეგეოსის ზღვაშ ერთბაშად ამოზიდა ფსკერიდან ეს კუნძულები, ისე დედოფალში უცრად ინათა აზრის ნაპერ-

წკლებმა და დამსხვრეული იმედები ზღვას გადასტყორცნა, საჭე პალესტინისაკენ ააღებინა, თითქოს ვიღაცას გაუღიმა დასახე გაუჩათდა.

სევეროს ზღვას გაპყურებდა და თვალებს არ უფრიდა, ნარჯარს იწერდა, ღმერთს მაღლობას შესწირავდა სასწაულისათვის. დთავონ იოანეს მეზღვაურებთან მხიარულ საუბარში მატაცე გვხსნება და საზრდელით ორნეს იკრეფდა.

ზღვის ტალღებს გაეტაცათ სევდა და მასთან ერთად წლები. სევეროს ჰიბუგად გრძნობდა თავს, დედოფალს ქალწულება დაბრუნებოდა, გალაღებული იოანე დიაკონი ზღვას ყრმასავით შეხაროდა.

დიადი იყო ზღვა და სიდიადეს აღვიძებდა. დედოფალი, თითქოს ბიზანტიის ტახტზე რომ მისმინებოდა, დღეს ფხიზლდებოდა.

— ვინ იცის, — ესაუბრებოდა ტალღებს, — მურვანსაც ასე უსამართლოდ ედებოდა ბრალი. ვის ძალუძღვა ეთქვა მისი შერისხვის ნამდვილი მიზეზი? — მის წინ გადაშლილ ზღაპრულ ნისას გაპყურებდა.

ლესბოსის სრუტეს რა გასცდნენ, სმირნას უბეში შევიდნენ. მთებში მომწყვდეული ზღვა საოცარი სანახაობა იყო. ნეტარი ლამე... ჯაჭვით ხელში პეტრეს ორმა და სევდიანი გამოხედვა... ეს დუმილი რამდენი რამის მთქმელი იყო! იგი უფრო შეიგრძნობოდა, ვიდრე აიხსნებოდა.

ღმე სმირნის უბეში გაატარეს. დილას ისევ სიმშვიდე. თვალს აამებდა ფერდობზე დაყრილი ფერად-ფერადი სახლები, ტყე კვიპაროსებისა.

— სასუფეველი ღმრთისა გულთა შინა არს ჩვენსა... — იტყოდა სევეროს და ახლა უკვე თანაგრძნობით შეხედავდა დედოფალი.

გაიარეს როდოსი და ხომალდი მიადგა ხმელთაშუა ზღვას. გამოჩნდა ხილისი, სამშობლო ჰომეროსისა.

— აქ რომ გადააგდეს იონა წინასწარმეტყველი და შთანთქა იგი ვეშაპმა, მაშინ მღელვარე ზღვა დამშვიდდა... — სცადა სევეროსმა თხრობის დაწყება. თავის ქადაგების ძალას აწერდა დედოფლის შემობრუნებას პალესტინისაკენ, მაგრამ დედოფალი სდიმდა. სჩანდა საუბარი არ სურდა, ზღვას გასცემოდა, ფირუზის ფერი თვალს აამებდა. ერთი დღის წინ კი ფიქრობდა, ზღვის ვერაგ ტალღებში შთანთქმა ერთადერთი ხსნა იქნებოდა მისთვის.

შორიახლოს მოკრძალებით მდგომ სევეროსს გამოესიტყვა:

— მიზეზი ჩვენშია და არა ჩვენს გარედ, ეს გინდოდა გეთქვა, სევეროს, არა?

სევეროსმა თანაგრძნობის ნიშნად თავი დახარა.

— შენ გცოდნია ამ საოცარი ზღვის ზღაპარი, მითხარი, რომელ
ნავთსაყუდელს უუახლოვდებით ახლა?

— ტრიპოლის მივაღვებით საცაა.

— ეს ხომ გადასახლების ადგილია პატიმართათვის? — შეშფოთდა
თითქოს დედოფალი.

— ჩევენ ღვთის ტყვეები ვართ, შორით ჩაუკლიჭ შეს! მაღარის
მთებს გავხედავთ, — თქვა დიაკონმა ითანემ, რომელიც მათდა შეუმჩ-
ნევლად გვერდით ამოსდგომოდათ და დაბალი ხმით დავითის ფსალ-
მენს ამბობდა:

— მართალი ვითარცა ფინიკი აყვავდეს და ვითარცა ნაძვი ლიბა-
ნისა განმრავლდეს...

დედოფალმა მოუხედა:

— რამდენჯერ მეც მიგალობია ჩემს პატარა მულებთან ერთად ეს
ფსალმუნი, მაგრამ ახლა თითქოს პირველად მესმის.

პალმებითა და ყვავილებით დაფარული კუნძულებიდან წამოიშალა
ხმაურიანი გუნდი ასკატებისა. შრიალებდნენ ხილის ბალები, მშვენი-
ერი წალკოტები ნარინჯებისა, თურინჯებისა და ვენახებისა.

— აპა, მოვედით ბეირუთსაც, — თქვა სევეროსმა, — აქ შევისვე-
ნებთ, ვემთხვევით ამ კურთხეულ მიწას.

ბეირუთს, რა გაიგეს დედოფლის მობრძანება, ჰერეს სიმანდრასა
და შემოკრბენ მონასტრისანი.

ექვსი დღის მოგზაურები ზღვის სუნთქვას შერწყმოდნენ, ზღვას
თავის ყოვლისშემძლე მღელვარებით გაემხნევებინა და ახლა ნაპირთან
ტალღების წყნარ რხევაში რაღაცას ეჩურჩულებოდა.

ირგვლივ ლელვისა და ზეთის ხილის ბალები ესალმებოდნენ, მაჩრ-
დილობელნი კვიპაროსნი და ალვის ხენი თვეისკენ იხმობდნენ; დამათ-
რობელი სურნელება მინდვრის ყვავილებისა სიამით ავსებდათ და
ღვინო ქებული, ხენდრო ბერძნული, სიდიადეს, სილაღეს ჰმატებდა.

მონასტრის ბერის სათნო სახემ დედოფალი მოხიბლა:

— რა ბედნიერია სასულიერო ადამიანი, მაგრამ მძიმეა ალბათ მი-
სი ტვირთიც, მე ვერასოდეს ვიკისრებდი.

— ვინ იცის, იქნებ კიდევაც გიცისრიათ! — იტყოდა ბერი, — სა-
სულიერო არის ის, ვისაც საიდუმლოდ სული განათლებია, ვინც იმ-
დენად ამაღლებულა უსაზღვრო სამყაროში, რამდენადაც მორჩილე-
ბით დადაბლებულა, ვისაც გული წმინდა ჰქონია.

დედოფალი გაბრწყინებული თვალებით უცმერდა ყველასა და
ყველაფერს.

მოინახულეს ადგილი, სად წმინდა გიორგიმ დალაშვილა ვეშჩპო.

— გიორგი კაპადოკიელების წმინდანია. — თქვა ბერმა.

დედოფალი დააცქერდა თეთრ ცხენზე ამხედრებულ წმინდა/გიორგის და გაიფიქრა:

— რა ნათლად გმოხატავს წმინდაში ერი თავის შახებ კურთხულებას. თითქოს მურვანსა ხედავდა თეთრ ცხენზე სარდლად კურთხევისას.

— ვაჟაპური სული, სილამაზე, სწორუპოვრობა, ყველაფერი ერთმანეთს შეხამებული. ვეშაპში კი ავგუსტას სახეს ამოიცნობდა და ეღიმებოდა.

— კაპადოკიელი ცხენოსანი, — ამბობდა ბერი, — მხედართმთავარი დიოკლეტიანე მეფისა, რომელმაც დალაშვილა ვეშაპი, გადაარჩინა მეფის ასული და ხალხს სასმელი წყალი დაუბრუნა, ქრისტეს სჯულის აღიარებისათვის, წამებულ იქნა დიოკლეტიანეს მიერ...

„შემწყალებელი რომ ყოფილიყო ხელისუფალი, ვერ ჰპოვებდა საუკუნი აღიარებას გიორგი კაპადოკიელი“, — ფიქრობდა დედოფალი, როცა იაფფას გასცურეს. იაფფიდან ცხენებით იერუსალიმს მიადგნენ.

თავი მეთვრამეტი

იმპოზამის

ხომალდი ჭერ კიდევ ბეირუთს იდგა, რომ იერუსალიმში პატრიარქის სარქმელთან წერილშებმული მტრედი ჩამოჭდა. წერილი დედოფლის მობრძანებას იუწყებოდა. ცნობა უმაღ მოედო ქალაქს. დედოფლის შერისხვის ამბავი იღრევე სცოდნოდათ, და ახლა გაცხოველებით ალაპარაკდნენ. იცოდნენ, სამეფო საქმენი ხალხის წინაშე სიმართლით არ გაცხადდებოდა და ყველა თავისებურად ხსნიდა განხეთქილების მიზეზს. მაგრამ არავინ უგულებელპყოფდა ავგუსტას ხელს, რომლის ევდომში განდგომა საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა. ყველას უნდოდა ერწმუნა, რომ დედოფალი აღძრული იყო წმინდა ქალაქის სიყვარულით. მოეძულა დიდება ამა სოფლისა და ზნეობის სრულყოფის სამყაროში სიმდაბლის საძირკველზე აშენებდა სასახლეს სათნოებისა.

იერუსალიმი შეუდგა სამზადისს დედოფლის მიღებისათვის.

გაოგნებული პეტრე დავითის საჩველთან იდგა. ვერც შეჭიოდა ტაძარში, ვერც თავის მონასტერს უბრუნდებოდა. მოვონებები თავს ესხმოდნენ და სიმშვიდეს სტაცებდნენ. გრძნობათა აღი, ოვაროც კი გაჩნდა საშიშროება მხილებისა, შეუცნობელ გამომეტყველებას, ანიკებდა. იმისათვის, რომ დედოფალზე ეფიქრა, არ იყო საჭირო მუნჯებრები და ნებისყოფაც სათნოების სადარაჯოზე ფხრილობდა. აფრიკა-აქებულ ზაქარიას ერთიღა მოეფიქრებინა:

— მმანი დიდად მოწადინებული არიან უდაბნოდ გასვლას, მონახულებას მონასტრისას, იორდანეს პირისასა, — თქვა მან.

— შორს, შორს იერუსალიმიდან და კიდევ უფრო შორს ფიქრებისაგან, — თუ დედოფალი შერისხულია ღალატისათვის, — ინგრეოდა წარსული, თუ ნებით სტოვებდა ტახტს და პეტრეს თანაგრძნობას ეძიებდა — მომავალს ემუქრებოდა. თანხმობა მისცა ზაქარიას, რომელმაც გადასცა უსტარი მეფე არჩილისა:

„მნათობო პალესტინისა, უფროსო ყოვლისა სოფლისა! ვითარცა წერილ არს — სკეთე ადამიანსა, რომელსაცა ნათესავი ეგულვის სიონსა, ხოლო ძენი სახლისა — იერუსალიმს, როგორიცა გვყავხარ შენ, ამად მოთხოვნელი ვარ, ძეო ჩემო, ილოცვიდე ჩემთვის, რათა ლოცვითა შენითა ვპოვო სიმშვიდე“. ლოცვა მეფე არჩილისათვის, დედოფალ ბაკურდუხტისათვის, ზუზოსათვის, ბუზმარისათვის, აცოცხლებდა ბაგშობის დღეებს: პირგათხუპნულ ყენის წყალში ჩაგდება, აპრიალებულ თივაზე ხტომა — „ალი კუდიანებსაო“, მაგრამ სამშობლოს სევდამორეულთათვის აღარ გარბოდნენ კუდიანები იალბუზე ტარტაროზთან, შავ კატებზე გადამსხდარნი.

იოანედ ხმობილ მითრიდატესათვის ყამთა სიმრავლეს და ცხოვრების სიავეს არ მოეტანა არც სიმწარე და არც იმედების გაცრუება. სახით მყუდრო, გონებით წრფელი და მდაბალი, სულით განათლებული იყო მარადის. მის მოძღვრებას ფესვები გაედგა და ახალი ყლორტებით ხარობდა.

უდაბნოთა შინა მოქალაქობა, ლვაწლმოსილი ცხოვრება, სიმდაბლე და სიმშვიდე ზეშთაალმატებული, შრომით განკაფული, წარტოლვილი გულის სიტყვათაგან, შინაგან ბრწყინვალებით განანათლებდა მითრიდატეს. უმეტეს ლოცვად იდგა და ერთი ლოცვისა, როდესაც ჭერ კიდევ ტაძარში იდგა ყველა, იოანეს თვალნი დაუფარავად მიპყრობილ იქმნენ ზეცისაკენ და ვერ ეძლო სიტყვა, სახე კი უბრწყინავდა მრავალი გამოუთქმელით. ცნეს რამეთუ ჩვენება რამე იხილა.

პეტრე მოუთმენლობით ელოდა ექსტაზისაგან აპყრობილის ხილვის თხრობას, მაგრამ როგორც კი დააპირა იოანემ სიტყვის თქმა, პირსა დაესხა ურვილი და კამდა პირსა მისსა და მიუღებდა ნათელი თვალთა მისთასა და რცხვენოდა მისვლად კაცთა თანა და უფრველი პირსა მისსა.

პეტრე თავისი მაღამოებით ვერას გახდა, წაიყვანა ჟირისტეს ჩაულავშე. ილოცეს იქ და ოლარ დარჩა კვალი წყლულების. მაგრამ რა და-აპირა იოანედ ხმობილმა მითრიდატემ კვალად თხრობა ხილვისა, კვლავ დაესხა ურვილი, კვლავ წაერთვა ენა, მაგრამ სახე მაინც უბრწყინავდა, ბავრე ღიმილი უკრთოდა, ხალხი კი ამბობდა, ოლარ განიკურნებათ. ღამე ლოცვაში გაათენეს. ღილას იოანეს ისევ დაეწმინდა, სახე და პეტრემ უბნო:

— ადექ, ძმაო, და შესწირე მსხვერპლი სამაღლობელოდ ღმეროსა. იოანემ ხელით ანიშნა, რომ ხმას ვერ ვიღებო.

— შენ არ გესაჭიროება ხმამაღლა ზრახვა, — თქვა პეტრემ, — შინაგან წარმართე ლოცვა შენი. ოდესცა ჩვენ ვსდუმდეთ, ღმერთი ის-მენს ჩვენსას, დუმილი უფრო შვენის ღვთაებრივ კავშირს. თუ სასურველი იქნება მეუფისათვის შესაწირავი შენი, ხმის მოცემაც შენოვის არ იქნება შეუძლებელი.

ხოლო როგორც წარსდგა იოანე წინაშე საკურთხეველისა, მოეცა ხმა უკეთესი... „მშვიდობა თქვენდა“, — წარმოსთქვა და იწყო თხრობა ხილვისა.

იმდენი რამ საიდუმლო ენახა, იმდენი რამ საოცარი, რაც ადამიანის ენით არ გამოითქმოდა.

მან იხილა ცანი განხმულნი, ქვეყანა ანგელოსების საფეხურებით, ავსილი ქერუბიმებითა და სერაფიმებითა, ვიდრე თვით ღმერთამდე-ისმოდა ღვთის მაღიდებელი საგალობელი. იერარქიის საფეხურებზე ერთნი განიწმინდებოდნენ, მეორენი განწმენდნენ, ერთნი ნათლდებოდნენ, მეორენი განანათლებდნენ, ერთნი სრულიქმნებოდნენ, მეორენი სრულქმნიდნენ, ყველანი კი ღვთაებისადმი მიმსავსებისა და მასთან შეერთებისათვის იღწვიოდნენ... ნახა ქრისტეს მრისხანე და დიდებული მეორედ მოსვლა: ესმა უკანასკნელ განჩინების საყვირის ხმა. იძროდა მიწა, მოხდა სტიქიათა აღრევა, — აღსავსე ცეცხლითა და ნგრევის შიშით; რყევითა და ძრწოლით პყრობილთ ანგელოსები მოუძროდნენ ზეციური მხედრობისა: არქანგელოსები, მპყრობელნი, მფლობელნი, სახელგანთქმულთა რიგები წმინდა მოციქულებისა, წინასწარმეტყველებისა, წამებულთა, მართალთა, ქერუბიმთა, სერაბიმთა და

უკელა მათ შემდეგ ჯვარი ქრისტესი. და ოოს გამოჩნდა ძელი კვარისა, გაშინდა, დაჭდა მსაჯული. მსაჯულსა და მის გარემოს იყო სიმაგრე ურიცხვ ანგელოზთა და მთავარანგელოზთა. საყდარზე მსხდომარენი წმინდა მოციქულნი, წინასწარმეტყველნი, ყოველნი წმინდანი ბრძოლისათვის პეტრე და იოანე ისხდნენ საკურთხეველის წინ და მათზე განექმნილ სამარტინო რავლე მონაზონთა, რომელნიც მათ მიერ იყვნენ შეწირულნი ღმრთისათვის. მან წარადგინა მონაზონნი წინაშე ქრისტესი და პხედავდა რომელნი მიეცემოდნენ ცეცხლსა დაუშრეტელსა და რომელნი მიიღებდნენ გეირგვინსა დაუკეპნობელსა.

— უწყით,—იტყოდა,—ვითარმედ ვერ ძალგვიძს აღწერად საღმრთოთა მათ ხედვათა, ვერცა გამოვსთარგმანებო, გინა ვიტყვით გამოუთქმელთა ღმრთისა მეტყველებათა, რომელიც არც ვისიმესადმი კეთილარს და არც — ძვირ. არა იგივე და ერთ არიან ყოველნი ზეცისა შეკობილებანი. ანგელოსებად ღირს იქმნებიან უზენაესი დასი უხორცოთა, უმახლობელესნი ღვთისა, რომელნი უსრულეს არიან ღმრთისა მსგავსებით. მთავარანგელოსნი თანამოღასენი არიან ზეცისა მთავრობისა. შემდგომად ღმრთისა ცეცხლებრივი თვისება განწმენდელობისა სერაბინსა მიაჩემა, ქერუბიმნი განფენად სიბრძნისა და ყოველი ესე არცა საჟმელ, არცა გასაცემელ უმეცართათვის საღმრთონი საიღუმლონი.

— შენ ხარ ტაძარი ღვთისა, იეროთეოზ, აგიტატოს იეროთეოზ! — აღტაცებით შესძახა პეტრემ. შეუვრდა და სიხარულის ცრემლებით მუხლებზე შემოეხვია, — სინათლე და სიქეთება ეს საფეხურები იერაზიისა, რომელსაც ღმერთამდე იყვევართ. თეოზის, თეოზის! გაღმერთდეს უნდა ადამიანი და არა ღმერთი გაადამიანდეს. ავიდეთ ღმერთან, ავმაღლდეთ სულით, აქ, მიწაზე იგი გამოუთქმელია.

ვეღარ იტევდა სიხარულს ქვეყნის სევდის დამტევი და უსამართლობის დამთმენი, რომ იოანე უცნობი შეიქმნა, კვლავ დაესხა ურვილი, კვლავ წაერთვა ენა და ახლა უკვე მისი თვალინი სააქაოს მაცერალნი აღარ იყვნენ, მათ მარადიული ბინდი გადაეფარათ. აღსრულა წმინდა და ნეტარი იოანე, წარვიდა წინაშე უფლისა მხიარულითა პირითა.

— იეროთეოზ, ტაძარი ღვთისა, ნაცვალო სამშობლოისა, ნუგეშოშიობისა, იმედო ხსნისა, — პეტრე გოდებდა.

— განისვენებ წადილისაებრ შენისა, — თქვა ზაქარიამ. იქ იყვნენ ყველანი: ესაია, თეოდოსი, თეოდორე, მამა აბრამ ატირებული და იტყოდნენ:

— იყოს ბაგენი ჩვენნი საპყრობილედ ენისა ჩვენისა.

— თანამშრახველ, თანამბრობელ ყოვლისა, თანაგამკვაწვებელ გონებითა ღმრთისმხედველითა, რომლისაგან ისმინებოდა, ინიცივა-ბოდა და იცნობებოდა, — ამბობდა პეტრე, — თვით ძლიერებული სხვასაც უნათებდა. მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფავილსა ცა-თასა, მსგავს არს უფლისასა, რომელმან გამოიღოს საუნჯისაგან თვი-სისა ძველი და ახალი და თვისისა თვისისა საზრდელი უხვადა პპოვოს... აღრიცხვა მოღვაწებათა მისთა ვის ძალედას? რამეთუ ყოველივე ფარულად აღესრულებოდეს მის მიერ. იგი წარვიდა წინაშე ღვთისა, ნათელსა მას მიუჩრდილობელსა და მეოხ არს ცხოვრებისათ-ვის სულითა ჩვენთასა წინაშე სამებისა წმიდისა. უმეცრებელსა ყოვ-ლისაგან განწმენდილი და ოღვილი საღმრთოთა გამობრწყინვებითა... ვინ შეიყვარა ესრეთ სათნოება, ანუ სიბოროტე მოიძულა? ვინ შეიყ-ვარა ესრეთ გლახაკნი და უცხონი, ვინ იქმნა ესრეთ თანამებრძოლ წმინდანთა მიმართ ცხოვრებისა, ვინ მოაკვდინა ასონი ქვეყანისანი და განმწინდა თავი თვისი და ტაძრად ღვთისა ცხოველისა ყო იგი? მისი სიტყვანი ვითარცა ცხოველმყოფელი — წყალი, აღმაღორძინებელი — ვითარცა რძე, განმაფრთხილებლობისათვის ღვინოს ვადარებ, განწმენ-დისა და შემცველობისათვის — თაფლად შეგვერგებოდეს... ღმერთი სიბერით პირველთაგანობას მოასწავებს, სიჭაბუკით — დაუბერებ-ლობასა, ხოლო ზოგად ორთავე — გვასწავებს წინსელის. მოხუცე-ბულობით უპირატესობას უამთა გვასწავლის, ხოლო სიჭაბუკით მქო-ნებლობასა რიცხვისა უდისაბამიერობისასა.

წაიკითხა ანდერძი იოანე დ ხმობილ მითრიდატესი, რომელსაც იმ დღიდან იეროთეოზად მოიხსენიებდა:

„ესე ყოველი მრავალთადა არა სათქმელი და შენდა საცნაურნი, შენ დაგიტევენ ღვთისმეტყველებითნი თხრობის შენივთებანი*. ეტრ-ფიალე სახიერს და დაგიცვას შენ, გარემოიზლუდე იგი და აღვამაღლოს შენ. კეშმარიტი ტრფიალება უფროს არს სიყვარულისა და არსი ყო-ველნი მით არიან უფროს და უმცროს, რაოდენ სახიერებისა მიმღე-ბელ არიან და უქამობაც უამიერთა მხოლოდ ამ ქვეყნად მოიპო-ვება“.

ამბორი უყო დაძინებულსა, შემდეგ მისისა ყველანი მუნ მყოფნი ეამბორნენ. ნაძვის ტოტით ზეთი აცხეს დაძინებულსა და ლოცვით „ყოველთათვის“ დასდვეს გვამი სახლსა შინა პატიოსანსა.

* თხრობის შენივთებანი — მოძლერებანი.

თაღებს მწუხრი ჩამოსწოლოდა. შეუწყვეტელი გალობა ფარლეუნებისა, შემწედ მომწოდებელი ზეცისა ძალთა, მაოტებელ რასხვისა, მცველ მცნებისა, ვითარცა მხე ნათელმყოფელი, ვითარცა წყალი განმწმენდელი, ვითარცა ცეცხლი მქანდაკებელი, ვითარცა მიწა ნაყოფმღებელი და მხიარულმყოფელი, იყო მწუხრისა დღეს.

ხალხი მოჯარდა, შემოკერდენ სამღვდელოთა მწყობრნი და ვითარცა პატიოსანთა მონაზონთა თანააღრაცხული, პატიოსანსა სამღვდელოსა ადგილსა მიაწვინეს. წარიკითხავდნენ საღმრთოთა სიტყვათა სიწმიდით აღდგომისათვის. აღსრულებდნენ საიდუმლოთა წარმოთქმათა, თხოვდნენ პირველ დამინებულ წმინდათა თანა აწ აღსრულებულისაცა თანამოღასეთა მათთა გამოჩინებას. და დამარხეს იგი დიდითა დიდებითა მონასტერსა მას ქართველთა.

— აწ იტყვიან იყო ოდით ვინმე აღგილსა მშვენიერსა, ვის ღვთივგაბრძნობილმა ხედვამ ცამდე კიბე მიგვაძევინა, — ამბობდა მწუხარებით შეჭირვებული ზაქარია, — ყველა ქრისტეანი რომ ასეთი სპერაკი ყოფილიყო, მაშინ ჰეშმარიტების მაძიებელნი ასე მწარედ არ წაიბორძისებდნენ ქრისტეანობის სისხლით მორწყულ გზაზე.

ცაჲ გახედავდა, უნდოდა რწმენოდა, რომ ჰეშმარიტად მლეთის გზით ანგელოსები სულს საიქიოს კარამდე მიაცილებდნენ. „ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არა ხილული იგი საუკუნო“, „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, არცა საიდუმლო, რომელი არა გაცხადდეს“.

თავი მიცხრამათ

თეოდოსი და ატაილა

კიდევ ერთხელ მოტყუფდა თეოდოსი — დედოფალი იერუსალიმში წავიდა ნაცელად რავენისა. თეოდოსი დაუნაებლად გაეყარია დედოფალს, პავლინი გადასახლა კაპადოკიის კესარიაში, კირი — ფრიგიის პროვინციაში. მოგონებანი ბედნიერ ცხოვრებაზე გაუუფერულდნენ და ბოლოს სავსებით გაუქრნენ. ახლა საკუთარი თავი ახალ-ახალ აღმოჩენების ასპარეზად ჰქოცეოდა, თურმე სახელმწიფოს მართვასაც შესძლებდა, სამისო გამოცდილება რომ ჰქონოდა, აღამიანების ცნობაც არ გაუჭირდებოდა, რომ სიტყვებს იქითაც გადაეხედა აზრის ამოსაც-

ნობად; მლიქვნელობა გულახდილობად არ მიეჩნია და მხრეშა — მტრობად. არ ცდილიყო მხოლოდ დაფარვას თავისი ეპევზისა და თავის გარემოს უფრო გამომცდელი თვალით ჩაჰკვირვებოდა. თავის თავში რწმენა ეკარგვებოდა, თუ არ შეაქებდნენ; გრძნობადნები ჭყვი ჭყვი-დომნი, ხრიზანფიც არ იყო უმოქმედოდ, მაინც ვერ ჭმატუნებდნენ და და თუ უწინ მოწყალე გულით გახედავდა ხოლმე მის ფერხთით მონურის კრძალულებით გართხმულ ლოგოთებს, ახლა ზველაფერში ლიქნს ხედავდა და მრისხანებით იქსებოდა.

ერთადერთი პამბო იყო, მის წარსულს დიდების სხივს რომ უნარ-ჩუნებდა და ისიც გაქრა, გაქრა როგორც სანთელი, დაუნდობელ ფა-მისა და ცხოვრების სიმუხთლით დაცემული. მის შემდეგ თეოდოსია სიმარტოვეს რომ ვეღარ უძლებდა, შეიყვარა ჯირითი, გარეულ მხეც-თა ჭიდილი.

სადაცებისათვის ისე მძლავრად მოეწია ბაზილევს, რომ სასახლე შექანებულიყო, ყველა კუნცულიდან ცვიოლნენ ბრალიანი და უბრა-ლონი. ნდობა აღარავისი იყო. ნიფსიტარიები, ფეხაკრეფით რომ და-იარებოდნენ, თვალებსაც ხუჭავდნენ, ვითომ ამით უფრო შეუმჩნე-ველი ვიქნებითო.

დამარცხებული თეოდოსი საკუთარ კოშკში გამაგრდა. იგი არ იყო მეფე დიდსულოვანი გმირებისა... უძილობის გამო მიღებას ადრე იწ-ყებდა და ისინი, ვინც მოშორებით ცხოვრობდნენ, უნდა ამდგარიყვნენ უთენიაზე, აევლოთ ჭუჭყიან ჭუქებზე მძიმე და ცხელ ტოვაში. თეო-დოსი ახალ მოხელეთ ვერ იხსომებდა ნომენკლატორის გაუხსენებლად, არ ამასხოვრდებოდა მომჩინეობა საქმეებიც და მუდამ თავიდან უხდე-ბოდა ყოველი საქმის გარჩევა.

ხრიზანფი მახრიობელასავით გარს ეხვეოდა, რომ უმისოდ ვისიმე შთავონებით ისეთი რამ არ მოემოქმედა თეოდოსის, რასაც ხრიზანფი დიდი ხანია იმსახურებდა და რისაც ეშინოდა.

ინდოეთის მეფემ რომ მოისურება თეოდოსისათვის რაიმე საამო გაეკეთებინა, მოშინაურებული ვეფხვი გამოუგზავნა.

თეოდოსი აღაფრითოვანა ინდოეთის გონებამხვილობამ. ჭეშმარი-ტად ნადირის ბრდლვინგა ერჩია ალერს ადამიანისა. ვეფხვს პამბო შეარქვა, რადგან პამბო იყო ერთადერთი, რომელშიაც არასოდეს მოტ-ყუებულა და მისი სახელი სანუგეშებლად ესმოდა. ვეფხვი თანამე-სუფრედ გაიხადა. ამბობდნენ, ვალენტინიან პირველსაც ჰყოლოდა დათვი „მიკა“, რომელიც მასთან ერთად ღებულობდა საზრდელს, ვერდიდიდან არ იშორებდა, მაგრამ იტყოდნენ იმსაც, რომ მათი მსგავ-სება მხოლოდ ამით განისაზღვრებოდა.

ჭარი ოღარ სჯერდებოდა საფლესასწაულო საჩუქრებსა და ორმაგს
ითხოვდა.

„გაარერთიანეთ მამაჩემის მოსაგონარი დღე და ჩემი კურთხევის
დღე, გაარერთიანეთ სხვა დღესასწაულებიც და ისე შეატყუფილეთ
ჭარი“, რაზედაც იტყოდნენ, რომ სოლომონ ბრძენენც უკროვენ კუ-
დასწყვეტდა, მაგრამ ალექსანდრიამ რომ ველარ გაუძლო დიდ გადა-
სახადებს, მამოხებულთაგან ერთმა მაწანწალამ თეოდოსის ძეგლს ქვა
რომ ესროლა, გააფირებულმა ბრძომ ქანდაკება ძირს დაანარცხა,
ათრია ქუჩებში და დაამსხვრია. რა გაიგო ეს თეოდოსიმ, ველარ გა-
მოიჩინა სოლომონისებური სიბრძნე, ვერც კონსტანტინე დიდივით
შესძლო ეთქვა მშვიდიად: „საოცარია, რომ მე არავითარ ზიანს არ
ვკრძნობ“-ო. მისმა ეჭვებით პყრობილმა გონებამ უდიდეს შეურაცხ-
ყოფად მიიღო ძეგლის დამსხვრევა; დაისაჭა ლოგოთეტიც კი, ამის
მოხსენება რომ გაბედა, ალექსანდრიას შეუთვალია: „არ იყავი ღირსი
ჩემი ძეგლისა და თქვენს მოქიშე ანტიოქიაში უკეთესს დავდგამო,
ალექსანდრია ის ქვეყანაა, რომელიც სხვისი სიავით ხარობს, რო-
მელსაც წყევლისა არ ეშინა და ლოცვისა არა სჯერა. მაწანწალას,
რომელმაც პირველმა ისროლა ქვა, სიკვდილით სასჯელი მოედანზე,
აქ, კონსტანტინოპოლის, რომ მეც ვინილოო“.

შეუთვალია, მაგრამ შეყოყმანდა კიდეც თავის მსჯავრში და რო-
გორც კი აცნობეს დამნაშავე მოჰყავდათ თავის მოსაკვეთად, ქალაქის
კარიბეესთან პროცესიას მაუწყებელი დაახვედრა ბაზილევსის პატი-
ებით.

ქვეყანას ეამი მოედო. ხანძარი ქალაქებს ანადგურებდა. შიში-
ლით აღგზნებული ხალხი ქუჩაში მიმავალ თეოდოსის ქვებს უშენდა-

საზღვარზე სპარსეთის მეფე შემოღვა, სარაცინები ძარცვავდნენ
ზღვის სანაპიროებს, ვანდალები აფრიკას თავის სახელმწიფოდ აცხა-
დებდნენ, გენწერიხი მეფედ დაეყენებინათ და კართაგენიდან გამანად-
გურებელ თავდასხმებს ახდენდნენ ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა
და სანაპიროებზე.

ის იყო, სიცაილიდან გენწერიხი მოიგერიეს, რომ თრავიას თავს
დაესხა გაონავრებული ატტილა, პუნების ყველა ურდოების მბრძანე-
ბელი, ატტილა, რომელმაც განაცვიფრა თანამედროვენი თავისი სამ-
ხედრო წარმატებებით. დაიპყრო მრავალი ქალაქი, დაამარცხა რომა-
ელი მხედართმთავრები, ხელში ჩაიგდო აურაცხელი ნადავლი, უთვა-
ლავი ტუვი და რა მიადგა კონსტანტინოპოლის, თეოდოსი იძულებული
შეიქნა ეთხოვა ზავი.

საზღვარზე ოქრომ შესცვალა იარაღი. თითქოს ზავის პატიობების შესრულებით, შშვიდობა უნდა დამყარებულიყო, მაგრამ ჩავ მოტი იქრო გადიოდა, მით ნაკლებ მყარი იყო შშვიდობა — ატტიღის მოთხოვნებს საზღვარი არ უჩნდა. მოულოდნელად მოითხოვდეთ თავის უფლებებს საფარდულეში ვაჭრობისა, მოისურვებდეთ, დავწერ უწყებელიმე მსახურისათვის სიკეთეს, მდიდარ საცოლეს თავისი მოხელისათვის გაგზავნიდა თეოდოსისთან, იცოდა, შეშინებული რომაელები თხოვნის შესრულებასთან ერთად უნვადაც ასაჩქერებდნენ.

ატტილა ვერ ისვენებდა და რომაელების მოთმინების ფიალაც ივსებოდა. ერთხელაც, რომ მოითხოვა გაეცათ ლტოლვილნი, სინკლიტმა დაადგინა: რომაელები არ გასცემენ მათ, ვინც ითხოვა თავშესაფარი, და გადასახადების გაცემაზეც უარი განუცხადა.

ამაზე გაბოროტებულმა ატტილამ წავლო ხელი თრაკიას, საკვანძო ქალაქი ნაისი ნანგრევების გროვად აქცია და ჯარით მიადგა მრავალრიცხვოან რატიარიას. შიშით მოცული სახელმწიფო მმართველნი დათმობას ითხოვდნენ თეოდოსისაგან. ამ დათმობამ კი დააკარგვინა დუნაის ნაპირები, ხოლო მოსახლეობაზე მძიმე გადასახადებმა სასწრაფო კონტრიბუცია და გაღატაკება გამოიწვია.

ატტილა ისევ არ სჭერდებოდა ზავით დადებულ პირობებს, აღვნებულ გონებას საჩივრები არ ელეოდა.

ერთხელაც გაბეზრებულმა თეოდოსიმ, მის წინაშე სკვითი ედიკონი რომ იხილა მომხიივინი — დაპყრობილი მიწების დამუშავებას რომაელები განაგრძნობენ, ისტერიულად იყივლა და ხრიზანტიმ რომ სკვითს მოარიდა, თავის თავზე აიღო მათთან მორიგება.

ატტილას მოითხოვნით მასთან მოსალაბარაკებლად გაიგზავნა ჭარმომადგენლები, ცნობილნი თავიანთი კეთილშობილებით, თავისუფალნი ბრალდებებისაგან, საჯარო გაკიცხვისაგან, გავლენიანნი და ნდობით აღჭურვილნი: პრისკე პანიონელი და მაქსიმიანე დიდებული.

დროზე ადრე მობრუნდნენ, თანაც შეშფოთებულნი.

სიანდა პრისკე თავადაც მხოლოდ ახლა ერკვეოდა მომხდარში, ისე ჩაკვირვებით უთხრობდა თეოდოსს:

„სარდიკში, — დაიწყო პრისკემ, — სერობისას, როდესაც ბარბაროსები ატტილას თქვენს უავგუსტებას აღარებდნენ, რომაელებმა არ მიიჩნიეს დასახვებად შედარება ლვთაებრივისა აღმიინურთან, რომ ატტილა უბრალო აღამიანია და თეოდოსი კი ლვთაებრივი, მაშინ პუნებმა თქართქარი შეწყვიტეს, შეინძრ-შემოინძრნენ, გაცხარდნენ. ვფიქრობი, შესაძლოა ეს აცნობეს-მეთქი ატტილას, შესაძლოა ატტილა საერ-

თოდ ვერ იტანს ვერავითარ წარმომადგენლობას და ამისათვის ზოვნებს ჩვენს მიღებას; მაგრამ როდესაც გადავეცით სუფლი და მოვახსენეთ: „თეოდოსი გისურვებთ თქვენ და ყველა თქვენიანებს ჯანმრთელობას“, ატტილამ ხმალივით შემოგვიბრუნა სიტყვები კურუმულუბებს მოუვიდეთ ის, რაც მათ ჩემთვის უნდოდეთ“—ო. თგრეჭმონერც მცირება: „როგორ ბედავ თქმას, რომ რომაელებს არც ერთი ლტოლვილი არა ჰყავთ“—ო და თავისიანებს წააკითხა ლტოლვილთა სახელების დაუსრულებელი სია.

„მწყემსის სამოსში, ვეებერთელა მელოტ თავზე უანგიანი ვეირგვინით, პატარა. ბრწყინვალე თვალები და ჩაქულეტილი ცხვირი — საზარელი სანახაობაა... ცეცხლმოკიდებული თვალებით გადმოგვხედავდა, თან კი ვერცხლის ჯამებას, წითელ ტყავებს, ინდურ პილპილს და ფინკის ნაყოფს მოუთმენლად სწვდებოდა და ხარბად თავისკენ იყრიდა, ვიფიქრეთ, გვეშველა, მაგრამ სწორედ მაშინ განგვიცხადა, რომ წარმომადგენლებად მასთან უნდა დაინიშნოს რომელიმე სენატორი, თუ არა და, უთანხმოება გადაწყდება იარალითო, შემდეგ კი წვეულებაზე მიგვიწვია. ახლა იმის იმედი მოგვეცა, რომ ტაბლასთან ბარბაროსს რითომე მოვინადირებდით, მაგრამ იქაც ვერაფერი მოხერხდა. იმასობაში დაპიოთხეს ვიგილა, თარჯიმანი, გადაუწყვიტეს შვილის მოკველა, თუ მართალს არ იტყოდა და ვიგილამ ალიარა, რომ მისი თანადასწრებით, კონსტანტინოპოლის ყოფნისას ხრიზანტფიმ სკვით ედიკონს აზრახა ატტილას მოკველა, რისთვისაც მისცა მას ქისა სავსე ოქროთი. ატტილამ ერთი იმდენი კიდევ მოსთხოვა ვიგილის თავის გამოსახსნელად და ნაცემებივით გამოგვიშვა“.

პრისკე ამთავრებდა სიტყვას, რომ თეოდოსის წინაშე წარსდგნენ მწერივში გაჯგიმული ბარბაროსები, მოთავეს ყელზე მძიმე ქისა ეკიდა, რაზეც ხრიზანტფის თვალის ჩაევრით ანიშნა:

— ვეცნობათ, თუ არა თქვენ ეს? — და ლირფი მზერით გამსჭვალა ხრიზანტფის მიწის ფერი დაედო, მოძუძგული ვითარცა ძალლი კედელს ეკვროდა. ბარბაროსში მას მხოლოდ რეგვენი დაენახა, რომელსაც ძვირფას ნივთთა ბრწყინვალება სიხარბით თვალებს უკრელებდა და აზრახა ატტილას მოკველა დიდი საფასეს გაღებით, ეს ქისაც მას მიეცა საჭინდრად, სკვითი კი თავისი ბატონის ერთგული აღმოჩნდა, შურის მაძიებელს ხელს რომ უწვდიდა, თავზე დაცემას უპირებდა.

თეოდოსი საგონებელში იყო, რით უნდა დაემსახურებინა ბარბაროსს ეს უადგილო ნდობა, რომ ხრიზანტფის მისთვის ატტილას მოკველა ეზრახა!

ბარბაროსი ხრიზანთის ფაცხაში შეგდებულ ჯოჯოსაფით /შეჭირვებულს რომ ხედავდა, თავმომწონედ შეღერილი თეოდოსის მიმმრთოვდა:

— ატტილას სიტყვებს მოგახსენებ: შენ, თეოდოსი, დაბადებულხარ კითილშობილ მშობელთაგან, ატტილაც კითილშობიურ წრიტოშობებია და მექვიდრეობს რა თავის მამა მუნდიუხს, შეინჯრ კუთეუშირტყელება მთელი სიწმინდით, შენ კი, გახდი ულირსი შენთა წინაპართა ღირსებისა, რომ დათანხმდი ხარჯის გაღებას, რითაც მონის საფეხურამდე ჩამოხვედი და ამიტომ შენ პატივისცემით უნდა ეპყრობოდე მას, ვინც შენზე მაღლა დგას პირადი ღირსებებით და ბედის წყალობით, შენ კი ყურმოკრილი მონის მსგავსად შეთქმულებას აწყობ შენი ბატონის სიცოცხლის წინააღმდეგ. ატტილა არ მოიშლის შენს გამტყუნებას, ვიდრე საჭურისი ხრიზანთი არ გაიგზავნება ატტილასთან დასასჯელად.

თეოდოსის ყოველი სიტყვა ქვასაფით ხვდებოდა. ხან წარმომადგენელს, ხან ხრიზანთის გახედავდა. მიჩვეულს საზეიმო პატივსა და დიდებას, ბარბაროსის შეჩვენება თითქოს სიზმარი ეგონა, სკვითი კი იღიმებოდა, იცოდა, დიდად დასაჩუქრებული, პატივით გაბრუნდებოდა.

მოუხმეს მარტიალს. ხრიზანთის საშინაო პატიმრობა მიუსაჭეს. საქმეს საქმე მოჰყვა, ითანე ტირანის მყვლელიც ხრიზანთი აღმოჩნდა, ხრიზანთის მიზეზით იყო ფლავიანე დაცემული და აურაცხელი სახელმწიფო ქონება განიავებული.

— წარხდეს უბადრუკი სული მისი, ქუჩა იყოს სავანე მისი, კედელთა ჩრდილი სადგომი მისი, ქვესკნელის ომერთი უსმენდნენ მას, ვინც ჩამაგდო მე ამ დღეში, — არ სცხრებოდა თეოდოსი წყევლით.

ხრიზანთი კი, წელში გაწყვეტილი, უხსენებელივით ყველას წინაშე იკლაკნებოდა.

„მომაცალეთ, არ დამანახოთ“, — კიოდა თეოდოსი.

რაც მზადებობას მოეტაცა, ახლა შიში აბრუნებდა. ბარბაროსული წამებით სიკვდილს თვალებში შესცემეროდა, დასვამდნენ პალოზე და მისცემდნენ ფრინველთ შესაჭმელად. ხრიზანთი ბედს შეუმუოდა, ყველს ემუდარებოდა. დიდებული ნაბიჯი სათრეველად ჰქცეოდა. სიწამლავს წყევლა-კრულვით იღებდა და თან შველს ითხოვდა. თუ სკვითებს გადაურჩებოდა მთელი თავისი ქონების გაღებით, სამუდამო პატიმრობა არ ასცდებოდა და პატიმრობასაც ისე ითხოვდა, როგორც ეს მხოლოდ მათხოვრებს სჩვეოდათ.

ხრიზანთის დამცველებიც გამოუჩნდნენ, მას ხომ მეტის ერთგულებამ შთააგონა ატტილას მოკვლა და ბარბაროსის მძვინვარების დასაოკებლად დიდძალი ოქრო ეგზავნებოდა ატტილას, თეოდოსის უცოდ-

ველობაშიც არწმუნეს და ხრიზანტფისათვის პატიება გამოითხოვს. გადურჩა ხრიზანტი ბარბაროსულ სიკვდილს და სიხარულით მიიღო ხამუდამო პატიმრობა.

თეოდოსი კი თავს ინუგეშებდა, იტყოდა: რამდენც ჩემიშეწუმებული უგუნურებს გაუბრიყებიათო და გამოსცა კანონი, კრომლეს ჭრიულობას საჭურისებს ეკრძალებოდათ პატრიკიოსის ღირსების მიღება.

ატტილას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს საზღვარზე. ჰუნი თითქოს მიჯავაული იყო ცხენზე, სკამდა თუ სვამდა, დღე და ღამე ცხენზე იჯდა, დაეგებოდა რა ცხენის წვრილ ჯიდაოს, ღრმა ძილს მიეცემოდა, მოლაპარაკებასაც რომის წარმომადგენლებთან ცხენიდან ჩამოუხტომლად აწარმოებდა. ამპარტავნებით იტყოდა ატტილა:

— მე ღვთის უბედურება ვარ, ურო ქვეყნისა, იქ, სადაც ჩემმა ცხენმა ფეხი შესდგა, ბალახი აღარ იზრდება, — მაგრამ თავმომწონემ ხალხის ერთგულებით, გულუხვიბითაც თავი გამოიჩინა — რომაელები ცხენებითა და მხეცების ტყავებით დაასაჩუქრა.

ატტილა სიამით გასცემროდა მის ფეხებიშ გაგებულ რომის ძლიერებას, ფიქრობდა, თუ დღეს მხედართმთავარს უწოდებდნენ, სულ მალე მას იმპერიის მბრძანებლადაც აღიარებდნენ.

თ ა ვ ი მ ე რ ც ე

ა ხ ა ლ ი ე ლ ე ნ ე

დედოფალს იერუსალიმში სულის სიმშვიდის მტრები თან მოჰყოლოდა: სინანული დაყარგულ დიდებაზე და სურვილი თავის მართლებისა უძილო ღამეებში ერთოთავად ვისმე წარუდგებოდა აღსარებად, ერთავად იმის საგონებელში იყო, რით შეესნა ბორკილები სულისა. მას არ მიაჩნდა, რომ იერუსალიმშე განსაკუთრებულის სავსეობათ ყოფილიყოს გადმოფრქვეული სული წმინდა, რომ ღმერთი უფრო ახლოს ყოფილიყოს იერუსალიმლებთან. იერუსალიმის ქათაქის თავი იყო სატურნელი, რომელმაც მოჰკვეთა თავები სევეროსა და იოანეს, როგორც დედოფლის ლტოლვილების თანამზრახველთ, ავგუსტა ბულქერიას საიდუმლო ბრძანებით. ამისათვის იერუსალიმი დედოფლის თვალ-

ში სათოებით ვერ გაიბრწყინებდა და არც ივი დარჩენილი დასმი, ის ლამე სატურნელს არ გასთენებია — დედოფლის მიერ მისუიღული შეკვლელის ხელით დაეცა ივი.

ეს პირველი დარტყმა რომ ასე ვაეკაცურად მოიგურებულ უფლესად თავადაც აოცებდა, მაგრამ იერუსალიმელებმა აქემენიზმა უძლი დაინახეს, განგება შემწე იყო მისი ლტოლვილებისა და კრობოდნენ რა სასწაულის წინაშე, დედოფალს ადიდებდნენ, როგორც ლვოისაგან ფარვილს.

დედოფალი მაინც შვებას ვერ გრძნობდა. რწმენის საკითხში გონება ეჭრებოდა და ყველაფერს ანგრევდა:

— სიკეთისათვის ქრისტე ჯვარს აცეს, — იტყოდა, — სამოთხის ქარის გამლებს ლახვარი უგმირეს, უკვდავების მაუწყებელს ეკლის გვირგვინი არგუნეს! ვინც ბოროტ აზრს ატარებდა, შესდგებოდა გოლგოთაზე თუ მთაზე ელეონისა, ილოცებდა ტაძარში აღდგომისა, მაინც ისევე შორს იქნებოდა ქრისტესაგან, როგორც ურწმუნო რწმენისაგან.

მას უნდოდა პქონოდა სასოება, მაგრამ არ პქონდა; უნდოდა შეეცნო თავისი მოწოდება, მაგრამ ვერ გაეგო; შეპნატროდა მათ, ვისაც უბრალოდ სწამდა, თვით კი ვერას იწამებდა, თუ გონებითაც არ არწმუნებდა. წინააღმდეგობებით იყო აღსავსე ცხოვრება — დაცემაში აღამიანი მაღლდებოდა, თავის დამცირებით იღიდებოდა, ტანკვაში განცრონის ეძებდა, გაცემით მდიდრდებოდა, თავის უარყოფით ღვთაებამდე გზას დადლევდა.

დედოფალი, რომელმაც ზღვები და ქვეყნები გადალახა მურვანის სანახავად, ახლა მას აღარ ელტვოდა, მელანის ნახვაც არ ისურვა ავდარი სევდის გზირად ევლინებოდა და მზე ნუგეშს ველარა სცემდა. მისთვის, რიტორიკის ბრწყინვალე მცოდნისათვის, გაუგებარი იყო მეტყველების გადასაჩვევად პირში ქვის ტარება, გუნდალხავი, ლიტონი სიტყვები ქრისტეს მოძღვრებას მხოლოდ აღარიბებდა. ქრისტეს სჯულის გამავრცელებელნი, მოციქულებიად აღიარებულნი, იყვნენ უბრალო ურიანი, ლატაკი მეთევზენი, მკვიდრნი ყველასაგან სასაცილოდ აღებული გალილეასი. გრძნობდა, რომ ქრისტე სოკრატეზე მაღლა იდგა, მას შეეძლო გაენათლებინა არა მარტო ფილოსოფოსინი, უმდაბლესიც, — არაეინ არ მოინდომებდა სიკედილს სოკრატეს რწმენისათვის, ათასიბით ადამიანი უშიშარი გულგრილობით, ფსალმუნთა გალობით ხვდებოდა სიკედილს ქრისტეს რწმენისათვის. „პორტენზია“-ც კი თავისი წარმტაცი ენით დედოფალს სულში ველარას გარდაუქმნიდა, პლა-

ტონი მას სევდას თუ გაუნელებდა მხოლოდ, ვეღარ ანუგენებდნენ
მწუხარებაში ვეღარც დიოგენი და ვერც პოსეიდონი.

თავის მოძღვრად ეგვიპტელი ბერი, ახლა სახელგანთქმული თეო-
დოსი, იერუსალიმელად ხმობილი, აირჩია. სმენოდა უფლესულ ფანსეც-
დელი შეემთხვეს ვისმე, მიელტვოდეს თეოდოსის „**ჭრალეჭრულუც**“
მასში ენახა მეოხ წინაშე უფლისა.

თეოდოსი იერუსალიმელი, წარმოშობით კაპადოკიელი, ანტიოქიას
წამოსულიყო მთა საკვირველზე, სვიმეონ მესვეტესთან. სვიმეონ მაღალ
სვეტზე დგომით იღვოოდა. ოდესლაც მწყემსი ანონის მთის ველზე, ახ-
ლა განდევილი ტალანისის მთაზე. მასთან რჩევისათვის მოდიოდნენ
ძლიერნიც ამა ქვეყნისა. სვიმეონს თეოდოსის დანახვაზე მეყსეულად
ეთქვა: „კეთილად მოხვედ, კაცო ღვთისაო, თეოდოსი“. ეს კი იგივე
იყო, რაც მარიამ ეგვიპტელის წინასწარმეტყველება ზოსიმესი და თეო-
დოსი ღვთაებრივ სიხარულით აღეგზნო, ვითარცა თივა შეხებითა
ცეცხლისათა და იქვე თავისი ხელით მონასტერი ააგო, თვით კი ქვაბსა
დაყუუდა. საზრდელად ცერცვი დამბალი და დანაკის კუდი, ანუ კერატი,
კმა იყო მისთვის. პურის გემოს არ იხილავდა და მხოლოდ კვირა დღეს
მიიღებდა სებისკვერს. უფაშკარნოთ, უკვერთხოდ დაიარებოდა; ხელთ
საცეცხლური ეპყრა და სადაც ნახშირს წაეკიდებოდა, იქ მონასტერს
ააგებდა, მონასტრის ირგვლივ თავს იყრიდა მონაზონთა სიმრავლე.
თეოდოსის ერთი სავედრებელი პქონდა: „მოპმადლოს ხილვა უხილა-
ვისა“.

ტრიბუნი ელიას დედოფლის შინაურ კაცად ქცეულიყო. ელიას
დედოფლის ყურადღება მითაც დაემსახურებინა, რომ პეტრეს უახლოე-
სი თავვანისმცემელი იყო, ადრე დაყრუებული პეტრეს განეკურნა და
სმენა დაებრუნებინა მისთვის. დედოფლი ელიაში თითქოს პეტრეს
ანარეკლს ხედავდა, პეტრეზე საუბარს არ მოიწყენდა, მაგრამ მასთან
შეხეედრას აღარ ეძებდა, თუმცა მისი აღვილ-სამყოფელი, მოღვაწეობა
მუდამ უნდა სცოდნოდა.

დედოფალი ლოცულობდა გოლგოთაზე, საფლავზე უფლისა, ბეთ-
ლემს; იორდანში ფეხითაც დგებოდა, ელეონის მთის ძირას, გეთსიმა-
ნიის ბალში დიდ ხანს დაპყოფდა ხოლმე, ყველა მონასტერს შემოუვ-
ლიდა, მაგრამ მისი ფიქრები შორს იყვნენ ამ ადგილებიდან. დედოფა-
ლი ეზრდელონის ვაკეს რომ გასცდებოდა, განმარტოვებულ თაბორის
მთაზე ავიდოდა, აქ დედოფალ ელენეს აგებულ ტაძარში ლოცვად
დგებოდა. ვით ზეცის აჩრდილი, მდუმარე თალი დაპყურებდა, წმინდა-
ნების მცმუნვარე დასსაც ჩასთვლემოდა და ზეცისა და მიწის სპეტა-

მაშველად აღმართულ სკეტებს მიეყრიდნობოდა. შემდგომ გირებულებულის ტბასთან შეჩერდებოდა — აქ იყვნენ არჩეულნი მჯრეთოარის ძეგრ მოციქული, ეს იყო ადგილი წმიდათა წმიდა და გასართობიც. სარკის მსგავსი იყო ტბის ზედაპირი, ხალხი მრავალი ირგვლივ წარტყმულ წყალში ბანაობდა, მახლობელ მთიდან რომ გაღმტეს წყალში წყალშის ერთოდა. ბანაობდნენ ტბის ცივ წყალშიც, ზოგიც ნავებით სეირნობდა და აქვე მოდიოდნენ უკვდავების წყლის შესასმელად. „ვარდის ღელაში“, აიაზმისათვის გარდის კრეფაში ქალებს წაეშველებოდა, ახალგაზრდობას იხსენებდა, მათთან ერთად გაიხარებდა, მისი მომხიბვლელობა გასაოცარი ხდებოდა და გზათ მიმავალ მორჩილთ თუ მათ ზედამხედველთ, თვალი მისკენ გაურბოდა.

იგი ხედავდა ღმერთს ვეებერთელა მთების სიდიადეში, ხედავდა მინდვრის უმცირეს ყვავილშიც, რომლის სრულებრივ შემურდებოდა და იტყოდა: „ბედნიერი ხართ, ლამაზებო, თქვენ თავისთავად იფურჩქნებით და სურნელებას აფრქვევთ არემარეს, მე კი მუდამ ფიქრად და სევდად მაქვს ქცეული, — რა არის ჩემი მიზანი. ღმერთს ბალაბშიაც, ცაზეც ვხედავ, მაგრამ იგი ვერ ვიპოვე ადამიანთა შორის.

პერგამენტს გაანდობდა თავის გულის ზრახვებს, პეტრესათვის წერილს დაწერდა, რომელსაც არასოდეს გაუგზავნიდა:

„რით დავაყუჩებ ამ ძაბილს დავარგულისა, რით დავიფარავ ცეცხლს თივაში, ან დაძრულ ყინულს რით შევაჩერებ? ვით ბეჭედი თვალდაკარგული, ისეა ცხოვრება ჩემი გაძარცული. რად არ დავცხრები, თავს არ ვანებებ ოცნების ძებნას სინამდვილეში! დამტოვა მუზამ და მეც ვმუნჯდები... წყვდიადში ჩაფლულს თვალთა აზილვა მომინდომია, უსასრულობის, ოცნების სხივი კვლავ სანუგეშოდ გამომიხმია, მაგრამ უიმედობის ცივ ლოდს დაცინებით გაუღიმია.

„შენ რომ იცოდე, რა ძნელი არის, როცა მძინარე, ოცნებით მოვრალი, ყველას პგონიხარ უსულო ვვამი! ცოცხლად გმარხავენ, გონს ვერ მოსულხარ, ველარცა ტირი, ველარცა ღმუხხარ, სიკვდილს ინატრებ, არც მას ახსოვხარ, ყველაფერს იტან, ო, სულო ჩემო, — შენ წარმართი ხარ“.

მგზნებარე, მომქმედი ბუნება დედოფლისა თავისი ძალების გამოსავალს ეძებდა, შინაგანი ტვირთის სიმძიმისაგან განთავისუფლებას ითხოვდა, ნალელისაგან განწმენდას ცდილობდა.

„პასუხს ადამიანი უპირველეს თავის წინაშე აგებს. იგი საკუთარი რწმენის დედაც უნდა იყოს და დედოფალიც, ტახტი არ ჰქონდეს და დედოფალზე ძლიერი იყოს“.

ახლა შეუძლია შერი ეძა ევდომში გამოკეტილ ავგუსტინუ, როსთვისაც მთელ თავის ძალ-ღონეს, სიმდიდრეს, ხალხს მოახმარება, უარს იტყოდა თავის თავზე, რომ ხალხის სიყვარული და აღიარება მოეჭირვებინა, ხალხის გულში ჩაიხედავდა, რომ თავისი სახე დატენაა, რანდიშნულება გაერკვია.

ისევ პერგამენტს გაუნდობოდა:

„უდასაბამისერესნი და უძველესნი უფრო ახლოს იყვნენ ღმერთთან; კაცობრიობა კი ახალ საფეხურზე აშენებს ქვეყანას. სიტყვითა და საქმით ურთიერთ სიყვარულს ქადაგებს, მქოდრეობით აღდგომას აღიარებს. თუ სიბრძნეში შესვალი კარი გაევირვება იყო, სარწმუნოების კარი თავის უარყოფაა, სიმდაბლით სიმაღლის წვდომა“.

ეს წესილი კი იყო წყურვილი, რომელიც აღამიანის დანიშნულების გავებით წარმოიქმნებოდა.

დედოფალს თითქოს კარიც შეეღო, ზღურბლზე გადაებიჯა, მაგრამ კეშმარიტების წინაშე ვერ წარმდგარიყო, ვერ დაენახა დიდება იქ, „საღ ძირსა ჰყობიან სკიპტრანი და დახრილ არიან გვირგვინნი“.

ხალხმა კი მიიჩნია რჩეულ მორწმუნედ, ლოცვებში მის სახელს უპირველეს იხსნიებდა. მათი რწმენა კი დედოფალს ნუგეშინს ულვივებდა, ამიტომაც მეტ დროს მათთან ატარებდა. ულიასი იმასაც იტყოდა — პეტრე დედოფალისათვის ლოცულობსო.

„ილოცეთ ოქვენც, — ეტყოდა ულიას, — ღმერთი სულია და სულიერს მოგანიჭებთ“.

თეოდოსი იერუსალიმელიც არ სცხრებოდა:

— რაც გვწამს და შეჯიძლია, ის გავაკეთოთ, რისთვის? ნუ ვიკითხავთ. ხომ არ იცის ყვავილმა ნაყოფს რისთვის გამოიღებს, რისთვის გაიფურჩქნება.

დედოფალმა საქმეს მოჰკიდა ხელი. მიწისძვრისაგან დაქცეული, უპატრონოდ მიტოვებული მონასტრების შეკეთება რომ მოათავა, მოინახულა ის ადგილი, სადაც პირველწამებული სტეფანე ქვებით ჩაქოლეს და მის სახელზე ააგებინა დიდებული ტაძარი. მის კედლებში კი თავის საფლავის ადგილზე მიუთითა. მას არ სურდა მისი სხეული გადაეტანათ კონსტანტინოპოლის, სადაც მისი კანონიერი ადგილი იყო: „რა უნდა ჩემს გვამს სამეფო ქალაქში, იქ, სადაც აღარავის შეუძლია ჩემზე იტაროს“.

ტაძრის აგება სარწმუნოების სიყვარულს ნიშნავდა, ეს აღიარება კი ხალხის სიყვარულს, რაც აღაფრთოვანებდა იერუსალიმს და ეს აღფრთოვანება კი დედოფალს რწმენასა და ძალის მატებდა. იგი შეიქნა პრო-

ვინცის დედოფალი და ღატაკთა დედა. მისი გულუხვაბა სწოდებოდა ყველაზე დაშორებული უდაბნოს განდეგილებს.

იერუსალიმის მაღლიერ, აღფრთოვანებულ ხალხს მისი ხახელი — ევდოქსია მოაგონებდა წინასწარმეტყველურ აზრის მქონე ჯუჯამის ფსალმუნისა; და როდესაც დედოფალი რომაელებში მუჭათ სკონსტრუქტორი იერუსალიმის კედლებს აღაშენებდა, ერთხმად უგალობებდნენ:

„უფალო, შენის კეთილის ყოფით აღმართებიან კედლები იერუსალიმისა“.

ღირსების მხრივ ეს იყო უმაღლესი, რითაც შეეძლო წმინდა ქალაქს დაეჭილდოვებინა თავისი დედოფალი.

ახლა კი დედოფალი რწმუნდებოდა, რომ კონსტანტინოპოლის კედლები კი არ უნდა ეშენებინა, რომელთაც აშენებისთანავე სტიქია დააქცივდა, არამედ იერუსალიმის კედლები, რაშიც ღვთის განგებასაც ხედავდა. მისი სიხარული იყო სიხარული ჰეშმარიტი მორწმუნისა, რომელსაც თავისი სავანე მოენახა.

კედლების შენების დასრულების დღე საგანგებო წირვით აღინიშნა. გუნდრუქს დედოფლის საპატიოდ აქმევდნენ. დედოფალი არაამ ქვეყნიური მშვენებით ელავდა საკურთხეველთან, რომ ხალხით გაქვედილი ტაძარი უეცრად მოიცელა, საკრებულოს ღალადისმა გადაურბინა: „პეტრე“, „დიდი პეტრე“, „ბრწყინვალე პეტრე“, ისმოდა. კრებული გზას უკაფავდა პეტრეს საკურთხეველისაკენ და ყოველი ცდილობდა მისი სამოსის ფესვს ოდნავ მაინც შეხებოდა.

პეტრეს სალამი იყო მდაბალი. სევდას ღიმილი შვენოდა, თავის წიაღში ჩაფლულ საუნჯეს რომ იფარვიდა. მაღალი შუბლი და გამჭრიახი თვალები დიდების ღირსებით შვენოდნენ მის ფერმქრთალ სახეს.

თითქოს მზემ ნისლი გაცემანტა. მისმა ერთმა გამოხედვამ წამის ყოფით არწმუნა დედოფალი იმაში, რაც მედენი წუხილითა და განსხით ვერ ერწმუნა. მანძილს ვერ დაეშორებინა, ვერც დროს მოეკლა გრძნობა. კეთილ ნიადაგში ჩაფლული თესლი ცრუმლს მოერწყა და ერთგულებას მზედ ენათა. სული სულს შეეხო და ზეცის ღალი კამარა აასხივოსნა. დედოფლის სახეს ქალწულებრივი სიწმინდის ბრწყინვალება მიმოუქროდა, როს აღავლენდნენ „ლოცვას უფლისა“.

ელინი ქრისტეანის სამოსში თავისი სიმძლავრით, ზომიერებით, ხიბლავდა პეტრეს და მხოლოდ მის ყურთა სმენის მისაღწევად იზრახა:

— ასი წლის წინ უნდა დაბადებულიყავით, წმინდანად გვეღიარებინეთ და ჩვენ ყველანი ვილოცებდით თქვენზე, დღეს კი მე ვილოცებ

იმისათვის, რომ დაიძინოთ წარმართის ლოცვაში და აღსდგეთ კასტე-
ანად.

დედოფლის თვალებში წამკითხველი ამოიკითხავდა:

„ანგელოსების ხმა გვესმოდეს, ყოველი საიდუმლოშიც ჭრიადით,
წინამდარმეტყველნიც ვიყოთ, — არარანი ვართ უსტებისულისაც ეს
— დედი, — ფიქრობდა, — მიწიერი სიხარული ავგუსტას რეგბოდა.
სხეული, რომელიც ყოველდღე კვდება, მისი განცდებიც განცრება,
მიწიერი მიწასთან დარჩება; სული კი მარადის ვითარდება და მარა-
დიულს ეზიარება. მარადიული მსხვერპლითა და ღვაწლით მოიპოვება. უნდა
დავკერდე სურნელებას საზრდელისა, რომელსაც ვერ მივიღებ,
დავტებე სილამაზით მშვენიერებისა, რომელსაც ვერ შევხებივარ“.

და თუ იერუსალიმი კედლების აღმართვას ზეიმობდა და მასში
კეთილს ყოფას ხედავდა, დედოფალი პეტრეში ხედავდა კლდეს,
რომელზეც თავისი რწმენა უნდა განემტკიცებინა, რომელზეც მისი
ცხოვრება აშენდებოდა.

წუთიერი იყო სიახლოვე, მაგრამ ჩაუწევდომელი. ეს იყო საიდუმლო
ქორწინება ღვთაებრივისა; საგალობლებით აღტყინებულნი, ციური
ეშიით დამთვრალნი წუთიერ განსვენებას იგემებდნენ.

პატრიარქმა დედოფალს უწოდა ახალი ელენე და იყო კრებულის
დიდი აღფრთოვანება, სადიდებელს დააგუგუნებდნენ, შეძახილები
გაისმოდა. ამ დღიდან კი დედოფალი შეიქმნა „აზალ ელენედ“ ხმო-
ბილი.

იმ დღეს დედოფალს თავის სავანეში შემოესივნენ მუხები, მუ-
ჩები, რომელთაც ასე დიდხანს ელოდა. მეტად დიდი იყო განცდილი,
მოზღვეული გრძნობა მუხებსაც კარიბჭეს ვეღარ უდებდა. კერი
აღმაფრენას ვეღარ იტევდა, ვეღარც სხეული უძლებდა ახალგაზრდო-
ბის ფრთონას და სიბრძნის ძეელი ფოლიანტები ჯებირად შემოეგებნენ,
ბუნების კალთას ჩაეკრა, — მობიბინე მოლსა და ნათელი მზის სხი-
ვებს.

ბიზანტიის დიდი ღამე წმინდა ქალაქში თენდებოდა. ტირიფი ნაც-
რისფერ ფოთლებში იჩეოდა, ცაში წეროები მიფრინავდნენ, ბუჩქებში
ყანხების კრიახი ისმოდა და ტბასთან ცალფეხზე გარინდებული ძენე-
რუკი მასთან ერთად ბუნების იდუმალ ჰანგებს ისმენდა. ვეება საქორ-
წილო კარავსა ჰეგავდა მთა მოხასხასე ყვავილებით. იყვნენ ყვავილი
ათასფერნი და სურნელებით ათრობდნენ მას. დედოფლის აღმაფრენას
მხოლოდ ცა მისწვდებოდა, მის ყოვლის შემძლეობას კი მიწა იზიარებდა.
დედოფალს ეწადა გაეზიარებინა ყველაფერი ის, რითაც პეტრე სულდგ-

მულობდა; ალი მოედო ქრისტეს სიყვარულისა, ბუნებას ავით გამოკუთქმელი, დიადი იყო მისი განცდა.

შემოქმედების ნაკადი ელოდა ამ გამოძახილს, რომ მოლოდინის შავი კლდე ერთის მოძალვით გაერღვია, ხმაურით ჩაჯაჭრის აუკუპავებულსა და სურნელოვან მიდამოებში. პერგამენტი — და კულტურული ალარ შველოდნენ, ქნარი დავითისა უნდა ჰპყრობოდა, რომ გამოეთქვა აღტაცება.

„შორსა ვარ ჩემი მშობლიური ათენიდან, შორს — ერთადერთი შვილისაგან, მაგრამ მუხებს ვუყვარვარ და მწუხარებას მიმსუბუქებენ“, — ეტყოდა ელიას.

ვითარცა თესლი ნაოშ მიწაში, დვიოდა, გრძნობდა კეშმარიტების ძალას, რომ ვისაც დაცემის საშინელება არ განუცდია, იგი ვერც აღმაფრენის სიხარულს განიცდიდა.

წარმართი ქრისტეანობას ნებდებოდა. ჰომეროსის ლექსით ამკობდა ქრისტეს ცხოვრებას — სწერდა ჰომეროკენტრას, თარგმნიდა ძეელ აღთქმას — მოსეს წიგნს, იესო ნავის, მოსამართლეებს, რუფის წიგნს და დაბადებაში ახალ-ახალ აზრებს აკვლევდა.

იგი სიმშვიდით უსმენდა და სიშინდით უცერდა ყველას. მას უყვარდა ყველაფერი ის, რაც აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

ამ ბედნიერი დღის უკვდავსაყოფად, როდესაც მას შშვილობა დაუბრუნდა, იმ ადგილს, საიდანაც საუკეთესოდ მოსჩანდა უდაბნოში გაფანტული საკნები, სადაც მეფობდა სიწყნარე, ააგებინა ტაძარი წმინდა პეტრესი და ჯაჭვიც თვით პეტრესი იქ მოათავსა.

პეტრესა სწერდა:

„შეურს იმ ხეების ბედი, შენს ტაძარს რომ გარს აკვრია, მშეურს იმ მოლის ბედიც, რომლის ამწვანებასაც შენ მუდამ ელი, ამწვანებული მიწის მაღლიერება კი გავიწყებს უმაღლერებას ადამიანის, მაგრამ ყველაზე უფრო კი შშურს იმ ყვავილების ბედი, შენ რომ დღე მუდამ ეტრფიალები, მათ კი არ იციან, ვინ არის პეტროს და მე მინდა ვუთხრა შენს ლამაზებს, რომ მათ დღეშია დედოფალიც, როცა ესალ-მუნება მას მსოფლიო აზრი.

„რა ვიცოდი, რომ განვება ხელ-ფეხს შებოჭილს, სრულქმნილების წინაშე წამაყენებდა, ახალგაზრდობის გაუშლელ ყვავილს უჩვეულო სურნელებას დაადინებდა, მით დამათრობდა და წუთიერი თავდაფიწყებისათვის განსაცდელს მიმცემდა, მწყურვალე პატიმარს წმინდა წყლის შესმას ცოდვათ ჩამითვლიდა! მეც შესმული წყლის წვეთებს დავაქცევ ცრემლად და ამ ცრემლიანი სიხარულით გავლევ ჩემს გზას, ოღონდ ის

ვრძნობა, რომლითაც ჩვენ უჩინრად შევვერთებულფართ, ჩაოდეს გათაშულიყოს მარადიულისაგან.

„ვრძნობებმაც თურმე უდაბნო უნდა გადაიარონ, რომ მისღწიონ ალთქმის ქვეყანას და დაინახონ, რომ მიზანი გონებრივი და ზნეობრივი სრულებრივი იყო. მაგრავ გამოიყენებაა.“

ერმიტაჟი
გიგანტის მიერთება

თავი ოცდამირთა

მარპიანე

თეოდოსიმ სირცხვილისა და სიმუხთლისაგან თავის დასაღწევად სამელს ხელი წაუწია. აღრე სამელის სუნიც კი არ ეამებოდა, ამა კი ბრუეს ძალით სიმხნევე და შეება რომ იგრძნო, ბევრი უსიამო რამ დაავიწყდა.

იმ დღეს თავს საუკეთესოდ გრძნობდა, ნადირობისას ცხენს მხნედ შეუძახებდა. ზაფხულის მცხუნვარე დღე იყო. ცის უდაბნოში იადონის ქვითინი სმოდა მეუდაბნოეს წინა ღამით სიზმარი ენახა და დილიდან გაიძახოდა:

— კონსტანტინოპოლის დაეცა მართლმადიდებლობა და არის ჭირისუფალი, რომ დაიტიროს.

უკელა მდუმარებით ისმენდა გაურკვეველ ძახილს, თავის უმეცრებას აწერდა, თუ კი რასმე ვერ ჩასწვდებოდა.

თეოდოსის ცხენი დაოთხილი გაჩონდა, ახალ გახედნილი იყო და ეურჩებოდა, მყის განპყროფებოდა მხლებელთა თვალთაგან, ხან აქ, ხან იქ ეკეთებოდა და ერთხელიც რა შესდგა ყალყზე, ლიკას ტალღებს ესროლა თავისი მხედარი. მხლებელთ არ დასთმეს კეისარი მდინარის წასაღებად და უმალ გამოიყვანეს, მაგრამ დაცემისას გადატეხილი ხერხემალი საბედისწერო აღმოჩნდა მაინც.

სულთბრძოლა მოკვდავისა წუთებს ითვლიდა. ავგუსტა იხმეს ევდომიდან. დის ხმამ გრძნობამიხდილი გონს მოაქცია, მაგრამ აღსასრული მის თვალებში უკანასკნელ ზარსა სცემდა, სიკვდილის აჩრდილი წასდგომოდა.

ავგუსტამ მარტოდ დარჩენა ინება მასთან. მისი ფიქრები ერთი წერტილიდან არ იძვროდა, თითქოს უცდიდა, როდის დახუჭავსო თვალს.

მომაჯვდავის გმნივაზე და-ძმობა იღვიძებდა, დას ძმის ბავშვობა ახსენ-დებოდა, სულ ახალგაზრდა, 50 წლისა, განლონით საცხეოსე მიღებდა ამ ქვეყანას, თითქოს არც ეცხოვრა.

თეოდოსი ტკიფილისაგან სიტყვას ვერ სძრავდა, ავგუსტაც არას პკითხავდა, „თქმას ყოველთვის მოასწრებ“, ეტყოდა, მშენებლის ტა-ვად კი შიში იპყრობდა, არავინ მოეხმო ანდერძის ღისატოვებლად, სუ-თი რამ არ დაებარებინა, რაც მის ბედს გზას არ გაუხსნიდა.

— მე ვკვდები, — ძლიერ აღმოხდა მგმინავ თეოდოსის.

აღგზნებულ-ანთებული ავგუსტა შეუცრდა, ევედრა მშვიდად ეთქვა, თუ რამ სათქმელი ჰქონდა, თვალ-ყური კი კარებისაკენ ჰქონდა.

— მე, ულირს წინამორბედთა, შემისუბუქებთ ტანჯვას, თუ მარ-კიანეს მოუხმობთ, იგი შეუნარჩუნებს სახელმწიფოს ძლიერებას.. ამ ნუგაშს თან წავიტან... დიდ ძალაუფლებას დიდი ცოდვებიც ახლავს. არ იფიქრო, თუ ბედით ყველაზე მაღლა დგხეარ, ყველას ჰქონდაც სჯობითარ... ქებას მხილება გერჩიოს, მაღლიერებას — საცვედური.. ეს პორტირა — იაფფასიანი ჩვარია, თვალმარგალიტი კი არა, ეს ზღვის კენჭია. სკიპტრია სიმბოლო ბრწყინვალე მონობისა. რის თქმაც ვერ მოვახერხე, ქვეყნის შემქმნელმა შთაგაგონოთ, ილოცეთ უპოვარისათ-ვის...

და სულთან უღონო შებრძოლებით დასტოვა საზღვრები მიწიერისა. ავგუსტა შეკრთა. როგორ ჩაიგდებს ძალაუფლებას ხელში?

თუ მარკიანეს ტახტზე მოუხმობს, იგი უთუოდ მას განზე დასტო-ვებს და თვალების დასახურავად გაშლილი თითები უმაღ მჯიღად ეკვროდა.

კარი მძიმედ გააღო... და ყველას ცნობისმოყვარე კითხვაზე: „თუ მოასწრო, თუ შესაძლო რაიმეს დაბარება?“, უარის ნიშნად თავს მწუხა-რედ, უსიტყვოდ გააქანებდა.

ტახტის ბედს სამეფო კარი მოუმზადებელი შეხვდა ავგუსტამ ხელი უტაცა სადაცეებს. განკარგულებებს განკარგულებებზე სცემდა ჩვეუ-ლის მბრძანებლობით. მის ხელს შეჩვეულთ კიდევაც გაიხარეს, მაგრამ აქა-იქ გაისმა ხმები: „ტახტს მამაკაცის ხელი ესაჭიროება“.

შესაძლო იყო ავგუსტას წინააღმდეგ შეთქმულებაც მოეწყოთ, კი-დევაც განედევნათ და მაშინ ევდომიც სანატრელი ექნებოდა. თვითო-ნაც იცოდა ბიზანტია მარტოხელა ქალს ტახტზე დიდხანს ვერ მოით-მენდა, ცხადი იყო ისიც, რომ მართლაც, ამ დროისათვის საჭირო იყო მამაკაცი, მტკიცე და ომში ნაცადი მარკიანე კი სწორედ ასეთად გამო-იყურებოდა.

ავგუსტას აზრების ქარიშხალი უტრიალებდა, ხან განწირულების კლდეს მიახეთებდა, ხან ბრძოლით უტევდა, ვიღას დარტალამ ამ აწყდებოდა, რომ უცირად ჩადგა ქარიშხალი და მშვიდობის მხედვები გამოანათა. მშვიდად გადახედა სამეფო კარის შემადგენლობას და ისევ მარკიანეს დააცემდა. მარკიანე ქვრივი იყო, არც თუ სწორი და დასახურისა, ორმოცდათექვსმეტი წლისა. ახოვან მეომარს გაბრტყლი და გამოსახული კიდევ უფრო აახალგაზრდავებდა. ავგუსტამ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი სენატისა და კარის პირად შემადგენლობას; ბევრს შეატრიალ-შემოატრიალებდა, რა აუცილებელი იყო მაინცა და მაინც მარკიანეზე შეჩერება, თუკი ანდერძს არ გაამხელდა, მაგრამ მარკიანე ყველაზე შესაფერისი იყო მაინც. სინიდისმაც უბიძგა და მარკიანეს მოუხმო.

ავგუსტამ მსყიდველის თვალით ახედ-დახედა და შორიდან შემოუარა:

— თეოდოსი დიდად გაფასებდა, როგორც ლირსეულ მხედართ-მთავარს; მეც ვფიქრობ, თქვენში მოვიპოვებ იმპერიისათვის შემწეს და მეგობარს მძიმე საქმეში, მეგობარს განმგებლობაში და არა მეუღლეს, რადგან დავარღვევ რა ფიცს უქორწინებისა სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვის, სიწმინდის აღთქმას არ გულალატებ, რომელიც მე ჩემის ნება-სურვილით დავდე და აზლა იძულებით ვარღვევ.

გამოცდილმა მხედართმთავარმა არ შეიმჩნია გაოცება სიწმინდის აღიარებით, არც აღფრთოვანება გამოუხატავს ქვეყნისათვის თავდადებულის, არც თუ გაურჩვეველმა ავგუსტას ბუნებაში, ნიშნად მადლი-ერებისა, ცალ მუხლმოყრილი ეამბორა. აღუთქვა შემწეობა და მეგობრობა, დაცვა სიწმინდისა, რამაც ავგუსტას ქალური თავმოყვარეობა გამჟარა კიდეც და იმავ დროს ვნებით ალაგზნო მომავალი იმპერატორის შემყურე. არც ეს დარჩა მარკიანეს შეუმჩნეველი.

თავისი საზრიანობით კმაყოფილი ავგუსტა, როდესაც სინიდისიც მშვიდად იყო ანდერძის შესრულებით, დედოფლობის წყურვილიც მოყლული, მშვიდად ისმენდა ნალვიან ფსალმუნების გალობას, კელაპტრების ალის რხევასა და დამდნარი ცვილის ნალვერდალის სურნელებაში.

უცრემლოდ ეთხოვებოდა ბიზანტია თავის კეისარს, მისკენ არც იხედებოდა, ისე იყო შეჭირვებული იმპერიის ბედით.

თეოდოსის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდევ პატრიარქ ანატოლის არ გასცირვებია პირმოთხვე ღიმილით შეესრულებინა ფიცისა-გან განთავისუფლება და ქორწინება. ეს ბედნიერი შემთხვევა იყო მისთვისაც, ავგუსტა სამუდამოდ დავალებული ეყოლებოდა.

მეომრის ტახტზე ასვლით სენატი დიდად კმაყოფილი დარჩა, ავგუსტას გონიერამახვილობამ აღაფრთოვანა, ავგუსტას პატივი და ხლობა მოემატა. „ვინც რა ბუნებისაა, იმნაირსავე ბედს ეწევა“—ო, — მაბობდა ხალხი.

მარკიანესთან ნაპრძოლი ჯარისკაცები გაიხსუნებოდნენ წილაულს წინასწარხედვით:

— როცა მარკიანე სპარსელებთან ოში უბრალო ჯარისკაცად მოვიდა — მაბობდნენ, — მან შესცვალა ჯარისკაცი, რომლის სახელიც იყო ავგუსტი; ბრძოლის დროს მინდორში რომ ჩაეძინა, ფრთაგაშლილი არწივი და შვა და თავისი ჩრდილით მზის სხივებისაგან იფარვიდა; ასევე აფრიკაშიც — მიწაზე გაშოტილს რომ ჩაეძინა განაჩენის მოლოდინში, იქაც ფრთებგაშლილი არწივი მზეს უჩრდილებდა, მაშინ გენერატომა მოიხმო მარკიანე და უთხრა: „არუსპიცის მეცნიერება მაცნობს, რომ შენ ოდესმე იმპერატორი იქნები და არ მინდა ლეთის განგების წინააღმდეგ წავიდე, განთავისუფლებ იმ პირობით, რომ არასოდეს არ იბრძოლებ ჩემ ხალხთან.“

და უკვე იმპერატორ მარკიანეს ჰეშმარიტად ცხებულ მეფედ რაცხდენ.

ერთ და იმავე დროს ლმობიერიც და მბრძანებელიც, მრისხანეც და კეთილიც, არც ისე დაიმდაბლებდა თავს, რომ დაებრიყებინათ და არც ისე ამაღლებოდა, რომ შესძულებოდათ. ომიანობას გაურბოდა, ომი მხოლოდ უკიდურეს გარემოში მიაჩნდა გამართლებულად, მაგრამ როგორც მხედართმთავარი, საომრად მზადყოფნის საჭიროებას მუდამ მოაგონებდა ყველას.

ატტილა გამალებით თავს უყრიდა ჯარს დუნაის ველზე. კაცობრიობა თრთოლვით ელოდა მის გადაწყვეტილებას, თუ რომელ იმპერიაზე შიმართავდა თავის მოუგერიებელ იერიშებს. ზღვიდან ვანდალები იმუქრებოდნენ. თითქოს ზღვა და ხმელეთი შეთქმულიყო რომის სამყაროს დასაქცევად.

პუნებს კბილები დაექრიკათ. თავხედური იყო ატტილას მომართვა ხარჯისათვის და მარკიანემაც მოურიდებლად უპასუხა:

— მე არა ვარ ვალებული თეოდოსის ნაკისრი ხარჯი ვიხადო. თუ ატტილა მომმართავს, როგორც მეგობარს, მე საჩუქრებს ვაფუგზავნი და თუ მომმართავს, როგორც მოხარეეს, დამემუქრება ომით, მაშინ მე მაქვს მისთვის იარაღი და მყავს მასზე არა ნაკლები ჯარი.

ატტილა გააცოფა ასეთმა პასუხმა და ახლა უკვე ორივე სამეფო

კარს — რავენასა და კონსტანტინოპოლს — წარუგზავნა თავისა მომხოვნები:

„ატტილა გაიძულებთ არა მარტო იმ ხარკის გადახდას, რაც ურგება, არამედ იმ საჩუქრების გაღებასაც, რასაც იმპერატორი ჰქონდა და ატტილა გაიძულება და სამამარი მშადყოფნა შეამოწმა. თვალი გადაავლო ქალაქსაც და რა ნახა ახალგაზრდობა გატაცებით პბაძავდა ჰუნებს გარევნობაში, მათებრ უსწორ-მასწოროდ რომ დაიარებოდა, აკრძალა ჰუნების მსგავსად თავის გაპარსვაც, ტარება ვიწროსახელოებიანი და განიერბულებიანი სრული ტანისამოსისა, ნაქარგი ფართო წამოსასხამისა და ფეხსაცმელისა.

ჰუნებმა კი, რა დაინახეს საზღვარზე მედგარი იმპერატორი, შეტორტმანდნენ და იერიში უპირველესად დასავლეთზე მიიტანეს.

იმ ღამეს მარკიანეს სიზმრად ენახა ატტილას გატეხილი მშვილდი — ჰუნების იმედი.

კატალუნის ველზე გაჩალებულ ფიცხელ ოში მარკიანემ დასავლეთელებს ჯარი მიაშველა. გაერთიანებულმა ძალამ ატტილა რომთან დაამარცხა დამარცხებულმა თავის ახალ საკოლესთან მაინც იქორწინა. ქორწილში ჭარბად დამთვრალს რომ ჩაეძინა, ძილში დაიღრჩო.

ატტილას სიკვდილის შემდეგ უმეთაურო ურდოები დაიბნენ. დროდადრო კიდევაც მოაწყლებოდნენ ხოლმე აღმოსავლეთს, მაგრამ საზღვარზე ვერ გადადიოდნენ. იმპერია აღარ იყო მოხარკე, იყლო გადასახალებმა და შვეცარიამ მშვიდად მოისუნთქა.

დაირხა ალექსის პოვნის მშავე და ერთი ახმაურება კიდევ აახმაურა იმპერია — ჩვიდმეტ წელს ედესს ეღვაწნა განდგომილებაში. ერთ დღეს კი, ვითარცა გლოხავი, მამის კარს მოსდგომოდა, თავშესაფარი ეთხოვა, მამის კარზეც ჩვიდმეტ წელს მლოცველად მდგარა და მხოლოდ სიკვდილის დღეს გაიგეს მშობლებმა, რომ მათი შვილი ყოფილა. წერილი უნახეს თავისი ცხოვრებისა, ხელში რომ სკერილა.

ეს ახმაურებაც მაღლ მიწყნარდა.

პატრიარქი ანატოლი შიშნარევი პატივით შესცემოდა მეომარი იმპერატორს და საზეიმო ლოცვებზე მასთან ერთად ფეხით ვიდოდა, აღარ აღლუვდა ნებას ხელით ეტარებინათ.

იმისათვის კი, რომ თვალსაჩინო ყოფილიყო ბაზილევსისა და დედოფლის რწმენასთან ერთსულლოვნება, იპპეიდან კონსტანტინოპოლს დიდის პატივითა და დიდებით გადმოსცენეს ცხედარი ფლავიანესი,

იოანე ოქროპირის გვერდით დაკრძალულ და ამით ერეტიკოსების დაგ-
მობაც აღნიშნეს.

მაგრამ ეკლესიის შინაგანი განხეთქილებანი მაინც ჭრულ ფულების
თუ კონსტანტინე დიდის დროს გაირკვა სამების სულუმლოფებრულუ
გორც სამი ღვთაების პირის ერთარსისა, ახლა უნდა გარკვეულიყო
ხორცულების საიდუმლოება.

ყველგან გაისმოდა ერთ არსები თრი ბუნების თანაარსებობაზე და-
ვა. მთელი ქვეყანა ღვთისმეტყველებდა: მღვდელი თავის კათედრაზე,
მეცნიერი თავის სამყოფელში, ხელოსანი თავის სახელოსნოში, უქმად
მოხეტიალენი საფარდულესა და მოედნებზე. ბურის გამყიდველი ბურს
რომ სწონიდა, გეტყოდათ, ძე დაიბადა არაფრისაგან, თერმებში იკით-
ხადით, წყალი თბილია თუ ცივიო და გიპასუხებდნენ: მამა მეტია
ძეზე.

მაგრამ სწორედ მას, ვისაც ევალებოდა აზრის გამოთქმა, სდუმდა,
ფიქრობდა: ვაი თუ ვეად გაგებულს გამოეწვია ყიჯინა ერეტიკოსებისა,
ერეტიკოსობას თან მოჰყვებოდა დამხობა, დამხობას განდევნა არ ას-
დებოდა და განდევნაში კი შეჩვენებით სიკვდილი ელოდა.

ხალხი კი ღელავდა, მეუფეთ ქადაგებას აწყვეტინებდა, გზად აჩე-
რებდა, განმარტებას მოსთხოვდა და მათ რომ ვერა უხერხეს რა, იჩივ-
ლეს იმპერატორთან.

— ქვეყანა საომარ მზადყოფნაში იყო. ჩისაფრებული სპარსეთი ფხიზ-
ლობდა, ბიზანტიის შინაურ აღგზნებას უთვალოფალებდა. მარკიანეს
სპარსეთისათვის თვალი გაესწიორებინა, მაგრამ გრძნობდა იმასაც, რომ
ხალხისათვის საჭირო იყო განმარტების მიცემა. დასთანწმდა კრების
მოწვევაზე, ხოლო ნიკეაში დანიშნული კრება სიახლოებისათვის ქალკე-
დონს გადმოიტანა.

გზები დაიფარა საზოგადო ეტლებით, სავსე მტკიცე და მერყევ
მართლმადიდებლებით. კრება ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა.

სამზადისის ჩოქჩოლში ვიღაცამ იყვირა:

— ანათემა გარსუმას! ფლავიანეს მკვლელია.

და მთელი ხალხი მისკენ მიიქცა.

დამფრთხალი ხრო ველური ბერებისა გასასვლელს მიაწყდა. გაიქცა
კიდეც, მაგრამ ამბობდნენ, დაეწივნენ და ჩაპჭოლესო, ნახვით კი აღარ-
ვის უნახვეს შემდეგაც.

ამასობაში გამოჩნდა ტრიუმფალური ეტლი, შებმული თეთრი ცხე-
ნების გროთი. გამოცხადდა იმპერატორი.

მარკიანემ კრებას განუცხადა:

— ვესტრები არა იმისათვის, რომ ძალმომრეობა გამოვიჩინო, არა მედ იმისათვის, რომ განვაძტკიცი მეუფეთა გადაწყვეტილებანი.

კრებამ უპირველეს დიօნისკორე და ევტიქი დაამხოუ ჩრდილოებანი. უფლებების სარწმუნოების საკითხების გამოყვლულუქის, უწყეტეს სანდრიის პატრიარქად პროტერი დააყენეს, მაგრამ განხორციელების საიდუმლოება მაინც სადაცოდ დარჩა. ერთმანეთში ერეოდათ ერთარსი, მსგავსება, იპოსტასი, არ გაევებოდათ, რა ეწამათ და რა არ უნდა ეწამათ, მალ-მალ წამოიძახებდნენ: „უფალო იესო ქრისტე, მოეხმარე ჩვენს უგუნურებას“.

მეომარი იმპერატორი მოთმინებიდან გამოვიდა და ბრძანა:

— თუ ეს საიკთხი დღესვე არ მოვარდება, კრებას დახურულად ვაცხადებ.

იმპერატორის მუქარას წყევლა აქარწყლებდა და ახლა ერთმანეთს დაერიცნენ. მაშინ მარკიანემ გააცხადა, — დანდობოდნენ წმინდა მოწამე ევფემიას მსჯავრს.

ქალკედონის კარიბჭესთან ბორცვზე აღმართულ ევფემიას ტაძარს შემოესივნენ. დახურულ ტალანში შთამბეჭდავად გამოიყურებოდა ფილოსოფოსის მუქ წამოსახსამში მბრწყინვალე სილამაზის ახალგაზრდა ქალის გამოსახულება. ევფემიას „აზრი“ მიიღებოდა უცილობელად. პერგამენტის ხვეულები თავ-თავიანთ მრწამისით მეუფეთ ჩასდევს მის ლუსჯუმაში, დაბეჭდეს და მთელ ღამეს ლოცვად დადგნენ.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც სინამდვილეს თვალს უშიშრად უსწორებდნენ და მბრძანებლის ხელს უფრო შეიგრძნობდნენ, ვიდრე ევფემიასი. თავ-თავისი მონასტრებისაკენ გაუჩიქარეს.

დილით კი ეცფემიას ტაძარში საკვირველი რამ იხილეს — ევფემიას ხელთ ეპყრა ერთი ხვეული, მეორე კი ფეხ ქვეშ იგდო უკუგდებული.

მართლმადიდებლურ სიმბოლოდ მიიღეს, რომელიც ხელთ ეპყრა მოწამეს და მრწამისს დაურთეს:

„ქრისტეში უცვლელად, განუყოფალად და შეურწყმელად შეერთებულია ორი ბუნება“.

ამით აღინიშნა ალექსანდრიელთა ოცნების მსხვრევაც.

დასძახეს „მრავალუამიერ სენატს, მრავალუამიერ იმპერატორს“ და, როგორც იქნა, ყველანი დაშალნენ.



ი მ ი უ ს ა ლ ი მ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეოდოსი იერუსალიმელმა პირველმა დასტოვა ქალკედონი. მას თან გამოჰყვნენ მონაზონნი, რომელიც არ იზიარებდნენ ქალკედონის დადგენილებას და პალესტინაში დაბრუნებული ჩიოდნენ სარწმუნოებრივ ღალატზე და ხმამაღლა ყვიროდნენ: „კაც-ღმერთად შექმნეს ღმერთ-ნაკაცარიო“. თეოდოსიმ აღაგზნო დედოფლის გულმოღვინება, რომლისთვისაც სულ ერთი იყო ერთ თუ ორბუნებოვანია ქრისტე, ღრმუში შობილი თუ ზედროული — ეს მხოლოდ ივგუსტის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა და თავს იდვა მღელვარების მოთავეობა.

პეტრე ამბოხებას არ იზიარებდა, იწმუნებოდა, რომ კეშმარიტება კრების დადგენილებებით არ იცვლება, რომ ის, რაც კეშმარიტებას არ შეიცავს, თვით დაეცემა მაგრამ აღნინებულ იერუსალიმს ყური სმენად აღარა ჰქონდა. პეტრე თავადაც გარდუვალ ზღუდეს მისდვომოდა, ფიქრობდა: თუ არ არსებობს ბოროტება, არ არის საჭირო ცოდვის გამოსყიდვა, თუ ცოდვის გამოსყიდვა არ არის საჭირო, ქრისტეს მოსვლაც გაუმართლებელია... ეს კი არამც თუ ერეტიკოსობას, თვით ქრისტეანობის უარყოფასაც ნიშნავდა, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია არ შეიწყნარებდა და მდუმარედ დასტოვა იერუსალიმი, კვლავ ბუნებას შეეხიზნა.

დედოფალი კი თეოდოსის მოსაგრედ იქცა. მან დაუგზავნა მოწოდებანი ყველა იმ მონასტერს, განდევილს, ვინც მისი გულუხვობით ცხოვრობდა. მის ძახილზე ყველა გამორჩოდა მაღლიერებით, თაყვანისცემით, თუ პატივმოყვარეობით. გამორჩოდნენ მორჩილნი სენაკებიდან, ბერები გამოქვაბულებიდან, დაყუდებული მღვიმეებიდან და ეს ბრბო, — ყოველგვარი წარმოშობისა და ჩაცმულობისა, ავსებდა წმინდა ქალაქს ფესანგოვანებით. ლოცვისათვის შექმნილი ბერ-მონაზვნობა ამხედრებულიყო წმინდა ომში საბრძოლველად.

დედოფალი მოუწოდებდა და აქეზებდა საეროთაც. თვით ანაწილებდა და ამოწმებდა მცველებს კედლებზე და კარიბჭესთან, თვით იყო მთავარი დამხდური ქალაქში შემომსვლელთა.

კომიტი დოროთე ამ ღროს მოავიტების ქვეყნის საზღვარზე ბარბაროსებს ებრძოდა, მისი ჯარი ქალაქში არ იყო, მაგრამ გამოჩნდნენ

ჰატრიარქ იუბენალის ერთგულნიც და საიდუმლოდ აცნობეს მისი დაბრუნების აუცილებლობა.

იუბენალს ისეთი არეულობა დახვდა, ეგონა, ბარბარისკებმა პილით იერუსალიმი. ისინი, ვინც ქალკედონის დადგენილებას იცავდნენ, ზოგი გაეძევებინათ, ზოგი მოეკლათ, ზოგიც ოვით გაქცეულიყო, თავის საშველად. როგორც კი შევიდა იუბენალი აღდგომის ტაძარში, მაგ შემოესია მრისხანე სახეები ბერებისა, მყვირალია, შეფრთიანი სიჩრულე ხალხისა, რომელიც ნდობას აღარ იმსახურებდა და არა წმინდად გამოიყურებოდა. იუბენალს მოსთხოვეს უარესო ქალკედონის დადგენილება და ანათემისათვის გადაეცა. ხედავდა იუბენალი, მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო და ანიშნა ხელით თანხმობა. მაგრამ რა შემობრუნდა საკურთხეველში, წარმოსთქვა მათზე შეჩვენება, გადაიცა მონის ტანი-სამოსი და საიდუმლო გასასვლელით კონსტანტინოპოლის გაიპარა.

რა შეიტყვეს იუბენალის გაქცევა, უმაღლ თეოდოსი აყურთხეს პატ-რიარქად იერუსალიმისა, უმაღლ შეუდგნენ გადაყენებას და დანიშნენას ახალ ეპისკოპოზთა.

ამ დროს გარდაიცვალა მაიუმას ეპისკოპოზი. მოცვივლენენ მაიუმელ-ნი და დაეინებით აცნადებდნენ: „ჩვენ პეტრე ქართველის მეტს არავის მივიღებთ“—ო.

უმაღლ მოიძებნა პეტრე. ვით ცოლივით შეშურდა ცხოვრებას პეტრეს მყუდროება და ქარიშხალივით შეიჭრა მასთან. პეტრემ სთხოვა მო-სული, ეცლიათ მისთვის ლოცვა და რა შებრუნდა საკანში, ურდულით გადაირაზა. ერთხანს მოთმინებით უცადეს. შეაგვიანდა და შეშფოთდნენ, ერთმანეთს გადახედეს, მორიცებით გამოეხმაურნენ პეტრეს, კა-რებზეც მიუკაუნეს, მაგრამ ერთმა ეჭვი რომ გამოთქვა გაქცევაზე, ერთბაშად აწრიალდნენ, საიდუმლო გასასვლელები დაძებნეს, ვერ მიაკვლიეს და კარი შეამტკრიეს. შეამტკრიეს და ზღურბლზევე შედრკენ შერცხვენილნი, პეტრე მართლაც ლოცვად იღვა. თავადაც მუხლი მოიყარეს, მაგრამ რა წამოდგა პეტრე და უარი განუცხადა, მაშინ კი ყველა წამოიშალა, გარს შემოეხვია. ხვეწნით და მუდარით რომ ვერას გახდნენ, შეიძყრეს, შეპრეს, ხელში აიტაცეს და ისე გამოიყვანეს.

გზაში ღამის საოვად დაბა სოხასთან შეჩერდნენ. პეტრე მაღლა სართულზე მოათავსეს, მაინც შიშობდნენ არ გაპარვოდათ.

ითხოვა პეტრე:

— გამხსენით მწუხრზე და განთიადზე ისევ შემყარითო.

შეუსრულეს თხოვნა, მაგრამ როგორც კი ყველას ჩაეძინა, პეტრემ იფიქრა ვერავინ შემომხედავსო, გაქანდა სარქმლისაკენ: „თუ მოვკვდე-

ბი, ხომ კარგი და დასახიჩრებული მაინც უვარებისი ვიქნები საეპისკოპოზოთაო” და ვიღაცის მძლავრმა მკლავებმა შეიძყრო: „არ შვრებიო”, დაუძახა.

ისევ შებოჭეს, ისევ გარს შემოუსხლნენ.

დალლილ პეტრეს ჩასთვლიმა და ეზმანა ქრისტეშინაშეცეტებს „შემთვის”: „არ გექნება წილი სამკვიდრებელსა ჩემსა, ჟულიუს მისი კრისტეს ცხოვარნი ჩემნი“.

პეტრემ დააღო თვალები, მიიხედ-მოიხედა, არავინ იყო. უცებ გაახსენდა მითრიდატეს თხრობილი ნაზიანზინელის კონსტანტინოპოლის პატრიარქად იძულებით კურთხევისა, როდესაც მას მტრულად ხვდებოდნენ როგორც უცხოელს და შორს მდგომს ბერძნებისაგან. და ინუგეშა თავი იმით, რომ ნაზიანზინელივით ერთ დღეს თვალიაც დასტოვებდა ტახტს, დაუბრუნდებოდა თავის სიმყუდროვეს, თავის აზრებს, წიგნებს და სიყვარულით, ველრებით შემყურეთ თანხმობა მისცა.

ამ ფიქრებით მიგვარეს თეოდოსის იერუსალიმში, საღაც უკვე თავი მოეყარათ წარჩინებულთ, მოძლვართ, რათა მიეღო პეტრეს მეუფება მაიუმას სამწყსოზე.

თეოდოსის სახე გაუბრწყინდა პეტრეს დანახვაზე, მას კარგად ეს-მოდა პეტრეს ლირსებების მნიშვნელობა და ღიმილით აზრახა:

— არ ივარგებს შენი ხუცად დატოვება.

— მე არ ვფიქრობ, რომ რაკი არ ვარგივარ ხუცად, დაბადებული ვარ მეუფება, — შეავება პეტრემ სიტყვა და რა ნახა თეოდოსის მხოლოდ გაეღიმა, პირდაპირ განუცხადა:

— არა ვარ ლირსი ამ დიდი წყალობისა, ფრიად ცოდვილი ვარ.

— არავინ არს წმინდა ბიწისაგან. შენ იქნები ეპისკოპოზი მაიუმისა, — ბრძანებით თქვა თეოდოსიმ.

— მე მწვალებელი ვარ, ერეტიკოსი, — ამხედრდა პეტრე.

თეოდოსიმ გაევიტვებით შეხედა:

— ჩემი სარწმუნოება, ისევე როგორც შენი სარწმუნოება, ქრისტესათვის ცნობილია. ჩემსა და შენს შესახებ მსჯავრი დაიდება ქრისტეს სამსჯავროს წინაშე.

მაშინ შეშფოთებულმა პეტრემ თქვა:

— ღმერთმა დამითაროს, რომ მე მწვალებელი ვიყო, ერეტიკოსი არა ვარ, მაგრამ ცოდვილი ვარ.

— ქრისტე არს ჩვენს შორის, — თქვა პატრიარქმა თეოდოსიმ.

— არის და იქნება, — თქვა პეტრემ.

თეოდოსიმ ხალხს მიმართა:

— ვაქებ რა პეტრეს, ვაქებ სათნოებას, ვაქებ რა სათნოებას, ვფიქ-
რობ პეტრეზე. ვის, თუ არა შენ, — პეტრეს მიუბრუნდა, — მოგონილოს
სწეული ეკლესია, ვის, თუ არა შენ, თანამოსაგრესა და თანამოსაგრესა
სიწმინდისა ცხოვრებისა, მოგმართოს გზააპნეულმა? ვინ, თუ არა შენ,
ყველაზე უწინ დაინახოს, რა უნდა ამოქმედდეს ქვეყნის დასამუშაოებ-
ლად?...

მაიუმის მთავართ კი ეტყოდა:

გვიგვილელი

— კეთილსა მწყემსსა მოგცემთ თქვენ უფალი ღმერთი, დაემორჩი-
ლეთ მას, ვითარცა ქრისტეს და შეუდექით ყოვლითა სულითა თქვენი-
თა.

მაიუმა ეგებებოდა კერეონებითა და ქებითა, გალობითა და შესხმი-
თა, ვზას დაუფენდნენ რტოებითა.

ენოს ღაზელი ხელვაშლილი შემოეგება: „იხარებდეს ცა, უხარიან
მიწას“, იტყოდა.

პეტრემ ხალხს სიტყვით მიმართა:

— მეუფენი უნდა იყოს მაგალითი ყველა სხვა ქრისტეანეთათვის,
იგი უნდა იყოს არა მარტო უმანქო, არამედ ისტრაფვოდეს სათნოებათა
სრულქმნილებისათვის. ვინ აღწერს, რაოდენ დიდი უნდა იყოს ცოდნა
ადამიანის სულისა, რა ღრმად უნდა ესმოდეს მას ყველა ქრისტეანული
კეშმარიტება, რა დაუცხრომელი უნდა იყოს მისი გულმოდგინება!
იდექით მტკიცედ მართლმადიდებლურ გზაზე. ზრუნავდეთ ხორცისა
და სულის სიწმინდეზე, რომლის გარეშე ღმრთის ხილვა შეუძლებე-
ლია. ერიდეთ ზედმეტ თავისუფალ ლაპარაკს შინაურებთანაც კი, რად-
გან ზედმეტი თავისუფლება აღაგზნებს ვნებათ. ღმრთის წვდომისათვის
კი მთავარია დუმილი და არა ღალადისი... უპირველესად მოვიგოთ სიყ-
ვარული, სიძდაბლე და სულგრძელობა. უძრავსა, შურიანსა, ცილის-
მწამებელსა, სხვის განსაცდელით მოხარულსა, შფოთის ჩამოგდებსა,
ბოროტად შუამავალსა, ღვთის მაფიცარსა და მქცევარსა, ქრისტეანი
ვარო არ ეთქმის. ის კი არ იდიდების, ვინც თავს იდიდებს, არც
ის, ვისაც ხალხი ადიდებს, იდიდების ის, ვინც ადიდებს...

მაიუმა ამ ტაბილ სმენაში იყო, დოროთემ რომ ბარბაროსები გააქ-
ცია მოავიტების ქვეყნიდან და გამარჯვებული მოადგა იერუსალიმის
კარიბკეს.

დედოფალმა მოსთხოვა დოროთეს, პატივი ეცა ყველაფრისათვეს,
რაც მის იქ არყოფნისას ბერების კრებას და იერუსალიმის ხალხს
დაედგინა.

დოროთეს არ უნდოდა წმინდა ქალაქში სისხლის ღვრა. დედოფალს

პასუხი არ გასცა და უსიტყვოდ გაბრუნდა. კონსტანტინოპოლიც გრძნობდა, რომ პალესტინის აღზენებული გონიერი საქართველოს უფრო დანდობას და მარკიონემაც ჯარის მაგიერ წერილი გამოვალანა, წერილი კი თითქოს ხმლით იწერებოდა. ეს ხნიერი ჯარისკაცი, ბაზილესი რომის იმპერიისა, რომლის წინაშე ატტილა უკან იხევჭა, წერტილებულურ ახსნა-განმარტებებს აძლევდა უმეცარ ბერებს უდაციტესობის ქუმა ამბოხებულთა მიმართ:

„მე ხალისიანად გაპატიებთ თქვენ, — სწერდა, — მაგრამ იმ პირობით, რომ ამიერიდან გაიწაფებით მხოლოდ ლოცვაში და თქვენს მიერ დადებულ აღთქმაში.

უკელაფერი თქვენ ჩაიდინეთ არა იმისათვის, რომ გინდოდათ სარწმუნოების დაცვა, არამედ იმისათვის, რომ თქვენ იღვწოდით სამღვდელო თანამდებობისათვის, რომლის ღირსიც თქვენ, რა თქმა უნდა, არა ხართ, რისთვისაც თქვენ პასუხს გასცემთ ქრისტეს.

თქვენ ამბობთ, რომ მოძლვერებამ ორი ბუნების შესახებ გაგაოცათ მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენი საქმე არ არის ქრისტეს ბუნების გამრკვლევა, რადგან თქვენ არა გაქვთ უნარი ასეთი ფაქტიზი საგნის გაგებისა. ჩევნც არავის მოქცევა არ გვინდა ძალადობით ჰეშმარიტების გზაზე“.

დედოფალი მარცხს უდრტვინველად და მშვიდად შეხვდა, რამეთუ მან გააქვთა ყველაფერი, რაც ძალუძღა და თითქოს ჯერ კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა. თხოვნა და მუდარა ქალიშვილისა, ვალენტინიან მესამისა, თვით იმპერატორ მარკიონეს რწმუნება — ჩამოსცილებოდა ერეტიკოსებს და დაბრუნებოდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას, უშედეგო რჩებოდა, რათა დედოფალს არ სურდა მომნანიებელი დამნაშავე ყოფილიყო იმ საბრძანებლის წინაშე, რომელსაც ოცი წლის მანძილზე განაგებდა და უთვლიდა:

„მე მართლმადიდებელი ახალოდეს კუოფილვარ, არც გავხდები და, თუ წირმართმა ერეტიკოსობა მივიღე, ეს დიდი მიღწევაა ჩემთვის“.

დედოფლის ერთადერთი ლოცვა იყო: არ გაიხაროს მტერმა ჩემზე-და. ეს მტერი კი იყო მხოლოდ ავგუსტა.

მარკიონეს წერილს თან მოჰყვა ბრძანება: უსისხლოდ აელოთ იერუსალიმი, შეეპყრათ თეოდოსი, იერუსალიმის ახლად ნაკურთხი პატრიარქი, განედევნათ მის მიერ დაყენებული მეუფენი, დაესაჭათ მათი თანამოაზრე მონაზონნი თუ საერონი; დედოფალზე კი, როგორც ამბოხების მოთავეზე, იმსჯელებდნენ საგანგებოდ. ავგუსტას საიდუმლო განკარგულებით პეტრე ქართველი ხელშეუხებელი იყო.

მოვლენები ერთმანეთს დიდის სისწრაფით სცვლიდნენ. დოროთეს ჯარებით ალყაშემორტყმული იერუსალიმი თავის დაცვაზედა ჩატუნიადა დედოფალი მომავლის ამოსაცნობად სიზმარივით უამჯრალ წორტულის დღეებს ჩაჰვირებოდა. დიდებაც და შერისხვაც მას დაუმსხურებლად მიეღო, ცხოვრებას თითქოს ბრძად ასდევნებულები უკუჭაშების ბედნიერება შემორჩენილიყო და შერისხვის სტრუქტურულებულები. სამუდამოდ თვალთაგან მოფარებული თეოდოსი ახლა მის გულს მიახლებოდა თეოდოსის შოსიყვარულე თვალები, ოდნავ გაღიმებული, სწორედ ისე უცქერდნენ, როგორც პირველ დღეს. მისი სიკედილის დღე ღარიბთა საგოდებელზე გაეტარებინა და ახლაც იქ მოესურვა ჩამოჯდომა. კრთებოდა მიცვალებულებთან საუბარში: „დღეს შენა ხარ ისე, როგორც მე ვიყავი გუშინ, ხვალ კი შენ იქნები ისე, როგორც მე დღესა ვარ“. „სიკეთეს ჩავდივართ და გვსჯიან, დასჯილნი კი ვხარობთ, რადგან რამდენად დიდია სასჯელი, იმდენად ძლიერია უკვდავების იმედი. ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ ვამდიდრებთ ქვეყანას“, — ეპიტაფიით იუწყებოდა მიცვალებული. ბალათით დაფარული სისაფლაო უამთა სკლისაგან დალერილი ლოდებით სიახლესაც გამოსთქვამდნენ. არ ტყდებოდა დედოფალი, დროის ხელს გადაეწმინდა ცხოვრების მტვერი, მხოლოდ სიკეთე ულვარებდა აზრის სანთელად და თუ სიკეთე და ქრისტეს სიყვარული საწინდარი იყო მარადიული ცხოვრებისა, იგი მას მოიძოვებდა.

მარკიანეს მუქარით შეშინებულმა ხალხმა თეოდოსი იერუსალიმელი, წინა ღამესვე, სინას მთაზე გააპარეს. სინას მთაზე ამოსულიყო ელურიც. მაუმაც და ღაზაც ამბოხებას მოეცვა. ხანძრისა და უწესრიგობის მსხვერპლი შეიქნა სევერო — სქიზოპოლელი ეპისკოპოსი. მხოლოდ პეტრე იყო მაუმაში დამშვიდებით გამოკეტილი. მხოლოდ სევეროს სიკედილით შეძრწუნებული გამოსულიყო სენაკიდან და, რანახა მრავალი მოკლული და წამებული და შეიტყო იერუსალიმის ბედი, მეფის მოხელეებმაც პირმოთხე და დაბალი სალამით რომ აცნობეს ავგუსტას ბრძანებით მისი ხელშეუხებლობა, პეტრე აღმფოთდა, თითქოს ქრისტემაც გულში ჩახედა და უსაყვედურა: „მე, ჩემს ერთგულ მსახურთა სახით მდევნიან, შენ კი მშვიდ ფიქრებში ხარ ვართული“. შინაგანი ძახილით აღვზნებული, აღსავსე სინანულით, თეოდოსისთან, სინას მთაზე გაქცევს ლამობდა. ვიწრო ქუჩით მიმავალს მოწაფე შემოხვდა, რომელიც ქალგედონის მწვალებლობით იყო გალვივებული, პეტრეს ფეხებში ჩაუვარდა, მიესალმა და კურთხევა მოსთხოვა. — შენ ის არა ხარ, სარწმუნოებას რომ იცვლი? მოვიწვი ზეციურ ცეცხლს,

რომ დაგქანცოს შენ, — უნდოდა ეთვეა პეტრეს, მაგრამ ასეთ დროს
მოერიდა და აკურთხა. იმ ღამეს კი სიზმრად იხილა მინდოორ, ჩადაც
თავი მოეყარა ყველა წმინდანს, მათ შორის იდგა ქრისტი. თავუანი სკა
პეტრემ ქრისტეს, ხოლო ქრისტემან პირი იბრუნა და ვიდორ ყველა
წმინდანი არ ევედრა ეპატიებინა პეტრესათვის, მისკენამ შემძლებელია.
პეტრემ გაიხსენა ნისელის სიზმარი. ნისელს მთელზე წლეჭრების წმინდა-
ნებისა აღუდგა, რომ არ დაეშვათ დღესასწაულზე, რომელზედაც არ
წისულიყო წინა ღამით და მხოლოდ ერთი წმინდანის თხოვნით გადა-
ურჩა ქრისტეს რისხეს. თუ ნისელი შიშს მოექცია, პეტრე წმინდანე-
ბის ლმობიერებას უნდა გამოეფხიზლებინა.

— უდაბნოში, უდაბნოში, შორს ხალხის მაცდურებისაგან, — ამ-
ბობდა და სინას მთისაკენ მიიჩქაროდა. სინას მთაზე კი მოელოდნენ
მის გამამხნევებელ სიტყვას, ვით მზის ამოსელის.

— მილანის ედიქტს ნუ დავივიწყებთ. მასში კველა თავის ღმერთს
ხედავს. ნუ დავივიწყებთ კონსტანტინე დიდის თანარსს, პომოუსიოს,
დავემაყოფილდეთ მით, რადგან წმინდა სამების საიდუმლოების გაება
ალემატება უნარს ადამიანის გონების. მხოლოდ უგუნურებას შეუძლია
გაბედოს გამომიება იპოსტასისა. ჩვენ, რომელთაც გაგვჭირვებია შეც-
ნობა საკუთარი თავისა, უგუნურთ—თავის უგუნურებითა, გვაქვს განა
უფლება, ვიკვლიოთ ხორცშესხმის საიდუმლოება?

თქვენ თვალნათლივ დაგინახავთ, თუ როგორ დაცვივა შემოდგომის
ფოთლებივით, რაც კეშმარიტებს არ შეიცავს, — იტყოდა პეტრე სი-
ნას მთაზე ასვლისას.

თავი თცდამ ესამე

აღმასანდრია

გულდამძიმებული, იმედგადაწურული დედოფალი იატაქს ჩაშტერე-
ბოდა, როდესაც მის საეპისტო ცნობამ იელვა: სრულიად ჭანმრთელი,
55 წლის ასაქში, ავგუსტა პულქერია უეცრად გარდაიცვალა.

დედოფალმა მტრედის თეთრ კისერს წერილი ნატვრის თვალივით
შეხსნა, პირჯვარი გადაისახა, სასწაულის წინაშე იდგა. ავგუსტა გარდა-
იცვალა სწორედ იმ დროს, როდესაც შეეძლო ეზეიმა მეტოქის დაცე-

მით, სამსჯავროს წინაშე წაყენებით, შეეძლო პეტრეს იძულებით ვა-
მოხმობა, როგორც მწვალებლისა. ახლა კი მშვიდობის ხაყენის ხმა
ესმოდა დედოფალს, ხმა, რომელიც სულ უფრო და უფრო გარევებით
ისმოდა, ამხელდა წარმავლობას, უსუსურობას ამა ქვეყნის გატაცებათ.

დედოფალი გარინდებული მოვიდა ტაძარსა წმინდაზე უდინდებული ტა-
რონელისა და სამოებით ლოცვას ოღველენდა: გვიპირებული

„უფალო, მე აღვსდექი იმისათვის, რომ შემსკენ წამოვსულიყავი, მე
ვეძიებდი იმისათვის, რომ შენ მეპოვე, მე შევიყვარე მხოლოდ იმისათ-
ვის, რომ შენ შემეცნე. ის, რაც შენ პეტრეს დაბადებითგან ღიმილით
მიანიჭე, მე მოვიპოვე მძიმე შრომით, მრავალი ფიქრითა და განსჯით.
მწამს ქრისტე ღმერთი, ჩვენთვის ჯვარცმული და მესამე დღისით მკვდ-
რეთით აღმდგარი“.

ეს იყო პირველი ქრისტეანული ლოცვა დედოფალისა. მაღალ ფიქრს
შექსოვილი სიდარბასისლე მიწიერ ცნობისმოყვარეობას სტოვებდა სა-
მუდამოდ. მას განუსჯელი რწმენა დაუფლებოდა. კიდევ და კიდევ შეს-
თხოვდა ამასიელ მოწამეს: „უმშვენიერესო და უდარესო, მოეხმარე
ჩემს ურწმუნობას“.

დედოფალი შავი სამოსით და მას ზედა ჯვრით, ჩვეულებრივ მლოც-
ველად გამოიყურებოდა, თუ მის მეფურ სახეს არ დაინახავდნენ.

ავგუსტა პულქერიას გარდაცვალების ამბავი სინას მთაზე აღრევე
გაევოთ. დევნა მეტად სასტიკი იყო ერეტიკოსებისა, რომელნიც იფან-
ტებოდნენ. პეტრე და ელური ეგვიპტისაკენ წამოვიდნენ.

ვარსკვლავებით მოჰედილ ცაზე უმშვენიერესი იყო უდაბნო —
მონასტრების შუქი კამპამებდა. თენდებოდა და ვერცხლისფერ არტე-
მიზიით დაფარული ევფრატის ნაპირები ბუჩქებისა და ბალახის საამო
სურნელებას აფრქვევდა. ცაში ატყორცნილ ხეებს შორის დაკლაკნილი
ლიანები და აყვავებული ეპიფატები, ქოქოსისა და ბანანის წარაფები,
მწვანე თალებქვეშ პალმების ვეებეროლელა მარაოები, მანგოს დიდებუ-
ლი ხე, კეთილსურნელოვანი პალმა, ზეთისხილი, ვეებერთელა ხეები —
მძიმე ნაყოფით ტოტებდაშვებული, ავიწყებდათ საწუთოს ჭირ-ვარამს.
ბუნების სიუხვე და სიმდიდრე საწყალობლად აჩენდა ადამიანებს, რო-
მელნიც სდევნიდნენ პეტრესა და ელურს აზრებისათვის, უდაბნოშიც
არ აყენებდნენ, რომ ედიდებინათ იგივე და ერთი ღმერთი.

მეწამული ზღვის ჭიათურან ნაპირებს რომ ჩაუარეს, პეტრე პაპირუსს
შეაჩერდა, აქევე კალამუსს ხედავდა, ლოტოსს. განსაცვიდებელი იყო
ყველაფერი ეს ერთად, თითქოს ბუნება ადამიანის ენაზე ალაპარაკებუ-
ლიყო.

პეტრეს ცოცხალი აზრი არწივივით თავს დასტრიალებდა და თუ არწივი მარკიანეს ქვეყნის მეფობას უქადღა, პეტრედ ხმობილ ტეკვანს აზროვნების მეუფეობას მიანიშნებდა.

შეებით სუნთქვდა ბუნების მეჯლისში, ცას გახედავდა — ცა იყო კრიალა ლაქვარდი, ისეთი, როგორიც მხოლოდ ჯე! შემძლუბნებდა ყოფილიყო.

შემთხვევით არ რგებოდა მისრეთის ქვეყნის მემატიანეობა და, თუ საბერძნეთი და რომი თავისი კულტურის საუკუნეებს ითვლიდა, ეგვიპტის ისტორიის სიღიადე ათასწლეულებს მოიცავდა.

ქვა გამოიტყოდა ცხოველმყოფელობას მშენებელებისა. უცხო რამ ჰანგები გაისმოდა, მყუდრო ნათელი სუფევდა. უდაბნოს სილებში ამაყად აღმართული პირამიდები უგულვებელპყოფელნენ დროის განმანადგურებელ ძალას. გარიერებულება ვარდისფრად ბრწყინვალე მემფისის პირამიდები, მზის ჩასვლისას, ცეცხლოვან ცაზე შავად მოსჩანდნენ-ხეობსის პირამიდა წინაპართ გოლიათობას იუწყებოდა, სფინქსს ეღი-მებოდა ადამიანის უსუსურობაზე, მის წინაშე კიანჭერელად რომ მოს-ჩანდა. დიდებული იყო ფივა თავისი სფინქსების უგრძესი ხეივანით. „მკვდრების ქალაქი“ „ცოცხლების ქალაქზე“ ცხადად ლალადებდა სიცოცხლის მარადიულობაზე.

და როდესაც პეტრე შეაზიდულ ტეგლებს, ვით საოცრებას, გაჟყურებდა, ელური ღიმილით ეტყოდა:

— განა შენ თვით არ ხარ ყველა საოცრებათაგან საოცრება!

უდაბნოდან ცხელმა სამხრეთის ქარმა დაპბერა, ქვიშიანი ქარიშხალი იმუქრებოდა, სილისა და მტვრის ღრუბლები ცასა და მიწას ფარავდა. გრიგალის მოახლოვებისას ყველა ცხოველი თავშესაფარს ეძებდა — შავი, მომწვანო მორიელი, რომელსაც ყველა გაურბოდა, ახლა თვით იმალებოდა კედლის ნაპრალში, მხოლოდ ფიქრის ფალმა ხვდებოდა მედგრად შემოტევას და პეტრესა და ელურს არ აღონებდათ თავზე მცხუნვარე მზე და ფეხქვეშ გახურებული სილა.

ალექსანდრის მოვიდნენ.

ვზიაჯვარედინებზე ბრმა მათხოვრები უძველეს ფარაონებზე გალობდნენ. ალექსანდრის მზის კარიბჭის ჩრდილში კი უამრავ მათხოვარს შეეფარებინა თავი. ეკლესიებში წირვა-ლოცვისას გაქანებული ვაჭრობა მიღიოდა.

სარაპისის ტაძართან შეიცადეს.

— როდესაც მეფე პტოლემაიოსს ალექსანდრის კედლები უშენებია, — ამბობდა ელური, — სისმრად უნახავს უჩვეულო სილამაზის

ჭაბუკი, რომელიც მოსთხოვდა ჩამოეტანა პონტოდან სპარაპისის ქანდაკება, რაც მათ ბედნიერებას მოუტანდა. ასეთმა წინაშარზე ფრემ მეფე პტოლემაიოსი შეაშფოთა, გაიკითხ-გამოიყითხა ქურუმებში და ცერავინ უთხრა რამ ნიშანდობლივი, დროც გადიოდა და ნიზარიც სავარაუდო მიეცა. მაგრამ ჩვენება კვლავ მოევლინა, უკვე მოსხიანებით, აუწყა მის სამეფოსა და თვით პტოლემაიოსის დაღუპვა, თუ არ შეასრულებდა მის ბრძანებას. მაშინ გაგზავნა პტოლემაიოსმა ელჩები ძლვენით სინოპეს მეფე სკიდროთემიდთან წამოსალებად ქანდაკებისა. სკიდროთემიდი საგონებელს მიეცა, ღვთავბისა და ხალხის შიში ჰქონდა, საჩუქრებზეც თვალი მისდიოდა და რა ელონა, აღარ იცოდა. მაშინ მრისხანე ჩვენება წარსდგა თვით სკიდროთემიდის წინაშე, მოითხოვა მისგან სინათლის ღმერთის ნება-სურვილის შესრულება და რადგანაც სკიდროთემიდი მერყეობდა, მას თავს ატყდებოდა ათასგარი უბედურება. შეპყარა ხალხი სკიდროთემიდმა და ყველაფერი აცნობა. ხალხს შური აღეძრა ეგვიპტისადმი, ღვთის შიშიც იპყრობდა და ლოცვად დაემხობოდა. მაგრამ არავითარი გამოცხადება არ ჰქონდათ ქანდაკების დასატოვებლად. მაშინ ეგვიპტელებმა თვით მოხსნეს ქანდაკება და ზღვის ნაპირთან მიიტანეს. — ზღვიდან კი, — ამბობდნენ სინოპელები, — ქანდაკება თვით გადავიდა ხომალდზეო. პტოლემაიოსმა რა იხილა ქანდაკება, უმალ იცნო სიზმრად ნახული სარაპისი, ღმერთი სინათლისა. მაღლობა შესწირა განგებას და აავო ეს შესანიშნავი ტაძრი.

პეტრე დიდხანს იდგა ტაძარში, თითქოს სამშობლოდან მოსულ მაცნეს უცქერდა. მასაც ხომ ღმერთი სიკეთედა და სინათლედ წარმოედგინა, სამშობლოზე ფიქრებმა მოიცავა, დევნას შეებად განიცდიდა, სამშობლოსათვის ფიქრებში დღეებს დალევდა. დევნის წყალობა იყო, რომ დღეს ამ ტაძარში სამშობლოს სურნელებით ტკბებოდა.

ეგონათ, ეგვიპტეში მშეიდობა დახვდებოდათ, მაგრამ შფოთიანი სიმრავლე ხალხისა არაშინდად გამოიყურებოდა. თავი ელეფანტინოს შეაფარეს. აღარ იყო ავგუსტის მფარველობა და პეტრეს ძველსა და ახალ ინგარიშებს ერთად გაუსწორებდნენ, მოსაკლავად არ დაინდობდნენ. ეგვიპტელნი შფოთავდნენ დიოსკორეს დამხობით და პროტერის მის ადგილზე დაყენებით, ელური ეწადათ თავიანთ მეუფედ და გამალებით ეძებდნენ.

ელურს კი დიდება მეტად აშინებდა, ვიდრე დევნი და პეტრესთან ერთად საიდუმლოდ აღვილიდან აღვილზე გადადიოდა ალექსანდრიის მიდამოებში, სადაც მიმალულნი მათი თანამშრახველნი სიხარულით

და სიყვარულით ხვდებოდნენ. მათი სიტყვა გაქვავებულ გულს აძირდავებდა, ბიწიერებისაგან განწმენდდა ბოროტს, შემართულ იარაღს ხელიდან გაავდებინებდა. იმედოვნებდნენ, ხელისუფალთა კავშირებდნენ და ეცვათ ჭეშმარიტება.

ტანად მოჩინილი, საოცრად გამხდარი ელური, ჰუშჩკრატი პალერის განასახიერებდა. თავისი ღვაწლმოსილებით დადად სახელგანთქმული, ერთ დროს იძულებით გამოხმობილი განდეგილობიდან, პრესვიტერად იყო ალექსანდრიის პატრიარქისა. ბუნებას უხვად და ეჯილდოვებინა შთავონებისა და სიყვარულის უსაზღვრო მგზნებარების უნარით.

ალექსანდრია ღელავდა. სიძულვილი პროტერის მიმირთ აშკარა იყო მღვრიე და მერყევი ბრბო თავისი უწესრიგობით მრისხანედ გამოიყურებოდა. აღდგომის წინა დღე იყო. ბავშვებს ნათლავდნენ. ელურთან მრავალი ბავშვი მოეყვანათ, პროტერთან კი მხოლოდ ხუთი და როგორც კი მიიღო პროტერმა ხელდასხმა, ტიარა დაიხურა, საშინელმა ხმაურმა დაარღვია ცერემონია. ჩოჩქოლით, წყევლით, დიოსკორეს მომხრენი ეცნენ ტაძარს. ქვებით, კეტებით, ცულებით თავს ესხმოდნენ პრეფექტურასაც და მაღა მთელი ქალაქი ამბოხებამ მოიცვა.

ხელისუფლებამ პროტერს შეიარაღებული დაცვა დაუყენა — აღმოსავლეთის პატრიარქი წირვა-ლოცვას ჯარისკაცების დაცვით ასრულებდა, იმ ჯარისკაცებისა, რომელთაგან მრავალი წარმართი და ურწმუნო იყო. მოხდა საშინელი არეულობა, იელვეს მახვილებმა, მხის სხივის ანარეკლი ათამაშდა სპილენძზე რომაულ შუბებისა, მუზარადებისა და ფარებისა. გაისმა საზარელი ღრუიალი რეინისა და რომაელმა ლეგაონერებმა იშიშვლეს ხმლები. ხმლები სერავდნენ ჰერს და კაფავდნენ აღმიანებს, სისხლში და ცეცხლში ინათლებოდნენ. ბრბოს ღრიალსა და ყიეინაში მშვენიერი ალექსანდრია შემზარავი ხდებოდა. რაზმის უფროსი დიონისე ამ დროს ზემო ეგვიპტეში იყო და ჯარი უმეთაუროდ დაიბნა, მოძალებულმა ბრბომ დაახევინა, დაახევინა და თავის საშეელად გააქცია, გაქცეულებს მისდია და დანქრეულები სერაპისის ტაძარში შეცვიდნენ, გამაგრდნენ შიგნიდან. ბრბომ შიგნით რომ ვეღარ შეაღწია, ალყაშემორტყმულ ტაძარს ცეცხლი წაუკიდა. ლეგიონი ცოცხლად იწვოდა. იწვოდა სარაპისიც და მისი ალი საეპისკოპოსოსაც წვდებოდა. პროტერს ჩამოხეოდა ანაფორა, ეპიტრახილი და ვერდშიც რომ მახვილი ჩასცეს, უსულო გვამს ბრბო დაეუფლა. გვამი იპოდრომზე ცეცხლს მისცეს, მისი ფერფლი კი ქარს მიპქონდა. ბრბოს ღრიანულმა ქუჩები წალუკა, მიწაც ღმუოდა თითქოს, რომ შეესავით ელურმა შემოანათა. ხელ-ფეხშეკრული მხარზე გაედოთ, რაკი ნებით არ

მოპყვებოდა, მიწაზე ფეხიც არ დააკარებინეს, ისე შიცყვანის ურდე ეკლესიაში „კეისარისა“. შურისძიების ღრიანცელს სიხარულიც ურია-მული სცვლიდა, როდესაც ასევე იძულებით პეტრე და ეგვიპტელ მოყვანათ და დიდის ზეიმით აკურთხეს ელური ალექსანტონის პატიოარ-ქად ეპისკოპოზმა მაიუმისა — პეტრე ქართველმა ზაჟ-კარისკოპოზმა პელუზიისა — ევსევმა.

გაიხარა მოსახლეობამ და ბერობამ, ხოლო გაბოროტებულ ხელი-სუფალთ და პროტერის თანამზრახველთ აფრინეს მაცნენი კონსტან-ტინოპოლის:

„ძლივს ერთმა დღემ განვლო, — სწერდნენ მარკიანეს, — რაც საყ-ვარელი პროტერი საეპისკოპოზო სახლში იყო, რომ ელურმა წაიყვანა თან ორი გადაიყენებული ეპისკოპოზი, რომელნიც სექსორიაქმნილი იყვნენ და მიიღო მათგან ხელდასხმა. ევგიპტის დიოკეზიდან კი არც ერთი ეპისკოპოზი არ ესწრებოდა, რაც წესით დაუშვებელია“.

მაცნენიც თავის მხრივ ელურს ჯალათად სახავდნენ, ამბობდნენ — ტახტს „ყაჩილურად მართავს, არა აქვთ არაეითარი სამღვდელო ლირ-სება, და ნათლავს, შეურაცხყოფს მათ, ვინც ქალკედონის კრებას მხარს უჭერს“—ო.

მარკიანემაც სასჯელი არ დააგვიანა და ორი ათასი ახალწვეული შემოერტყა ალექსანდრიას. ახალწვეულები ალექსანდრიილების ცო-ლებსა და ქალიშვილებს დაერივნენ, მოსახლეობა მთლად გაშმავდა. ბრძანებაც ბრძანებაზე უსასტიკესი მოდიოდა. დანაშაულისათვის სა-ჯაროდ ჯოხებით ისჯებოდნენ ხალხიც და ახალწვეულნიც, იწვოდა ერეტიკული წიგნები, შეწყდა ალექსანდრიისათვის უფასო პურის გა-ცემა, დაიხურა თეატრები, თერმები, უეცრად დაბრუნებულმა დიო-ნისემ კი ელური ღამით ქურდულად დააპატიმრა.

დაპატიმრება ეგრე არ უნდაო, და ისეთმა ალრევამ იფეთქა, რომ ბრძო მმართველებს ქვებს უშენდა, ყველგან ცეცხლის ალი ბრიალებ-და. დიონისე იძულეს ელური გაენთავისისუფლებინა. ახლა კი ელურის დაბრუნებამაც ვეღარ უშველა საქმეს. ალექსანდრია შფოთავდა იმპე-რატორის სასტიკ ბრძანებაზე და ემუქრებოდა კონსტანტინოპოლის პურის მიწოდების შეჩერებით.

ამაზე მარკიანემ გასცა ბრძანება:

„პური შემოტანილ იქნეს არა ალექსანდრიაში, არამედ პელუზი-აში ნილოსით და იქიდან ზღვით კონსტანტინოპოლის“.

ისევ აერიათ ალექსანდრიილებს ყველაფერი. დარჩნენ მშივრები. სასომიხდილნი ეყარნენ ქუჩებში, მოედნებზე, აღარც ლოცულობდნენ.

ფლორს, რომელიც ახლა უკვე სამხედრო ნაწილების უფროსიც გამხდარიყო, თხოვდნენ პურის გაცემის უფლებას, დიოკლეტიანეს თერმების გახსნას, სანახაობის დაშვებას, მაგრამ ფლორს ვერაფერზე ითანხმებდნენ.

ის იყო, ეგვიპტეში ჩამოსულიყო პრისკე და პეტრესთან შემთხვევაში საშინელების მოწმე გამხდარიყო. პეტრემ ურჩია პრისკეს, მისულიყო ფლორთან. პრისკემ სთხოვა ფლორს, დაეთმო ხალხისათვის, რამეთუ მიძღარი ამ ზომამდე მისულიყო, მშეერი უარეს უბედურებას გადაჰყიდებდა ქალაქეს.

ფლორმა დაუჭერა პრისკეს, მაგრამ საჭირო იყო იმპერატორის თანხმობაც, ესეც პრისკემ თავს იდო და გასცა ფლორმა უფასო პური, გაახსნევინა თერმები, დააშვებინა სანახაობანი და რა ნახა ხალხმა ელურიც თავის ლირსებაში, დამშვიდდა.

ელურის წამებულ სახეზე ხალხის სიყვარული ბრწყინავდა, თუმც მისთვის პატრიარქობა ჯოგონეთში მოხვედრას უდრიდა, მაგრამ თუ კიდევ ელირსებოდა განდგომილებას, ამ სატანჯველსაც ბედნიერებად ჩასთვლიდა.

პეტრე ჩვეულის სიმშვიდით ეტყოდა:

— ძალიანაც რომ გინდოდეს, კონსტანტინოპოლი არ გაგაჩერებს დიდხანს და ეს შენთვის თავდადებული შფოთიანი ბრბოც, შესაძლოა შეჩვენებით შემოგიბრუნდეს.

პეტრემ და პრისკემ ქალაქი გადაიარეს. შეჩერდნენ ისევ სარაპისთან. ტაძრიდან დამწვარი ჯარისკაცები გამოვქონდათ და გარუჭული სერაპისის ქანდაკი საზარლად გამოიყურებოდა. სინათლის ღმერთი სიბნელეს მოეცვა.

— ადამიანის ხელშია ქანდაკის ბედი. — თქვა პრისკემ.

ქანდაკის ხელშიც ხშირად არის ადამიანის ბედი, — უბნო პეტრემ და დასტოვეს ალექსანდრია.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე რ ი თ ხ ე

გულის საპლავი

დედოფალი მიეჩვია იმ მცირედით ქმაყოფილებას, რასაც მისთვის ცხოვრება გაიღებდა. გულუხვობა ადამიანებისადმი პატივმოყვარეობით როდი ახარებდა. იგი, უბრალოდ, ბედნიერი იყო, როდესაც თავის საცოდავ სტუმარს წარჩინებული დიდებულივით ღებულობდა.

დედოფლის სტუმართა შორის ერთ დღეს ზაქარიაშ შეცხამჩიან მონაზონში თეოდულა ამოიცნო. თეოდულას ბურგავასის ხილომ სწარულის ცრემლები აუკიაფა ხშირ წამწამებში. სიბრალულმა და სიხარულმა დაავიწყო ის წყენა, რომელიც ბურგავას ტრუდოფიქტელი ლტოლევილებით დიდ ხანს იარად ჰქონდა და ახლა მეტოქტანი მარტობრობდა საცოდავი პასარიონის უილბლობაზე: ერთ მეუფეს შემთხვევით მძიმე რკინებით დაჭედილი სანდალით ისე დაებიჯებინა მისთვის ფეხშე, რომ პასარიონის ანტონის ცეცხლი გასჩენდა, მას ფეხის მოკრამაც ვერ უშველა და ღიღის ტანჯევით გარდაიცვალა.

მტრედებივით მოლულუნე წყვილს ბევრი საამებელიც ავონდებოდა.

დაქვრივებული მარკიანე დედოფალს ტახტს სთავაზობდა, მაგრამ დედოფალი დიდების სასახლეს ანლა უკვე მტვრის სასახლედ ჰრაცხდა და თავის თავისუფლებას განმარტოვებაში დედოფლობაზე მაღლა აყენებდა.

ცხოვრება კი თავის სიავეს არ იშლიდა. თავზარდამცემი იყო ამბავი ვალენტინიან მესამის მკვლელობისა, დატყვევება ქალიშვილისა შეილისშვილებით. თავის ტანჯვაში ძლიერი დედოფალი სუსტი აღმოჩნდა, სხვის უბედურებას რომ შეხედა. „ალბათ, — ფიქრობდა, — განგება წყალობაზე მსხვერპლად გულის საკლავსა მთხოვსო“.

ვალენტინიან მესამე უსაქმურებთან დროსტარებასა და სიახლის ძებნის ისე გაეტაცნა, — ამბობდა მაცნე, — რომ უინმორეული ძალად დაუფლებოდა სენატორ მაქსიმიანეს ცოლს. მაქსიმიანეს ადგილზე უმსჯავროდ მოეკლა და მისი ქვრივი აეძულებინა ცოლობაზე დასთანხმებოდა. შერისძიებით გაბოროტებულ ქვრივს კი გონებამ უმტყუნა და მაქსიმიანესთან ერთად იმპერიაც გასწირა — ქოშაგად გენზერის მოუხმო, გენზერის, რომელსაც ქალაქების დაუნდობელი ნგრევისა და ქვეყნების რბევისათვის ბარბაროსები ანნიბალად აღიდებდნენ. გენზერის ქურდულად ააღებინეს რომის ბჭენი, ქალაქში შესვლისთანავე, რა განეწყო ჯარი ფორუმზე, ძარცვა-რბევით მოსახლეობა დააწიოკა. ხალხი უცებ ვერ გაერკვა მომხდარში და მაქსიმიანეს დასჯის ითხოვდა. შეშინებული მაქსიმიანე გაიქცა, მაგრამ გზაშივე მოკლეს. გენზერისმა კი 14 დღის ბატონობის შემდეგ კართავენს გასცურა, ნაძარცვით დატვირთულ გემებს თან გააყოლა დედოფალი, მისი ორი ქალიშვილი და მათში გამოსასყიდს მოითხოვდა. გონს მოსულმა რომმა კი გადაწყვიტა, არ გამოესყიდა ვერავი დედოფალი. გენზერისმა ერთი ქალიშვილი მიათხოვა თავის შვილს, გინერიქს, მეორე ქალიშვილი, დანიშნული წარჩინებულ ოლიბრიზე, უნუგუშოდ დარჩა, რადგან ოლიბრიმ მისი

ბედის განიარების ნაცვლად დატოვა რომი და თავი უმნის კონკინო-
პოლს შეაფარა.

თუ რომი შერს იძიებდა დედოფალზე, მარკიანეს არ უნდოდა
უკრძანობლობა გამოეჩინა თეოდოსის შთამომავლობრივი მექანიზმის შექმნა.
უკრძანეს იხმარდა დაებრუნებინა თავისუფლების პრეცესის შექმნა,
მაგრამ ვერც თხოვნით, ვერც მუქარით, ვერას ხდებოდა, ვანდალი თა-
ვისა ითხოვდა: ვიქებით ჩვენ ომში თუ მშვიდობაში, მე უნდა მივი-
ღო რომიდან მზითევი ჩემი რძლისათვის და გამოსასყიდი დედისა და
დისათვისო.

დედოფალს მძიმე ფიქრები შემოაწევა. იწვოდა შვილის ბედით.

სკომეონ მესვეტეს წერდა: „როგორ აღვაგზნე ლვთაებრივი შურის-
ძიება ჩემს წინააღმდეგ და რა უნდა ვიღონო იმისათვის, რომ იგი
ჩემგან განეშოროს?“

სკომეონმა შემოუთვალა:

„სატანა ხედავს რა სიკეთეს შენი სიმღიდრისა, გამოვითხოვს ლვთი-
საგან გასაცხრილად, როგორც ხორბალს. უბედური თეოდოსი იქცა
კურკლად და იარალად ცდუნებისა. იქნიე სასოება ღმერთზე, რწმენა
შენი არ მოგაელდება, შენ გადარჩები. მარცებს მხოლოდ, რომ მოღი-
ხარ მორით ლარიბ წყაროდან სასესხებლად, როცა მანდვე გაქვს წყარო,
რომლისაგანაც შენ გულის წყურვილს უნდა იქლავდე. ლვთის კაცს
ექვთიმეს ჰყითხე რჩევა და რასაც გიბრძანებს ის გააკეთე“.

არქიმანდრიტ ექვთიმეს ნახვა კი არც სსე ადვილი იყო. ექვთიმე
მუდამ იცვლიდა საცხოვრებელ დაგილს, თანაც მასთან, ლავრაში ქალი
ვერ შევიდოდა. სასწრაფოდ მის ლავრასთან გოდოლი აშენებინა, იქვე
დაიდო ბინა, რომ გზად მიმავალ ექვთიმეს დახვედროდა.

ექვთიმე კი, რა გაიგო დედოფლის განზრახვა, კიდევ უფრო შორს,
უდაბნოს სიღრმეში მიიმალა.

მაშინ დედოფალმა მოიხმო ექვთიმეს მოწაფე, ფეოქტისტე, აუხსნა
თავისი გასაჭირო, გადასცა სკომეონ მესვეტის წერილი და სხვოვა, თუ
ექვთიმე არ ისურვებდა მასთან მოსვლის, შემოეთვალა, რა უნდა ეღო-
ნა შეილისა და შეილიშვილების დასახსნელად.

ექვთიმემ, რა ნახა სკომეონის წერილი, მოწიწებით პირველი გადა-
ისახა. იცოდა, დედოფალი მასთან შეხვედრის არ დაიენებდა და თვით
შამოვიდა მასთან.

დედოფალმა გოდოლის სარქმლიდან შორიდანვე იცნო პატარა ტა-
ნის, გადაქანცული, დროზე ადრე დაბერებული ექვთიმე და შევრდო-
მილი შემოეგება:

— ახლა კი ღმერთმა მომხედა, ჩემი ულირსების მიუხედავთ. —
უთხრა.

— შვილო ჩემო, — წამთაყნა ექვთიმეგ, — ფრთხილად იყვი
ამიერიდან. იცოდე, რომ უბედურება თავს დაგატუდა თუმცა მარტინ
ცლუნებას აპყვი. დაანებე თავი უგუნურ ბრძოლას, ცრიჭულების მიუჩეცდა.

დედოფალმა შვებით ამოისუნოქა. მას იუბენალთან შერიგება ად-
რეც გადაეწყვიტა.

ამ შერიგებამ იუბენალი დიდად გაახარა, რადგან დედოფალს მრა-
ვალმა ბერმა და საერომ მიბაძა.

ამ დროს გარდაიცვალა იმპერატორი მარკიანე. ამბობდნენ, იძოდ-
რომზე ეტლების ჯირითის დროს ფეხი დაუშავდა, რაც საბედისწერო
აღმოჩნდა მისთვისო.

ახალშა იმპერატორმა, ლეონ დიდმა, პირველშა მოიკითხა დედოფა-
ლი. ანუგეშა, მარადიულ ნეტარებასთან ერთად შეპირდა შემწეობას
ტყვეთა დასახსნელად.

ბრძოლაში დაქანცული სული სხვათა ნუგეშინში ჰპოვებდა შვებას.
მისი გონება ყოველდღიური საურავით არ საზრდოობდა. მას უყვარდა
ყოველივე ის, რაც ოღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

მაგრამ ბევრი მუხლის მოყრისა და შიმშილისაგან 67 წლის ასაქში
იგრძნო ძალ-ღონის გამოლევა. გადაწყვიტა, ექვთიმესათვის ანდერძით
დაეტოვებინა მთელი თავისი ქონება, რომელიც აურაცხელი აღმოჩნდა.
შეუთვალა, სავარაუდო მის გოდოლში, მაგრამ ექვთიმეგ, რა ვაი-
გო მიზეზი დაბარებისა, შეუთვალა:

„შვილო ჩემო, ნუ პფანტავ შენს ურადლებას. მე ვფიქრობ, ღმერ-
თი მალე მოგიხმობს თავისთან და ეცადე შენს თავს დაუკვირდე, მოემ-
ზადო, საშინელი გადასვლისათვის. ოღარ მომიხსენო ამ ცხოვრებაში,
მაგრამ როდესაც წარსდგები ღვთის წინაშე, აი, მაშინ მომიხსენებდე“.

ბედს დამორჩილებული დედოფალი ნალვლიან ფიქრებს მოეცვა,
როცა მის წინაშე წარსდგა ვინმე ბერი კომარ.

დედოფალი ვერც კი მისალმებოდა, ისე გაეოცებინა მის გაზევ-
ნობას. თვალს არ უჩერიდა, მოხრილი ჯაფითა და წლებით, მის წინაშე
იდგა კირი პენტოპოლისელი. გელწრფელმა სიხარულმა დაარღვია
ხელოვნური თავისიანობა. წარსულ დღეების მკრთალმა ნათელმა კერა
გააღვივა.

— ელინიზმში ბრალდებული ეპისკოპოსად განმაწესეს ქალაქ კო-
ტივში. იქ, სადაც ოთხმა მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა კოტივე-
ბის სიშოროტის წყალობით საკუთარი ხელით მოისპო სიცოცხლე. —

ამბობდა კირი. — ქრისტეშობის დღე იყო და უნდა მეტევა გადაეცება. ვგრძნობდი, ყოველი ჩემი სიტყვა მაცდუნებელი იქნებოდა. კოტებაში თუ არა, გამოთქმაში მაინც დამდებრნენ ბრალს და ჩემდა უნებურად წარმოესოდეთ: ძმანო და მამანო, შობას უფლისა და მხსნელსა ჯერ ჩვენისა, იქვე ქრისტესი, დუმილით ვადიდებდეთ. სმერქის ჩამის მსალექტებს სიტყვა ქალწულ მარიამში, მას დიდება მარადის, ამინ, წარმოვსოდეთ და ხალხშიაც გაისმა „ამინ“. თითქოს ამოღებული ხმლები ქარქაში ჩავეს, ამღვრეული თვალები დაწმინდათ და ის დღე იყო კოტიეს ცხოვრებაში მშვიდობის დასაჭყისისა. ჩემზე საიმედო მათ აღარავინ ჰყავდათ. შემიყვარეს და მეც შევიყვარე, მაგრამ ამ სიცოცხლის მიწურულში განმარტოვებით ცხოვრება ვარჩიე, მენატრება თავისუფლება, რომელხაც ხალხთან ცხოვრებაში ვერასოდეს მოიპოვებ.

— როდესაც ჩვენ ვართ ჩაწყენი, — თქვა დედოფალმა, — ყოველთვის უფრო სასარგებლოა სიმშვიდე, მაგრამ როდესაც შეურაცხულენ ლვთაებას, მისთვის სიკედილი ვგმართობს.

და მთელი თავისი აურაცხელი სიმდიდრე დედოფალმა კირს უანდერდა.

კირის გამოჩენამ პეტრე მოიყვანა. დედოფალმა პეტრეს დანახვაზე ულონო ღიმილით წარმოსოდეა:

— ახლა კი აღსრულდა ჰეშმარიტად წინასწარმეტყველება — მეწილად მხედა ბრწყინვალე ბედი რჩეულთა. მაგრამ როგორც კი გამიღო ჰეშმარიტებამ კარები, სიკედილმაც ფეხი შემოდგა. გალგოთის ანგელოსები დამიცავენ იმ ღმერთებისაგან, ჩემს სამშობლოში რომ დავტოვე. შენ კი, ვისაც გაიმბე ჩემი ცხოვრება, შენ უნდა მითხრა, შევძლებ თუ არა მოვალბო ქრისტეს გული, შეისმენს თუ არა ჩემს ლოცვას იგი?

— ქრისტე ხედავს და ისმენს, — თქვა პეტრემ, — ჩვენ განუყრელნი ვართ იქ, სად დღე და ღამე განუყრელია, სად ახალი და ძველი ერთნაირია, სად ყოველი მიიღებს, რაც დაუმსახურებია...

და დედოფალს მისი სიტყვები ესმოდა უკვე ლოცვად. მის ნათელ სახეს შეჭირების ლრუბელი გადაეფარა, თვალებს დაეუფლა, წვეთები ცრემლებისა კი სარქმელში შემოჭრილ სხივებზე ბრწყინავდნენ ყვავილს ფურცელზე აელვარებული ცვარის წვეთივით, უმცირესში უდიდესი ბრწყინავდა. დედოფლის ბაგეთა ღიმილში დიდი ღამის გამოუთქმელი გამობრწყინდა, თითქოს სევდიან ქერუბიმთა თეთრი ფრთების შრალი სმენოდეს. მას ღიმილში დედის ღიმილიც ბრწყინავდა, ღიმილიამჩამოფარებული მამის ქვითინი ისმოდა და მისმა ჭერ კიდევ

თბილმა ხელმა ზუზოს ხელების ცატკაში აგრძნობინა. სულის მუნჯი სიღიადე სიკვდილის საშინელ დუმილს ეტოქებოდა, პატიოსამ თვალთა კრთომას სისპეტაე პფარავდა, დედოფალი წაქცეულ კანდიქ ჰავდა. უს იყო მზის მწუხარე ჩაშვება.

— გათავდა ცოვრების გაზაფხული, — თქვა, ~~პულუს რუსების~~ გვალვიანი ზაფხული, როდესაც გულდახეთქილი დედამწიფე ქადაგის აღარ იძლევა.

— კეშმარიტად, სიცოცხლე სიკვდილია და სიკვდილი — სიცოცხლის დასაწყისი, — ამბობდა კირი, — ვინც ბრძოლაში კვდება, ბედნიერია.

წმინდა მიწის ღირსეულმა მოქალაქემ განისვენა იერუსალიმის კართან, მისსავე აშენებულ წმ. მოწამე სტეფანეს ლავრაში.

თავი იცდამოს თავ

ამტრე და ზაქარია

„მათ განისვენეს ერთად იერუსალიმში, თვის აგაბულ სავანის ნირდილში და მარადიულ განისვენების ქვეთა ქვეშ დაფარეს დიად სილუმლოება თვის საქმეებზე და დედა სამობლოზე“.

შ. ნუცუზი ძე

პეტრე და ზაქარია შეკედლებიყვნენ სევდიან და განმარტოვებულ, მაღალმოებიან თებაიდას, სად მოხეტიალე არაბები თუ შემოხედავდნენ. შორით, ეგვიპტეს ოაზისიდან ნესტორიოსი გრგვინავდა თვის „აძოლოვით“; ნესტორიანელობა ეფინებოდა ევფრატის მიდამოებს, სწოდებოდა არაბეთს, სპარსეთს და ინდოეთს ედებოდა. ალექსანდრიიდან მოციქულებრივი ქუხილი ისმოდა ელურის; ამბობდნენ: პეტრე და ელური კალაპოტიდან ამოვარდნილ ნილოსივით აპოხიერებენ ქვეყანასო.

იგრძნო ლეონ დიდმა, რომ დევნითა და ექსორიით მათი გველენა მხოლოდ ძლიერდებოდა, და უფრო შორს აღარ ასახლებდა, ეჭიმებოდა და მშვიდად ბრძანებდა: ელური მსჯავრის დასადებად მეტყველ ვა-დაეცეს, თანა მზრახველთ მოჰკვეთონ ენა. პეტრეს და სკოდლის, მუ-ქარით უველგან უსაფრდებოდნენ. ცილისმწამებელიც მრავალი გვირ-ჟინდა, არც შურს ეძინა, მაგრამ პეტრე მშვიდად ატყუჩდა.

— ლმერთმა პატივი დამდო და უველა ავი და ცუდი ადამიანი ჩემი მტერი გახადა.

არ სცნობდა მტრებს ისევე, როგორც არ სცნობდა მათ, ვის შესა-ხებაც არაფერი იცოდა. ხალხი იყო მისი ქომაგი და თავის ძლიერე-ბასაც ხალხში ხედავდა. პმადლობდა მტერს, რომ თავიდან ცცდენა პა-ტივსა და დიდებას, ისედაც სახელგანთქმული იძულებით კურთხევას და ექსორის უსაჩინოესი რომ გაეხადა.

ზაქარია ფხიზლობდა. მრავალგზის მომდგარ მტერს, ყრმის ავალ-მყოფობის მომიზეზებით, თუ თავშესაფრის საოხოვნელად მოსულს, ააცდენდა. მათ თვალთა ელვარებასა და მოსწრაფებულ ნაბიჯში უკი-თურს ამოიცნობდა, პეტრეს საიდუმლო გასავალით აპარებდა, თვით დახვდებოდა, მათ შეკითხვებზე გარკეევით რომ არას იტყოდა, ბევრ-ჯერაც სვეტიან მიუკრავთ, უველა კუნცული ჩირალდნებით უნაოებიათ და მუქარით დაუტოვებიათ იქაურობა. „რაცდენი გინებანი, რაცდენი შეურაცხებანი, უვედრებანი მოიწეოდნენ ჩემზედა და მე გულში მელიმებოდა“, — ეტყოდა პეტრეს.

გაბეზრებულნი უსასრულო დევნით, მდევნელთა ძალადობით, ად-გილიდან ადგილს იცვლიდნენ, კიდევ უფრო შორს იხვეწებოდნენ.

— იქნებ, — ამბობდნენ, — ამ ბობოქარმა ტალღებმა ისეთ ნაპირ-ზე გამოგვიტანოს, ისეთი უვალი გზით გვატაროს, რომ კიბე ლმერთამ-დე მიგვაბჯენინოს.

ოქსორინხოში, იქაურ კაცს, ვინმე მოსეს შეეხიზნენ, ვითარცა უნ-დო გლახაენი, მაგრამ შეუძლებელი იყო დაფარვა საქვეყნოდ განთქ-მული პეტრესი, რომლის სხივი კლდესაც გააღწევდა. ამბობდნენ: ერთ-ხაშად გაიგო უველამ მისი იქ ყოფნა, ყველას მოუნდა მისი ნახვა, მოს-მენა, რათა უველა ერთხაირად ხედავდა მასში განმქარვებელს, შემწეს, დამამშვიდებელს, მართლმორწმუნების საყრდენს.

შეკრბენ მკვიდრნი ოქსორინხოსი, მოცვივდნენ მოსესთან, ეხვეწ-ნენ პეტრესთან შეხვედრას, კალკედონის დადგენილებათა განმარტე-ბას. თხოვნით რომ ერა გააწყვეს, ძალით შეიკრნენ პეტრესთან, სი-უვარულით შემოეხვივნენ, ხელში ატაცეს და მიწაზე ფეხმიუკარებ-

ლად მიიყვანეს მოედნის ყველაზე ამაღლებულ ადგილას, საციც იდრე საყრდენი იყო კეისარის ძეგლისა. მოჯარულ ხალხთა სიმრევლე კი ხმაურით, ტაშით სთხოვდა სიტყვას.

ზაქარია არავისთან საუბარში არ ებმებოდა, პეტრეს თვალს არ აშორებდა.

ერმიტაჟი

პეტრეს გამოკვეთილი ბაგენი ოდნავ შერხეოდა ჭირდებულ სუშისუბაზე, დიდრონი თაფლისფერი თვალები თანაგრძნობით უცქეროდა ყველას, მისი მშვიდი და ზომიერი სიტყვა ახლა ხმალივით ელავდა, ქალკედონის დადგენილებას თაფლისა და საწამლავის ნაზავს ადარებდა:

— რამეთუ რომელნი იგი არა მეწამულ არიან, იგი უკველად სპერაკუა არიან, არცა რომელი არა ცხენ არიან, იგი უკველად კაც არიან... ქალკედონის დადგენილებაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მართალი არა ვართ და ამიტომ ნუ ერდავებით მას. თუ გინდათ მე დამიკვერეთ, ასე მოიქეცით — თავი დაანებეთ სხვის მხილებას. მე, დარწმუნებული ჩემი აზრების სიმართლეში, არ ვისწრაფი ელინებთან ან ვინმე სხვასთან კამათს. ჩემთვის უპირველესია კეშმარიტების შეცნობა და შემდეგ მისი გამოთქმა, რათა, როდესაც კეშმარიტების სიტყვა ითქმება მტკიცედ და დარჩება შეურყევლად, მიუხედავიდ სხვათა სიტყვების წინააღმდეგობისა, ყველაფერი, რაც მას არ ეთანხმება, თავისთვად დაეცემა. განმეორებით ვიტყვი — უკეთუ შენ კეშმარიტებით დასდგა მართალი სიტყვა და სხვათა ყოველთა მიმართ უმხილებელი დადგრე, ყოველივე თავით თევისით დაემხოს, მომმაღლენ მე ღმერთმან პირველად ცნობად კეშმარიტებისათვის და მერმელა მის თქმათ, ვითარ ხაჭირო იყოს... ადამიანმა ძალიან ცოტა რამ იცის გრძნობად საგნებზე და ზეგრძნობადის გამორკვევის დაეინება რას უნდა ემყარებოდეს?! როგორ უნდა ვიმსჯელოთ ძალაზე, რომელიც ყოველგვარ გრძნობას აღმატება?!

ქრისტეს ვალიარებ ღმერთად, მარიამს — ღვთისმშობლად და არ ვიძიებ ხორციელების საიდუმლოებას, რადგან იგი ადამიანის გონების შესაძლებლობას აღემატება... ვიღწვოდეთ სიკეთისათვის, სიწმინდისათვის, მოყვასის სიყვარულისათვის. უზაკველი მორჩილებით, განუკვეთელი ერთობით და მშვიდობით საწუთოს უშფოთველ ცხოვრებას აღვასრულებდეთ.

თავსაყიდურმან ყოვლისა აღშენებისა და დაშენებისამან, განვიმტკიცოთ სარწმუნოება თქვენი, ამინ!

— ამინ! — გაიმეორა ხალხმაც.

ოქსორინხოში პეტრეს ქადაგებამ ისეთი ღვთაებრივი ჩირალდანი

დაანთო, ისეთი გამარჯვება მოიპოვა, ისეთი მგზნებარებით დაგუნდის ხალხი, რომ ყველა ისტრაფეოდა მისი მიმღევარი გაშედარებულ, მის მოწაფეთა შორის ეცხოვდა. მისი გამამნევებელი, შთამავარებელი სიტყვა გულში ჩასწედომოდათ, მისთა აზრთა სვლა რწმენას გაწუმტკიცებდა. მახარობლად აღიარებდნენ და ოქსორისთვის მარტინი უდგა დასაცავად.

პეტრე კი შემოქმედების მწვერვალიდან გადახედავდა აღამიანურა არსებობის საზღვრებს და იყითხავდა: რა უნდა გამეცეთებინა, რაც არ გამიცეთებია.

დრო თითქოს მისოვის არც არსებობდა, არც წარსულს მისჩერებოდა და აღარც მომავალზე ოცნებობდა, აწმეოს შერწყმოდა და მარადიულს მიპყვებოდა, მისი აზრები ცხოვრებას ზე უვლიდა.

რომს შავი დღე დაუდგა — თავის თავშე გამოსცდიდა ყველა იმ უბედურებას, რასაც წარსულში სხვას აყენებდა. ანლა ბარბაროსები კარნახობდნენ იმპერატორების დანიშვნას. საზრისიან გენერიხს მიეღო რომიდან დიდალი ქონება და დედოფალი თავისი ქალიშვილით კონსტანტინოპოლის დაებრუნებინა.

მოულოდნელი იყო პეტრესათვის ლეონ დიდის გარდაცვალებაც. ტახტზე ასულიყო ზენონ, რაც იმას ნიშნავდა, რომ დევნილი შეუფენი თავისი კათედრებს დაუბრუნდებოდნენ.

ეგვიპტე ზეიმით ხვდებოდა ელურს, მაიუმა ელოდა პეტრეს.

ხალხს აღრევე შეეტყო პეტრეს გამომგზავრება და ქუჩებში გამოსულიყო დასახვედრად, მაგრამ ძლიერმა წვიმამ ხალხი გაფარატა. პეტრეს ახარებდა წვიმა — ქალაქში შეუმწინევლად შევალო. მაგრამ ტალანებსა და საფარდულებში შეფარებული ეტლის ბორბლების ხმაურზე ისევ გამოეფინენ ურიამულით. გარს შემოერტყნენ დაღლილსა და მღელვარეს, მხრებში ამოუდგნენ, ასწიეს და საეპისკოპოსო ტახტამდე ხელით ატარეს.

ეპლესია დამსგავსებოდა ცეცხლოვან მდინარეს უამრავ მანდილოს-ნებისა, თეთრად მოსილნი, ანთებული კელაპტრებით, სურნელოვანი მუჯამარებით.

ტაძარში ტევა აღარ იყო. პეტრე კვერთხით ხელში, გარემოცული მოქრძალებულ სამღვდელოთა ბრწყინვალებით, თავის სამწყსოს წინაშე ქადაგებდა. ქედმოუხრელი, წარმოსადევი, გრძელი ვაღარა წვერით, მთელი სიდიადით წარმდგარიყო სამწყსოს წინაშე. ფერმკრთალი ნატიფი სახე მგზნებარე თვალთახედეით ელავდა. მისი მშვიდი სიტყვა კი განამნევდა შფოთსა და მღელვარებას, უიმედოს იმედს უბრუნებდა და

ხალხი თავის აღფრთოვანებას ტაშით, შეძანილით, ცრემლებით გა-
მოსთქმამდა და მისი ოლარის ქვეშ ყველას შვებით ესტნებოდა ცოდ-
ვათა ტვირთი.

ევგიპტელი ბერი ესაია, ცნობილი თავისი სიბრძნით, ხმობილი იყო
მეორე ესაიად. ესაია თვით პეტრეს „მეორე პეტრელი“ აღმარტინ წა-
ზას მახლობლიდ ცხოვრობდა და უპეტრეოდ დღე მან ცტატუმენტები
ეს ორი მნათობი, ერთიმეორეს დარი მოკრძალებასა და სიმშვიდეში,
ნიკიერებასა და შორსმცვრეტელობაში, ერთნაირად აღიარებდნენ სი-
კეთისაკენ მიმავალ გზას სინათლის გავრცელების გზად, რომელსაც
სივრცე ვერასოდეს გაამრუდებდა, ხოლო ეს გზა — სიკეთისაკენ იყო
გზა — უზენაესისაკენ. მათი გამამხნევებელი, გამაჯანსაღებელი სიტყ-
ვა იშიდავდათ როგორც სქოლასტებს, ასევე მაღალი მღგომარეობის
ხალხს, ჩვეულებრივ ცნობისმოყვარეთ და მათ ირგვლივ მუდამ ხალხ-
მრავლობა იყო. ამიტომაც დროდადრო გამოიყეტებოდნენ. როდესაც
ესაია ჩაიკეტებოდა, მის მაგიერ პეტრე პასუხობდა, პეტრე გამოიყე-
ტებოდა და ესაია აგებდა პეტრეს მაგიერ პასუხს.

როდესაც ღანის სანაპიროს ეკლესის ჭირისუფალნი მოცვიდნენ
აღშფოთებულნი იღოსისა და პამპრესიონის აჯანყებით ზენონ კეის-
რის წინააღმდეგ და პამპრესიონის ბრალს სდებდნენ იღოსის წარმარ-
თობისაკენ გადახრაში, ესაიამ თავისი მოწაფე ათანასეს პირით შეუთ-
ვალა:

„წარმართთა აჯანყება ღრუბელია, რომელიც ახლავე გაიფანტე-
ბა“—ო.

არ დაჯერდნენ და პეტრეს მიადგნენ. პეტრემაც იგივე თქვა და მა-
შინლა ირწმუნეს, არ ღირდა აღშფოთებად.

კეისარ ზენონს ესმა ამბავი პეტრეხა და ესაიასი, სცნო მათი მო-
ლვაწების ძალა და ისურვა მათი კურთხევის მიღება. საჭურისი კოზმა
წარმოგზავნა წერილითურთ და შეატყობინა, რომ დაუყოვნებლივ
უგან დააბრუნებდა პეტრესაც და ესაიასაც.

ამ ცნობამ პეტრე და ესაიაც საგონებელში ჩააგდო. პირდაპირი
უარით შესაძლო იყო კეისარი განერისხებინათ, იძულებით წაყვანათ,
თანხმობა მიეცათ, კეისარის წინაშე ქედის მოხრა მლიქნელობად მი-
აჩნდათ, ეს მლიქნელობა კი პატივს იმსახურებდა, რომელსაც ორივე
გაურბოდა.

ჩაწვა ესაია ლოგინად და იწყო კვნესა. არწმუნა კოზმა საჭურისი,
რომ მას სენაკიდანაც არ ძალუშ გამოსელა, არამც თუ სნეულს შე-
ეძლოს ზღვის გადალახვა.

— გზაში მოვკედები, კეისარი ვერ მნახავს და შენც გარეცხები ლეთისა და ხალხისაგან, რომ მკვდარი მატარე ქვეყნალ. — ამინაბა ესაიამ.

ზაქარიამ კი სულაც არ გააკარა კოზმა პეტრეს, — ამ აზ არის კონკრეტული — ეტყოდა.

პეტრე კი დამხობილიყო ვედრებად:

პირდღიროვენ

— უფალო, დამიხსენ ადამიანთა ძალადობისაგან. რა უნდათ ჩემგან? რატომ იტყვიან, თითქოს მე ვფლობდე ისეთ რასმე, რასაც არა ვფლობდე; ისეთ რაიმეს გაეკეთებას მავალებენ, რისი გაეკეთებაც არ ძალმის. განმიცხადე, რა უნდა გამეკეთებინა ხალხის კეთილდღეობისათვის, რაც მე ჯერ არ გამიკეთებია?

შიხვდა ზენონ კეისარი და მოსწერა:

„ილოცეთ ჩემთვის, წმინდანო მამანო, და ნულარ მოეშურებით აქეთ.“

გაიხარეს ორივემ. ერთმანეთი სიხარულით მოიკითხეს, ესაიამ — ევლობით, პეტრემ კი თავისი დაჭერილი თევზებით.

წყნარი სალამო იყო. პეტრე და ზაქარია მოწაფეებთან ერთად შშვიდად განისვენებლნენ, როდესაც მოიტანეს ამბავი ესაიას გარდაცვალებისა. ამბავმა გააოცა და დაალონა ყველა, გარდა პეტრესი.

— რად გავირვებთ სიკვდილი მამისა ესაიასი? მოციქულნიც და წინასწარმეტყველნიც კვდებოდნენ, თუით უფალმა ჩვენმა, იქსო ქრისტემ მიიღო სისმელი ესე, — თქვა პეტრემ.

მოწაფეებს კი ერთმანეთში შეექმნათ დავა სიკვდილზე.

— სიკვდილი მაინც უველასათვის ერთია, გადაწყვეტეს.

— დაბადებაც ერთია. — უბნო პეტრემ, — მაგრამ ცხოვრება არ არის ერთი, სასწორი უველასათვის ერთია, ასაწონი კი ათასგვარი. ზოგს რომ პეტრემ, ცხოვრებას იწყებს, იგი მაშინა კვდება, იფიქრებს, კვდებით და მისი სიცოცხლე იქიდან იწყება. ესაია ახლა უფრო ახლოს იქნება ჩვენთან საპყრობილებან განთავისუფლებული. არასოდეს შევცდებით სიკვდილის საიდუმლოების გაგებაში, თუ მახლობელის სიკვდილის მერეც მოვიქცევით ისე. როგორც მის სიცოცხლეში მოვიქცეოდით, — ეს თქვა, მძიმედ წიმოდგა და თავის საკანში განმარტოვდა.

— ჟე, ნეტარო და წმინდათ მამა ესაია, შენ დღეს მოპკვდი და მცირე ხნის შემდეგ მეც მოსიკვდილე ვარ. ამ ნუ დასცხრები მეოხებად ჩვენთვის, წინაშე წმიდისა სამებისა, — სტიროდა პეტრე გაყრას, ამ გარდასულთა შორის მოხსენიებას.

ესაიას თავისი მოწაფეები პეტრესათვის ეანდერძა.

გარდაიცვალა ზენონ სკვითელი და მისი მოწაფენიც პეტრეს მო-
აღნენ:

— ვინც პეტრე ქართველს შეუდგეს და ჰმორჩილებდეს; იყი შე-
მარცების გზაზე ვიდოდესო, — ასე ვვიბრძანათ ზენონის წერილი.

მაგრამ ესაიას სიკვდილის შემდეგ პეტრემ დასკუკებული შემოქმედი
და ბერიტს, ბერიტიდან — ტირს, სოფელ პატმოკონს, საღაც სცხოვ-
რობდა ტრიბუნი ელიას.

ელიასთან მოსვლა ეს იყო გამზერა წარსულში. ძლიერ უყვარდა
დედოფალს ცხოვრება და დედოფალზე მოვონებანი ცხოვრებასთან
ძლიერ აკავშირებდა. განწმენდილო ვნებათაგან, პეტრესა და ელიასს,
ასაკიც რომ დავიწყებოდათ, გრძნობებში გასარკვევადაც სიტყვების
შერჩევას არ საჭიროებდნენ, უსიტყვოდაც ესმოდათ.

მთელი ზაფხული ელიასის მამულში, მაგდალეთუთაში გაატარეს.

ველური და მკვუნვარე ბუნება მაგდალეთუთასი საოცნებოდ განა-
წყობდა. გრილი და ჰაეროვანი ოდგილი შეებას მოუტანდა მის დაქან-
ცულ სხეულს. ტბა წალკოტად აქცევდა არემარეს და პეტრე დღემუ-
დამ თევზაობდა. ეს არემარე ყველაზე მეტად აგონებდა მცხეთას. აქ
ისევ ატირებდა წყურვილი სამშობლოს მონახულებისა, აქ ფიქრები
ჰალაში უხამურს ანავარდებდნენ, ზუზის შთამაგონებელი ზღაპრების
გმირები ცოცხლად ესახებოდნენ... გამლილი იყო ბუნება, ვზა — ხსნი-
ლი, მაგრამ მწყვდეულის სევდა მაინც არ სტოვებდა, ცხოვრება თით-
ქოს ყოველ ნაბიჯზე საბრეეს უგებდა, განუქარვებელი სევდა ეუფლე-
ბოდა.

ზაქარია გამოიხმო და ადგილი გამოიცვალა.

აზორის მახლობლად, ზღვის სანახებში, იმდენად დაუძლურდა, ან-
დერძი გაამზადა:

„წიგნის ბედი იმაზე არ არის, — ზაქარიას უბარებდა, — თუ შეგ
რა დაგვიწერია, არამედ იმაზე, თუ ვის დაუწერია. ჩემი წიგნების დამ-
წერი მწვალებელია. ცეცხლს მისცემს კელესიას, რაც ზეშთაგონებით
მიგვიღი, შეაჩვენებს მას, რაც სამშობლოს დათმობით, საკუთარ თა-
ვის უარყოფით შეგვიძენია. დიონისე არეობაგელს შეაფარეთ ისინი,
დიონისეს მოციქულებრივი სახელი დაითარავს მათ.

ვაიგო ელიასმა და უმალ მათთან გააჩნდა; პეტრეს გამოუტყდა, მი-
სი კურთხევის გარეშე სიკვდილი არ უნდოდა. გაიხარა პეტრემაც,
ელიასს თითქოს დედოფლის ანარეკლი შემოჰყვებოდა, სიჭაბუქის ძა-
ლას შეიგრძნობდა.

„რა უამს აღსასრულად მივიწინეთ ცხოვრების გზასა, რომელთა
წმინდა ცხოვრება გვქონდეს, — ეტყოდა პეტრე ელიასი, — საუმროვთ-
თა სიხარულით უწყოდით ყოვლითურთისა აღდგომას, განკუდებუ-
ლად ხედვენ მათი უხრწნელებასა. უწყიან, ვითარებულ მრავბჭონი
იგი კეთილნი მტკიცედ და საუკუნოდ აქვთ და იწყებენ, სამონამ გრძელა
კვალად შობისასა. ხოლო სავსენი ბიწიერებითა, და უამს აღსასრულად
მიიწინენ, განიცდიდნენ და პნატრიდნენ წმინდასა ცხოვრებასა, რომ-
ლისაგან უგუნურებით და ესრეთ საწყალობლად განივრნენ... ეს ვი-
თარი ესმეს არა წმიდათა მათ, დიდად განიცინებენ, შეცოომილებისათ-
ვის ვებრალვით ჩვენ, გარნა არა ჯერ არს მისათვის განკვირვება, რა-
მეთუ უკეთუ არა პრწმენეს, ვერცა გულისმას ჰყოფენ; ხოლო ჩვენ
ვთქვათ — არა პირუტყვულად შემოჰკრებს მღვდელთმთავარი მწყობრს
თანამოდასეთა. მერმეცა უსაცინელესი — ვითარ მათ წილ სხვანი ჰყო-
ფენ განშორებასა და წმინდა აღსარებასა! არა განფიცხება უხმს შეც-
დომილთა ზედა, არამედ კრძალულებით ვთქვათ: არა ჩვენს ცნობი-
ერების შინა შემოიწერების ყოველივე საღმრთო ძილი, არამედ ა. ა.
აქვს უაღრესი, ჩვენგან დაფარული მიხეზნი, რომელნი მხოლო უზეშ-
თაესთა დასთა საცნაურ არიან და მრავალი რა უზეშთაესთა არსება-
თაც დაფარებულის და მხოლოდ იცნობების ყოვლად ბრძნისა და სიბრძ-
ნის მოქმედისა ღმერთ-მთავრობისა მიერ“.

ამბობდნენ, — პეტრესავით ვერავინ განმარტოს ზეციურ და ქვეყ-
ნიურ სამყაროთა ურთიერთობათ, მასსავით ვერავინ გამონახოს გზა
ღმერთთან მისახლოვებლადო.

ელიასმა დაუძლურებული პეტრე სამკურნალოდ ცხელ წყლებზე
წაიყვანა, მოამგობინა, ხალისი დაუბრუნა, მაგრამ არ იქნა მისი მოსვე-
ნება; მის სანახევად, მოსასმენად, სულიერ თუ ხორციელ კურნების მი-
სალებად მოეშურებოდა მრავალი. მოცვივდებოდნენ ვალვისაგან შე-
ღონებული მეუდაბნონი მუდარით — ელოცა წვიმის მოსაყვანად. ბედ-
ზე თუ წვიმაც მოვიდოდა, ახლა თავისი აღფრთოვანებით დააღ-
ნებდნენ, კერძთაყვანისმცემელნი სასწაულმოქმედად მიიჩნევდნენ და
განკვირვებულნი მრავალი მოიქცეოდა, პეტრესთან მონათვლას მოინ-
დომებდა.

— ვით მოსე, ღმერთთან არს პეტრე დაახლოვებული, მაცხოვარი
თვით ეცხადება — ამბობდნენ, „დიდ პეტრედ“, „ბრწყინვალე პეტ-
რედ“ იხმობოდა და ვინც დიდებას გაურბოდა, დიდებაც მას მის-
დევდა.

ზღვის სანახებსაც გაერიდა. ესტუმრა სევეროს სიზოპოლელს, მო-

წოდიშიტების სულსა და გულს. გაიგეს მისი იქ ყოფნა დიონისიტებმა და ისინიც იქ გაჩნდნენ.

— ჩვენ დავეხმაროთ ერთმანეთს, თუ როგორ იერთეთ ღმერთთან, მივწვდეთ თეოზისს, ზეშთასიბრძნეს, ზეშთაბუნებას, უზეშთაესს, — იტყოდა პეტრე და მისი სიტყვა ყველარა არ გაცეკვებოდა.

აქედანაც წამოვიდნენ, იერუსალიმს უკვე გულმოწყვლილები შემოვიდნენ. მონასტრის კედლებს ცრემლებით შემოველენ, საფლავებს შეუვრდნენ, მცენარეთ მიესიყვარულნენ. თავის მშობლიურ ენაზე ლავრაში წარსთვევეს უამნი და სამხრისა, წარიქითნეს, სამოციქულო და სახარება.

მაგრამ ეს სიხარულიც უხანო აღმოჩნდა. საქართველოდან სამწუხარო ამბავი მოვიდა.

ქართლის პიტიაბშეს, ვარსექენს, კრეზიფონში, ირანის მეფეთა მეფის კარზე უარეყო ქრისტიანობა, მიეღო მაზდეანობა, ცეცხლის თაყეანისცემა. ვარსექენის სჭულის გამოცვლა კარგს არას მოასწავებდა სამშობლოსათვის.

დედოფალი შუშანიკი ვარსექენს განუდგა. ქვეყნის საქმისათვის თავდადებულმა არ დასომო ქრისტეს სჯული და მიიღო წამება. სენაკში დაბარკული მწყვდეული დნებოდა ვითარცა ავლი.

„ეს ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყვავილი ველისა, წარმავალი არს, და რომელმან გასწიროს თვით თვისი, მან პჰოვოს იგი, რომელმან აღიდოს — თვით იღიდოს“, — სწერდა ბრძენი იაკობ ცურტაველი.

სულ მაღლ იბერიის მეფე ვახტანგმა სიკვდილით დასაჭა ვარსექენი, ვითარცა მოღალატე სამშობლოსი, მაგრამ დამარცხდა ვახტანგიც. ვახტანგს უღალატა ყველამ: პუნებმა, სომხებმა და უმეტეს, თვით ქართველებმა.

სამშობლოს ვაება პეტრედ ხმობილ მურვანს გულს ყორანივით უკორტნიდა, გულდასუდრული მაინც იტყოდა:

— ვაი მოღალატეს, თორემ ვახტანგი, კეშმარიტებისათვის ბრძოლაში, სამარადისოში პატივით მიიღებაო.

ლოცვად იღვა პეტრე, თვალნი განუხრელად ზე პქონდა აპყრობილი. მწუხარებით დადაღულ სახეზე სიხარული აეიაფებოდა. „ო, ვამოუთქმელო“, — აღმოხდა და დამსწრენი მიხვდნენ, ხილვა რამ პქონდა. ფეხაერეფით დასტოვეს ტაძარი და კართან შეიცადეს. ეგონათ, პეტრე რასმე განუცხადებდათ, მათთან გამოვიდოდა, მაგრამ პეტრემ აღარაფერი თქვა, არც კი ეჩვენა მათ და მდუმარე თავის სენაკს დაუბ-

რუნდა. მხოლოდ ზაქარია ხედავდა, მის ნაბიჯს თრთოლა ცირ შეტებულიდა.

უთენის ათანასეს ტირილით გაეღვიძა, სიზმარს მოსთქვამდია:

— მოვიდა ჩემი მოძღვარი, მამა ზენონ და ოქვა! შეკრძან ყოველი წმინდანი უფლისა და ევედრნენ: უფალო, ბრძანებული უმოქალაპოსი ქართველი განვიდეს ხორციაგან და დაეკვიდროს ჩვენთან, რათა ფრიად სტანჭნა ხორცნი თვისნი შენის სიყვარულით და აწმოუძლურებულ არს. მაშინ ბრძანა მეუფემან, რათა შემდგომად ათისა დღისა შეკრძენ ყოველნი წმინდანი და მივიღნენ პეტრე ეპისკოპოს ქართველთან და სული მისი მოიყვანოს წმინდამან პეტრე მოწამემან, პატრიარქმან ალექსანდრიისამან.

პეტრეს შემოესმა ტირილი და იყითხა:

— რაზე სტირი ასე მწარედ?

— ჰე, წმინდაო, ფრიად მეცნიერ ხარ, თავად იცი.

— უმეცარ ვარ, ოქვი, — უბნო პეტრემ.

— ვიტირებ სიობლესა ჩვენსა, რათა დაბგოვებ.

— სიკვდილი შეძენაა, შეძენას რად უნდა ვტიროდეთ. ტირილით ვიბადებით და სტკვდილი გვიხაროდეს.

— უველა კი კვდება, ისე არ გაუხარდება, — გაბედა ათანასემ.

— რომ გვიხაროდეს, გასახარელი. რაღა იქნება! თესლი გაიხრწნება იმისათვის, რომ გაცოცხლდეს, აღამიანი დაიტანჯება იმისათვის, რომ განვითარდეს, სული დავიწროვდება იმისათვის, რომ ამაღლდეს... მე მინდოდა მეცხოვრა მხოლოდ თქვენი ხსნისათვის. მე თქვენ მიყვარხართ ისევე, როგორც თქვენ შემიყვარეთ. არ არის ჩემთვის სიხარული, არც სევდა, რომელიც არ იყოს თქვენიც, და როდესაც ერთი თქვენგანი ილუპება, მეც ვიღუპები.

უველა ცრემლმორეული შეუვრდა მისი სამოსის საამბორებლად.

— რას შვრებით, რისთვის ამფოთებთ ჩემს სულს. ეამი ჩემი მოახლოვებულია. მცირეთა დღეთა შემდგომ განგეშოროთ და წავიდე გზასა, რომლითაც არასოდეს გამივლია. ხოლო თქვენ გაიხსნებდეთ სიყვარულსა ჩემსა; მესმოდეს შვილთა ჩემთა კეშმარიტებით სვლა. წადით და თქვენს სავანეებში მოისვენებდეთ, როცა საჭირო იყოს, მოვიხმოთ.

თავად კი ფიქრობდა: ამიერიდან აღარ გიხილოთ.

წასვლა არავის უნდოდა: მონასტრის კედლებს ვერ შორდებოდნენ. თოთქოს სიკვდილის ზარი ჩამოჰქრესო, გარინდებულნი ეამის მომოსვლას ყურს მიუგდებდნენ.

ზაქარია კი საკანში აჩრდილივით შეჰყვა პეტრეს. ძალგარუზომე-
ლი იყო ტკივილი განშორებისა. ბნელ კუნკულში მიმჯდარ-მრუჟული
გასცემეროდა ზაქარია, როგორ ეამბორებოდა პეტრე სუმენტ. წახუჭარ
პატარა ჭვარს, დედოფლის ენქარს დახედავდა და უფლებოვი მარტყელ-
ზე დაეშვებოდა. მდუმარებდა, თითქოს ჩასთვლიმა კიდეც. ძაგლაძ ზა-
ქარიას ესმოდა, პეტრე რასმე იტყოდა. მის სარეცელთან თავზიამოგდე-
ბით შეცვრდებოდა. პეტრე თვალთ აუხილველად თავზე ხელს გადაავ-
ლებდა, ილიმებოდა:

— ისინიც ხომ ყველა საფლავებში სდომან, მაშ, რად არის უცნა-
ური, მეც მარადიული დუმილი მეუფლებოდეს.

ზაქარიას ცრემლის ნიაღვარი სდიოდა, თითქოს ჯავრში ცოცხლად
იმარხებოდა და ესმოდა:

— ბურგავს, ხედავ, თავლასთან როგორ მიგაბეს, ხსნის იმედი კი
ვერ დაატყვევეს... ახლა კი გავრბივართ, გავრბივართ... ხედავ, მცხე-
თაში მოვედით... ბურგავს, ბურგავს, ქურციკი რად მოკალი, მე სი-
ცოცხლე ვაჩუქურ... პართენიკელი სასთუმალს მიდგას, რას უბნობს,
ყური დაუგდე... ხედავ, როგორ აყვავებულა ჩვენი ბალები, ბაბილოს
გახე, სად გასულა! ანათებს ზეზოს ჭვარი... არა, ღმერთი არ უნდა ჩა-
მოსულიყო, არ იმსახურებს ადამიანი ამ მოწყალებას. ავიდეთ ღმერთ-
თან, ავმაღლდეთ სულით, აქ, მიწაზე იგი გამოუთქმელია... თეოსის,
თეოსის, იეროთეოს, იეროთეოს!

ეს იყო ამხედრება დიდი მხედართმთავრისა, რომელიც დიდ წყა-
ლობას დაუმსახურებლად არ მიიღებდა, ეს იყო აზვირთება კაცობრი-
ობის სულისა, რომელიც დამსახურებულად მიიღებდა საუკუნო აღი-
არებას.

და წმინდა მიწამ მიიბარა მეოხე ყოვლისა სოფლისა, სამკაული და
სიქადული ჭართველთა. თავისსავე აგებულ მონასტრის კედლებში
იეროთეოსის გვერდით, მარადიულ განსვენების ქვათა ქვეშ დაფარეს
დიადი საიდუმლოება თავის საქმეებზე და დედა სამშობლოზე.

თცამეტი მოღვაწე მამა კი ტოვებდა ასურეთს და ივერიისაკენ
მოეშურებოდა.



НУЦУБИДЗЕ ҚЕТЕВАН ЗАХАРЬЕВНА
МУНИЦИПАЛЬНОСТЬ

Петр Ибер

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1988

რედაქტორი ე. მოისწრაუიშვილი
მხატვარი ნ. ხულევენაშვილი
მხატვალი რედაქტორი თ. ვარიუაშვილი
რექციური რედაქტორი ჰ. გვარიშვაძე
კორექტორი ნ. მჭედლიშვილი
გამომშევის ნ. მანავაძე

ს. 5189

გაღაელა წარმოებას 31.08.87. ხელმოწერილია დასაბუკრილი 20.04.88.
საბეჭიდი ქაღალდი № 1. 60×84^{1/16}. გარნიტური კუნა. ბეჭდვის ხერ-
ხი ჩაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,16. პირ. საღ.-გარ. 11,63.
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 10,57.

ტირაჟი 10.000. ზედ. № 594.
ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ეაქტორის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდებით სიტყვის
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тби-
лиси, ул. Марджанишвили, 5.

22/9

